

Հ

Պ

ՅԵՐԱԿԱՆ
ՀԱՅ.



საქართველოს სსრ წიგნის მოედარულთა საზოგადოებრ
მისამართი



თბილისი — 1986

„მნიანობარი“ მოგვითხრობს
ნიგნის მოყვარულთა საზოგადოების
ორგანიზაციებისა და აწმინდებულების
საქმიანობაზე,
ნიგნის მოყვარულთა ფხოვრებაზე,
პიგლიორთაკებისა და პიგლიორულებისაზე,
ქიმიკზე ნიგნის სამყაროში,
ქველ ნიგნებზე,
საზღვარგარეთის ქვეყნების
ნიგნის მოყვარულთა ფხოვრებაზე,
ნიგნეოფონდეობაზე.

კულტურული

84

ნაციური გარე



გამოგვევლება „საგანგია საქართველო“

თბილისი — 1986

002

76. 11

002

გ 979

მთავარი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო საბჭო:

დავით კაგბაძე
ჭიჭიკვით კოლონია
ელენე მაჭავარიანი
ოთარ მეოტიშვილი
გივი მიქაძე
მიხეილ მშვიდობაძე
ლილი ნუციბიძე
ედუარდ სიხარულიძე
პელო ღელეყვა (პასუხისმგებელი მდივანი)
ცისანა ღლონტი
სოლომონ ხუციშვილი
გახტანგ ჯავახაძე

მხატვარი
სპარტაკ ცინცაძე

Եղիշե
ՀՅՈՒՅՆ

Թ

კაცოა მინიჭიაზული აირველი დემონირი
ჯიგნოა მოძღვრება არს.

დავით ალმაშენებელი

„ამა წიგნის ულეველსა“

...ირანის უძველესი მხარე — ხორასანი მრავალი ისტორიული ძეგლითაა განთქმული. მათ შორის ერთი საგანგებოდაა გამორჩეული. „წმინდა ქალაქ“ მეშვეობის ჩრდილოეთით, ნახევარი საათის სავალზე, ტრიალ მინდორში მდუმარედ ამართულა ტუსის ნანგრევები. თიხის ვეება გალავანი ალაგ-ალაგ ჩამოქცეულა. შორეული, ლურჯი მთების ფონზე მოულოდნელად იკვეთება უზარმაზარი თეთრი მარმარილოს მავზოლეუმი. ფრანგი არქიტექტორის ანრი გოდარის მიერ ძველ ცეცხლთაყვანის მცემელთა ტაძრის თარგზე აგებულ შენობას გარს წარმტაცი წალკოტი არტყია. შადრევანთა ხმაურს კიბარისების ჩუმი შრიალი და ფრინველთა სტენა ერთვის. გადამშვარი ტრამალისა და ფერილივით გაცრილი მტვრით მოფენილი გზის შემდგომ თავს მართლაც სამოთხეში იკრძნობს კაცი. აქ არის ჰავიმ აბულყასემ ფირდოუსის საუკუნო განსასვენებელი. მიწისქვეშა ვრცელ და გრილ დარბაზში მდებარე საფლავს სულ მუდამ ხალხი არტყია გარს. მოდიან მთელი ოჯახები, დედაშულიანად, რათა მოწიშებით ემთხვიონ კუთხეებში უკვე გადაცეოთილ საფლავის ლოდს. დარბაზის კედლებს „შაპ-ნამეს“ თემებზე მარმარილოში ნაკვეთი ბარელიეფები ამშვენებს. შუაში ფირდოუსის წინასწარმეტყველური სტრიქონებია ამოჭრილი:

მკეილად ნაგები დარბაზები გაპარტაზდება,
მათ გააოხრებს წვიმები და მზის მხურვალება.
ლექსით ავაგე სრა-სასახლე ისე მაღალი,
ვერას დააკლებს მას ვერც წეიმა, ვერც ქარიშხალი.
ამ წიგნის ფურცლებს გადაულის მრავალთ ცხოვრება,
გისაც გონი აქვს, ის მარალის ემახსოვრება!



* * *

ორმოცდათი წლის წინ მთელმა მსოფლიომ აღნიშნა უფროფრთხოება იქანელი პოეტის აბულყასემ ფირდოუსის დაბადების 1000 წლისთვის. ეს იყო საერთოდ პოეტისა და მისი უკვდავი ქმნილების პირველი საერთაშორისო აღიარება.

ვინ იყო ფირდოუსი ან რას წარმოადგენდა მისი თხზულება, რომელსაც მოვიდანებით ქართველმა მთარგმნელმა მოსწრებულად უწოდა „ულეველი წიგნი“?

ჩვენ მისი ნამდვილი სახელიც კი არ ვიცით: საპატიო წოდება „აბულყასემი“ ნიშნავს „მამა ყასემისა“, „ფირდოუსი“ კი — „სამოთხელს“. იგი დაბადებულია 932-940 წლებს შორის (სავარაუდებელია, 934 წელს), ხორასნის მხარეს, ქალაქ ტუსის მახლობლად, სოფელ ბაუში. მამამ, ხელმოკლე დეპყანმა (მიწისმფლობელმა) მაინც იმდენი მოახერხა, რომ შეიღს ბრწყინვალე განათლება მიაღებინა. შემთხვევით არ იქცა ფირდოუსის განუყრელ ეპითეტად „ჰაეჯიმ“ („ბრძენი“). ჭაბუკობიდანვე გაიტაცა ფირდოუსი საშობლოს გარდასულმა ღიფებამ, რომელსაც არაბთა შემოსევამ ჩაუქრო შარავანდედი. მაგრამ უცხოენოვან სამოსელში გახვეულ მშობლიურ მწერლობას არ შეუწყვეტია არსებობა. საუკუნეზე მეტი იყო, რაც ახალსაპარსულ (ფარსი-დარი) ენაზე იწერებოდა რუდაქის, შაპიდ ბალელის, დაყიყის უკვდავი სტრიქონები. წარმოშობით ირანელმა იბრაელ-მუკაფამ („ძემ ხეიბრისა“) არაბულად თარგმნა ირანელ მეფეთა ისტორია „ხვატა-ნაშაუ“ („უფალთა წიგნი“), აგრეთვე სხვა ფალაური (საშუალსპარსული) ძეგლები, მათ შორის „ქილილა და დამანა“. მწიგნობრული წყაროები და ზეპირი გაღმოცემები დაედო საფუძვლად ფირდოუსის გრანდიოზულ პოეტურ ეპოპეას — „შაპინეს“ („მეფეთა წიგნი“ ანუ „წიგნი მეფეთა შესახებ“).

მხოლოდ ორმოც წელს მიღწეულმა დაბრძენებულმა პოეტმა გაბედა ჭაბუკობისძროინდელი ოცნების განხორციელება, რასაც თითქმის ოცდაათი წელი მოანდომა. დღეები დღეებს მისდევდა, ბეითი (ორსტრიქონები, გარითმული მრჩობლები) ბეითს. ფირდოუსი ხშირად უჩივის გაჭირვებას, უბედურებას (მოწიფული ვაჟის დატირება):

ლეინ მოიტა, ვაჟ, რა ცოტა დრო დაგვრჩენია,
ასე ყოფილა, ეს საწუთო ვის შეჩენია?

მოვიდა სეტყვა სიკვდილივით, სიკვდილს რას ეტყვა?
ფუჭი ცხოვრება რაღად მინდა ასე დასეტყვილს

როგორც იქნა გასრულდა პოემა, მაგრამ მისი დასასრული ემთხვე დიდ ისტორიულ ძრებს — ირანელ სამანიანთა მმართველობისა და უკანას ფარსული ფანატიკოს მაპმუდ ღაზნელის დიქტატურაში (158-1030). გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა თხზულება, რომელშიც ისლამისამდელი ირანის წარსული დიდება იყო შექებული. გულგატეხილი ფირდოუსი გარდაიცვალა 1020-1025 წლებს შორის. ღრმად მოხუცებული პოეტი მშობლიურ ტუში მიაბარეს მიწას... ეს ძუნში ცნობები უმთავრესად ამოკრებილია თვეოთ „შაპ-ნამედან“.

ფირდოუსისა და მისი პოემის შესახებ ლეგენდები საკმაოდ აღრე ჩნდება. მათი ნაწილი შემორჩა სხვადასხვა ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებს. უძველესი ანონიმური თხზულება „თარიხე სისტან“ („სისტანის ისტორია“), რომლის ერთი ნაწილი XI ს-ში დაიწერა, ასე გაღმოვცემს პოეტისა და მეფის შეტაკებას: როსტომის ამბავი იმ ამბავთა რიგს განეკუთვნება, რომელიც აბულყასემ ფირდოუსიმ „შაპ-ნამეში“ გალექსა და შაპ მაპმუდის სახელს მიუძღვნა და რამდენიმე დღეს უკითხავდა. მაპმუდმა ბრძანა: მთელი „შაპ-ნამე“ დიდი არაფერია, საკუთრივ როსტომის ოქმულების გარდა, ოღონდ როსტომის მსგავსი ჩემს ლაშქარში ათასამდე კაცი მეზულებაო. აბულყასემმა მოახსენა: დღეგრძელი იყოს უფლის სიცოცხლე, არ ვიცი, რამდენია მის ლაშქარში როსტომის მსგავსი ვაჟკაცი, მაგრამ ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი, რომ მაღალ ღმერთს არ შეუქმნია თავისთვის ისეთი მონა, როგორიც როსტომი იყონ! ეს თქვა, მიწას ემთხვეთა და წავიდა. შაპ მაპმუდმა ვაზირს ჰყითხა: ამ კაცუნამ ვგონებ გაბედა და მატყუარა მიწოდაო? ვაზირმა ჰყადრა: უნდა დაესაჭოთო! რამდენი არ ეძებეს, კვალს ვერსად მიაგნეს. ფირდოუსიმ მიატოვა ღაზნა, წყალში ჩაყარა მთელი თავისი ნაშრომი და გადაიკარგა, ვიდრე უცხოეთში არ მიიცვალა...

უფრო ვრცელი და ლამაზზი ლეგენდა დაუცავს XII ს. შეერალს ნიზამი არუზი სამარყანდელს თავის პროზაულ მემუარებში „ჩაპარ მაყალე“ („ოთხი განსგა“): ბრძენი აბულყასემ ფირდოუსი ტუსის მახლობლად გაშლილი მდიდარი სოფლის ბაჟის მიწისმფლობელი იყო. ჰყავდა ასული, რომლის მზითვის შესაძენად გალექსა „შაპ-ნამე“. ოცდახუთი წელი შეალია პოეტმა ამ წიგნს, სიტყვით ზეცას მიწვდა, მსგავსი რამ არც აჯამთა (სპარსელთა), არც არაბთა შეერლობაში არ არსებობს. რა დასასრულა ფირდოუსიმ „შაპ-ნამე“, მეგობართა შეწევნით წარუდგინა იგი ღაზნაში სულთან მაპ-



მუდს. მაგრამ მეშურნენი აუმხედრდნენ პოეტს. მაპმუდი მალე /
მრწმენი იყო, ამიტომაც სამარცხვინოდ მცირე ჭილდო — კონკრეტული
ათასი დირქემი (ცერცხლის წვრილი ფული) მიუგდო პოეტს. ჭილ-
დო რომ მიუვიდა, ფირდოუსი იბანოში განისვენებდა და ლუდით
გულს იკრილებდა. შეურაცხყოფილმა მგოსანმა მექისესა და მელუ-
ლეს გაუყო თანხა და იმავე ღამეს ჰერათს გადაიხვეწა, რაღაც კარ.
გად იცოდა მაპმუდის შურისძიების ძალა. ექვს თვეს იმალებოდა
იქ ფირდოუსი, ვიდრე მაპმუდის მსტოვრებმა არ შეწყვიტეს მისი
ძებნა. შემდეგ შინ შეიარა, წილო „შაპ-ნამეს“ მეორე ნუსხა და ტა-
ბაზისტანს შეაფარა თავი. იმგერად შან მაზანდარანის მმართველს
უძლვნა პოემა, მაპმუდი კი საგანგებოდ შეთხული სატირით მი-
წასთან გაასწორა. მაგრამ შეშინდა ფასალი, დიდი იყო მაპმუდის
შიში. მან ფირდოუსის შესთავაზა: მე მოვაწონებ სულთანს „შაპ-
ნამეს“, სატირაში ასი თას დირქემს მოგცემ, ოღონდ მოვსპოთო...
ნიშაბურში ამირ მუიზისაგან მსმენია, — განაგრძობს ნიზამი არუ-
ზი, — აბდარრეზაყს ტუსში უთქვემს მისთვის, რომ ერთხელ მაპ-
მუდი ინდოეთის ღამებიდან ღაზნას ბრუნდებოდა. გზად ერთ
გამაგრებულ ციხეს წაწყდა და მისი აღება მოისურვა. კაცი მიუგ-
ზავნა მოსალაპარაკებლად, ხვალ პასუხი მომართვიო. მეორე დღეს
ტახტზე რომ აბრძანდა და ხელმარჯვნივ ვაზირმაც თავისი ადგილი
დაიკავა, დაბრუნდა შიკრიკი. სულთანმა ჰყითხა ვაზირს, პასუხი
როგორიაო. ვაზირმა ფირდოუსის სიტყვებით მოახსენა:

თუ კასუხი არ იქნება დღეს სასურველი,
ჰე, აფრასიაზ, აგრე გურზი და ბრძოლის ველი!

როდესაც აღტაცებულმა მაპმუდმა შეიტყო, რომ ეს ვაჟკაცური
სიტყვები უბედური ფირდოუსის წიგნიდან არისო, მოინანია ად-
რინდელი სიმკაცრე და ვაზირს უბრძანა, ღაზნას რომ ჩავალთ, თი-
თო ბეთოში თითო დინარი (ოქროს მონეტა) უბოძეთო პოეტს. სა-
მოცი თასი იქროს ფულით დატვირთული სამეფო ქარავანი დინჯი
ნაბიჯით გაუყვა გზას ფირდოუსის სამშობლოსაკენ. მაგრამ როდე-
საც აქლემებმა პოეტის ქალაქის ერთ კარიბჭეს მიაღწიეს, მეორე
ალაყაფიდან ფირდოუსის ცხედარი გაქონდათ ქალაქგარეთ, სასა-
ფლაოზე, აყვავებული ხეების ჩრდილში დასაკრძალად. მისმა ქალი-
შივილმა არ მიიღო ნაგვიანევი წყალობა და სულთნის მიერ ბორე-
ბული ოქრო ხანაგათა, ქარვასლათა და ხიდების მშენებლობას შეს-
წირა. ისინი დღესაც ამშვენებენო ნიშაბურისა და მარავის გზებს
ტუსის სანახებამდე, — ამთავრებს თხრობას ნიზამი არუზი სამარ-
ყინდელი.

მოგვიანებით შეტ-ნაკლები სისრულით იმეორებენ ამ ლეგენდას სხვა წყაროები (იგი გალექსეს კიდეც ჰ. ჰაინემ, ვ. ულკოვსკიმ და სხვებმა), ურთავენ ცნობებს ფირდოსის ღაზნაში ჩასვლის ფართის პოეტებთან გაპაეჭრების თაობაზე, მოხუცი პოეტის მიერ მეორე პოემის „იუსუფისა და ზელიხას“ დაწერის შესახებ და ა. შ. დლეს ძნელია ჭეშმარიტისა და გამოგონილის გარჩევა ამ ლეგენდებში. როგორც საბჭოთა ირანისტებმა კ. ჩაიკინმა და ი. მარმა გაარკვიეს, მაპმუდის სათრეველი ვრცელი სატირა ფირდოსუს არ უნდა ეკუთვნოდეს. იგი მოგვიანებით არის შედგენილი „შაპ-ნამედან“ ამოკრებილი ბეითების მეშვეობით. ასევე საეჭვოა ფირდოსუსისადმი მიწერილი მეორე პოემის ავტორობა, რადგან მასში გაუფლესურებულია „შაპ-ნამეს“ ღირსება. არ ვიცით, შეადგინა თუ არა პოეტმა თავისი ლირიკული ლექსების „დივანი“ („კრებული“), რომლის ფრაგმენტებიც დამოწმებულია შუასაუკუნეების სხვადასხვა წყაროში. ერთი რამ კი ცხადია, მთელი თავისი უზარმაზარი პოეტური პოტენცია ფირდოსმა ერთადერთ შედევრს — „შაპ-ნამეს“ შეალია.

„შაპ-ნამე“ წარმოადგენს უზარმაზარ, 120 ათას სტრიქონიან ეპოკეს, რომელშიც მხატვრულად აისახა მთელი ირანელი ერის უმაგალითოდ ვრცელი მონაკვეთი მითოლოგიური ეპოქიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე, პირველი აღმინის, ღმერთები გაიმართის ცხოვრებიდან არაბთა შემოსევამდე. მოცულობისა და მოვლენათა ოღწერის სივრცის მხრივ მას ვერ შეეღრება მსოფლიო მწერლობის ვერც ერთი ანალოგიური უნიკატის თხზულება, თვით პომეროსის პოემების ჩათვლით. რომელიც ელინთა წინაისტორიის მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებს მოიცავენ.

პირობითად „შაპ-ნამე“ სამ არათანაბარ მონაკვეთად შეიძლება დაყოს: მითოლოგიური, საგმირო და ისტორიული. პირველ ორ მონაკვეთში ოღწერილია გაიმართის, ჰუშანგის, თაპმურასის, ჯამშიდის, ზოპაქის, ფერიდუნის, მანუჩარის, ქაი-ქავუსისა და სხვათა მეფობა. მათ დროს ჩნდებიან და იბრძვიან, უყვართ და დროს ატარებენ სახელოვანი ფალავნები, რომელთა შორის ერთია საგანვებოდ გამორჩეული — ირანელი ხალხის უსაყვარლესი გმირი როსტომი (როსთამი). მანუჩარის ძის ნოვზარის (ნოდარის) მეფობისას თავი იჩინა ირანელთა მოსისხლე მტრის, თურანის სამეფოს ბოროტმა ძალამ აფრასიაბის სახით, რომელიც დროდადრო აწიო-კებდა ირანს. მაგრამ ყოველთვის, მძიმე და გადამწყვეტ წუთებში,

ირანელთა იმედად და მხსნელად, თურანელთა რისხვად გამოჩნდა /
ბოდა სიკეთის სიმბოლო — მთასავით ვაჟკაცი, მძიმე გურჩითა და /
უგრძესი მშვილდ-ისრით შეიარაღებული, ფიცხელ რაშე აქტეული მოწყობა
ბული როსტომი, რომლის პირგამეხებულ იერს ასე უხდებოდა ჯავ-
შნად ვეფხის ტყავი.

ისტორიული ნაწილი წარმოადგენს სასანელ მეფეთა შედარებით
შშრალ ქრონიკას უკანასკნელ იეზდიგერდ მესამემდე, რომელსაც
არაბებმა მოჰუდეს ბოლო. ბუნებრივია, ისტორიული სინამდვილე
ერთგვარად ზღუდვდა ფირდოუსის პოეტურ ფანტაზიას. ზოგი
ჩვენამდე მოღწეული ფალაური და არაბული წყაროს შედარებითი
შესწავლა მოწმობს, რომ ფირდოუსი ხშირად თითქმის ზუსტად
მისდევს მათ. ამ ნაწილს ახალისებს და ამრავალფეროვნებს იმ
თქმულებებისა და ლეგენდების ჩართვა, რომელიც ამა თუ იმ
მეფეს უკავშირდებოდა (ასეთია, მაგალითად, ნადირობისა და ლხი-
ნის ტრაგიალის — ბაჰრამ-გურის სახელთან დაკავშირებული ის-
ტორია).

მთელი სიძნელე ამ ზღვა მისალის კომპოზიციურად მწყობრ
მთლიანობად ასხმაში მდგომარეობდა. სამივე მონაცევის აერთია-
ნებს სამეფო დინასტიების ქრონოლოგიური მონაცვლეობა (სულ
ორმოცდაათი დინასტიაა წარმოდგენილი). ხშირად ამა თუ იმ მე-
ფის სახელი მხოლოდ გარკვეულ ეპიზოდთა ჩართვის საბაბია, ამ-
არა მხოლოდ, რომლის იქით სულ სხვა მოქმედ პირთა თავგადასა-
ვალია მოთხრობილი. გაოცებას იწვევს ამ ეპიზოდების სიუხვე და
მრავალფეროვნება. რად ლირს თუნდაც ზაალისა და რუდაბეს, როს-
ტომისა და სოპრაბის (ზურაბის), სიაუშისა და სულაბეს, ბეჟანისა
და მანიუეს, როსტომისა და ისფანდიარის, ბაჰრამგურისა და აზა-
დეს, ხოსროვისა და შირინის და სხვა უფრო ნაკლებად ცნობილი
ეპიზოდები! ყოველი მათგანი დამოუკიდებელი სარაინდო თუ სა-
მიჯნურო რომანის პირველსახეს წარმოადგენს.

„შაპ-ნამე“ ხანგრძლივი ფიქრისა და შრომის ნაყოფია. შესაძლე-
ბელია, რომ ფირდოუსი ჭერ ცალკეულ დასთანებს (სათავგადასავ-
ლო ციკლებს) ოხზავდა და შემდეგ აერთიანებდა მათ. დამახასია-
თებელია, რომ ყოველ დიდ ციკლს იჭვს თავისი შინაგანი კომპოზი-
ცია (შესავალი, ამბის განვითარება, დასკვნა), რომლის აუცილებე-
ლი ლოგიკური დასასრული (სიკვდილი, განთავისუფლება, გამეფე-
ბა) იწვევს შემდგომი ციკლის გაგრძელების აუცილებლობას. ყო-
ველ შემთხვევაში, ეს გარემოება უწყობდა ხელს დაწერის შემდ-

გომ ასეთი ცალკეული მონაკვეთების სულ მაღლ გავრცელებას. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ერთიანი ჰოზიცია დიდოსტატურად უკავშირებს ერთმანეთს ამ ქრისტიანულობის რი ჯაჭვის რგოლებს. ყოველ მათგანს უხილავად აერთიანებს საგძირო ეპოსისათვის დამახასიათებელი ხერხები და თავისებურებანი, თავისუფლებისათვის მებრძოლი და კაცომოყვარული სულისკვეთება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სულისკვეთება ზუსტად დაემთხვა ფირდოუსის თანადროულ პოლიტიკურ ვითარებას. IX საუკუნის ბოლოს უმაღლეს წერტილს მიაღწია ირანულმა ეროვნული თვითგამორჩევის ტენდენციამ, არაბთა ულლის გადაგდებისაკენ რომ იყო მიმართული (ე. წ. შუუბია). დეპუანთა წრეში ვრცელდებოდა ძეველი თქმულებები და ლეგენდები. ფალაური და არაბული წყაროები დაედო საფუძვლად პროზაულ „შაპ-ნამეს“. ფირდოუსიმდეც იყო მთელი რიგი ცდა ახალსპარსულ ენაზე ეპოსის შექმნისა. პოეტმა დაყიყიმ დაიწყო კიდეც „შაპ-ნამეს“ გალექსვა, მაგრამ მსახურის მახვილმა განგმირა ჭაბუკი და ვერ დაასრულა განზრახული საქმე (მის მიერ გალექსილი ნაწილი ფირდოუსიმ შეიტანა თავის თხზულებაში სათანადო მითითებით). ეს პროცესი ბრწყინვალედ დაავვირვენია ფირდოუსიმ. როგორც ითქვა, მან არა მარტო წერილობითი წყაროები გამოიყენა და შეავსო ისინი ისლამიადელი მასალით (მაგ., სოლდური თქმულებანი როსტომის შესახებ), არამედ უხვად ისარგებლა ზეპირგადმოცემებით და ყოველივე ეს გადაადნო საკუთარი პოეტური ფანტაზიის დარჯაქში.

„შაპ-ნამე“ მესნეების ფორმითაა დაწერილი, ერთმანეთთან შერითმული ორსტრიქონიანი ბეითებით. გრძელ და მოკლე მარცვალთა კანონზომიერ მონაცვლეობაზე დამყარებული თერთმეტმარცვლიანი პოეტური საზომი (მოთეყარები), რომელიც თავისი წარმოშობით ირანული ჩანს და მხოლოდ გარეგნულად განიცდის არაბული არუზის გავლენას, შესანიშნავად მოერგო პოემის გმირულ უღერადობას. უგრცელესი ტექსტის მოსალოდნელი მონოტონურობა პოეტმა აიცდინა დახვეწილი ოსტატობისა და მიუწვდომელი უბრალოების წყალობით. მისი პოეტური ხერხები მდიდარია და ორიგინალური (ახალი და მოულოდნელი შედარებები, ნათელი მეტაფორები, ლაკონიზმი, ფსიქოლოგიზმი). განსაკუთრებით აღსანიშნავია „შაპ-ნამეს“ ლექსის მუსიკალობა, ძალდაუტანებელი ალიტერაციული პოლიფონიურობა, რომელიც ბუნებრივად ახა-

ლისებს თხრობას. ფირდოუსის პოემაში უხვად არის ჩაქსოვილი უამრავი დიდაქტიკური რჩევა-დარიგება, აფორიზმად ჩამოსცმული სიბრძნე. იგი აფრთხილებს მეფებს — ბოროტსა და უსამარტლულ მბრძანებელს ქვეყანა დაუცარიელდებათ; ამხნევებს სამშატლულ კეთილდღეობისათვის მებრძოლ მეომრებს — სახელოვანი სიკვდილი უკეთესია ტყვეობაში შერცხვენილ სიცოცხლეზე; ანუვეშებს მაშვრალს — შენი ნახელავით მიწა მშვენდებათ.

დიდი ადგილი ეთმობა „შაპ-ნამეში“ ლხინისა და ბრძოლის ოწერას („ბაზმ თ რაზმ“). ლვინისადმი დამკიდებულებაში მეღავნდება ფირდოუსის ჭეშმარიტი, ისლამამდელი სულისკვეთება („როდესაც სულს მწარე სიტყვის უანგი მოეკიდება, მას მხოლოდ ძველი ღვანი თუ ჩამორეცხავს, როდესაც კაცს სიბერე მოეპარება, ძველი ღვანი დაუბრუნებს სიჭიბუკეს; ლვინოს გამოაქვს სააშვარაოზე ჭეშმარიტი ბუნება, ლვინოა გასაღები ჩაქეტილი გულისა“ და ა. შ.). ლვინოს სვამენ წითელს, ლალისფერს ან ქარვისფერს, იგი უნდა იყოს დაძველებული, სურნელოვანი, ზოგჯერ ურევენ მუშეს, ამბრას, წყალს. სვამენ ბროლის ან იაგუნდის თასებით, პურობის შემდეგ, უმთავრესად დამით, ბრძოლის წინ და ბრძოლის შემდგომ, საზეიმო დღეებში (დაბადება, ქორწინება, ტახტზე ისვლა), განშორების ყამს. ლვინის სმას თავისი წესი იქნა: პირველად მეფის სადღეგრძელო უნდა შესვან, შემდეგ მეგობრებისა, გარკვეულია სადღეგრძელოთა რიტუალი („ეს სახლი — შენი სახლია, მასპინძელი კი — შენი სტუმარია“), დაცულია უფროს-უმცროსობის წესი. სვამენ კაცებიც და ქალებიც, ზოგჯერ ერთად, უმეტესად კი ცალ-ცალკე. ლვინის სმასთან განუყრელია ცეკვა-სიმღერა, მუსიკალური თანხლება, საგმირო ამბავთა თხრობა. ლვინის სმის წესებს ჭაბუკობიდანვე სწავლობენ, რათა ყველამ იცოდეს, სად, როვორ, ვისთან და რამდენი უნდა დალიოს. ბაპრამ-გურთან დაკავშირებით ფირდოუსს მოაქვს ერთი ისეთი არაკი: ერთხელ მეფის სტუმარი ისე გამოთვრა, რომ გზაში ჩაეძინა და ყვავძა თვალები ამოკორტნა. შეწუხებულმა ბაპრამ-გურმა ლვინის სმა აკრძალა. დაიტანგა ხალხი. ამ დროს ერთმა დედაბერმა შვილს ცოლი შერთო. მორიდებული ნეფე დედოფალს თვალს ვერ უსწორებდა, ვერ ეკარებოდა. დედამ გასამხნევებლად მას გადამალული ლვინო შესვა. ჭაბუკი ისე გათამამდა, რომ მეფის სამხეცედან გამოქცეულ ლომს ზურგზე მოექცა (ლომი მაძღარი იყო, დასქენს ირონიულად პოეტი). ამის შემდეგ კვლავ და-

რთეს ხალხს ნება — სკით ღვინო, ოლონდ ზომიერად, ისე, რომ
ლომს ზემოდან მოექცეთ და არა ქვემოდანო...



ღრმად ეროვნულ შინაარსთან შერწყმულმა ოსტატობამ ჰქონდა
პირობა „შაპ-ნამეს“ უქვდავება. დიდია ფირდოუსის როლი მშობ-
ლიური სპარსული და საერთოდ აღმოსავლური კლასიკური მწერ-
ლობის განვითარებაში. სახელგანთქმულმა პოეტებმა განიცადეს
მისი გავლენა, უხვად ისარგებლეს მისი სიუკეტებითა თუ მხატვ-
რული ხერხებით. სულ მალე „შაპ-ნამეს“ დაწერის შემდეგ შეიქმნა
მთელი ციკლი მიზანეა-გაგრძელებებისა („გერშაფ-ნამე“, „ბარზუ-
ნამე“, „სამ-ნამე“, „შაპრიარ-ნამე“ და სხვ.), რომელთაგან ზოგი
უშუალოდ ფირდოუსის ტექსტშიც შეიჭრა.

უკვე XV საუკუნეში იგრძნეს ტექსტის დადგენისა და გადამწე-
რთა შეცდომებისაგან განწმენდის საჭიროება. სისხლისმსმელ თე-
მურს, თითქოს მისი ცოდვების მომნანიელ, მეცნიერი შვილთაშვი-
ლები შეეძინა. ერთ-ერთი მათგანის, ბაისუნყარ-მირზას ბრძანებით,
რამდენიმე ძველი ნუსხის შეკრების გზით შედგენილ იქნა პირ-
ველი ე. წ. კრიტიკული ტექსტი. მომდევნო საუკუნეებში შეიქმნა
ამ ცრცილი ეპოსის შემოკლებული რედაქციები (როგორც პოეტუ-
რი, ისე პროზაული) ჯერ შაპ-ჯეპანის (XVII ს.), შემდეგ ფათპალი-
შაპის (XIX ს.) კარზე. „შაპ-ნამეს“ ტექსტის შესწავლას აძნელებ-
და ირანისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა კუ-
თხეში გაბნეული ხელნაწერების დიდი რაოდენობა, რომლებიც საგ-
რძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან შედგენილობითა
და ვარიანტული წაკითხვებით.

* * *

მიუხედავად აღმოსავლეთში საარაკო პოპულარობისა, ევროპე-
ლებმა ფირდოუსი საკმაოდ გვიან გაიცნეს. XVIII საუკუნის ბო-
ლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა მეცნიერებმა
ოსტ-ინდოეთის კომპანიის სახსრებით ხელი მოჰკიდეს „შაპ-ნა-
მეს“ შესწავლას. გამოიცა რამდენიმე ფრაგმენტი პარალელური
თარგმანებით. არაბული და სპარსული ენის პროფესორმა მ. ლამს-
ლენმა ოცდაშვიდი ნუსხის საფუძველზე მოამზადა ტექსტის ორი
ტომი, რომელთაგან მხოლოდ პირველის გამოცემა მოასწრო 1811
წელს (1814 წ. მეორე ტომი გამოაქვეყნა მისმა კოლეგამ ჭ. ატკინ-
სონმა). შემდეგი ნაბიჯი გადადგა სამხედრო თარჯიმანმა, სპარსულ

მწერლობაში გაწაფულია ტ. შავანშა, რომელმაც ინდოელი რაჭა ჰაიდერის შემწეობით 1829 წ. გამოსცა მის მიერ დადგენილი ტექსტი იოხე ტომა რომად. რაც მთავარია, მან მოახერხა მნიშვნელოვანი ჩანაწერის თებისა და ყალბი აღვილების გამოყოფა (მათ შორის „ბარზუ-ნა-შესი“), რაც დამატების სახით დაურთო მეოთხე ტომს.

„შაპ-ნამებ“ ევროპის სხვა ქვეყნების ყურადღებაც მიიპყრო. ომოსავლეთმცოდნები ხშირად პოლიტიკურ მოღვაწეთა მექვლე-ებად გვევლინებოდნენ იმ ეპოქაში. ოსტ-ინდოეთის კომპანიის კონკურენტმა ნაპოლეონის მთავრობამ ოფიციალურად დაავალა ახალ-გაზრდა ფრანგ მევლევარს უ. მოლს „შაპ-ნამეს“ სრული ტექსტისა და პარალელური თარგმანის მომზადება. იმ დიდ ამოცანას ერთი ძალმიანის სიცოცხლე არ ეყო. თითქმის ორმოცი წელი (1838-1876) შეალია თავდაცებულმა მეცნიერმა შვიდი დიდტანიანი ტომის გამოცემას (უკანასკნელი ტომი 1878 წ. გამოაქვეყნა მისმა მოწაფემ ბარბიე დე-მენარმა). მოლის დამსახურება უპირატესად ტექსტის კიდევ უფრო გაცხრილევაში მდგომარეობდა. მან დამატებით გამოკ-ყო ჩანართი ციდლები („გერშასფ-ნამე“), მოგვცა მეცნიერულად ზუსტი პროზაული თარგმანი, გამოცემას დაურთო ვრცელი და სა-ყურადღებო წინასიტყვაობა (პარიზი, ტ. I, 1838).

1877-1879 წლებში გერმანელმა მკვლევარმა ი. ვულერსმა ერთ-მანეთს შეუკერა კალკუტისა და პარიზის გამოცემები, გაითვალის-წინა აღრე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები (მაგ., უ. მოლის პირველ ტომს ერცელი წერილი უძღვნა ცნობილმა გერმანელმა ორიენტალისტმა ფ. რიუკერტმა) და მის საფუძველზე დადგენილი ტექსტის ორი ტომი გამოაქვეყნა კიდევ (მესამე მისი სიკედილის შემდეგ გამოსცა ს. ლანდაუერმა). პარალელურად ი. ვულერსმა შეადგინა „შაპ-ნამეს“ სპარსულ-ლათინური ლექსიკონი.

ეს უკანასკნელი გამოცემა საფუძვლად დაედო თეორიანის საიუბი-ლეო ათტომეულს, რომელიც მოამზადა ორანელმა პროფესორმა საიდ ნაფისიმ. მან ზოგი რამ გონიერამახვილურად გაასწორა, მაგრამ კრიტიკულ ტექსტზე მუშაობა დღესაც გრძელდება. სამართლიანად წერდა საიუბილეო დღეებში ერთი მკვლევარი, რომ ფირდოსის სახელს უკვდავშეყოფს არა გრანდიოზული მავზოლეუმი, რომელიც იმხანად აიგო პოეტის გაპარტახებულ საფლავზე, არამედ „შაპ-ნა-მეს“ მეცნიერული ტექსტის დადგენა.

ამ ამოცანის გადაწყვეტას დიდად შეუწყო ხელი გერმანელმა ირანისტმა ფ. ვოლფმა. ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა იგი



„შაპ-ნამეს“ სიმფონია-ლექსიკონის შედგენაზე. მან ბარათებზე ამოწერა ამ უზარმახარი პოემის მთელი ლექსიყა; ამასთან, სიტუაციური ყოველ კონტექსტში თან ახლდა გერმანული თარგმანი; მითითებული იყო სხვადასხვა გამოცემის მიხედვით თავი, გვერდი და ბეი-თი. ეს უნიკალური ნაშრომი გამოქვეყნდა ბერლინში 1935 წელს. ანტიფაშისტური განწყობისათვის ფ. ვოლფს დევნა დაუწყეს. გამოაძევეს აკადემიიდან, უნივერსიტეტიდან. ათასი წლის შემდეგ ევ-როპის შუაგულში დატრიალდა შუა საუკუნეთა აღმოსავლური დესპოტიზმისათვის ჩვეული ტრაგედია. პოეტის ბედი გაიზიარა მისმა მკვლევარმა. საშინელი გაჭირვების მიუხედავად, იგი განაგრძობდა „შაპ-ნამეს“ კრიტიკულ ტექსტზე მუშაობას. 1945 წლის დასაწყისში განადგურების გარდაუვალობით გაცოფებული ფაშისტები დაერივნენ ყველა საეჭვო პირს. ბერლინის ქუჩებში დაეხეტებოდა მკვლევარი, თავს აფარებდა ნაციონალ-გენობრებს და მუდამ თან დაპირნდა დაუმთავრებელი ნაშრომი. ფ. ვოლფი შეიძყრეს და მოკლეს, მაგრამ მან მოასწრო თავისი განძის მიწაში ჩამარხვა. საბჭოთა ჯარისკაცებმა იპოვეს ეს მასალა და გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გადასცეს.

იუბილეს შემდგომ წლებში „შაპ-ნამე“ რამდენჯერმე გამოიცა ირანში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო კრიტიკული. უკანასკნელ ხანებში განხორციელებულ სხვა გამოცემათაგან აღსანიშნავია მოსკოვის ცხრატომეული და დუშანბეს ათომეული, რომელიც საგანგებო კომისიებმა მოამზადეს. მოსკოვის გამოცემა, რომლის თეორიული საფუძვლები ცნობილმა საბჭოთა ირანისტმა ე. ბერტელისმა შეამზადა, ემყარება უძველეს ნუსხებს (მათ შორის ლონდონისას — XIII ს. და ლენინგრადისას — XIV ს.) და, რაც განსაკურადებით საყურადღებოა, საკონტროლოდ იყენებს უძველეს არაბულ თარგმანს (ბუნდარისას — XIII ს.). ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეორე გამოცემის მომზადებასა და სიტყვანზე.

ქართველები ადრევე უნდა გასცნობოდნენ ფირდოუსის პოემას. სავარაუდოა, რომ კლასიკურ ეპოქაში იგი ქართულად თარგმნეს კიდეც. ერთი რამ ფაქტია: ამ ეპოქის მთელ რიგ ორიგინალურ ქართულ ძეგლებში ისე ხშირად იხსენიება „შაპ-ნამეს“ გმირთა სახელები, რომ, ცხადია, მყითხველისათვის ისინი კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი (იხ. „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „აბდულ-მესიანი“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სხვ.). ერთი 2. მწიგნობარი, II

მცირე დეტალი ნათლად ამჟღავნებს, რა ოსტატურად „შაპ-ნამეს“ გმირთა სახეებს:

სამ წელიწადს ძებნა ავთანდილმა ტარიელი, მაგრამ მის კვალ-საც ვერ მიაგნო. კლდე-ლრეში მოხეტიალე რაინდი ნადირობით ირჩენდა თავს:

თუდა მხეცემნილი ავთანდილ გულამოსკევნით და კვნესითა,
შგრეულა ჭამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა,
ისრითა მოკლის ნადირი როს ტო მის მკლავუგრძესითა,
შაბბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.

როსტომის გახსენება აქ შემთხვევითი არ არის. რამდენჯერმეა აღწერილი „შაპ-ნამეში“ მარტოდმარტო მოხეტიალე როსტომის ვახშამი, რომელიც ისრით განგმირული კანჯრის მწვადისგან შედგე-ბოდა. ამავე დროს, როსტომის ისარი განთქმული იყო თავისი სიგ-რძით. ფირდოსი საგანგებოდ უსვამს ხასს, აშქაბუსის სხეული-დან ამოძრობილმა ისარმა მნახველთა გაოცება გამოიწვია, რადგან შუბზე უფრო გრძელი იყოო! ავთანდილმაც ნადირი მოკლა როს-ტომის მკლავუგრძესი (ე. ი. მკლავზე გრძელი, ძალიან გრძელი) ის-რით.

XII საუკუნის ქართულ თარგმანს, თუკი ასეთი არსებობდა, ჩვე-ნამდე არ მოუღწევია. ამჟამად ხელთა გვაქვს XV-XVIII საუკუნე-ებში შემუშავებული ქართული ვერსიები, რომელთაც უდიდესი პო-პულარობა მოიპოვეს მთელ საქართველოში.

ქართულ ენაზე არსებობს როგორც ლექსითი, ისე პროზაული ვერსიები. ლექსითი ვერსიებია: 1. „როსტომიანი“, რომელშიც ამბა-ვი გადმოცემულია ზაალის დაბადებიდან გოშთასფის გარდაცვალე-ბამდე (ზოგჯერ ამ სათაურის ქვეშ გაერთიანებულია ყველა ქართუ-ლი ვერსია); 2. „ზაქიანი“ — აქ გალექსილია ზააქისა და ფერიდუ-ნის (ფრიდონის) თავგადასავალი; 3. „უთრუთიან — სამიანი“ — აღწერილია ამბავი გაიომართის მეფობიდან ზაალის შობამდე. პრო-ზაული ვერსიებია: 1. „ფრიდონიანი“, რომელშიც მოთხოვობილია ზააქის, ფერიდუნისა და მანუჩაპრის ისტორია; 2. „უთრუთიან-სა-ამიანი“, სადაც გადმოცემულია ამბავი გაიომართის მეფობიდან ზა-ალის შობამდე; 3. „წიგნი საამ ფალავნისა“ — მოიცავს ამბავს ჯამ-შიდის მეფობიდან ზაალისა და რუდაბეს ეპიზოდამდე; 4. „ბაამია-ნი“ — აღწერილია ბაამანის ბრძოლა როსტომის შთამომავლებთან.

„შაპ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს რამდენიმე საყურადღებო ნაშ-

რომი უძღვნა ნიკო გარმა, რომელიც სტუდენტობის წლებიდან და-
ინტერესდა ამ ძეგლით. მათ შესწავლას მტკიცე საფუძველი წერილი ხელი გადა-
ყარა იუსტინე აბულაძემ „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირვეული
ლი ტომის გამოქვეყნებით (1916 წ.). განსაკუთრებით დიდია ამ
მხრივ ალექსანდრე ბარამიძის ღვაწლი. მან პირველმა აღმოაჩინა
ზოგი ახალი ქართული ვერსია, სისტემაში მოიყვანა ისინი, გარკ-
ვია და დააზუსტა მთარგმნელთა ვინაობა. იღსანიშნავია პირველი
მონოგრაფია ფირდოუსის შესახებ, რომელიც მასვე ეკუთხნის და
საუბილეო თარიღს მიეღლვნა (ფირდოუსი და მისი „შაპ-ნამე“,
1934 წ.), ამავე წელს ა. შანიძის, იუსტ. აბულაძის, კ. კეკელიძის,
პ. ინგოროვებას და ალ. ბარამიძის რედაქციით გამოქვეყნდა „შაპ-ნა-
მეს“ ქართული ვერსიების მეორე ტომი. ეს საქმე გააგრძელა და წარ-
მატებით დააგვირგვინა დავით კობიძემ. ქართული ვერსიების სპარ-
სულ წყაროებს მან საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა (1959 წ.),
ხოლო 1974 წელს გამოაქვეყნა ქართული ვერსიების უკანასკნელი,
მესამე ტომი.

„შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების ცენტრალური ნაწილია „როს-
ტომიანი“, ანუ როსტომის სახელთან დაკავშირებული ეპიზოდები.
ეს ბუნებრივია, რაღაც როსტომი ფირდოუსის უსაყვარლესი გმი-
რია და მას უძღვნა პოეტმა თავისი თხზულების უმეტესი და უკე-
თესი ნაწილი. „როსტომიანი“ უმთავრესად ორი პირის ნახელავია:
ძირითადი ნაწილი გაულექსავს, ჩანს, დაზიანებული პროზაული
თარგმანის მიხედვით, სერაპიონ სოფრატის ქე საბაშვილს, დასას-
რული — ხოსროვ თურმანიძეს. მათ შესახებ ცნობებს თვით ქარ-
თულ ტექსტში ეპოულობთ:

ამ როსტომთა გამლექსავი სოვრატის ქე საბას შვილი,
მხეტარია ხელოვანი, ლექსტლევი, სიტყვატკბილი...

საბაშვილს კედელაურადაც იხსენიებენ ქართული წყაროები.
იგი მოღვაწეობდა XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის
დასწყისში. როგორც იოქვა, მას ხელთ უნდა ჰქონდა პროზაული
თარგმანი, ოღონდ იქ, საღაც ქართულ ტექსტს აკლდა, იგი უშუა-
ლოდ სპარსულ წყაროს მიმართავდა:

ამა წიგნსა ულეველსა, — გრძელად უთქვამს კაცსა ბრძენსა,
თავი-ბოლო ნაკლული აქებს, რაც რომ უთქვამს ენას ჩევნსა,
ცოტა რამე მე ვარჩივე, — საკითხავად მოგალხენსა,
რაც აკლია, ვინც ათავოთ, — სამოთხე ხედეს სულსა თქვენსა.

ორიგინალთან სიახლოვის თვალსაზრისით „როსტომიანი“ შეტყუ
ნაკლებ სხვადასხვაობას ამეღავნებს, მაგრამ ძირითადი სეული მომართა
რი ხაზი ყველგან დაცულია, ზოგჯერ კი, განსაკუთრებისთვის არის მომართა
მთარგმნელი უშუალოდ სპარსულ ტექსტს მიმართავს, იგი საკმაოდ
ზუსტად გადმოგვცემს დედანს. ასეთ შემთხვევაში ქართულ თარგ-
მანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ სპარსული ტექსტის
შესწავლისათვის.

„როსტომიანის“ მეორე მთარგმნელი ასე გვაცნობს თავის თავს:

კურთხეულმც არის უფალი, ყოვლის მკყრობელი ზესია,
მე ხოსროვ თურმანისძემან ამბავი ვპოვე ესია,
უცხო, ტურფა და ლამზი სპარსულად იყო ესია,
პატრონმან ჩემმან მიბრძანა, ქართულად წერე ესია.

ხოსროვ თურმანის ძე მოღვაწეობდა სვიმონ I კარზე XVI სა-
უკუნის მეორე ნახევარში. იგი, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს და
თარგმანის შესწავლით ირკვევა, უშუალოდ სპარსულ ტექსტს იყე-
ნებდა. მან არა მარტო დაასრულა „როსტომიანი“, არამედ წინა,
საბაშვილისეულ ნაწილშიც ჩაურთო ზოგი რამ.

„როსტომიანის“ გარდა, როგორც ითქვა, გვაქვს ცალკეული და-
მოუკიდებელი ძეგლები, რომელნიც ან უშუალოდ „შაპ-ნამეს“, ან
მის მიმბაძველებს უკავშირდება. მაგალითად, „ზააქიანი“ გაულექ-
სავს XVII საუკუნის პირველ ნახევარში მდივანმწიგნობარს მამუკა
თავაქარაშვილს, რომელსაც აგრეთვე ზოგი პროზაული ვერსია გადა-
უნუსხავს. „უთრუთიან-საამიანი“ გაულექსავს ბარძიმ ვიჩნაძეს.
გარკვეული როლი ქართული ვერსიების შემუშავებაში შეასრულა.
ცნობილმა ისტორიკოსმა ფარსადან გორგიგანიძემ.

მთელი ეს ლიტერატურული მასალა შეუერთდა მდიდარ ფოლკ-
ლორულ წყაროს, გაჩნდა ხალხური ვერსიები „როსტომიანისა“. როსტომის სახელი ამირანივით მოედო მთელ საქართველოს და
უამრავი ზღაპრისა თუ ლეგენდის საფუძვლად იქცა. ხალხის ფან-
ტაზიამ როსტომი ეროვნულ გმირად აქცია. მისი მკლავუგრძესი
ისრით ქართველი არა მარტო ნადირს ხოცავდა, მტერსაც უგმირავ-
და გულს. შესანიშნავია და საგულისხმო ხალხურ ვერსიებში შექმ-
ნილი სახე: როსტომის სიკვდილის შემდეგ მისი ფეხის ძვალი მდი-
ნარეზე ხიდად იდო და ხალხი ზედ გადი-გამოდიოდაო. ასე აქცია
ხალხმა ეს ზვიადი რაინდი თავის შვილად, სიკვდილის შემდეგაც
რომ ხალხის სამსახურს ვერ შეელია.

აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი სიყვარულისა, რომლითაც „შაპ-ნამეს“
ლიტერატურული და ხალხური ვერსიები სარგებლობდნენ ჩვენშოთანავე
(მარტო ის რად ღირს, რომ ვანის ქვაბის XV ს. წარწერებს შორის
„შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების სტრიქონები იკითხება მეოხად
გამწარებული სულისა) და რომელიც ვერ გაიგო პატრი ბერნარდემ,
როდესაც XVII საუკუნის დასასრულს საქართველოდან რომს
აუწყებდა: „ქართველები თუმცა ძლიერ გონიერნი და კაცომოყვა-
რენი არიან..., მაგრამ იშიდავთ ბევანიანის, ბარამიანის, როსტომია-
ნის და მათი მსგავსი წიგნების კითხვა“. ქართველებს სწორედ რომ
იმ ძეგლებში მხატვრულად ასახული გონიერება, მიჯნურობა, სამ-
შობლოს სიყვარული, გმირობა და კეთელშობილება იზიდავდა და
არა სისხლისღრა და კაცომოშულეობა. ის, რასაც ვერ მიუხვდა
უცხოელი მისიონერი, შესანიშნავად ესმოდა „შაპ-ნამეს“ ქართუ-
ლი ვერსიების ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერს: „პოი, მკითხვე-
ლნო, ამ წიგნს ნუ დასცინებთ! თუცა ვინ გულისხმიერად წაიკით-
ხოთ, პოიოთმცა ამის შინა ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება
ძველთა ქართველთა და გმირულნი მოთხრობანი, რომლითაცა ძველ-
ნი ქართველნი შთამომავლობათა ანდაზად დაუდებდიან და ამით მას
შორის სიმხნესა და ახოვანსა სულსა განაღვიძებდიან და სასიბრ-
ძნოცა მრავალი იპოვება“.

ქართველი გადამწერის სიტყვები საოცრად ეხმაურება იმ სპარ-
სელ სწაულულთა აზრს, რომელთაც XV საუკუნეში შეადგინეს ე. ჭ.
ბაისუნყარისეული რედაქცია და რომლის წინასიტყვაობაში ვკითხუ-
ლობთ: „ცნობილია, რამდენად ჰარბობს „შაპ-ნამეს“ სახელი სხვა
დანარჩენი წიგნების სახელს. ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც სპარსუ-
ლად მცირედ უბნობენ, მაგალითად, მისრეთში (ეგვიპტეში), სირი-
აში, მცირე აზიასა და თურქესტანში მრავლად იპოვება „შაპ-ნამეს“
ხელნაწერები. რაც შეეხება ხორასანს, ფარსს, ორივე ერაყს, ინ-
დოსტანს, — აქ სოფელიც კი არ დაიძებნება, „შაპ-ნამეს“ ნუსხები
რომ არ იყოს გავრცელებული. 400 წელი გავიდა ამ წიგნის შექმ-
ნიდან, მას კი ძვლავ დაუღალავად იწერენ და ამრავლებენ. არც
გასაკვირია, რაღვან როდესაც ნებისმიერი შემთხვევის გამო კარგი
და შესაფერი სტრიქონების მოხმობა სურთ, მათ ყოველთვის პო-
ულობენ „შაპ-ნამეში“.

ამ სიტყვების გამეორება თავისუფლად შეიძლება დღესაც, ფი-
რდოუსის დაბადებიდან 1050 წლის შემდეგ. ვინ იცის, რამდენ
ათას წელს გაუძლებს ღროის გამოცდას ეს წიგნი!

მათემატიკის პირველი
ორიგინალური სახელმძღვანელო
ჩართულ ენაზე

უმაღლეს სასწავლებელთათვის მათემატიკის ქართული სახელმძღვანელოების შექმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული 1918 წელს თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ანდრია რაზმაძე, მოსკოვის უნივერსიტეტდამთავრებული, იმავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1918 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო აკმაყოფილებს არჩილ ხარაძის თხოვნას, — მას სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტი, — თბილისის უნივერსიტეტში მისი მასწავლებლად მოწვევის შესახებ. მაღლემათ შეუერთდნენ ნიკოლოზ მუსხელიშვილი და გიორგი ნიკოლაძე. ორივეს განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. პირველს უნივერსიტეტში და იქვე ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, მეორეს თუმცა ტექნოლოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ბრძმედოსნობის საქმის ეს უკვე თვალსაჩინო სპეციალისტი სერიოზული მათემატიკური გამოკვლევის ავტორიც იყო.

სწორედ ეს ოთხი პიროვნებაა საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლების დამწყები. და თუ ჩევნ ახლა სიამაყით ცლაპარაკა-ჩაკობთ ქართულ მათემატიკურ სკოლაზე, ეს იმიტომ, რომ თავის დროზე დიდმა ოთხეულმა — ანდრია რაზმაძემ, გიორგი ნიკოლაძემ, ნიკოლოზ მუსხელიშვილმა და არჩილ ხარაძემ მყარი საძირკველი ჩაუყარეს მას.

მათემატიკის პირველი ქართული სახელმძღვანელო — ანდრია რაზმაძის „მათემატიკური ანალიზის კურსის“ I ტომი (შესავალი) გამოვიდა 1920 წელს. მას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1918 წლის შემოდგომაზე წაყითხული ლექციები.

შეუძლებელია აუღელვებლად გაეცნო წიგნის წინასიტყვაობას,

ვანსაკუთრებით მის იმ ნაწილს, სადაც მშობლიურ ენაზე მათემატიკური ანალიზის კურსის შექმნაზეა საუბარი:

„ქართულ ენაზე ისეთი წიგნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას თანამედროვე მათემატიკის ყველა რთული საკითხის გამორკევებისა და შეთვისებისათვის საქმაოდ მოამზადებდა, — აი, ის იდეა, რომელიც მე დიდხანს მიპყრობდა და ბეჭნიერი ვარ, რომ ეს ჩემი იდეა გაცილებით უფრო აღრე ხორციელდება და თანაც ისეთ გარემოებაში, რომელიც წინეთ ფიქრადაც კი ძნელი წარმოსადგენი იყო: სამშობლო უნივერსიტეტისა და მისი სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გახსნამ ტფილისში დღეს სინამდვილედ გახდა ის, რაც გუშინ მხოლოდ მშენებელს საოცნებო საგანს შეადგენდა.

თანამედროვე წმინდა და გამოყენებითი სამათემატიკო მეცნიერების საფუძველს მათემატიკური ანალიზი წარმოადგენს; სწორედ ამიტომ მთელი ჩემი ყურადღება უწინარეს ყოვლისა მან მიპყრო და ბუნებრივია, რომ პირველად ეს ანალიზი გამოდის.

მე კარგად მესმის დაწყებული საქმის მთელი სირთულე და სიძნელე: მათემატიკური ანალიზის ყველა საკითხის სრულსა და დაწყებითს გაშუქებას მრავალი ტომი მოუნდება, ვინაიდან იგი მათემატიკური მეცნიერების დიდსა და მეტად ვრცელ ასპარეზს წარმოადგენს; მაგრამ ეს არ მაშინებს და მაინც ვიწყებ ამ გამოცემას, რადგანაც ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი იდეა ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს“.

ახლა დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ანდრია რაზმაძე არ შემცირა — ამ იდეამ დიახაც გაიმარჯვა!

საგულისხმოა ვეტორის აზრი მათემატიკური ნომენკლატურის შესახებ ქართულ ენაზე, რომელიც იმ დროს ფაქტობრივად არცი გვქონდა: „მე იმ აზრისა ვარ, რომ ტერმინები სატერმინოლოგიო კომისიის სხდომებზე კი არ იქმნება, სადაც ყოველი სპეციალისტი თავისი ტერმინის დაცვას სცდილობს, არამედ ქართულ ენაზე მეცნიერული აზროვნების განვითარების პროცესში. აი თუ რისთვისაა, რომ საქმის ამ მხარეს. ვანსაკუთრებულს მნიშვნელობას არ ვაძლევ: მე ვხმარობ ამ წიგნში იმ ტერმინებს, რომელიც ჩემის აზრით ამ უამაღ ყველაზე უფრო შესაფერისი არიან. რა თქმა უნდა, მათ შორის მოიპოვება ისეთები, რომლებიც მგონია, სამუდამოდ უნდა დარჩეს მეცნიერებაში, მაგრამ კარგად მესმის, რომ არის იგრეთვე ისეთებიც, რომელიც დღის სინათლეს, შესაძლოა, ერთხელ და უკანასკნელად

ମହାମତିଙ୍କରି ଅନୁଷ୍ଠାନି ପଞ୍ଚଶିଲ

ପରିବାର I.

ମୋହନ ପାତ୍ର



ବ୍ୟାଲାସିଳ ଶର୍ମିଳା ପାତ୍ରଙ୍କର ପ୍ରକାଶକ

ବ୍ୟାଲାସିଳ
ଶର୍ମିଳା ପାତ୍ରଙ୍କର ପ୍ରକାଶକ,

1920

ଏନ୍ଦ୍ରରୀଳ ରାଜପାତ୍ରଙ୍କର „ମହାମତିଙ୍କରି“ ଅନୁଷ୍ଠାନିକରଣ ପିଲାଗ୍ରୀକରଣ
ପାତ୍ରଙ୍କର ସାରିରକ ପରିପାଲନ

ხედავენ. შემდეგს გამოცემებში, მე, რა საჯვირველია, ვეცლები, რომ მათ ნაცვლად უფრო შესაფერისი ტერმინები ვიხმარო“.

არც აյ შემცდარა ანდრია რაზმაძე — ბევრი ტერმინი, რომელ-
საც ამ წიგნში, როგორც ჩანს, პირველად ეხვდებით: სიმრავლე, მიმ-
დევრობა, მწკრივი, კრებადობა, განშლადობა, შექცეული ფუნქ-
ცია და მრავალი სხვა საბოლოოდ დამკვიდრდა მათემატიკაში. არის
ისექთებიც, რომელთაც კარგა ხანია აღარ ეხმარობთ.

აღსანიშნავია ის თანადგომა, რაც ავტორისათვის პროფ. აკაკი შა-
ნიძეს გაუწევია. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ჩემი ამხანავი
პროფ. ა. შანიძე დახმარებას მიწევდა ზოგიერთი თავების კო-
რექტურების კითხვის დროს და ქართული ენის სტილისტიკის დაც-
ვის საქმეში“.

ორიოდე სიტყვა წიგნის შინაარსის შესახებ. წიგნში ოთხი თავია:
„ნამდევილი ცვალებადი“, „ზლვარი“, „მწკრივი“, „ფუნქცია“. ეს ის
თავებია, რომლებსაც დღესაც მათემატიკური ანალიზის შესავალს
აკუთვნებენ.



„დიდი ოთხეული“: არჩილ ხარაძე, ანდრია რაზმაძე,
გიორგი ნიკოლაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

გადის ორი წელი და გამოდის „მათემატიკური ანალიზის“ III
ტომი: „ინტეგრალური ალრიცხვის კურსი, ნაწილი I, განუსაზღვრე-

ლი ინტეგრალები“. ავტორი მკითხველს აუწყებს: „პირველი ტრმდის წინასიტუგაობაში აღნიშნული მქონდა, რომ მათემატიკური ფრაგმენტები მთელი კურსი თანდათანობით უნდა გამომექვეყნებინა. წინამდებარე კურსი ანალიზის ნაცულისხმევი გამოცემის მე-III წიგნია. შესაძლოა გაკვირვება გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ ინტეგრალური ოლრიცხვა დიფერენციალურზე უფრო ადრე გამოდის. მაგრამ საქმე ის გახლავს, რომ სრული უქონლობა მათემატიკური ლიტერატურისა ქართულ ენაზე მაიძულებს პირველ რიგში გამოუშვა ანალიზის უფრო ძნელი ნაწილები და სწორეთ ესაა მიზეზი, რომ ინტეგრალურმა ოლრიცხვამ დიფერენციალურს უსწრო. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ის უკვე მზადაა და განხრახული მაქს მოკლე ხანში შეუდგემის ბეჭდვასაც“.

ავტორი ამჯერადაც აღნიშნავს, რომ სარგებლობდა პროფ. ავაკო შანიძის კონსულტაციით: „...მხურვალე მადლობას უძღვნი ჩემ კოლეგას პროფ. ა. შანიძეს, რომლის არაერთი რჩევა ქართული ენის სტილისტიკის დაცვაში ასე ძვირფასი იყო ჩემთვის“.

მთელი მასალის გაღმოცემისას ავტორი კლასიკური ანალიზის საფუძველზე დგას, თუმცა, როგორც ამას თავადაც აღნიშნავს შესავალში, ზოგადთეორიული საკითხების განხილვისას შეგნებულად არ უვლის გვერდს თანამედროვე თვალთახედვებს.

ანდრია რაზმაძეს მათემატიკური ანალიზის ვრცელი კურსის შექმნა ჰქონდა გადაწყვეტილი. აკი თავადაც აღნიშნავს: „მათემატიკური ანალიზის ყველა საკითხის სრულსა და დაწვრილებითს გაშუქებას მრავალი ტომი მოუნდებაონ“. სამწუხაროდ, მას ეს არ დასცალდა. ჩანს, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობამ, საფრანგეთში ხანგრძლივმა მივლინებამ, პედაგოგიურმა დატვირთვამ, ბევრი დრო წაართვა მას. 1929 წელს კი იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

მრიგად, ანდრია რაზმაძემ თავისი ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელება შეძლო: მისი ორი წიგნის გამოსვლის შემდეგ შეიქმნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხარვეზი — სტუდენტებს ჰქონდათ მათემატიკური ანალიზის შესავლისა და ინტეგრალური ოლრიცხვის პირველი ნაწილის სახელმძღვანელოები, არ კი ჰქონდათ დიფერენციალური ოლრიცხვის სახელმძღვანელო. ეს ხარვეზი მხოლოდ 1932 წელს შეივსო, როცა პროფ. ლევან გოკიელის „დიფერენციალური ოლრიცხვა“ გამოვიდა.

ლევან გოკიელი თბილისის უნივერსიტეტში აღზრდილი პირველი

მათემატიკოსი იყო. იგი ერთ-ერთ მოგონებაში აღნიშნავს: ჩეენი ფარაონის კულტურის პირველი გამოშვება 1924 წელს იყო და მე წილად მხვდა ეს გამოშვება მხოლობით რიცხვში წარმომედგინაო. ანდრია რაზმაძე მას დიდად აფასებდა და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე თავის ასისტენტად იყვანა. უდავოდ კანონზომიერია, რომ ლევან გოკი-ელმა თავისი მასწავლებლის დაწყებული საქმე განავრძო.

წიგნს „დიფერენციალური ალრიცხვა“ ჰქვია, მაგრამ შინაარსით იგი უფრო ფართოა — შეიცავს ანალიზის შესავალს და საკუთრივ დიფერენციალურ ალრიცხვას. არ შეიძლება გვერდი ივუაროთ ერთ საანტერესო მეთოდიკურ საკითხს. საქმე ის არის, რომ ავტორმა სახელმძღვანელოში არ შეიტანა არც თანაბრად კრებადობისა და არც თანაბრად უწყვეტობის თეორიები. აი, რას წერს იგი ამის თაობაზე წინასიტყვაობაში: „ეს თეორიები უმთავრესად გვეირდება ინტეგრალური ალრიცხვისათვის და მათემატიკური ანალიზის შემდგომი დარგებისათვის, ხოლო ისინი ზედმეტად დატვირთავენ ანალიზის შესავალისა და დიფერენციალური ალრიცხვის კურსს, რომელშიაც უამისოდაც ძალიან ბევრი ახალი ცნების დაგროვება ხდება. სრულებით არა სასურველი, რომ ანალიზის შესავალი და დიფერენციალური ალრიცხვა მათემატიკურ საწყობს დაემსგავსოს, რომელშიაც თავშივე მოყრილი იქნება მთელი, შემდეგში ადრე თუ გვიან საჭირო, მასალა“. შესანიშნავი ნათქვამია!

ეჭვი არ არის, ანდრია რაზმაძეს ანალიზის მრავალტომიანი სახელმძღვანელო რომ შეედგინა, ერთ ტომს ვარიაციათა ალრიცხვას დაუთმობდა — იგი ხომ ამ დარგის აღიარებული სპეციალისტი იყო! ლევან გოკიელმა ღირსეული მიუზღო მასწავლებლის ხსოვნას, როცა 1933 წელს გამოსცა ანდრია რაზმაძის „ვარიაციათა ალრიცხვა“. ეს არის კურსი, შედგენილი ავტორის მიერ 1923 წელს წაყითხული ლექციების გოკიელისული ჩანაწერების მიხედვით. წინასიტყვაობაში კითხულობთ: „კურსის შედგენის დროს ვისახავდი მიზნად როგორც ა. რაზმაძის კურსის ხასიათის ზუსტად გადაცემას მისი შინაარსის მხრივ, ისე მისი ცოცხალი მეტყველების დაცვას და მისი აზრების მისივე ენით ალაპარაკებას. ა. რაზმაძე არ ეკუთვნონდა უპიროვნო მეცნიერთა რიცხვს, რომელთა აზრების ქვეშ სრულებით არ სჩანს მათი გამომთქმელის სახე. მის მიერ გამოთქმული აზრი მოწოდებულია ყოველთვის მთელი მისი პსიქიკის ამ აზრისაღმი ცოცხალი და ქტიური დამოკიდებულების ფონზე და იდეების გაშლა მისთვის



განცდის დრამატიზმით და მეცნიერებისადმი ლრმა სიყვარულობს გრძნობით არის გამობარი. მე ყოველგვარად ვცდილობდი შისი აზროვნების და გამოთქმის სტილი მთელი თავისი განუმეორებელი თავისებურებებით დაცული ყოფილიყო და მას მთელი თავისი უშუალო ზემოქმედების ძალა შერჩენდა. ამისათვის, რასაცვირელია, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა სიტყვიერი მასალის ხელოვნური სტილიზაცია, რასაც, პირიქით, შეეძლო მხოლოდ ყალბი ნოტის შეტანა“. და შემდეგ: „...არ შეიძლება გულისტყივილით არ განვიცადოთ ის, რომ ა. რაზმაძის ვარიაციათა აღრიცხვის კურსი ვერ იქნა უშუალოდ მიღებული თვით მისივე ხელიდან. მაგრამ თუ უბედურმა მიზეზმა ეს შეუძლებელი გახდა, ვისურვოთ, რომ წინამდებარე წიგნი ამ მიზეზის არსებობის ფაქტის მარტო დაღასტურებას კი არ წარმოადგენდეს, არამედ მის საჭინააღმდეგოდ მოქმედებეს და ხელს უშენებდეს განსვენებულის ხსოვნის განმტკიცებას“.

რამდენადაც ანალიზის სახელმძღვანელოებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს 1938 წელს გამოსული ლევან გოვიელის მეტად ორიგინალური „მათემატიკური ანალიზის შესავალი“. ავტორისავე თქმით, „კურსში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლოგიკური სიზუსტის დაცვას და მათემატიკური თეორიის აგებას ლოგიკურად სავსებით დახვეწილი სახით“. ავტორს ძალიან კარგად ესმის, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომით ის საქმაოდ დიდ მოთხოვნილებას უყენებს მკითხველებს და ამიტომაც საგანგებოდ შენიშნავს: „წიგნით სარგებლობის გაადვილების მიზნით მთელი ოგიუფრო ძნელი საკითხებისა გამოყოფილია ცალკე დამატებების სახით და აგრეთვე თვით ტექსტში უფრო ძნელი საკითხები შეძლებისდაგვარად გამოყოფილია შენიშვნების სახით“. აღნიშნული დამატებანი, — მათ წიგნის თითქმის ნახევარი აქვს დათმობილი, — დაწერილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლემიკური სტილით, რომელიც ასე უყვარდა ლევან გოვიელს. სანიმუშოდ მოვიყვან რამდენიმე ფრაგმენტს წყვილის ცნების განსაზღვრისადმი მიძღვნილი დამატებიდან: „პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ... მაგრამ ასეთი გზით ჩვენ წყვილის ცნების განსაზღვრას ვერ მოვახდენთ“, „შესაძლებელია ახლა წყვილის ასეთი განსაზღვრა მოგვაწოდონ“..., „ახლა შესაძლებელია ზემოთმოვკანილ განმარტების დაზუსტების მიზნით შემდეგი განმარტება მოგვაწოდონ“..., „...შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ წყვილის ჩვენი განსაზღვრა არის ფაქტიურად მისი განსაზღვრა, როგორც ფუნქციისა, და ამიტომ



ჩვენ მიერ წამოყენებული საბუთი წყვილის ამ უკანასკნელი განმავლენა
საზღვრის წინააღმდეგ, იქნება მიმართული ჩვენი განსაზღვრის წი-
ნააღმდეგაც. მაგრამ...“ და ასე შემდეგ.

აქ არ შემიძლია არ გავიხსენ 1938 წლის შემოდგომის სემესტ-
რი. ლევან გოკიელი პირველკურსელებს ანალიზის შესავალს გვი-
კითხავდა, გვიკითხავდა ხსნებული წიგნის მიხედვით, იმავე პოლე-
მიკური სტილით და მერწმუნეთ, — გულგრილი არავინ რჩებოდა:
ახლაც თვალწინ მიღვას ბატონი ლევანის მასიური ფიგურა — იგი
დოინჯშემოყრილი დგას დაფასთან, თავი ოდნავ გვერდზე გადაუხ-
რია და რომელიმაც ცნების განსაზღვრებას იძლევა. თოქოს ყვე-
ლაფერი რიგზეა, მაგრამ არა, — რაღაც დეტალი გამოვრჩენია,
საჭიროა დაზუსტება. აი, ეს დაზუსტებაც, თუმცა... არა, კიდევ რა-
ღაც ხარვეზია, ეცდილობთ შევსებას... კიდევ, კიდევ... და ასე, უჩი-
ნარ მოპაექრესთან კამათის პროცესში თანდათან მივდივართ სრუ-
ლყოფილ განსაზღვრებამდე. აბა, მაშინ რა ვიცოდით, რომ ეს თა-
ვისებური მეთოდიყური ხერხი იყო, რომლის მოშველიებით ლექ-
ტორი მათემატიკოსისათვის აგრე რიგად საჭირო კრიტიკული აზ-
როვნების ჩვევებს გვინერგავდა?!

ქრონოლოგია რომ დამეცა, ანდრია რაზმაძის „მათემატიკურია
ანალიზის კურსის“ ორი წიგნის შემდეგ მკითხველისათვის 1927 წელს
გამოცემული არჩილ ხარაძის „უმაღლესი მათემატიკის შესავალი“
უნდა წარმედგინა, მაგრამ ქრონოლოგიას უკვე გადავუხვიე, თუმცა,
ჩემი აზრით, ეს გადახვევა ბუნებრივი იყო, ამიტომ მკითხველი ნუ
დამძრახავს, თუ ახლაც არ დავიცავ ქრონოლოგიას და ჯერ მათემა-
ტიკოსებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებზე — გიორგი
ნიკოლაძის „დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტებზე“ და
კონსტანტინე სულაქველიძის „რიცხვთა თეორიაზე“ შევჩერდები.

გიორგი ნიკოლაძის „დიფერენციალური გეომეტრიის ელემენ-
ტები“ 1934 წელს — ავტორის გარდაცვალების სამი წლის შემ-
დეგ გამოვიდა პროფ. ნიკოლოზ მუსხელიშვილის რედაქციით. წიგნს
რედაქტორისა და გამოჩენილი ფრანგი გეომეტრის ელი კარტანის
წინასიტყვაობათა გარდა, წამდლვარებული აქვს გიორგი ნიკოლაძის
ბიოგრაფია და აგრეთვე მისი შრომების სია.

რედაქტორის წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რომ წიგნის ში-
ნარს შეადგენს კურსი, რომელსაც ავტორი რამდენიმე წლის გან-
მავლობაში კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში. ხელნაწერი

თავად ავტორს მოუმზადებია დასაბეჭდად, ამიტომაც წიგნი და
იბეჭდა უცვლელად, ხელნაწერის მიხედვით.

ელი კარტანი წერს: „ასე უდროოდ მეცნიერებას გამოკლებულ
მკვლევრის გითრგი ნიკოლაძის კოლეგებმა მთხოვეს და-
მეწერა წინასიტყვაობა მისი „დიფერენციალური გეომეტრიის კურ-
სისთვის“. არ შემიძლია აუღელვებლივ გავიხსენო ეს ლონით აღ-
სავსე ყმაწვილი მისი მართალი თვალების პირდაპირი გამოხედვით;
იგი უკანასკნელად ვნახე 3 წლის წინ ხარკოვში, ს. ს. რ. კ. მათემა-
ტიკოსთა კონგრესზე, რომელზედაც მეც ეყიდვი მიწვეული. იქ და-
ვაფასე განსაკუთრებული სისრულით თუ რა გრძნობა გვაკავშირებ-
და“. შემდეგ იგი აღნიშნავს, გიორგი ნიკოლაძე გეომეტრიად იყო
დაბადებულიო, მიმოიხილავს მის შრომებს და საკვნის, ეჭვგარე-
შეა ავტორი „ამ შრომაშიაც შეიტანდა თავის პირად ჩაკვირვების
ნაყოფს და ამნაირად მისი დიფერენციალური გეომეტრიის კურსი
დიდ სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც გეომეტრიით არის დაინტე-
რესებული“.

კარტანისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ვარაუდობდა —
ეჭვგარეშეა გიორგი ნიკოლაძე თავის წიგნშიც შეიტანდა პირადი
ჩაკვირვების ნაყოფსო, ნიკოლოზ მუსხელიშვილმა, რაღა თქმა უნ-
და, შესანიშნავად იცოდა წიგნის შინაარსი და ამდენად მისი აზრი
წიგნზე მეტად მნიშვნელოვანია: „ზედმეტია იმის თქმა, რომ ასეთი
გამოჩენილი გეომეტრის კურსი, როგორიც იყო გ. ნიკოლაძე,
წარმოადგენს დიდ ონტერესს არა მხოლოდ საქართველოს მასშტა-
ბით. ამ კურსის ორიგინალობას დავილად შეამჩნევს ისეთი მკითხ-
ველიც, რომელიც ოდნავ მაინც იცნობს დიფერენციალური გეო-
მეტრიის სხვა კურსებს. ბევრი რამ ეკუთვნის თვით ავტორს, ის ნა-
წილებიც კი, რომლებიც შეეხება ჩვეულებრივ, ტრადიციულ სა-
კითხებს, დაწერილია თითქმის ყოველთვის ახალი, ორიგინალური
მიღვმით, რომელიც გამოიწვევს მკითხველში ახალ აზრებსა და
გაუხსნის მას ახალ პორიზონტებს. ამიტომაც წიგნის გამოსვლა
აუცილებლად დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მეცნიერულ
ფრონტზე“.

დასარულ, შევნიშნავ, რომ დიდი ონტერესით იყითხება ნიკო-
ლოზ მუსხელიშვილის მიერ დაწერილი გიორგი ნიკოლაძის ბიოგ-
რაფია.

1934 წელსვე გამოვიდა კონსტანტინე სულაქველიძის „რი-
ცხოთა თეორია“, რომელიც მკითხველს მათემატიკის ამ ერთ-ერთი
30

უძველესი და ულამაზესი დარგის ელემენტებს აცნობს. მოკლე,  სულ რამდენიმე სტრიქონიან ბოლოსიტყვაობაში ავტორი ასახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მას უსარგებლია. მათ შორის იგი განსაკუთრებით გამოყოფს დიდი რუსი მეცნიერის პაფნუტი ჩებიშვილის კლასიკურ თხზულებას — „შედარებათა თეორია“. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც წიგნი ჩაფიქრებული ყოფილა როგორც პირველი ნაწილი რიცხვთა თეორიისა და ძირითადად შედარებათა თეორიას ეძღვნება. ავტორს განზრახული ჰქონია მოკლე ხანში მეორე ნაწილის გამოშვებაც. სამწუხაროდ, მან ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

ახლა კი, არჩილ ხარაძის „უმაღლესი მათემატიკის შესახლის“ შესახებ, რომელიც, როგორც ოლვიშნე, 1927 წელს გამოიცა. წიგნი განკუთვნილია „სპეციალ ტეხნიკუმებისათვის და პედაგოგიური ინსტიტუტისათვის“, საბუნებისმეტყველო და აგრონომიული დარგის სტუდენტებისათვის, მასში გადმოცემულია ანალიზური გეომეტრიისა და უსასრულოდ მცირეთა ანალიზის ელემენტები. ავტორმა წინასიტყვაობის მაგიერ წიგნს წაუმძღვარა „მასწავლებელთა საურადებოდ“. ივი მრავალმხრივ საინტერესოა. აი, რას წერს აერორი:

„ზოგი მათემატიკოსი პრინციპულად წინააღმდეგია ისეთი სახელმძღვანელო დაწეროს, სადაც მათემატიკური მსჯელობისათვის შესაფერისი სიმკაცრე მთლიანად დაცული არ არის.

ჩვენ ამ საკითხში სხვა აზრისა ვართ. მრავალ მათემატიკურ ცნებას ისეთი ფართო და მრავალფეროვანი შინაახსი აქვს, რომ საგნის შესწავლის პირველ საფეხურზე ვერავითარი მკაცრი მსჯელობით ვერ განვთანარევთ იმ ბურუსს, რომელიც მოსწავლის წარმოდგენაში უთუოდ არსებობს; პირიქით, ამით უფრო გავართულებთ სიძნელეს; უმჯობესია და მრავალ შემთხვევაში დიდ სარგებლობასაც იძლევა, თუ რომ საკითხის არსებითი ნაწილი გამოყენებით, მეთოდიური მხარე, ცოტად თუ ბევრად, გავაშუქეთ და რამდენიმე კერძო გამოყენებით მისი მნიშვნელობა გამოვარკვით.“

კიდევ უფრო ყურადსალებია ავტორის აზრი სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ საერთოდ:

„სახელმძღვანელოს შედგენა არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე ერთი პირის შრომის საგანს. პირიქით, ამას კოლექტიური ხასიათი უნდა ქონდეს; ეს ჩვენ ასე გვესმის, რომ რა წამს პირველი ნაბიჯი გადადგმულია და ასე თუ ისე ნაბეჭდი მასალა მოწოდებუ-

ლია, მის შემდგომ, ყველამ, ვისაც კი აინტერესებს ჩვენი სკოლის
შედ-ილბალი და ქართული სასწავლო ლიტერატურის განვითარებას,
მონაწილეობა უნდა მიიღოს დაწყებული საქმის გაუმჯობესებაში.

ამ სიტყვების შემდეგ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება ავტო-
რის თხოვნა, თანაც უმორჩილესი, სრულიად მოურიდებული აცნო-
ბონ მას წერილობით ან პირადად ყოველი შენიშვნა და რჩევა.
„ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმ შემთხვევისათვის, თუ ამ-
სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა ეღირსაო“, — მორიდებულად
აცხადებს იგი.

ვინც არჩილ ხარაძეს პირადად იცნობდა, მისთვის მოულოდნე-
ლი არ უნდა იყოს ბატონი არჩილის ასეთი მორიდებული ტონი.
ამასთანავე, მათემატიკოსებისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი
მნიშვნელობა, რომელიც ამ წიგნს ჰქონდა: ჯერ იყო და გადამუშა-
ვებული და სათაურშეცვლილი — მას უკვე „უმაღლესი მათემა-
ტიკის საფუძვლები“ ერქვა, წიგნი კიდევ ორჯერ — 1931 და
1933 წლებში გამოიცა. მეორეც, რამდენიმე წლის შემდეგ უმაღ-
ლესი ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტებმა მიიღეს არჩილ
ხარაძისა და ამბროსი რუხაძის უმაღლესი მათემატიკის ორტომიანი
სახელმძღვანელო, რომლის წინაპარი სწორედ არჩილ ხარაძის
„უმაღლესი მათემატიკის შესაფალია“. ეს ორტომეული კარგა ხანს
უმაღლესი მათემატიკის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო ქარ-
თულ ენაზე.

აქვე შევნიშნავ, რომ არჩილ ხარაძემ დაწერა იგრეთვე პატარა
წიგნი „დეტერმინანტთა თეორიის საფუძვლები“, რომელიც რამ-
დენჯერმე გამოიცა.

სხვა წიგნებიდან დავასახელებ ილია შტეინბერგისა და გიორგი
პაპიტაშვილის „უმაღლესი მათემატიკის ელემენტებს“ და ნიკო
გეგელაძის „უმაღლეს მათემატიკას“ — სახელმძღვანელოს ფარმა-
ციკლული ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

დაბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო თეორიული მექანიკის
ორი ტომი — „სტატიკა“ და „კინემატიკა“, რომელთა ავტორია ნი-
კო მუსხელიშვილი — ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი
აღიარებული ფუძემდებელი. სამწუხაროდ, ბატონ ნიკოს არც მესა-
მე ნაშილი — „დინამიკა“ დაუწერია და არც ხსენებული, მეტად
ორიგინალურად დაწერილი წიგნების ხელახალ გამოცემაზე უზრუ-
ნია. რამდენადაც მე მხოლოდ მათემატიკის სახელმძღვანელოების

მოკლე მიმოხილვა გადაეწყვიტე, მკითხველი მაპატიებს, თუკი მე
წიგნებზე დაწვრილებით არ შევჩერდები. ერთს კი კიდევ ვიტყვიარება
ნიკო მუსხელიშვილმა ოციან წლებში გამოსცა რუსულ ენაზე „ანუ-
ლიზური გეომეტრიის კურსი“. იგი საფუძვლად დაედო მის იმავე
სახელწოდების წიგნს, რომელიც რამდენჯერმე დასტამბა საკავში-
რო გამომცემლობამ, მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ვფიქრობ, ამ მოკლე მიმოხილვიდან, რომელიც მკითხველს შე-
ვთავაზე, კარგად ჩანს ის დიდი სამუშაო, რაც მშობლიურ ენაზე
სახელმძღვანელოების შექმნისათვის შეასრულეს ქართველმა მათე-
მატიკოსებმა.

თბილისი

* * *

საღ ნახავთ წიგნზე უკეთეს ფრეგატს,
 ყველა ქვეყანას რომ მოგატარებს,
 ან პოეზიის ზოაპრული რაშის
 სხვა ვინ მოგაწვდის ოქროს სადაცეს?!

არ უჭირს ზღვა და ხმელეთის მოვლა
 არც ღარიბ-ღატაქს თუ ქვეყნის გლახას —
 რა იაფი და მუქთაა ეტლი,
 ადამიანის სული რომ დაჰყავს.

ଶୁଦ୍ଧିଲାଲ ପାତ୍ରଙ୍କଣ



ଶୁଦ୍ଧିଲାଲ,
ଫୁଲଙ୍କଣ



୭୦୫୩୯ ପ୍ରକାଶନ ଶଖାରୁଷିତ ପରିଚ୍ୟାନ ପରିଚ୍ୟାନ ପରିଚ୍ୟାନ ପରିଚ୍ୟାନ

ରାଜିବାର୍ଧ ରୂପ ପିଲାର୍କା

ବିଦ୍ୟାଗର୍ଭ ପରିଚ୍ୟାନ ପରିଚ୍ୟାନ ପରିଚ୍ୟାନ ପରିଚ୍ୟାନ

ଶ୍ରୀ ପାଠ୍ୟବିଭାଗ

მოგონება ზოგნება

Habent sua fata libelli*

როგორც საერთოდ მიღებულია, ფიქრობენ, რომ სიზმარს არა-
ვითარი ლოგიკა არ გააჩნია; მე მგონია ეს არაა სწორი, სიზმარს
ლოგიკა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ ის არ გვესმის. შესაძლოა ეს
ლოგიკა რაღაც სხვა, უფრო ძლიერი ლოგიკა იყოს.

სიზმარი არათუ არსებობს, არამედ ძლიერაც მოქმედებს ჩვენს
სულიერ სამყაროზე. ჩვენი ნების საზღვარი აქ მთავრდება და ბუნ-
დოვნად ვგრძნობთ რაღაც სხვა, იღუმალი სამყაროს საზღვრებს.

ჩემზე, მაგალითად, ძალზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ისეთი
სიზმრები, როდესაც შორეულ ბავშვობას ვხედავ და ბურუსში აღს-
დგებიან უკვე გარდასული სახეები, მით უფრო ძვირფასნი, რო-
გორც ყოველივე დაგოწყების უამით დანთქმული. ასეთი სიზმრისა-
გან დიდხანს ვარ ვფხიზლდები და ცოცხლად ვხედავ ამა ქვეყნი-
დან დიდი ხნის წასულთ. მერე როგორი საყვარელი და ძვირფასი
სახეებია! ვინ იცის, რას არ მიკუმდი, თუნდაც შორიდან რომ შე-
მეხედა, გამეგონა მათი ნაცნობი ხმა, ჩამომერთმია ხელი და ერთ-
ხელ კიდევ დავბრუნებოდი წარსულს. მგონია, ეს უტყვი აჩრდი-
ლები რაღაცას მოითხოვენ ჩემგან. მე ხომ ძალიან ვარ დავალებუ-
ლი ამ ჩემთვის უსაზღვროდ ძვირფასი ადამიანებისაგან...

ბავშვობის მოგონებათა ლამაზ ოცნებებში ცოცხლდებიან არა
მარტო ადამიანები, არამედ ის უსულო საგნებიც, რომელთაც ასე
თუ ისე კავშირი ჰქონდათ პატარა ადამიანის პატარა ცხოვრების და-
საწყისთან. ახლა მათ ისე ვიგონებ, როგორც ცოცხალ არსებებს,
ისევ განვიცდი შორეული ბავშვობის შთაბეჭდილებებს.

ბავშვის ცხოვრების ამ უტყვ მონაწილეთა შორის პირველი იდ-
გილი, რასაკვირველია, უჭირავს სურათებინ წიგნს... ესაა ცოცხა-
ლი ძაფი, რომელსაც გამოვყავართ საბავშვო ოთახიდან და ვუერ-
თდებით სულ სხვა სამყაროს. მე ყოველი საბავშვო წიგნი ცოცხალ
არსებად მესახება იმიტომ, რომ იგი აღაგზნებს ბავშვის

* წიგნებსაც საკუთარი ბედი აქვთ. (ლათ.)



სულს, ბავშვის აზრებს წარმართავს განსაზღვრული კალაპოტით და მის გულისცემას აკავშირებს მილიონობით ბავშვებს მარტინულად ლისცემასთან. საბავშვო წიგნი — ესაა გაზაფხულის მზის სხივის ციაგი, რომელიც ბავშვის მთვლემარე სულიერ ძალებს აღვიძებს და იწვევს ამ ნიყვიერ ნიადაგში ჩავარდნილი თესლის გაღიერებას. ბავშვები სწორედ ამ წიგნის მეოხებით ერწყმიან ერთ უზარმაზარ სულიერ ოჯახს, რომელსაც არც ეთნოგრაფიული საზღვარი აქვს და არც გეოგრაფიული.

აქ ცოტა უნდა გადავუხვიო და მოგითხოთ იმაზე, რომ დღევანდელი ბავშვები ყოველ ნაბიჭებ მოწმენი არიან წიგნთან უპატივცემლოდ მოპყრობისა. დაფლეთილი ყდები, ჰუცყიანი თითების ნაკვალევი, ამოკეცილი ფურცლები, დაჯღაბნილი არეები, — ერთი სიტყვით, ყოველივე ამის შედეგად ხელში გვრჩება ხეიბარი წიგნი. შეიძლება აქ დამნაშავე იყოს უფროსები, რომელნიც ცოცხალ მაგალითს აძლევენ ბავშვებს. ჰყითხეთ ყოველ ბიბლიოთეკარს, როგორ გყინება სისხლი ძარღვებში, როდესაც თვალნათლივ ხედავს, ახალი წიგნი როგორ იქცევა ჰუცყიან ჩვრად. ვინ აწერს არეებზე უღიმდამო შენიშვნებს? ვინ და რისთვის ხევს წიგნის შუაგულიდან გვერდებს? საერთოდ ვინ აოხრებს წიგნებს? განსაკუთრებით ცუდი დღე ადგათ სურათებს. უკეთეს შემთხვევაში მას ძირიანად გლეჭენ, უარეს შემთხვევაში გლაბნიან კალმით, ფანჯრითა და საღებავით. ეს წიგნისაღმი არც უბრალო უპატივცემლობაა. ესაა რაღაცნაირი ბოროტი დამოკიდებულება წიგნისაღმი. ძნელი მისახვედრია ამის მიზეზი. შეიძლება მას ერთი ახსნა მოუნახო — დღეს ძალიან ბევრი წიგნი იძეჭდება, იგი ძალიან იაფია და დაკარგა ნამდვილი ფასი ოჯახის სხვა ნიერთებთან შედარებით. ჩვენს თაობას, რომელსაც ახსოვს, რა ძვირი ღირდა წიგნი, განსაკუთრებული მოწიწება შემორჩა წიგნისაღმი, როგორც წმიდათაწმიდა ნივთისაღმი, რომელსაც ნიჭიერებისა და კურთხეული შრომის ნათელი კვალი აჩნევია.

როგორ მესახება დღეს ჩვენი ძველი ხის სახლი, რომლის ხუთი დიდი ფანგარა მოედანს გადაჰყურებდა! ეს სახლი იმით იყო შესანიშნავი, რომ ფანგრები ერთ მხარეს ევროპისაკენ გადიოდა, მეორე მხარეს — აზიისაკენ. ურალის წყალგამყოფი ქედი თორმეტ კილომეტრზე იყო ჩვენგან.

— აი, ეს მთები უკვე აზიაშია, — მიხსნიდა მამაჩემი და მითი-

რაღაც განსაკუთრებული საიდუმლოებით იყო მოცული ჩემთვის ეს „საზღვარი“, რომელიც შუაზე ჰყოფდა ორ განუზომელ სამყაროს. აღმოსავლეთით მთები უფრო მაღალი და ლამაზი იყო, მაგრამ მე მაინც დასავლეთი მიზიდავდა, რომელსაც სავსებით პროზაულად ეფარებოდა კოკურნიკოვის არცთუ ისე მაღალი ბორცვები. ბავშვობაში მიყვარდა ფანჯარისთან დიდხანს ჯდომა და ამ ბორცვების ყურება. ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ იგი განგებ ეფარებოდა ყველა საოცრებას, რომელიც ბავშვის წარმოდგენას ელანდებოდა იმ საიდუმლოებით მოცულ, შორეულ დასავლეთში. ყველაფერი ხომ იქიდან, დასავლეთიდან მოდიოდა... თუნდაც პირველი ნახატებიანი საბავშვო წიგნი... აღმოსავლეთი არაფერს იძლეოდა, და ბავშვის სულში იღვიძებდა, იზრდებოდა და მწიფდებოდა სწრაფვა სწორედ დასავლეთისაკენ... ჩვენი კუთხის ოთახს, — რომელსაც ჩაის ოთახს ეძახდნენ, თუმცა იქ ჩაის არავინ სვამდა, — ფანჯრები დასავლეთით პეტონდა და სწორედ აქ იყო დასავლეთის იღუმალი გასაღები. მე დღესაც ვფიქრობ ამ ოთახზე, როგორც ცოცხალ ადამიანზე, რომელთანაც დაკავშირებულია ძვირფასი მოგონებანი.

ამ ჩაის ოთახის სული და გული იყო წიგნის კარადა. ამ კარადაში, როგორც ელექტრობატარეაში, თავმოყრილი იყო ამოუწურავი, იდუმალი ძლიერი ძალა, რომელმაც ბავშვის აზრების პირველი დუღილი გამოიწვია. ეს კარადაც ცოცხალ არსებად მესახება. ამ კარადის მოტანა ჩვენს ოჯახში მთელი მოვლენა იყო...

მამაჩემს, ქარხნის შეძლებულ მღვდელს, მგზნებარედ უყვარდა წიგნები და მათ შესაძენად უკანასკნელ გროშებსაც კი იმეტებდა. მაგრამ წიგნებისთვის ხომ კარადაც იყო საჭირო. კარადა კი ძალიან ძვირი ღირდა. გარდა ამისა, ჩვენს პატარა ქარხანაში არ მოიძევებოდა დურგალი, რომელიც კარადის გაკეთებას შეძლებდა. მითომ კარადა მეზობელ, ტაგილის ქარხანაში შეუკვეთეს. როდესაც კარადა გამზადეს, საჭირო შეიქნა მისი ჩამოტანა; ესეც არ იყო აღვიღი საქმე. მახსოვეს, როგორ ველოდებოდით მთელი კვირები, სანამ შესაფერისი შემთხვევა გამოჩნდებოდა. კარადა ზამთარში ჩამოიტანეს, საღამოს, ნახშირის ცარიელი ხოკერით. ეს უკვე ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ბავშვობაში არ არსებობდა ჩემთვის ამ კარადაზე ულამაზესი ავეჯი. წარმოიდგინეთ ორი ტუმბო, ზედ საწერი მაგიდა, მაგიდაზეც ორი პატარა ტუმბო, ზემოთ კი თვითონ

კარადა შემინული კარებით. კარადა შელებილი იყო ყავისფერი სალებავით, შემდეგ კი ლაქით. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს პატივისულები დასკდა და აიქერცლა, რაღვან წუწურაქმა ხელოსანმა საღბავზე ცოტა ზეთი წაუსვა. მაგრამ ეს ნაჯლი ჩვენს კარადას ვერ ჩრდილავდა. იგი მაინც ყველაზე უკეთესი იყო — განსაკუთრებით, როდესაც შიგ ჩამწერივეს გოგოლის, კარამზინის, ნეკრასოვის, პუშკინის და სხვა ავტორთა წიგნები.

— ესენი ჩვენი ყველაზე საუკეთესო მეგობრები არიან, — იტ-ყოდა მამაჩემი და მიგვითიობდა წიგნებზე, — და მერე როგორი ძვირფასი მეგობრები... აბა იფიქრე, რამდენი გონება, ტალანტი და ცოდნაა საჭირო, რომ წიგნი დაწერო. მერე იგი უნდა გამოსცე, მერე წიგნმა ბევრი-ბევრი უნდა იაროს, ვიდრე ჩვენთან, ურალში მოვა. ყოველი წიგნი ათას სელში გაივლის, ვიდრე ჩვენი კარადის თაროზე დაიკანებს.

ყოველივე ეს ხდებოდა ორმოცდაათიანი წლების მიწურულს, როდესაც ურალში რეინიგზისა და ტელეგრაფის სხენებაც არ იყო. ფოსტა კი შემთხვევიდან შემთხვევამდე არ ჩამოჰქონდათ. მაშინ უბრალო ნივთებიც კი არ იშოვებოდა, როგორიცაა, მაგალითად, ჩვეულებრივი ნავთის ლამპა, რომელსაც დღეს არც კი ვამჩნევთ. სალამოობით ვიჯექით ქონის სანთურასთან, რომელიც სულ უნდა „გერმინდა“, ე. ი. უნდა მოგეჭრა ნამწვი. ფულს ჯერ კიდევ ასიგნაციებით ანგარიშობდნენ და მანეთსა და ხუთ კაპიქს ოცდაათ კაპიქში გვითვლიდნენ. სამოვარი და ჩითი მდიდარი ხალხის პრივალეგიას შეადგენდა. გაზეთებს უწყებებს ეძახდნენ, ილუსტრირებული გამოცემები თითქმის არ იყო ერთი-ორი გამონაკლისის გარდა და ისიც ისეთი უშნოსურათებიანი, რომ დღეს არც ერთ უბრალო წიგნში არ დაბეჭდავენ. ერთი სიტყვით, წიგნი ჯერ კიდევ არ იყო ყოველდღიური მოხმარების საგანი, ხოლო ზოგიერთი იშვიათობანი მეტისმეტი ფუფუნებასაც კი წარმოადგენდა.

რა დიდი ხნის წინ იყო ყოველივე ეს და ამასთან, ეს იყო თითქოს სწორედ გუშინ. გავიდა სულ რაღაც ორმოცი წელი — და ყველაფერი შეიცვალა ჩვენს გარშემო. როგორ მივარდნილ ადგილებში არ მიდის დღეს წარმოუდგენლად იაფფასიანი ილუსტრირებული გამოცემები? სად არ ნახავთ ილუსტრირებულ ჟურნალს, საბავშვო წიგნს ან საბავშვო ჟურნალს?



ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში მხოლოდ კლასიკოსები გვქონა... უცნობი არის არა იყო არც ერთი საბავშვო წიგხე... უცნობი რეალ ასაკში თვალითაც არ მინახავს იგი. წიგნებს ვშოულობდით შორიდან, დედაქალაქიდან გამოწერით, ან შემთხვევით, მოხეტიალე წიგნისდამტარებლებთან. კითხვა დავიწყე პირდაპირ კლასიკოსებით, როგორიცაა კრილოვი, გოგოლი, პ. შევითი, გონჩაროვი და ა. შ. პირველი ნახატებიანი საბავშვო წიგნი იყ ათი წლისამ ეიბილე, როდესაც ჩვენს ქარხანაში ახალი გამგებელი მოვიდა. იგი ყოფილი არტილერიის ოფიცერი იყო და ძალიანაც განათლებული კაცი. ახლაც ცხადად ეხედავ ამ პ. არელ საბავშვო წიგნს, რომლის სახელწოდება, სამწუხაროდ, დაშავიწყდა. სამაგიეროდ კარგად მახსოვეს ამ წიგნში დაბეჭდილი ნახატები, განსაკუთრებით მამუნების ცოცხალი ხიდი და ტროპიკული ბუნების სურათები. ამ წიგნზე უკეთესი შემღებელია, არა შემსველრია რა.

ჩვენი ბიბლიოთეკის პირველი საბავშვო წიგნი კი იყო უშინესის „დეტესკი მირი“. ეს წიგნი პეტერბურგიდან გამოვიწერეთ და თითქმის სამი თვე ყოველდღე ველოდებოდით. ბოლოს და ბოლოს იგი მივიღეთ და დავეწაფეთ თავიდან ბოლომდე. ამ წიგნით დაიწყო ჩვენთან ახალი ერა. შემდეგ გაჩნდა რაზინის, ჩისტიაკოვის მოთხრობები და სხვა საბავშვო წიგნები. ჩემი საყვარელი წიგნი გახდა მოთხრობები კამჩატკის დაპყრობის შესახებ. იგი აღმართ თვეურ მაინც წავიკითხე და ზეპირადაც ვიცოდი. ამ წიგნის უბრალო ილუსტრაციებს წარმოდგენებით ვაჟსებდი. გონებაში ჩავიდინე კაზაკი დამპყრობლების ყველა საქმენი საგმირონი, ენაოსნობდი მსუბუქი ალეუტური ბაიდარებით, ჩუქჩებთან ერთად ვჭამდი აშმორებულ თევზს, კლდეებში ვაგროვებდი სუსტურის გერმას და როდესაც ალეუტები, ჩუქჩები და კამჩატკელები შიმშილით იხოცებოდნენ, მეც მათთან ერთად ვკვდებოდი. ამ წიგნის შემდეგ ჩემი საყვარელი საკითხები გახდა მოგზაურობანი, ხოლო კლასიკოსები ცოტანით მიმავიწყდა. ამ დროს წავიკითხე ავრეთვე გონჩაროვის „ფრეგატი პალადა“. მოუთმენლად ველოდი შებინდებას, როდესაც დედა საქმეებს მოითავებდა და საყვარელი წიგნით შემოვუსხდებოდით მაგიდას. ახლა უკვე ორნი ვმოგზაურობდით და თანაბრად ვიყოფდით დედამიწის გარშემო მოგზაურობის ფათერაკებსა და გამარჯვებებს. სად არ ვიყავით, რა არ განვიცადეთ, და მიცურავდით წინ და წინ იმით ფრთებშესხმულნი, რომ ვნახავდით ახალ ქვეყნებს, უცხო აღამიანებს და ჩვენთვის უცნობ ცხოვრებას. რა-



თქმა უნდა, ბევრი უცნობი ადგილები და გაუგებარი სიტყვაზე გვხვდებოდა, მაგრამ ამ „წყალქვეშა ქვებს“ გვერდს უჭირულდეს უცხო სიტყვათა ლექსიკონით და ხალხში გავრცელებული განმარტებით.

ჩემი და ჩემი ძმის — რომელიც ჩემზე ორი წლით უფროსი იყო, — ცხოვრება რვა წლამდე ზამთარში არ გასცილებია ოთახი, ზაფხულში კი ეზოს, პატარა ბაღსა და ბაღჩას. „ქუჩა“ ჩევნ ჯერ კიდევ არ ვიცოდით რა იყო. ქუჩას მხოლოდ ოთახიდან ხვედავდით, ან თუ გარეთ გავიდოდით, ბაღრაგად გადია გვიხლდა. ოთახში აღზრდის წყალობით ჩვენ ძალიან სუსტი და ფერმქრთალი ვიყავით, გამოვირჩეოდით გამონობით და გვაკრთობდა ყველაფერი, რაც ჩვენი სახლის საზღვრებს სცილდებოდა.

როდესაც ქარხნის სკოლაში დავიწყეთ სიარული, ამხანავებთან ურთიერთობა ერთბაშად დაგვატყდა თავს. ერთბაშად მივიღეთ სრული ბავშვური თავისუფლება და ერთბაშადვე განვდევნეთ შიში. გამბედაობისა და მოხერხებულობის ზედმეტი მარაგიც კი აღმოგვაჩნდა, რაც გამოიხატებოდა სკოლაში ჩხუბში და ასაკის შესაფერ ცელქობაში. ორჯერ დავიხრჩე კიდეც, სახლში დალილავებული ცბრუნდებოდი, ჩემი ასაკისათვის შეუფერებელი ხიფათიც კი შემემთხვე. აღრეული ბავშვობის ეს გმირული პერიოდი დაკავშირებულია მოგონებებთან პირველ მეგობარზე. ეს იყო ქარხნის მოსამსახურის შვილი, ფერმქრთალი, მომწვანოთვალებიანი ბიჭი, რომელსაც სახე მუდამ ულიმდა. მას კოსტია ერქვა. მე არ მახსოვს ეს ჩემი პირველი მეგობარი როდისმე გაბრაზებულიყოს — იგი მუდამ მხიარული იყო და ყოველთვის იღიმოდა. საყვარელი კოსტია! დიდი ხანია აღარაა ცოცხალი. იგი იმდენად იყო ჩემთან შესისხლხორცებული, რომ ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიგონებ, როგორც მახლობელს.

ბავშვურ მეგობრობაში რაღაცნაირი იდუმალი ძალაა. ეს მევიბრობა მთელ შემდგომ ცხოვრებას აჩნევს თავის ქვალს. ვინც ბავშვობაში გვიყვარდა, ვზამდებულებ შუქურასავით გვინათებს ცხოვრებისეულ გზას. კოსტიასთან ჩემმა შეხვედრამ სხვა ელფერი მისცა არა მარტო ჩემს ბავშვობას, არამედ სიჭაბუქესაც. ჩვენ ერთად დავიწყეთ დამოუკიდებელი ცხოვრება, სწორედ ის ცხოვრება, რომელიც იწყება საბავშვო ოთახის გარეთ, მოიცავდა მთელ მშობ-

ლიურ სოფელს და შემდეგ გადავბარგდით მშობლიური მთების
ჩწვანე გარემოში. კოსტიასთან ერთად ვიხილე ახალი წიგნისა და
— მამაჩემი სულ რომანებს კითხულობს, — მიყვებოდა უაცხადება
ტია. — და რაც უფრო საშინელებაა, უფრო უკეთესი ეჩვენება.
გინდა ერთად ვიყითხოთ? გვაქვს „შავი ყუთი“, „იდუშეალი ბერი“,
„სალოსის ქუდი“.

მე, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. კოსტიას
მამას ჩვეულებად ჰქონდა რამდენჯერმე გადაეკითხა თავისი საყვა-
რელი „რომანები“. ამიტომ წიგნები ძალზე გაცემითი იყო. ზო-
გიერთი ფურცელი ხბოს დაღვეულსა ჰყავდა. მთელი ამ ბიბლიო-
თეკიდან ჩემზე ძლიერი და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდი-
ნა ზაგოსკინის განთქმულმა „იური მილოსლავესკიმ“. ამ წიგნის გა-
მო გოგოლი და სხვა კლასიკოსებიც კი მიმავიწყდა დროებით.
აფსუს! ასეთ რომანებს დღევანდელი ავტორები აღარ წერენ...

— მიყვარს რომანების კითხვა, — ამბობდა კოსტიას მამა, —
მაგრამ მე ჩემებურად ვკითხულობ... მე, ჩემთ ძმაო, ვერც ერთი
მწერალი ვერ გამაცურებს. ჯერ წავიკითხავ რომანის დასასრულს,
თუ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაშინ თავიდან და-
ვიწყებ. საყმაოდ გაწაფული ვარ... თორემ, ვკითხულობ, ვკითხუ-
ლობ ბოლომდე, წავიკითხავ, ვხედავ, ან ვინმე მოკლეს, ან ვინმე
მოკვდა. არა, დიდი მადლობა!.. მწერლის გარშემო ცოტა მწუხარებაა, წიგნ-
შიც იგივე რომ არ ვიკითხოთ?..

კოსტიას მამას რომან რომანიჩი ერქვა. იგი მომცრო ტანისა
იყო, ჰქონდა დიდი თმახუჭუჭა თავი, ისიც კოსტიასავით მუდამ
ილიმოდა, ეს მათ ჩამომავლობით სჩევოდათ. საერთოდ, ბავშვო-
ბაში ვინც ჩემს გარშემო იმყოფებოდა, ყველა გამოირჩეოდა უდი-
დესი დიდსულოვნებით, მე არ მახსოვა არც ერთი ბოროტი და-
მიანი, გარდა რამდენიმე მოხუცი ქალი რასკოლნიკელისა, რომელ-
ნიც, ასე ვთქვათ, მოვალეობის გამო ბრაზობდნენ, რომ ჩემს მი-
მართ, ბავშვების მიმართ არ გამოეჩინათ მავნე ქალური სისუსტე.
რომან რომანიჩი ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ, როდე-
საც განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო, წარმოთქვამდა საოცარ
ლექსებს. საიდან მოჰქონდა ეს ლექსები, ან რომელმა პოეტმა შე-
თხზა, წყვდიადითა მოცული.

რომან რომანიჩი ქარხნის მექუჭნავე იყო. განაგებდა პურის-
ბეღელს, შვრიას და სხვა მასალებს, როგორიცაა ქონის სანთელი,

თოკი. ტყავი და სხვ. ჩვენი ქარხანა მართალია დიდი არ იყო, მაგრა ამ მოსამსახურები საკმაოდ ბლომად ჰყავდა. ყველანი ყმეზი იყვნენ და განათლება ქარხნის სკოლაში ჰქონდათ მიღებულები. დეგ კი იგი უნდა შეევსოთ „თავისი გონებით“ და ძირითადად კითხულობდნენ შემთხვევით ხელში მოხვედრილ წიგნებს...

ჩვენ დღეს ძალზე შევეჩვიეთ წიგნებს და შეგვიძლია დაახლოებით შევაფასოთ ის დიდი ძალა, რაც წიგნს აქვს მომადლებული. ეს ძალა, მმ შორეულ დროში მოხეტიალე წიგნის ფორმით, მეტვრილმანის ყუთით, თვითონ მიღიოდა მკითხველთან. უფრო მეტიც, მას მოყვებოდა სხვა წიგნებიც. — წიგნები დედამიწაზე ოჯაზობით მოგზაურობენ და მათ შორის გრძელდება ნათესაურია კავშირი. მე ამ მოხეტიალე წიგნებს გადამფრენ ფრინველებს შევადარებდი, რომელთაც მოყვება სულიერი ზაფხული. შესაძლოა იფიქრო, რომელიდაც უჩინარი კეთილი სულის უჩინარი ხელი დაატარებდა ამ წიგნებს თვალშევდენელი რუსეთის სივრცეებში, რომელიც დაუღალავად თესავდა „გონიერებას, სიკეთს, მარადის სობას“, დღეს ადვილია საოჯახო ბიბლიოთეკის შექმნა საუკეთესო ავტორთა ნაწარმოებებით, განსაკუთრებით კი ილუსტრირებული გამოცემებით; მაგრამ წიგნმა უკვე იმ უკუნ დროში გაიკაფა გზა, ასიგნაციების, ქონის სანთლისა და ურმის ხანაში.

აქ არ შეიძლება კეთილად არ მოვიხსენიოთ ძველი მოხეტიალე წიგნისდამტარებელი, რომელიც წყალივით მიძერებოდა ყოველ ჭუჭრუტანაში. ჩვენთვის, ბავშვებისათვის, სახლში მისი გამოჩენა ნამდვილი ზეიმი იყო. იგი თვითონვე გვირჩევდა წიგნებს და საჭიროების შემთხვევაში იძლეოდა საჭირო ახსნა-განმარტებას.

მახსოვს, ერთმა მოხუცმა მოხეტიალემ გადაწყვიტა სიტყვაში „რომანი“ მახვილის დასმის საკითხი.

— Роман — ეს სახელია, ხოლო Роман — წიგნი.

— აი, აი, ნახეთ, — რატომდაც ზეიმობდა კეთილი რომან რომანიჩი, — ისე აბა ვერ გაარჩევდი, რომელი რომანია კაცი და რომელი რომანი — წიგნი, მე კი წიგნში ავერევოდი ვინმეს.

ერთ-ერთმა ასეთმა მოხეტიალემ დიდი წყენაც მომაყენა. როგორც ყველა ბავშვს, მეც ძალზე მიყვარდა ხატვა. ამ მოხეტიალეს სხვა განძეულთან ერთად ყუთში ჰქონდა ატლასი ხატვის თვით-შესწავლისათვის. მთელი უბედურება ის იყო, რომ ეს ატლასი ღირდა ორი მანეთი, რომელიც მაშინდელი ანგარიშით და ჩვენი

ბიუგეტით უზარმაშარ თანხას წარმოადგენდა — მთელი ექვსი მანეთი ასიგნაციებით.

— არა, არ შემძლია, — გამოვიცხადა მამაჩემმა. — მანქურობის რომ ღირდეს, კიდევ პო, ორ მანეთს ვერ მივცემ.

მე ძალზე კარგად მესმოდა, რას ნიშავდა „არა,“ და არც და-მიჯინია. ამრიგად, მოხეტიალის ყუთმა ატლასი სხვასთან, უფრო ბეღნიერ მყიდველთან წაილო. მე კი იგი დღესაც მენანება, ისე ძალიან მინდოდა ხატვის სწავლა, მაგრამ რითი უნდა მესწავლა. მე და კოსტიამ დავიწყეთ ასლის გადალება „უივოპისნოე ობოზრენიეს“ ძალზე ცუდი გრავიურებიდან, თუმცა გვალიზიანებდა ეს უგემოვნო ნახატები.

რომან რომანიჩის ბიბლიოთეკა, უნდა ითქვას, ძალზე პატარა იყო. წიგნებიც სრულიად შემთხვევით ხვდებოდა აქ, როგორც უცნობი ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს საღმე ვაგონში. როდე-საც ეს მარაგი ამოვწურეთ, მე და კოსტიამ სხვა სახლებში და-ვიწყეთ წიგნების ძებნა. გამგებელს, ცხადია, ბევრი წიგნი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ვერ ვბეჭავდით მის შეწუხებას. თურმე ჩვენი სახლის გვერდით კი მთელი წიგნსაცავი იყო.

ჩემს პატარაობაში მთელ მედიცინას განავებდა ჩია ბერიკაცი, ქარხნის ფერშალი ლეონტი ეფიმიჩი. მა სახელთან ერთად მაგონ-დება ხველების ფხვნილი, საბავშვო „მიქსტურა“, ცხელი საფენე-ბი, ყოველგვარი მალამოების მთელი კოლექცია. არ არსებობდა ავადმყოფობა, რომლის წინააღმდეგაც ლეონტი ეფიმიჩის არ ჰქო-ნდა შესაფერისი „მიქსტურა“, მალამო ან ცხელი საფენი. საქმეც ცუდად არ მისდიოდათ. რაც მთავარია, გულთბილ ვითარებაში ხდებოდა ყოველივე. ლეონტი ეფიმიჩის გამოჩენა სახლში ერთ-გვარად დამამშვიდებლადაც მოქმედებდა. თითქოს იგი განმეურნა-ვი ძალის ცოცხალი განსახიერება ყოფილიყოს.

— კილი გტივა? გაქველებს?.. — ალერსით მექითხებოდა იგი და მისინგავდა პულს, — აბა ენა მაცვენე... ასე, ასე, ცოტა სიც-ქეც გაქვს... ჩვენ მას მიქსტულით განვდევნით, ლამე უოლოს ცვი-ნიც დალიე, ქონით გულმკელდიც დაიზილე.

საჩაიეში ან სასტუმროში ამ დროს უკვე გაჩნდებოდა შინაური საუზმე. ლეონტი ეფიმიჩი სვამდა „რიუმკა არაყს“, ატანდა განთქ-მულ უგლიჩის ძეხვის (ანუ ციმბირულად „საპაუს“) ნაჭრებს. ხე-ლებს ისრესდა, იღიმოდა და ენის ჩლექით ამბობდა:

— ალაფელია, ალაფელია... ჩვენ მას მიქსტულითა და ქონით

ან კიდევ მდოგვის საფეხებით... აბა! ცვენ ხუმლობა ალ გვიყვალს.
ქარხნის ფერშელებზე გულთბილი მოგონებები შემომრჩევას ასეთი
ცუდად არ მყურნალობდნენ, რაც მთავარია — არ გვაშინებრძიშვილ
და არ აყენებდნენ საშინელი მეცნიერული სიტყვების კორიან-
ტელს. ბაქტერიების არსებობაზე, რა თქმა უნდა, მაშინ ეპივიც კი
არავის ჰქონდა, მაგრამ აღლებულ წყალს დაუყოვნებლივ უწერდ-
ნენ მცირე დაავადების დროსაც კი, როგორც ამას ახლა აქეთებენ.
ამ დროს მე არც ერთი ექიმი არ მყავდა ნანახი, მხოლოდ განავო-
ნი მქონდა, რომ ტაგილში არის ერთი ექიმი, რომელსაც თივის
ლეიიბზე სძინავს და მხოლოდ და მხოლოდ სტაფილოიანი ღვეზე-
ლით იკვებებაო.

გულქეთილი ლეონტი ეფიმიჩი შეცვალა არანაკლებ გულქეთი-
ლმა ფერშალმა ალექსანდრ პეტროვიჩმა, რომელიც ძველ გერმა-
ნელ ფერშალს ძალიან ჩამოჰვავდა: პირისახე ყოველთვის გადა-
ტეცილი, გაბარსული, საფეოქელებზე აქურატულად დახვეული
კულულები, ხელში სათუთუნე. ალექსანდრ პეტროვიჩის გამოჩენამ
ქარხანაში სენსაციაც კი გამოიწვია.

— ალექსანდრ პეტროვიჩი პეტერბურგშია ნამყოფი, — გვიხსნი-
და მე და კოსტიას რომან რომანიჩი, — აბა!... მასთან ხუმრობა არ
გაგივა.

„პეტერბურგში ნამყოფი კაცი“ ჩემთვის შარავანდედით იყო
მოსილი და დიდხანს მაწვალებდა ეს აზრი. ვფიქრობდი, რომ ალექ-
სანდრ პეტროვიჩი რაღაც იმისთანას მოიმოქმედებდა, რასაც ვერ
იქმნდა ადამიანი, თუ პეტერბურგში არ იყო ნამყოფი, ან ყოველ
შემთხვევაში ისეთი ფიქრები უნდა ჰქონდა, რაც ჩვენ არც და-
გვესიზმრებოდა. მეგონა, მან თავისი გერმანული გარეგნობაც პე-
ტერბურგიდან წამოიღო, ისევე, როგორც გააქვთ იქიდან ყოველ-
გვარი საოცრებანი და იშვიათობანი. თუმცადა, მკურნალობის მე-
თოდი ალექსანდრ პეტროვიჩსაც ისეთივე ჰქონდა, როგორიც ლე-
ონტი ეფიმიჩს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა პეტერბურგში,
იმ განსხვავებით, რომ ჩვენს ოთახში შემოსვლასთან ერთად მას
თან შემოჰქონდა რაღაც სპეციალური ატმოსფერო, რომელიც გაჟ-
ღენთილი იყო ანისულას ზეთით და კიდევ რომელილაც უცნაური
სააფთიაქო წამლებით. ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში ეს იყო სწო-
რედ ნამდვილი მეცნიერული სურნელი, და მე კიდევ უფრო დიდი
მოწიფება მეუფლებოდა „პეტერბურგში ნამყოფი კაცისადმი“.

სწორედ ამ ალექსანდრ პეტროვიჩთან აღმოვაჩინეთ წიგნებით

სავსე საწყობი, რომელიც მოთავსებული იყო სპილენძისსახელუ-
რებიან უზარმაზარ ძველებურ კომოდში. მე და კოსტია, თაგვირიცხავა
რომ ბურღულს დააცხრება, ისე ვეცით ამ განძს, და მაშინვე ასე-
მოვაჩინეთ ამალათ-ბეგი.

რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ გვაბოდებდა ეს წიგნი და
შეხვედრისას მთიულური სიმღერით ვესალმებოდით ერთმანეთს:
დიდება ალაპს, გამარჯვება ჩვენ, სიკვდილი მტერს!

ჩვენ დაგვეუფლა განსაყუთრებული მხედრული აზარტი და
საქმეთა საგმიროთა ჩადენის წყურვილი. გვაკეთეთ ხის დაშნები
და ხანჭლები, მოვასევადეთ ფერადი ქაღალდებით. ერთ-
მანეთს მრისხანე სახეებით ვუყურებდით, ვცდილობდით ერთმანე-
თისათვის გვეჯობნა ნამდვილი ლეკების, ჩეჩნებისა და ყაბარდო-
ელების მრისხანებაში. მარტო დეკლამაციებით არ ვკმაყოფილდე-
ბოდით, ვმღეროდით მთიელთა სიკვდილისწინა სიმღერებს. ასე
რომ, ჩვენი გატაცება რომან რომანისაც გადაედო და ერთხელ
მთელი სერიოზულობით განაცხადა:

— ევჲ, ცოლ-შვილი რომ არა, წაყიდოდი კავკასიაში შამილის
წინააღმდეგ საბრძოლველად. ღმერთმანი, წაყიდოდი. ვიყიდდი
თოფს, ხანჯალს, დაშნას და გავხდებოდი აბრაგი.

— შამილი ხომ დიდი ხანია ტუვედა ჰყავთ, ხოლო აბრაგებს
მთიელებს ეძახიან, — ეუხსნიდით ჩვენ.

— ეჲ, სულერთი არა! თქვენ არაფერი გაგეგებათ, ერთმა მე-
ლექსემ — მხოლოდ გვარი დამავიწყდა — ასე თქვა: „გირეი იჯდა
თვალმიბნედილი და ბაგეებით ქარვას აფრქვევდა“. თქვი ეს შენი
სიტყვებით და გამოვა უაზრობა: გირეიმ პაპიროსი მოსწია.

ი, როგორაა ეს. აბა! შამილი წაიყვანეს, სხვები ხომ დარჩნენ.
კავკასია როგორ იქნება უშამილოდ? ნურას უკაცრავად! უშამილოდ
როგორ იქნება!..

„მწერლები“ და „პოეტები“ ჩვენთვის ამოუხსნელი გამოცანა
იყო. ეინ არიან ისინი, სად ცხოვრობენ, როგორ წერენ თავიანთ
წიგნებს. რატომლაც ვფიქრობდი, რომ ეს იდუმალი, წიგნისშემთხზ-
ვილი უნდა ყოფილიყო აუცილებლად გოროზი და ამპარტავანი.
მე ეს მწყინდა და ჩემი თავი უმოწყალოდ სულელი მეჩვენებოდა.

— ყველა წიგნს გენერლები წერენ, — გვარწმუნებდა რომან
რომანიჩი, — მწერლობისათვის გენერალზე ნაკლები ჩინი არ არ-
სებობს, თორემ ყველა დაიწყებს წერას!

თავისი სიტყვების დასამტკიცებლად მიგვითოთებდა ქარამზა-
ნისა და კრილოვის პორტრეტებზე — ორივე მწერალს ვარსკვამუ-
კები უბრწყინავდათ მკერდზე.

მე და კოსტიას მანც ეჭვი შეგვეპარა გენერლების მწერლობაში. საყითხის გადასჭრელად მივმართეთ ალექსანდრ პეტროვიჩს, რომელსაც ყველაფერი უნდა სცოლნოდა.

— არიან გენერლებიც, — თავისი კულტურების სწორებით საკმაოდ გულგრილად გვიპასუხა მან, — რატომ არ უნდა წერდნენ გენერლებიც?

— ყველა მწერალი გენერალია?...

— აბა, ყველა როგორ იქნება. არიან უბრალონიც, ჩვენისთან-
ები.

— სულ უბრალონი, და შეიტენ?

— წერენ, იმიტომ, რომ ჭამა-სმა უნდათ. შეხვალ პეტერბურგის მაღაზიებში და თვალი აგიშტოლდება. შესასავითაა ჭერამდე წიგნები შეყრილი, ყველას გენერლები რომ წერდნენ, ქუჩაში მათ გვერდს ვერ აუქცევდი. არიან უბრალო მწერლები და ხშირად ისინი შიმშილობენ კიდეც.

ეს უკანასკნელი ვერაფრით ვერ დაუუკავშირეთ ჩვენს გონიბაში შექმნილ წარმოდგენას მწერლებზე. რატომღაც გვესირცხვილებოდა: აი, ჩვენ მის წიგნს ვკითხულობთ, მწერალი კი სადღაც პეტერბურგში შიმშილობს. იგი ხომ ჩვენთვის თავს იკლავს და წერს. თითქოს დამნაშავე გვეჩვენებოდა ჩვენი თავი.

— ეს არაფრით აღ შეიძლება ასე იყოს, — გადაწყვიტა საკითხი კოსტიამ, — ალბათ ხელფასსაც ლებულობენ.

კიდევ უფრო მეტად აუბსნელი დარჩა საკითხი, რა იყო წიგნში სინამდვილე და რა გამონავონით შეთხზული. რომან რომანიჩი ამის გამო დაღარდიანდა კიდეც.

— ଅବସ୍ଥିନାଟ ମେ କୁମାରୀଙ୍କେ ଉପ୍ରେମଲ୍ଲେବି ବ୍ୟାହାରୀ, ମାଗରାମ ତୁ ମିଶ୍ର-ରାମଦା ପ୍ରୁଣିଲ୍ଲେବି ମନରମଣି? ଶ୍ରେଷ୍ଠାଦିଲୋ ଏବଂ ସିନାମଦ୍ଵୀଳ୍ଲେଶି ଅର୍ପ ପ୍ରମଦ୍ଧ ଏବଂ ମେ ମିଳ ମନ୍ଦାହିମାଙ୍କେ ବ୍ୟାହାରୀ... ଅକ୍ଷେତ ମହିମାବ୍ୟାସ ଆପିଲ୍ଲେବି ଏବଂ ଦ୍ୱାରା ବ୍ୟାହାରୀରେ ପାଇଲାମାର୍ଜନ କାହାରେ ଏହି ଉନ୍ନତି ମନୀପୁଣ୍ୟ, ଏହି ଉନ୍ନତି ପିତାମହାପାତ୍ର... ତୁ ଯେବେଳା ହିମାବ୍ୟାସ ଦାନୀପ୍ରମଦ୍ଧବିନ୍ଦୁରେ, ରା ଗାଗାଦିଲ୍ଲେବିନ୍ଦୁରେ ଅମ୍ବାଜିନ୍ଦାର.

მე და კოსტიან მტკიცედ გვეხროდა, რომ წიგნში სიცრუე არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ყველაფერი ისეა აღწერილი, როგორც



სინამდვილეშია. ეს ხომ საშინელება იქნებოდა: იური მილოსლავე-
სკი და ჩავნი საყვარელი გმირი კირშა, ამალათ-ბეგი მწერლის ფაქტურული
ტანი რომ ლომაჩენილიყო. არა, ეს შეცტეველია... სახელმძღვა-
ნელობშიც კი ყველაფერი სიმართლეა. ჩვენი საყვარელი სახელ-
მძღვანელობი იყო კორნელის ვეოვრაფია და ლიამო-ფლერის
მსოფლიო ისტორია. მა ჩემ საყვარელ მეგობრებს დღესაც დიდი
მადლიერებით ვიგონებ.

სხვათა შორის, ჩვენთან საყუპნოში და ალექსანდრ პეტრო-
ვიჩის კომოდში გამოვექვეთ ბევრი წიგნი, რომელნიც სრულიად
მიუწვდომელი გვეჩვენებოდა ჩვენი ბავშვები გონებისათვის. ესე-
ნი იყო ტველისძველი წიგნები, დაბეჭდილი სქელ ლურჯ ქაღალდ-
ზე უცნაური წყალ-წყალა ნიშნებით და ჩასმული ტყავის ყდაში.
მათგან უდრევი ძალა გამოსკვითოდა, ისეთივე, როგორც კარგად
შენახული კერძაგი ბერიყაციისაგან. მე ბავშვობაშივე გამიჩნდა ასე-
თი წიგნების სიყვარული და წარმოდგენაში გხატავდი უცადურ
იდამიანს, რომელმაც ასი ან ორასი წლის წინ დაწერა წიგნი, რო-
მელიც მე დღეს უნდა წამევითხა. ეს საიქის ხმა გულს მიჩუყებ-
და, შემდეგ კი ფანტაზია მიხატავდა მთელ ჩივ სურათებს; ეს მწე-
რალი ხომ თავის დროზე ბავშვი იყო, თამაშობდა და კონკრეტულად
მე და კოსტიუმავით, კითხულობდა მწერალთა წიგნებს. რომელიც
მასზე დიდი ხნით დარე ცხოვრობდნენ და ა. შ. რატომ მაინც და-
მაინც ეს ბავშვი გახდა მწერალი და ასეული წლები. შემდეგ მე-
ლაპარაკება მე, როგორც ცოცხალი, ხოლო ასეულობით, ათასო-
ბით და მიღიონბით სხვა ბავშვი უცნობი, დავიწყებული დარჩა
და არავის აინტერესებს, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა, რას აკე-
თებდა.

— ეს მათ ღმერთმა მისცა, — აგვისნა რომან რომანიჩა.

— რატომ მისცა ღმერთმა ერთს და მეორეს არა?

— ჩამომექსენით... ჩიტსაც კი არა აქვს ფრთები, როცა იჩე-
კება.

უცნაურ წიგნებს შორის იყო ისეთები, რომელთა სათაურებიც
კი ძნელი მისახვედრი იყო: „ქალბატონ გიონის შექმნილი ლოც-
ვის მოქლე და იდვილი ხერხი“, „მეცნიერების საიდუმლოებათა
გასაღები“, „გემთმცოდნეობის თეატრი“, „მოზეიმე ქამელეონი,
ანუ გრაფ მირაბოს ანგელოზი და თვისებანი“, „აღამიანის სამი
საწყისი თვისება, ანუ ცივის, ცხელისა და თბილის გამოსახვა“. „ჩენობრივი საიყვარულო წერილები ლიდას კეთილი სულისა-
4. მწიგნობარი 11



გან“, „ირტიში, რომელიც იპოვრენად იქცა“ (ვირველი კამბიორული უურნალის ცალკეული წიგნები) და ა. შ. ჩვენ ვცალეთ ამაქნენ ლად მისახვედრი უცნაური წიგნების წაეკითხვა და დავიწყეთ თუ არა კითხვა, პირი დავალეთ. ამან დაგვარწმუნა, რომ სწორედ ეს ძველისძველი წიგნები არიან ყველაზე გონივრული, იმიტომ, რომ მას მხოლოდ განათლებული ადამიანი გაიგებს, როგორიცაა, მაგალითად, ჩვენი ქარხნის გამგებელი.

ამ ძველისძველ უცნაურ წიგნებზე იყო სუფთად ნაწერი გამაფრთხილებელი წარწერები: „ვინც ამ წიგნს უკითხავად აიღებს— ცხვირს სახლში ვერ წაიღებს“. ქალბატონი გიონის ქმნილებაზე ბრწყინვდა მოელი „სენტენცია“: „გთხოვთ, ყურადღებით იყითხოთ, მხოლოდ თამბაქოს ნუ მოსწევთ, და თუ ვინმე მოსწევს, თვალებიც დაეთხრება, რაზედაც ხელს ვაწერ აბერკი, ჩემოდანოვის შვილი“.

სამოციანი წლები სულ მივარდნილ პროვინციებშიც კი ახალი, სამეცნიერო-პოპულარული წიგნის მოზღვავებით იღინიშნა. ეს იყო დროების ნათელი ნიშანი. „ნატურალურ“ ცოდნაზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ. სამარცხვინო უმეცრება იყო გამეფებული. ჩვენი საყვარელი რომან რომანიჩი მე და კოსტიას პატარა გამოცდას გვიწყობდა:

- კოსკა, შუშას რისგან აქეთებენ?
- ჩვენ უკვე ვიცოდით პასუხი და ერთხმად ვპასუხობდით:
- ჩალისაგან, რომან რომანიჩ.
- იჭ, ისწავლეს ჩემგან. აბა, რომელი მხეცი სვამს წყალს კუდით?

— თახვე, რომან რომანიჩ.

ჩვენცა და ჩვენს გამომცდელს გვჯეროდა, რომ თახვი წყალს კუდით სვამდა, და ეს უცნაურად არ გვეჩვენებოდა, ასევე სხვებსაც. ასეთი კურიოზები საკმაოდ იყო, იმიტომ, რომ საბუნების-მეტყველო წიგნები არ იყო, ხოლო ნაწილ-ნაწილი ცოდნა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა.

თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა ახალი წიგნი ვიხილე. ჩვენი ქარხნიდან რამდენიმე კილომეტრზე იყო განთქმული პლატინის საბადოები. იქ გამგებლად მუშაობა დაიწყო ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა ნიკოლოზ ფედორიჩმა. ამდროს მე და კოსტია თოფით დავბორიალობდით უკვე მეზობელ გორაკებზე,

ნამყოფი ვიყავით საბადოებზეც, გავიცანით ახალი ხალხი და ქვემანი ახალი წიგნი, მიქროსკოპი და გავიგეთ სრულიად ახალი მეცნიერებიც. საბადოს კანტორაში ცხოვრობდა ოგრეთვე ყოფილი სტუდენტი ალექსანდრ ალექსეევიჩი, რომელმაც უმთავრესად გვაზიარა ახალ რწმენას. კანტორაში თაროებზე ელაგა წიგნები, რომელთა სათაურიც კი გაუგებარი იყო ჩვენთვის: „შეიძლერის საუბარი ბოტანიკაზე, მოლეშოტი, ფოგტი, ლაიელი და სხვა მრავალი ევროპელი ავტორები. ჩვენს წინ გადაიშალა სრულიად ახალი, თვალუწვდენელი სამყარო, რომელიც ძალუმად გვიზიდავდა ნამდვილი ცოდნის სხივით და ნამდვილი მეცნიერებით. ჩვენ უბრალოდ გავშეშდით და არ ვიცოდით, რომლისთვის მოგვეკიდა ხელი. რაც მთავარია, რით დაგვეწყო „პირველად“, რომ შემდეგ შეცდომა არ დაგვეშვა და საჭირო არ გამხდარიყო ძველთან დაბრუნება.

ეს იყო გულმხურვალე და ბეღნიერი რწმენა იმ მეცნიერებისადმი, რომელიც ყველაფერს აგვისტინიდა და ყველაფერს გვასწავლიდა, ხოლო თვით მეცნიერება მოთავსებული იყო იმ ახალ წიგნებში, რომლებიც საბადოს კანტორაში ელაგა თაროებზე. ძველ საყვარელ ავტორთა სახელები, როგორიცაა ზაგოსკინი, მარლინსკი, ლაუეჩნიკოვი და სხვა მაშინვე ჩაქრნენ და გაუჩინარდნენ. წინ წამოიწია სხვა მოთხოვნები, ინტერესები და მისწრაფებანი.

რომან რომანიჩი არ ცნობდა ამ ახალ წიგნებს და ეჭვის თვალით უყურებდა მათ.

— მოლეშოტი... რა არის მოლეშოტი? გვარიც კი საბაგელი აქვს. არა, ძმობილო, ჩვენ ვერ გაგვაცურებთ, — სტუდენტები, რა-საკვირველია, ძალზე განათლებული ხალხია, მაგრამ მაიც წვრილ-მანი რამეებით აქვთ თავი გამოტენილი. შენ ნამდვილი არსი უნდა მოგვაწოდო და არა აბდაუბდა.

დღეს, სადმე ბუკინისტთან შემთხვევით სამოციან წლებში გა-მოცემულ რომელიმე წიგნს რომ შეეხვდები, სიხარული მეუფლება, ისევე, როგორც ეს გვემართება კარგი ძველი ნაცნობის ნახვისას. დიახ, წიგნს ისევე, როგორც ადამიანს, საკუთარი ბედი აქვს. „რა დროცაა, — თქვა ჰაინემ, — ჩიტიც ისეთი მოფრინდება, რო-გორი ჩიტიცაა — ისევე გალობს“...

იოსებ გრიშაშვილი

იოსებ გრიშაშვილი და ფილი

„წიგნისა ესახავდი მე თვალისჩინალ“.

ი. გრიშაშვილი

იოსებ გრიშაშვილს გიმნაზიაში გატარებულმა წლებმა აღუძრა წიგნის ტრფიალი, რაც შემდეგ უფრო გაუძლიერდა და თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად მიიჩნია. „ჩემი მთავარი სკოლა ცხოვრების სკოლა იყო, რომელსაც თან უძლოდა განუწყვეტილი რუდუნება და სისტემატური მეცადინეობა,— წერს გრიშაშვილი, — დიდი სიყვარული ქართული წიგნისადმი, წაკითხულის ანალიზი და ჰეშმარიტი გაეხდა ნაწერისა. ყველა წაკითხულ წიგნზე ვცდილობდი საკუთარი აზრი შემედგინა. ჩემს დავთარში აღმენიშნა წაკითხულის დადგებითი და უარყოფითი მხარეები.... ჩემს აზრს მცოდნე პირებთან ვამოწმებდი, რაც არ ვიცოდი, სხვას ვეკითხებოდი“.

იოსები აღრიდანერ გამხდარა „ძველი წიგნების ჩრჩილი და ავანჩავანი“. წიგნი მისი ცხოვრების უპირველესი მოთხოვნილება გახდა. ცხოვრების დიდ გზაზე იგი შეუწყვეტლივ პქმნიდა და ამდიდრებდა იმ უნიკალურ ბიბლიოთეკას, რომელიც ანდერტით დაუტოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, ქართველ ხალხს, რითაც ერის კულტურული ცხოვრების საგანძურს მართლაც ფასდაუდებელი შენაძენი შემატა. წიგნის უზადო სიყვარულმა იგი საქართველოს უთვალსაჩინოეს ბიბლიოფილად ქცია.

წევნი საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისიდან 60-იანი წლების დასასრულამდე წიგნის მოძიებაში, შეძენასა და შენახვაში მას ძნელად თუ ვინმე შეედრებოდა. ნაბეჭდი ქართულისადმი მისი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო რამესაც საოცარი სისათუთით აგროვებდა. მის მიერ დიდი მონდომებითა და რუდუნებით შექმნილი პირადი ბიბლიოთეკა მი-

სი სისხლი და ხორცი იყო, მისი ოჯახის ბაღალი, ნათესავი და სტუ-
მარი.

თხუთმეტი წლის ჭაბუქმა პირველი წიგნი, როგორც საფუძველი
მომავალი უზომოდ დიდმნიშვნელოვანი წიგნსაცავისა, 1904 წელს
მიიღია თავის სახლში, ხარფუხში, ალგეთის ქუჩაზე (№ 1) და
შემდეგ, თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში, ისე არ
გავიდოდა დღე მის ცხოვრებაში, რომ ორი-სამი, ზოგჯერ მთელი
შეკვრა წიგნებისა, არ შეემატებინა თავისი წიგნსაცავისათვის. გრი-
შაშვილის წიგნის სიყვარულში იყო რაღაც თავისებური და
მიმზიდველი.

გრიშაშვილის ბიბლიოთეკის შექმნას საფუძვლად მამისეული
„დავთარხანა“ დასდებია, რომელშიც „მრავალი წიგნი“ ყოფილა.
„მამაქემის წიგნებში გარდა ზღაპრული წიგნებისა, რამდენიმე
ხელნაწერიც ვიძოვე, — წერს იგი, — ამ ხელნაწერებში შემომხვე-
და: იყავის „სულიკო“, დ. გურამიშვილის ლექსები და შოთას რამ-
დენიმე აფორიზმი. ხოლო ერთ დარიჩინისფერ რვეულში, რომე-
ლიც გადაწერილი ყოფილა წყაროსუბნელ ბუჩქულა გარსუსავან,
მოთავსებულია რვა მუხამბაზი, რომელთა ავტორი არ არის მითი-
თებული“ (ტ. III, გვ. 69). საინტერესო ცნობაა, ცაცია გრიშას
სახლობა არ ყოფილა უწიგნური, წიგნის სიყვარული მისთვისაც
არ ყოფილა უცხო ხილი.

სახლში, შესასვლელ კარზე იოსებ გრიშაშვილს ყველის საყუ-
რადლებოდ გამოკრული პერნდა ეს ლექსი:

მეგობრებო! ჩემს ბინაში
რომ მოდიხართ ასე ხშირად,
ბოლოს ეიხდი თქეენს წინაშე,
მაგრამ გეტყვით პირდაპირად:
თუ არა გსურთ, რომ ჩენს შორის
უძრახობა ჩამოვარდეს,
სურნელება პერნდეს შორის
ჩენს გულებში დარგულ გარდებს,
თუ არა გსურთ, მძლედ და უხმოდ
დამითხაროთ პოეტს გული —
წიგნებს ნუ პოხოვთ! წიგნებს ნუ
მთხოვთ!
შეისმინეთ ჩემი თქმული...

ეს იყო გულლია მასპინძლის სათხოვარი ყველას მიმართ, გა-

ნურჩევლად მასთან დამოკიდებულების „იერარქიული კიბის“, ფუ ხარისხისა. ბიბლიოთეკაში ერთხელ შეტანილ წიგნს გარემონდებულება“ ოღვეთილი ჰქონდა. იმავე ლექსში პოეტი მწიგნობარი აღსარების მსგავსად წარმოთქვამდა:

წიგნს შეეწირე მე ოჯახი,
გამიჩინა გულს იარა —
მთხოვე რაც გსურს, მთხოვე რაც გსურს,
პერანგს მოგცემ, წიგნს კი არა.

თავისი ამ გულწრფელი, მაგრამ შეუვალი სიტყვის ერთგული პოეტი ბოლომდე დარჩა. მისი წიგნებით სარგებლობა შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მის ბიბლიოთეკაში, მისი თანადასწრებით.

ბიბლიოთეკის შექმნაში გამოსცვივის მფლობელის გემოვნების, წიგნის ყადრის, მისი ღირებულების შემცნების მთელი პროცესი. პირველ ხანებში ხარფუხელი ჭაბუკი უპირატესად იძენდა თავისი მისწრაფების შესაფერ იაფთასიან წიგნებს, რომლებიც ერთ დროს ძლიერ მომრავლებული იყო თბილისში. ეს იყო კერძო გამომცემლების მიერ მასობრივად დასტამბული ქალაქური პოეზიისა თუ ფოლკლორის ნიმუშები, სხვადასხვა საფალაგნო, სადევგმირო და სათავადასავლო წიგნები (მაგალითად, „ანგდოტები და თბილისელი კინტო“, „ოქროს ყმაწვილი და როსტომელა“, „საარშიყო ლექსები და მუხამბაზები“, „გულარის სიმღერა და ორი ძმის სიყვარული“, „კინტოს გოდება“, „მირზა-ხანის ჩივილი“, „ხორველის ლექსი“, „ორთაჭალის თაიგული“, „სალხინო თაიგული“, „ალავერდი! იაშივერდი!“, „ქალვაჟიანი“, „ყარამანიანი“, „დავრიშიანი“ და ა. შ.). ეს წიგნები იძეპდებოდა უკონტროლოდ და მასობრივად, გამიზნული იყო ძირითადად დაბალი სოციალური ფენისათვის. ამ წიგნებს რამდენიმე წლის შემდეგ თვით იოსებ გრიშაშვილმა „ქუჩური წიგნები“ უწოდა.

მომდევნო წლებში გრიშაშვილს უჩნდება წიგნების შეძენა-შეგროვების ბიბლიოფილური ინტერესი, ამ მისწრაფების ჩამოყალიბებაზე, როგორც თვითონ პოეტი მიუთითებს, კეთილნაყოფიერი გავლენა მოუხდენია ივანე მაჩაბლის პირად ბიბლიოთეკას, რომლის გაცნობა-შესწავლაში ხელი შეუწვია ივანე მაჩაბლის ქვრივს.

წიგნთან მუდმივმა კავშირმა გრიშაშვილის ბიბლიოფილური მისწრაფება თანდათან უფრო რაფინირებული გახდა. მას სრულიად გარკვეულად ჩამოუყალიბდა ქართული წიგნის, ქა-



რთული პერიოდული გამოცემების და ქართული კულტურული კურსი თავის მიზნების და მიზანების მიხედვით მიმდინარეობს. რასაც მაღლ რუსული კავკასიონლოგიური ლიტერატურისა და კავკასიის რუსული პერიოდული გამოცემების შეძენის სურვილიც მოჰყვა. ეს სურვილი შემდეგ უფრო გაუფართოვდა და საქმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო.

ათეული წლების დაუღალვი შრომით გრიშაშვილმა თავის ბიბლიოთეკაში თავი მოყარა 18.694 ქართულ და 25.573 რუსულ წიგნს, 1.632 საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე დაბეჭდილ წიგნს და სხვა მრავალ წიგნსა და საგანს. მნახველი, მკითხველი თუ მკვლევარი მოიხიბლება და ოლტრონვანდება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ამ უზარმაზარ კოლექციაში არაფერია დაზიანებული, დაფურცლული, ამოგლეჭილი, ამოხეული თუ საკითხავად გამოუსადევარი, რამაც შეუძლებელია არ გამოიწვიოს კმაყოფილების გრძნობა.

ამ ბიბლიოთეკაში ბევრია უნიკალური და რარიტეტული წიგნი, რომლებიც მხოლოდ გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კუთვნილებაა.

გრიშაშვილს განსაკუთრებით უყვარდა მწერლის სიცოცხლეში დაბეჭდილი წიგნები, მათი პირველი გამოცემები, ინკუნაბულები (პირველი ნაბეჭდები), იშვიათი გამოცემები.

საგანგებო აღნიშვნისა და მითითების ღირსია წიგნზე თუ უურნალ-გაზეთებზე ი. გრიშაშვილის მიერ სათუთად შესრულებული მინაწერები და შენიშვნები, ფსევდონიმების გახსნა, ტექსტობრივი და ბიბლიოგრაფიული კომენტარები, თარიღების დაზუსტება, ამა თუ იმ ავტორის შესახებ უცნობი ფაქტების აღნიშვნა. საერთოდ, ქართული კულტურის, კერძოდ კი ქართული მწერლობისა და თეატრის ისტორიისათვის, ძვირფასი ცნობებით აღმურვა. ესაა აქ დაცული წიგნების განუმეორებელი ღირსება. მათი ღირებულება განუზომლად დიდია.

ი. გრიშაშვილი ამა თუ იმ ნაწარმოების თუ თხზულების ყველა გამოცემას უყრიდა თავს, შემდეგ უდარებდა ერთმანეთს და განსხვავებებსა თუ დამატებებს საგულდაგულოდ ინიშნავდა. ამ თვალსაზრისით მას წარმოუდგენლად დიდი შრომა ჩაუტარებია, მის ამ შრომას წიგნის შემდგომი გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

აი, ერთი მაგალითი მისი წიგნთან ურთიერთობისა (ათასობით წიგნიდან მხოლოდ ერთისა):



აბაშიძე გრიგოლ, თხზულებანი, ნაწ. I, ქუთაისი, 1901 წილი.
მინაწერები ყდის მეორე გვერდზე:
1. „გუშინ გაუღე გალის კარი“ 59 (თარგმანი) ტუმანსის ლექსით
(დაისტ.).

2. ნადირობა, გვ. 241. გადმოკეთებულია ა. ფეფოოროვის ლექსიდან
(იბ. არტისტთა კრებული „Живая струя“ გვ. 86. მე მაქეს). 3. ლერმონ-
ტოვიდან, გვ. 20, 33 (არ ეწერა ლერმონტი). 4. არნოლდის „მნათობი
აჭინის“ 129 და 293. 5. პუშკინი: „ანგელოსი“, გვ. 174. 6. ჩემთვის
ერთია, ჩემთვის ერთია — 215 და ლექსის დედანი მაქეს). 7. შეცდო-
მა გვ. 62“.

ფრაზაზე: „ეს წიგნი გაარჩია ზანგმა (გრ. რცხილაძემ), იბ. „ცნ.
ფურ“, 1901, № 1670. ი. გრ. ზანგის ფსევდონიმით რცხილაძეზე აღრე
სწერდა გლოლა ჩიტაძე (იბ. მის მიერ ნათარგმნი პიუგოს „კლოდ-ვე“).—
მწირი, 300 (კრ. აბაშიძე) დაიბადა 1866, გარდაიცვალა 1903 წ. მარ-
ტიში. გრ. აბაშიძის ფსევდონიმებია: 1. თორელი 2. მენავე (ნავი ?) (იბ.
„ივ“, 1896 წ., № 66), შრიმპანი (იბ. ლასიშვილის მოგონება, 89). 4. ვა-
ნები (იბ. „ივ“, 1903, № 65), დ. მეგრ. 5. გრ-ა (იბ. „ივ“, 1896, № 6)
ი. გრ.“.

თავიურლელზე აეტორის გვარის ქვეშ „1866-1903“. საგამომცემ-
ლო ჩიტაძერის გასწერივი: „ეპიროტულად არ შეიძლებოდა!“.

გვ. 3. აეტორის წინასიტყვაობაში წინადადებას „თხზულების მეორე
ნაწილში მოთავსებული იქნება უმთავრესად თარგმანები“ მიწერილი
ეტეს: „თარგმანები აქაც შეცერია“.

გვ. 11. ლექსითან: „ოხ, მარგალიტა!“ (ფრანგულიდამ) მიწერილია:
„ეს ლექსი ეკუთვნის პროვინციულ სახალხო პოეტს ფრედერიკ მისტროლი-
ლექსის სათაურია: მაგალი (!) იბ. „В. ИН. ЛИТ.“.

გვ. 20. ლექსითან „თერგის ძღვენი“ (ლერმონტოვიდამ): „ეს ლექსი
პირველად დაიბეჭდა (იცერიაში“, 1893 წ., № 269. ზედ არ ეწერა, რომ
ლერმონტოვიდან იყო თარგმნილი. შეიძლება კორექტორის დაუდე-
რობის გამო. ი. გრ.“.

გვ. 33. ლექსითან „წყნარი ღამეა“ (ლერმონტოვიდამ): გვ. 118, რუ-
სული. მეორე სტრიქონში მოხაზულია: „გზა ქვა-ფეხილი“. არშიაშე:
„ყავისა შარა“. (ასე დაბეჭდილი „იცერიაში“, 1893, № 255)“.

გვ. 47. ლექსის იერთ ქალს“ (ც. პიუგოდამ) აქვს მინაწერი: „ეს ლექსი
თარგმნენ კიდევ ალ. პ-ებ, ქვარიანმა, გ. შარვაშიძემ და გ. ერისთავემა“.

გვ. 59. ლექსი „გუშინ გაუღე გალის კარი“ ბოლოს მიწერილია:
„რუსი პოეტის ტუმანსის ლექსი. იბ. ერთი ძეველი სახელმძღვანელო
(მე მაქეს), I, გვ. 14, II, გვ. 4“. არშიაშე: „ეს ლექსი სთარგმნა მის.
ფალავანდოვმაც (იბ. „ცისქარი“, 1865 წ., ავგისტო, გვ. 68). სთარგმნეს:
გრ. აბაშიძემ, შ. მღვიმელმა, რ. ერისთავმა“.

გვ. 73. ლექსის „სიმღერა“ ბოლო სტროფი სახასმულია: „და და-
მიღარონ მიწის პირი მე“. მიწერილია: „ჩემი რედაქცია: მე ასე დავწერ-
და: და ამომევსოს მიწით პირი მე, ერთი მიტირე შენი ჭირიმე“.

გვ. 102. ლექსითან „თეთრი ჩადრი“: ჰარტმანისა. 1. „ეს სთარგმნა შემოკ-

ლემით კირილე ლორთ. მშ შისი „სანთური“, გვ. 10. 2. მცონია კიდევ სთარგმნა შანშიაშვილმა».

გვ. 115. „ბუღდის მერცხალი“: ბევრარასაც (ახოსპირელი, ი. ლ), აქეს ნათარგმნი».

გვ. 129. „მნათობი აზისა“-ს მიწერია : აქეს: „პირველად დაიბეჭდა, იხ. „ივერია“, 1893, № 258. გრ. აბაშიძემ ერ ჲორმა გალექსა პროზად გადმოკეთებულისაგან, რომელიც იმავე „ი. ერიაში“ დაიბეჭდა ექვემდებრი ადრე (იხ. „ივერია“, 1893, № 252). წყობა მოეწონა მთარგმნელი. აქ მხოლოდ ერთი თავია თარგმნილი ას პოემიდან. ი. გრ. თავი მეორე აქვევა. იხ. გვ. 291“.

გვ. 144. „ამოა ძახილი“-ს ბოლოს: „ივერია, № 281, 1893“.

გვ. 174. ლექსთან „სამოთხის კართა თავისაული“ მიწერილია: „ანგელოსი (ცუშეინით)“.

გვ. 176. უსათაურო ლექსის „გოხოვ, მაცდურო“ ბოლოს: „1908 წ., 16 ნოემბერს. ი. გრიშაშვილი. ოლორ“.

გვ. 218. ლექსის „ჩემთვის ერთია ტახტა და ლხენა“ არშიებზე: „სპ. ჭელიძის „ჩანგურში“ აწერია („რუსულიდან“) და მართლაც ამ ლექსის დედანი არსებობს — ძევლი რუსული რომანი (იხ. დ. ერისთ. ნაქონი რვეული). შ. კაშიძე ჭერის, რომ თითქოს ეს ლექსი აკავის კალამს უკუთვოდეს. რაც იმღრება, განა ყველა აკავისაა? (იხ. „ლიტ. და ხელ“, 1945, № 5, გვ. 3). ი. გრ.“.

გვ. 219. არშიაზე: „ქართული თარგმანები უფრო უკეთესი გამოღონდა“.

გვ. 241. ლექსთან „ნადირობა“ (საცენო მონილოგი. გაღმობებულია) მიწერილია: „საიდან? ამ ლექსის ავტორია ა. ფ. ფელოტოვი — (იხ. „აზევარია სტრუა“, გვ. 86), ეს ლექსი დაიბეჭდა „ივერიაში“, 1896, № 41“.

გვ. 300. ლერმონტოვის „მწირის“ მე-2 თავის არშიაზე: „გამოტოვებულია ერთი ხანა, სადაც ჩუსეითის მფარეველობაზეა ლაპარაკი. ი. გრ.“.

სარჩევში (გვ. I-VII) მრავალი შენიშვნაა. დაზუსტებულია თარგმნილი ლექსების ავტორები, მითითებულია ამა თუ იმ ლექსის პირველი პუბლიკაცია, დაზუსტებულია დაწერის თარიღები: გვ. II. არშიაზე: „ამ წლის „ივერიაში“ (1896) ბევრი ლექსია, რომელიც შეიძლება აქ არ იყოს შემოტანილი. ი. გრ“. ეს ლექსი („სახალწლო ექსპრომტი“ ი. ლ.) ფაბეკლილი 1896 წელში გამოცემულ წიგნში: „პატრია კრებული საუკეთესო ლექსებისა“, 1896 წ. ქუთ. მ. ლალიძის გამოცემა, გვ. 196. გვ. VII. მინაშერი სარჩევში. აკლია (?) 1. „დავასძლივ გული“ (დიდი ლექსია, დაბეჭდა „ივერიაში“, 1893, № 28). 2. ექსპრომტი („აზმუნს ძალონე, ნუ-გეში“) („ივერია“, 1893, № 27)“.

ამ წიგნში ჩატანებულ კონკრეტში თავმოყრილია ი. გრიშაშვილის ჩანაწერები: 1. „მთვარე ქათქათებს“ გ. თირელისა (იხ. თ. მაჭავარიანის ხელნაწერი). 2. ექიმი კოლოშვილი. შეცდომა გრ. აბაშიძე (იხ. უნივ. გამოცემა „აკავის კრებული“), 3. გრ. აბაშიძის უცნობი ლექსი-პოემა „არაკი“ (აკავისადმი), „თემი“, 1911, № 16, 4. საცენო კოლონე, ნუ-გეში“ („ივერია“, 1893, № 27).

შედი, შშენიერ ლექსებს აწერდა „გრ-ა“ და სათ. აზნ. ბანკის ავტორ-
შეგბს, რომელსაც ყველა ხრონიკორი დასწერდა, ქვეშ მიშერისტოვნებულ
გრ. აბაშიძე (იხ. „ივერია“, 1896 № 89 და სხვ.). 5. გრ. აბაშიძის შექმნა
თარგმნილი ველიჩიოს ლექსი „იმპერიუმში“ (იხ. „მთამბე“, 1896,
№ VIII). გრ. აბაშიძე სცენაზედაც გამოდიოდა, 1900 წელს ითამაშა მეს-
ტვირის როლი „სამზადისში“. იხ. წიგნაკი „ქუთაისის თეატრის 50 წელი“,
გვ. 88 და ა. შ.

ასეთი სკრუპულობური მინაწერებითა და შენიშვნებითაა აჭ-
რელებული აშ პირადი ბიბლიოთეკის წიგნების უმრავლესობა, რო-
მელთაც გამოუცდია მათი მფლობელის „ცენზურის“ ძალა. აი, თუ-
ნდაც ასეთი მავალითოც; გამოცემულ წიგნზე უადგილოდ, არა-
სწორადაა მითითებული ავტორი: „ქსენია სიხარულიდე. ხალხური
ზღაპრები, თბილისი, 1938 წ.“ ასეთმა კურიოზიმა გრიშაშვილის
გაოცება გამოიწვია: „როგორ? ქსენია სიხარულიძის შექმნილია და
დაწერილია ეს ზღაპრები ?“ ი. გრიშაშვილის მინაწერების მნიშვ-
ნელობა უდავოა: მათ კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ყველა და-
ინტერესებული პირისათვის, განსაკუთრებით იმათათვის, ვინც და-
ინტერესებულია ატრიბუციის საკითხებით. გრიშაშვილის მიერ
გახსნილია და დადგენილი დიდაღი უცნობი ფსევდონიმი და
კრიპტონიმი. გრიშაშვილის ტექსტუალური ხასიათის მინაწერებს
გვერდს ვერ უკვლინ ქართველი ტექსტოლოგები.

მყითხველს, წიგნისმოყვარულს დიდი (და მერე როგორ!) სიამოვ-
ნებას მოჰკვრის გრიშაშვილისადმი მიძღვნილი სამახსოვრო წიგნე-
ბის წარწერების გაცნობა. რამდენი სითბო, უშუალობა, გლობუ-
რელობა იგრძნობა მათში?! დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს:

„ნიჭიერ მგოსანს, ავტორისაგან (ჯავახიშვილი ი. ქართვე-
ლი ერის ისტორია, ტფ. 1924, ნაწ. I). 1925 წ., 26. II“.

„ძვირფას სოსო გრიშაშვილს კეთილ სამახსოვროდ. ავტორე-
ბისაგან (ჯავახიშვილი ი., ბერძნიშვილი ნ., ჯანაშია ს. საქართვე-
ლოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე,
ი. ლ.). 27. XII. 1943. ს. ჯანაშია“.

აკადემიკოს აკაკი შანიძის მიერ მიძღვნილი მრავალი წიგნი-
დან: „ქართული გრამატიკის საკითხები“, ნაკ. I, 1943 წ.:

ვინ არ იცნობს ჩეენში
გრიშაშვილს იოსეგბს?!
ამა წიგნის ძღვნობას,
ვიცი, არ იოცებს.

„ა. შანიძე. 20.II. 1943.“



II ნაკვეთზე: „ხარფუხელ ბულბულს ი. გრიშაშვილს ავტორითადა
რისაგან. 24. III. 1943“.

1956 წელს გამოცემული „ქართული გრამატიკის საკითხები“:
„აკადემიკოს სოსო გრიშაშვილს. ავტორისაგან. 27. III. 56.“

გრიშაშვილი, მოგიძლევნ
გრამატიკის წიგნის.
მოგეწონის, იყითხე,
არა, ჰყარი წიხლიცა.

1947 წელს გამოცემულ — „წიგნი ძუელისა ალთქუმისანი“ ავ-
ტორს შმულტიშვილზე მიუწერია:

დიდ ხარფუხელს გამარჯობა,
ეხლა გიძლენი ამ „ძეელ ალთქმას“,
რომ ლამაზებს უსრულებდე
შენაპირებს, სიტყვას, ალთქმას.

ა. შანიძე. 5. II. 1948.

ხოლო წიგნზე „ხანმეტი ლექციონარი, ფოტოპირული რეპრო-
დუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944 წ.“.
წარწერილია:

გრიშაშვილისა მიერთვას
წიგნი ესე ხანმეტი,
სიცაბუჟე გაგასხლტა,
ეხლა შენც ხარ ხანმეტი.

ა. შანიძე, 14.VIII.1944.

იქვე მიწერილია: „P. S. აკაკიმ ზეპირად მითხრა თავისი ექს-
პრომტის გაგრძელება:

როს მოკვდები გიტირებს
ცოლი ოცდაცამეტი“.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის წარწერებში ვკითხულობთ:
„ახალი პოეზიის ქურუმს, ძველი მწერლობის ემბაზში ნათლიღე-
ბულს, მარუთა შუამდინარელს, ავტორისაგან“ (ქართული ლიტე-
რატურის ისტორია, ტ. I, 1923. ი. ლ.), 20. II, 924; II ტომზე:
„დიდად პატივცემულ პოეტს ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1. II.
1925 წ.“

„ი. გრიშაშვილს ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად.
დ. უზნაძე. 9. III. 50 წ.“.



„სოსო გრიშაშვილს, დიდ ტფილისელს და პოეტს. მოსკოვის მუზეუმის ბერძნები 12. X. 27“ („სპინზა“, ტფ., 1927).

„ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 14. XII. 1920“ (შ. ნუცუბიძე, ფილოსოფიის შესავალი, ნაწ. I).

„იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით. ივ. ბერიტაშვილი. 12. X. 57“ (მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, 1957).

„ყარაბოლელს, კოცნის მგოსანს, გრძნობის მუტრიბს, რითმით ხმოსანს — ი. გრიშაშვილს ეს მცირე ძლვენი სამახსოვროდ. ავტორისაგან. ს. ქვარიანი. 12. IV. 1920.“

„მას, ვინც მიყვარს, ვით კაცური კაცი, უკეთილშობილესი მოქალაქე-მამულიშვილი, უნიჭირებესი პოეტი და მწერალი, ყველაფერში თავისი საკუთარი სახის მქონე ადამიანი, მგზნებარე ტემპერამენტის შემოქმედი და ა. შ. ერთი სიტყვით ჩემს სოსოს ნიშნად უანგარო მეგობრობისა და პატივისცემისა. ავტორისაგან. 19. I. 41. დედაქილაქი“ (ილ. ზურაბიშვილი. ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“).

თასობით მსგავსი სიყვარულითა და პატივისცემით აღსაყენები მიღვნა-წარწერას მოიძებს აქ დაინტერესებული მკითხველი (მათი გაცნობა არ არის ძნელი, რამდენადაც გამოცემულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგის I, II და III ნაკვეთები).

ი. გრიშაშვილის საგანგებო ყურადღებას ის წიგნი იმსახურებდა, რომელსაც ავტორის ხელი ემჩნეოდა, ნასწორები იყო მის (თუ მათ) მიერ. იგი არქივებში ეძებდა ისეთ მასალას, რომელთა მეშვეობით მას შეეძლო ცალკე ავტორების ნაწარმოებთა (შემოკლებული თუ ამოღებული ცენზურის მიერ) აღდგენა (მაგალითად, აკაკის პოემები).

ისე დღე არ გავიდოდა, რომ გრიშაშვილს ხარფუქში რამდენიმე კაცი — მწერალი-მოღვაწე, მეცნიერი თუ სიძველეთა მოყვარული, თეატრმცოდნე არ სწვეოდა. ყველა მათგანისათვის მასპინძლის კარი მუდამ ლია იყო. გრძელ, სინათლიან შუშაბანდში, საიდანაც მოჩანდა ძველი თბილისი; კოლორიტული უბნების კონტურები, იდგა რამდენიმე სამუშაო მაგიდა, რაც მომსვლელს საშუალებას იძლევდა თავისუფლად, რამდენ ხანსაც სურდა, მჯდარიყო და ესარგებლა პოეტის მდიდარი ბიბლიოთეკით. ვის არ ნახავდით აქ: გერონტი ქიქოძეს თუ მამედ აბაშიძეს, სარგის კავაბაძესა თუ პოლიცეტოვს, ილია ზურაბიშვილს თუ ვ. კოტეტიშვილს, ისტორი-

კოსებს, ლიტერატორებს, ბიბლიოთეკათმცოდნებს, თეატრისა და კულტურული ხელოვნების მუშაკებს, ძველი თბილისის მომლერლებსა თუ ხარ-ფუხში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელ პოეტებს. მასთან, მისი ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის, ჩამოდი-ოდნენ საქართველოს დაბა-ქალაქებიდან (ქუთაისი, ბათუმი, სო-ხუმი, გორი, თელავი და ა. შ.), სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუ-სეთიდან.

1941 წლის პირველ აპრილს შეღებილი „ანდერძნამაგის“ სა-ფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან დაარსდა „იოსებ გრიშაშვილის ბიბ-ლიოთეკა-მუზეუმი“.

„ანდერძნამაგში“ პოეტი წერდა: „ხშირად ჭამა-სმა დამკლებია და წიგნი კი შემიძენია. ჩემს წიგნებს მაინც უტოვებ ქართველ ხალხს, მაგრამ ერთი პირობით: ჩემი წიგნები ადგილიდან არ უნდა დაიძრას, დარჩეს ისევ ძველ თბილისში, ხარფუხში, სა-დაც მე დავიბადე, მოვიდნენ და იმუშავონ. თუ ზო-გიერთი წიგნისათვის მოსკოვსა და ლენინ-გრადში მიემგზავრება, წიგნის მოეშე და მძღვნელი ხარფუხშიც ამოვა! (დაყოფა ჩვენია, ი. ლ.).

ქართული წიგნის მოყვარულებს მართლაც შესანიშნავი კერა აქვთ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის სახით, საღაც შექმნილია ყვე-ლა პირობა ნაყოფიერი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

ი. გრიშაშვილს უყვარდა თავის ბიბლიოთეკაში განმარტოება და წიგნების კითხვაში „დღისა და ღამის გასწორება“, მას ყოველ-თვის ხიბლავდა და ატებობდა ძველი წიგნებისა და განსაკუთრებით ხელნაწერების სპეციფიკური სურნელება: „ძველ ხელნაწერთა სურნელებას ხარბად უყნოსავღი“-ო, — წერდა პოეტი და მკვლე-ვარი „საიათოვაში“, ხოლო ლექსში „მეფე ვახტანგი“ დიდი ექს-პრესით გვაგრძნობინებდა:

მე შემიყვარდა ძველ წიგნების ნესტი და უანგი.

ვეტრულ ყოველგვარ ძველ დანაშობს, ძველ ნატამალსა...

ი. გრიშაშვილი და წიგნი მეტად ამაღლევებელი თემაა, მომა-ვალში მის ბიბლიოთეკაზე, კულტურის ამ კერაზე არა ერთი წიგნი და გამოკვლევა დაიწერება.

იოსებ გრიშაშვილი

მიუვ ვახტანგი

მე შემცუვარდა ძველ წიგნების ნესტი და უანგი,
ვეტრფი ყოველგვარ ძველ დანაშთობს, ძველ ნატამალსა.
ას, ნეტამც იმ დროს, როცა სწერდა „დასტურლამალსა“
მეფე ვახტანგი!

ხელში კალამი, წელზე ხმალი, მკლავზე დასტანგი.
ის არც სტამბაში თავილობდა ლურჯ ფეშტამალსა,
თვით ყაბახზედაც მტერს ასმევდა თასით წამალსა...
მის ჩოგან-ჩანგი.

ქველი თანილისის მოქმარული


წიგნშა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა ადამიანის ცხოვ-
რებაში, იგი გახდა ერთგული მეგობარი შრომაში, ცოდნის გაფარ-
თოებასა და თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებაში.

ჩვენს ქვეყანაში ბიბლიოფილთა კეთილშობილურ მოძრაობას
დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მას ახალი აპარეზი გადაუშალა
წიგნის მოყვარულთა საზოგადოების შექმნამ. მრავალ ოჯახში ჩა-
კიტილი წიგნები სხვადასხვა ფორმით გაიცნო საზოგადოებრიობაში
და ამით იგი საზოგადოებრივ სარგებლობაში ჩაირთო.

ინუინერი სერგო ტიმაკოვი ძველი თბილისის შესახებ წიგნების
შეგროვებამ გაიტაცა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თბილის-
ში ჩამოსულ სტუმრებთან საუბრისას შეამჩნია, ვერ შეძლო ამომ-
წურავი პასუხის გაცემა თბილისის წარსულზე. ამის შემდეგ უფრო
მეტს კითხულობდა თბილისზე. იძენდა წიგნებს და იფართოებდა
ცოდნის პორტიზნტს.

ასე შეიძინა სერგომ უნიკალური წიგნები: „საქართველო და
სომხეთი“, (1888 წ.), „უძველესი ძეგლების აღწერა საქართველოს
ტაძრებსა და მონასტრებში“ (1888 წ.), „ისტორიული სახელების
კავკასიური ლექსიკონი“ (1890), „ტიფლისი“ (1901 წ.), ძველი
თბილისის სურათები, რუკები, სახვით და დეკორატიულ ნაკეთო-
ბათა ნიმუშები. ინტერესებმა ახალი ინტერესები წარმოშვა და ამას
დაემატა კავკასიური ქამრები, ძველებური საგარელი, დაღესტ-
ნური სურები. ყურადღებას იპყრობს ერმაკოვის ფოტოები სერი-
იდან: „ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა“.

სულ მოკლე დროში ტიმაკოვების ოჯახი ძველი თბილისის
უბანში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე მუხეუმს დაემსგავსა. აქ ხშირად მო-
დიან მოსწავლეები, პედაგოგები, ინუინრები, მეცნიერები, რომ-
ლომად გაეცნონ დედაქალაქის ძველ უბნებსა და მოედნებს, მის



ბიბლიოფილ გ. ტიმაქოვის გამოფენა

ჭარსულსა და აწმყოს
ველივე ამის შესახებ.

ასე გახდა სერგო ტიმაკოვი ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურისა და კულტურის პროპაგანდისტი. მაღალკვალიფიციური ლექციების ჩატარებისათვის მან საქართველოს კკ თბილისის საქალაქო კომიტეტის საპატიო სიველი დაიმსახურა.

მისი თაოსნობით შეიქმნა სამეცნიერო-საჭარმოო გაერთიანება „ანალიზელსაწყოში“ წიგნის მოყვარულთა კლუბი „ძველი თბილისი“. კლუბის საბჭოს ინიციატივით წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში ტარდება ლექციები, ღისპუტები, რომელსაც თანახლავს სლაიდების ჩვენება, წიგნის გამოფენები, ივი ასახავს ძველი თბილისის სახეს. კლუბის ბშირი სტუმრები არიან აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, პროფესორი ირაკლი ციციშვილი, ქალაქის არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი და სხვა ძველი თბილისის მოყვარულნი.

კლუბის წევრები აქტიურად მონაწილეობენ წიგნის გაცელაში, რეგულარულად იკრიბებიან სხდომებზე და იხილავენ ახალ წიგნებს, წიგნის გამოფენის მოწყობის საკითხებს დაწესებულებებში; უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში ატარებენ ლექციებს. კლუბის საბჭოს თავმჯდომარე ს. ტიმაშოვი ყველაზე აქტიური და პოპულარული ლექტორია — იგი ხშირად ატარებს ლექციებს „ძველი თბილისის“ სურათების, ხედების, რუკების, წიგნების დემონსტრირებით. კლუბი დაგილდოებულია წიგნის მოყვარულთა სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური გამგების სიგელით.

საგანგებოდ ემზადებიან კლუბის წევრები გამოფენისათვის, იბეჭდება სპეციალური აფიშები, საწარმოებსა და დაწესებულებებში იგზავნება მოსაწვევი ბარათები.

დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მიერ გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოწყობილმა სერგო ტიმაკოვის კოლექციის გამოფენამ, რომელიც მიძღვნილი იყო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი და „ობილისობისადმი“.

რამ მიიქცია ამ გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღება? მის შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი აღტაცების ჩანაწერია...

„პატ. სერგეი გრიგორის ძევ! მე მინდა გითხრათ დიდი მაღ-
5. მთიანებაზუ, II. 65

ლობა, რომ თქვენ ასე ფაქიზად აგროვებთ ყველაფერ იმას,  დაკავშირებულია დედამიწაზე ულამაზესი და უმშენერესობაში ქის, თბილისის ისტორიასთან.

თითქმის უკვე ნახევარი საუკუნეა თბილისში ჩამოვდივარ და აღტაცებული ვარ მისი ქუჩებით, შენობებით. მრავალი კი, სამწუხაროდ, ჩემს მეხსიერებაში წაიშალა, მრავალი მათგანი კი განახლდა. მით უფრო ძვირფასია ეს გამოვენა, რომელმაც შემოვგინახა ძველი თბილისის სახე. დიდი მადლობა თქვენ, გულითა და სულით გისურვებთ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში“.

სსრ კავშირის მწერალთა კაგშირის წევრი
ლ. ლიბედინსკაია.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე წერს: „გულით მივესალმები ამ შვენიერი გამოფენის გახსნას. გამოფენის ექსპონატები საქმის ცოდნითა და სიყვარულით არის თავმოყრილი. მათ უნდა გაეცნოს ყველა თბილისელი, რომ რაც შეიძლება ბევრი რამ გაიგოს ჩვენი დედაქალაქის წარსულის შესახებ. ს. ტიმაკოვის მაგალითი მისაბაძია. ასე უნდა ვზრუნავდეთ თბილისზე“.

„დიდი მადლობა! დიდი მადლობა! ჩემო თბილის ქალაქი! ჩემს ბავშვობას რომ შემახვედრეთ. ასე თბილი, ასეთი უშაულო, ასეთი სანუკვარი და საყვარელია ჩემი თბილისი, ჩემი ბავშვობა, ჩემი ახლობლების მოგონება. აი, ბაბუას დავუხედით სწორედ ამ სადგურზე, სწორედ ასე იდგნენ ეტლები, ამ ქუჩაზე მატარებდა დედა და მისი ხმა შემომესმა აქ, ამ გამოფენაზე. აი, აქ ცხოვრობდა დიდედა... წუთით დამიბრუნდა, გამიცოცხლდა ყოველი- 30.

...და, ამ ჩემი წარსულის გარეშე დღეს არ ვიქნებოდი, არ მეცუდინებოდა სიყვარული, სილამაზის გაება, ახლობლების სიყვარული და დიდად გმადლობთ, რომ გამახსენეთ, როგორ, რა ტრადიციებით გავიზარდე, ვინ გამზარდა, ვინ მასწავლა სიკარე, სიპეთე, ჩემი ქვეყნის, ჩემი ქალაქის სიყვარული, რომელ ქუჩებზე დავდიოდი, რომელ სახლებში ცხოვრობდნენ ქართული ტრადიციით ჩემი ახლობლები.

კიდევ ერთხელ გმადლობთ ამ ბედნიერი, სასიხარულო წუთების

განცდისათვის, რომელიც ახლა დიდხანს, დიდხანს გამყვება და სიხარულო მოგონებებით ამავსებს“.

ექიმი ქეთევან ანგაფარიძე

„დიდი მაღლობა ამხანაგო ტიმაკოვ!

მე მსგავსი გამოფენის ნახვაზე ბევრჯერ მიოცნებია, და აი ახლა თქვენ აღასრულეთ იგი“. — წერს შთაბეჭდილებათა წიგნში მ. არაბული — სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის ბიბლიოფილი ს. მ. ტიმაკოვი დაჭილდოებულია წიგნის მოყვარულთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალური გამგეობის დიპლომით და საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის საპატიო სიგელით.

თბილისი

ჩართული გიგანტური გრაფიკის საღლელი საკითხები

ყოველგვარ ბეჭდურ ინფორმაციას იძლევა ბიბლიოგრაფია, რომელიც ხელს უწყობს კითხვის კულტურის ჩამოყალიბებას, წიგნისა და პერიოდული პრესის ეფექტიანად გამოყენებას, ლიტერატურის სწორ შერჩევას. ამდენად მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, არამედ აღმზრდელობით მუშაობაშიც.

ქართველ ხალხს ძველთაგანვე მოსდგამს ბიბლიოგრაფიული მუშაობის ტრადიცია. არაერთ საინტერესო ბიბლიოგრაფიულ მასალას შეიცავენ ძველი ქართული ხელნაწერი ლიტერატურული წყაროები. ზოგიერთ წყაროში ბიბლიოგრაფიული მონაცემები სისტემატიზებული სახითაც კი გვხვდება.

წიგნის ბეჭდვის განვითარებასთან ერთად განვითარდა ბიბლიოგრაფიული საქმეც. 1798 წელს პროფ. ფრანც ალტერმა წიგნს „ქართული ლიტერატურის შესახებ“, ხოლო 1837 წელს მარი ბროსემ „ქართული ენის გრამატიკა“ დაურთეს ძველი ქართული წიგნების სიები; 1853 წელს თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში დაბეჭდდა ანტონ კათალიკოსის „წყობილ-სიტყვაობა“, რომელსაც ერთვის პ. იოსელიანის მიერ შედგენილი ანტონ კათალიკოსის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია; აღსანიშნავია აგრეთვე „გრიგოლ ჩარქვიანის ქართული წიგნის მაღაზიის კატალოგი“ (1888), 1883 წელს გამოიცა გ. შანშიაშვილის „1629-1883 წლებში ქართულ ენაზე გამოსული წიგნებისა და ბროშურების ქრონოლოგიური საძიებელი“.

მეცნიერამატე საუკუნის ბოლოს ბიბლიოგრაფიული მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის აუცილებლობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ:

„კარგი იქნებოდა და დიდი ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველ

ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას, საერთოდ, რომ ამ ძეირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითეულადული აღნუსხულ იქნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედ-წარწერანი აქვს და მერმე სხვა. რასაკვირველია, ეს შეუძლიანთ ღირსეულად შეასრულონ მარტო მათ, ვისაც ხელი მიუწვდებათ, ვინც იხლო უდგანან ამისთანა განძისა. ჩვენი ბერ-მონაზონები და სამღვდელონი, რომელთაც აბარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა, დიდს ვალს დასდებენ ჩვენს ქვეყანასა, რომ ამ საჭიროებას ყურადღება მიაქციონ და რაც მათ-ლამი მინდობილს სალაროში წიგნებია, იმის სია, ანუ კატალოგი შეადგინონ, როგორც ვსოდეთ და რომელსამე გაზეთში დაპატეჭ-ლონ გამოსაქვეყნებლად. გვერწმუნონ, რომ ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც: ამ სიების შემდგენელთა სახელი ყოველთვის მაღლობით მოიხსენიება შთამომავლობის მიერ.

არა ნაკლებ საქებნი და სადიდებელი იქნებიან ერის კაცნიც, რომელნიც არ დაიზარებენ და გამოაქვეყნებენ, სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები და თუ ხელი მიუწვდებათ, ყოველ ამის სიას შეადგენენ და გადას-ცემენ რომელსამე გაზეთს დასაბეჭდად. ვიმეორებთ, ეს ამისთანა შრომა სრული არ იქნება, თუ გულმოდგინებით გამოძიებულ არ იქმნა და სიაში მოხსენებული თვითონეული წიგნი, გუჯარი და სი-გელი იმ მხრით, თუ რა წიგნია, რა გუჯარი, რა სიგელი, ვისგან არის დაწერილი, შედგენილი, თუ მიცემული, რა დროს ეკუთვნის, რა ზედ-წარწერანი აქვს და არის რამ შესანიშნავი მის გარეგ-ნობაში, თუ არა”!

აქედან ნათლად ჩანს ი. ჭავჭავაძის წუხილი ძველი ხელნაწერი ძეგლების იმდროინდელ მდგომარეობაზე. მწერალი იქვე იყენებს საკითხს ძველი წიგნების ოღწერისა და ბიბლიოგრაფირების შესახებ, რასაც უძველესი წიგნების დაცვის უმთავრეს საშუალე-ბად თვლის.

ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია „ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. 1889-1914 წლებში 9 წიგნად გამოიცა ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიის კატალოგები. 1887 წელს 6. მთვარელიშვილმა გამოაქვეყნა „კატალოგი წიგ-

1 ი. ჭავჭავაძე, „ივერია“, 1886 წ., 24 ივნისი, № 59, გვ. 1.

ნოსაცავისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოებისა“.

1916 წელს ჩვენი სახელოვანი მეცნიერის — ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობითა და რედაქციით პეტერბურგში დაისტაბბა ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებლის პირველი ნაწილი — „ქართული ბიბლიოგრაფია“, რომელსაც თავისი მეცნიერული მნიშვნელობა დღესაც არ დაუყარგავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი იმით, რომ მასალა განლაგებულია დარგების მიხედვით, რაც ძლიერ ადვილებს საჭირო წყაროების მიღწებას.

1924 წლის 26 აპრილის საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა. ბიბლიოგრაფიული ცნობარების შესადგენად გაძლიერდა მუშაობა საქართველოს მსხვილ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. მომზადდა და გამოიცა სხვა და სხვა სახისა და თემატიკის შემცველი ბიბლიოგრაფიები, თუმცა ბევრი მათგანი არ იყო სრულყოფილი. დიდი მოვლენა იყო ის, რომ მომზადდა და გამოქვეყნდა „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I (1629-1920), თბ., 1941 წ. საქ. სახ. წიგნის პალატის გამოცემა“. ეს წიგნი შეერთებული კატალოგია იმ ბიბლიოთეკებში არსებული წიგნებისა, რომელთა საფუძველზეც მოხდა ქართული წიგნების ოწერა. ამ დროს ბიბლიოთეკებში არ იყო მრავალი მნიშვნელოვანი ქართული გამოცემა, რომლებიც ზემოხსენებულ ბიბლიოგრაფიაში ვერ მოხვდა. ამის გამო, ამ მნიშვნელოვან ნაშრომს თავისი ხარვეზიც დაჰყვა.

საყურადღებოა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა 1933 წელს „არსენა მარაბდელის“ გამოცემის გამო გამართულ დისპუტზე:

„ეს რომანი დაახლოებით ხუთიოდე წელს იწერებოდა. ასე დიდხანს იმიტომ იწერებოდა, რომ ჯერ-ერთი, ისტორიული რომანის დამწერმა კროქა უნდა შეისწავლოს, და კიდევ იმიტომ, რომ ეს რომანი ქართულ პირობებში იწერებოდა. ქართული ისტორიული ეთნოგრაფია, გრამატიკა და ისტორია კი ჯერ სისტემატიზაცია-ქმნილი არ არის, ნამეტან კი მე-19 საუკუნის ისტორია, რომელიც საკმაოდ არ არის დამუშავებული. ამიტომ დამჭირდა მე უამრავი სიარული არქივებში, მუზეუმებში სოფლად და ყველგან, სადაც კი ხელი მიმიწვდებოდა. ნაწილობრივ ამ გარემოებით აიხსნება“

ზოგიერთი ისტორიული ხასიათის ლაფსუსები, რომლებიც აქა-აჭ-
შემეპარა“².

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 27 დეკემ-
ბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „დაუშვებლად
სუსტად შუქდება ბიბლიოგრაფიის, განსაკუთრებით კი სარეკო-
მენდაციო ბიბლიოგრაფიის საკითხები“³, რომ არ არსებობს წიგნის
სარეკომენდაციო სია მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა და სხვა
დარგის მიხედვით. სათანადო დადგენილებითვე დაევალა სსრ კავ-
შირის სამეცნიერო იყალების საქართველოს ფილიალს სამეცნიერო
და ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიების შედგენა, ყველა
სახალხო კომისარიატს რესპუბლიკაში გამომავალი საწარმოო და-
რგობრივი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიებისა თავიანთი დარგების
მიხედვით, საქართველოს წიგნის პალატას — საბჭოთა ხელის-
უფლების წლებში გამოცემული ლიტერატურის სრული აღრიცხვა
და ა. შ.

პირველ ბიბლიოგრაფიულ კონფერენციაზე ამ მხრივ დასახუ-
ლი გეგმის მიხედვით ბიბლიოგრაფიული სამუშაოები უნდა შე-
სრულებულიყო სამეცნიერო ბიბლიოთეკებისა და სხვა სპეციფი-
კურ დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობით. ამ გადაწყვეტილე-
ბამ დიდი როლი შეასრულა ბიბლიოგრაფიული მუშაობის გაუმჯო-
ბესებაში. 1942 წლიდან საქართველოს წიგნის პალატამ დაიწყო
მზადება „ქართული წიგნის“ დამატებითი ტომის გამოცემისათვის.
გაცილებით მეტი ყურადღება მიექცა წიგნის პალატის ყოველთვი-
ურ გამოცემებს — „წიგნის მატიანეს“ (რომლის გამოცემა დაიწ-
ყო 1926 წლიდან), „უურნალის სტატიების მატიანეს“ (გამოდის
1939 წლიდან) და „გაზეთის სტატიების მატიანეს“ (გამოდის 1934
წლიდან). დაისტამბა საქართველოში არაქართული გამოცემების
რეტროსპექტული საძიებელიც — „საქართველოს რუსული პერი-
ოდიკის ბიბლიოგრაფია“, ნაწილი I, 1828-1920 წწ. (1941 წელი),
შემდგენელი გ. ზერცალოვი. დაიწყო მუშაობა გაზეთების რეტ-
როსპექტული ბიბლიოგრაფიების შედგენაზეც, რაც, როგორც
ახალი წამოწყება, ფრიად მისასალმებელი იყო. მაგრამ ყოველივე

² მიხ. გავახი შვილი, თხზულებანი, ტ. VI, წერილები, თბ., 1980 წ.-
ჩემი პასუხი, გვ. 159.

³ უურ. „მნათობი“, ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესა-
ხებ, 1941, № 1, გვ. 87.

ეს არ კმაროდა, მეცნიერებათა სწრაფი განვითარება მოზოხოვდა ინტენსიურ ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას. ამასთან დაკავშირდნენ გ. ბაქრაძე წერდა: „ასეთ ტემპებს ჩვენი დრო ვერ შეუტირდება! ეს უდავოდ დიდი სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის წამოწყება... დაუინებით გვიყარნახებს ისეთივე გამოსავლის გამოიძენას, როგორსაც ჩვეულებრივად მიმართავენ ჩვენში დიდი სარწყავი არხების გაყვანის, გზების გაკეთებისა და სხვა გადაუდებელ სასწრაფო მშენებლობისათვის“. ავტორი აქვე აღნიშნავდა, რომ „ომშემა ჩაშალა ეს წამოწყება, მაგრამ დღეს მის განხორციელებას არა ვთავარი სერიოზული დაბრკოლება არ ელობება. ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს ორ-სამ წელიწადში მივიღოთ მთელი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია კარტოთეკის სახით მაინც“⁴.

მას შემდეგ თთქმის ოთხმა ათეულმა წელმა განვიღო. ამ ხნის განმავლობაში გაცილებით გაუმჯობესდა ბიბლიოგრაფიული მუშაობა. შედგა და გამოიცა ფრიად საჭირო ნაშრომები: „ქართული წიგნის“ სამი ტომი თავისივე დამატებით (1629-1950 წ.); 1947 წელს გამოიცა გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკა, 1819-1945. მასალები ქართული უურნალისტიკის ისტორიისათვის“; „ქართული უურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (3 ტომი, მოიცავს 1852-1905 წწ.); „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (6 ტომი, მოიცავს 1819-1905 წწ.); „ქართული მუსიკულური ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია. 1872-1946 წწ.“ (1947 წ.); გ. მიქაელის „ძველი მწერლობის ბიბლიოგრაფია. 1921-1965“ (1968 წ.); 1968-69 წლებში გამოვიდა ორი ბიბლიოგრაფიული საძიებელი „ქართული საბავშვო წიგნი“ (შემდგენელი ი. გორგაძე); „უურნალ „მნათობის“ ბიბლიოგრაფია“ (1924-1974 წწ.); „ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია“ ორი (1941 და 1957 წწ.) გამოცემა.

მეცნიერებათა აქადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა სცემს ქართველ მეცნიერთა პერსონალურ ბიბლიოგრაფიებს; მხარეთ-მცოდნეობითი ბიბლიოგრაფიის ხაზით დაიბეჭდა „აჭარის ბიბლიოგრაფია“ და „საქართველოს ისტორიის ლიტერატურული წყაროები“. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ 1961 და

⁴ უურნ. „მნათობი“, გ. ბაქრაძე, ლიტერატურათმცოდნეობა და რეტროსპექტული ბიბლიოგრაფია, № 5-6, 1946 წ., გვ. 271.

1972 წელს გამოაქვეყნა უნივერსიტეტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია (ტ. 1 — 1919-1960, ტ. 2 — 1960-1965); გამოიცა სულხან შემოქმედის საბა თრბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ზაქარია ფალიაშვილის და რამდენიმე სხვა გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის პერსონალური ბიბლიოგრაფიები.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა ამ ხასიათის გამოცემებით ბიბლიოგრაფიულმა საქმიანობამ ჯეროვნად ფერ წაიწია წინ. უნდა აღინიშვნოს, რომ არცთუ ისე ცუდ მდგომარეობაშია სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიების გამოცემა, თუმცა მათში შესული მასალების ნაწილი ზოგჯერ ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთოდ არსებული, რომ ამ ტიპის საძიებლები მეტად მცირე ტირაჟით გამოდის და ხელმისაწვდომი არაა ფართო მკითხველისათვის.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ზღვაში წვეთია და არ შეიძლება დააკამაყოფილოს ის დიდი მოთხოვნილება, რასაც უყვენებენ მეცნიერები ბიბლიოგრაფებსა და ბიბლიოთეკათმცოდნებს.

სამწუხაროდ, დღესაც ხშირად მოისმენთ მკვლევართა წუხილს იმის გამო, რომ მათ მეცნიერულ მუშაობას აფერხებს ამა თუ იმ ხასიათის ბიბლიოგრაფიის უქონლობა, უზუსტობა თუ არასრულყოფილება; რომ მათი შრომისათვის აუცილებელი მასალების მოძიება გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე თვით ნაშრომის შექმნა. ყოველი ქართველი მეცნიერის ოცნებაა ხელთ ჰქონდეს სრული ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რომლებშიც მაქსიმალურად იღიწერება საქართველოში გამოცემული ყველა წიგნი, უურნალი და განხეთი, ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია და სხვა.

ბიბლიოგრაფიულ შრომათა ნაკლებობას ერთვის ისიც, რომ ასესებულ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში ხშირად გვხვდება შეცდომები თუ უზუსტობანი. მტკიცნეულია ის ფაქტიც, რომ არ არის გამოცემული ზოგიერთი წლის „მატიანე“, ჯერაც არ გვაქვს 1906-1933 წლების ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია; არ არის მოწესრიგებული სისტემატურად და ოპერატიულად გამოცემა სახელმწიფო ბიბლიოგრაფიისა, რომელიც ფაქტიურად ყოველგვარი ბიბლიოგრაფიის საფუძველს წარმოადგენს; არ არის დაშუშავებული საქართველოში გამოცემული XIX და XX საუკუნეების რუსული პერიოდიყა და ამის გამო მივიწყებას ეძლევა ბევრი მნიშვნელოვანი სტატია თუ მეცნიერული ნაშრომი.

ვფიქრობთ, სწორია ის მოსაზრებაც, რომ ნაწილობრივ გრა-
ლიოგრაფიული საძიებლების უქონლობის მიზეზია დეფიციტი
ისეთი წიგნებისაც კი, რომლებიც საკმაოდ დიდი ტირაჟის ფაქტურა
დის. ბევრი წიგნი საკუთარ ბიბლიოთეკებში გადაუშლელი რჩება.
საჭიროა სხვადასხვა დაწესებულებათა ერთობლივი მცდელობით
ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროცესით, მრავალმხრივი სარეკო-
მენდაციო საძიებლების შექმნა, რაც აღნიშნული პრობლემის და-
ძლევის ერთ-ერთი საშუალებაა. ამ მხრივ საინტერესო მუშაობა
წამოიშეყეს სხვა რესპუბლიკების წიგნის მოყვარულთა საზოგადოე-
ბებმა.

დღეს ადრინდელზე გაცილებით დიდი რაოდენობით იბეჭდება
მხატვრული, მეცნიერული თუ სხვადასხვა თემატიკის მომცველი
სტატიები, რაც, თავისთვად ცხადია, კიდევ უფრო ართულებს ბიბ-
ლიოგრაფიულ მუშაობას. ამ მიზეზის გამო უკანასკნელ წლებში
ბევრი პრობლემა წამოიჭრა ბიბლიოგრაფთა წინაშე.

სწორედ ამ პრობლემათა გადაჭრისათვის 1980 წლის 14-15
ოქტომბერს მოეშვი ბიბლიოგრაფთა საკავშირო თათბირი, სადაც
განიხილეს ჩვენს ქვეყანაში ბიბლიოგრაფიული მუშაობის სრულ-
ყოფის საკითხი და დასახეს მომავლის გეგმები ამ ფრიად საჭირო
საქმის გაუმჯობესებისათვის. გამოქვეყნდა საკავშირო თათბირის
მასალებიც: «О совершенствовании библиографической работы. Материалы Всесоюзного совещания». М., «Книга», 1981.

ამ თათბირზე უკრაინის წიგნის პალატის დირექტორმა ვ. ჩერ-
ნბაუემა განაცხადა, რომ გაზეთის სტატიების მატიანის დამუშა-
ვებაზე (რომელშიც 73 დასახელების პერიოდული გამოცემის ბიბ-
ლიოგრაფირება ხდება) 6 კაცია გამოყოფილი. დღიდან განცოფი-
ლებაში გაზეთების მიღებისა, ბიბლიოგრაფიის ხელნაწერის შედ-
გენამდე 12-14 დღე გადის. გამოცემა წარმოებაში 10-15 დღე იმ-
ჯოფება, რედაქტირებისათვის საჭიროებს 3-4 დღეს. ამრიგად, გა-
ზეთში სტატიის გამოქვეყნებიდან მატიანის გამოსვლამდე 25-33
დღე გადის; იგი ზრუნავს გაზეთების ბიბლიოგრაფიული დამუშა-
ვების ისეთი ხერხი გამოძებნოს, რომ როგორმე 25-33 დღის სხვა-
ობაც შემცირდეს. საქართველოს წიგნის პალატის მატიანების გა-
მოცემა არამცუ ერთი თვით, წლობით გვიანდება (არა მარტო გა-
ზეთის, არამედ უურნალისა და წიგნისაც).

აღინიშნა ისიც, რომ ბიბლიოგრაფიული მუშაობის საერთო

მდგომარეობა მთლიანად ვერ პასუხობს სკკპ ცენტრალური კომისიურის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე გაზრდილ მოთხოვნებს რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში წამოყენებულია ამოცანა ბეჭდვით სიტყვაში ფიქსირებული კაცობრიობის მთელი სულიერი სიმდიდრის, მეცნიერებისა თუ კულტურის მთელი მიღწევების კომპლექსური გამოყენების შესახებ და რომ ამ ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი აქვს დათმობილი რეტროსპექტულ დამხმარე-მეცნიერულ ბიბლიოგრაფიას, რაც მოწმობს ამგვარი ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობის ზრდას მეცნიერული კვლევის განვითარებაში.

რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული ცნობარების შექმნაში წამყვანი როლი ენიჭებათ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს. როგორც წესი, სწორედ მათ მოეპოვებათ ბეჭდურ ნაწარმოებთა უდიდესი კოლექციები და ამ მხრივ დიდი გამოცდილებაც.

ზემოხსენებულ თაბირზე აღინიშნა, რომ ბიბლიოგრაფიის პრობლემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მუშაობის მართვისა და კოორდინაციის პრობლემას. ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მმართველობა უკვე ჩამოყალიბებულია საუწყებო ორგანიზაციების საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული და ინფორმაციულ-ბიბლიოგრაფიული დაწესებულებების საფუძველზე (სსრ კავშირის გამსახომის, კულტურის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახ. კომიტეტის და ა. შ. სისტემებში); სერიოზული ნაკლი, რომელიც აფერხებს ბიბლიოგრაფიის განვითარებას, არის უწყებათა განცალკევებულობა, მათი მუშაობის არასაკმარისი კოორდინირება.

1980 წლის თაბირის წინაშე დაისვა შემდეგი საკითხები: ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში მეცნიერული გამოკვლევის დაგეგმვა და კოორდინირება; ხარისხის ამაღლება და მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვის დაჩქარება; ჩვენი ქვეყნის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული დაწესებულებების საქმიანობის დაგეგმვა, კოორდინირება და კოოპერირება; ყველა ტიპისა და სახის ბიბლიოგრაფიული საძიებლების მომზადება და გამოცემა, ბიბლიოგრაფიული კადრების (მათ შორის უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების) მომზადება და სხვა. აქვე დაისახა კონკრეტული პრაქტიკული გზები ამ პრობლემათა გადასაჭრელად:

1. ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის მოხდეს მეცნიერთა, სპეციალისტთა, ბიბლიო-

გრაფთა, ბიბლიოთეკის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის როგორების, გამომცემლობების, წიგნის ვაჭრობის მუშავთა სალებას განვიხილავთ.



2. ამაღლდეს ბიბლიოგრაფიის მეცნიერული კვლევის იდეურ-თეორიული დონე, გაძლიერდეს მეცნიერული კვლევის კავშირი ბიბლიოგრაფიულ პრაქტიკასთან; ბიბლიოთეკებში, წიგნის პალატებში, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებში, სამინისტროებსა და უწყებებში, უმაღლეს სასწავლებლებში მოხდეს წარმოებული მეცნიერული გამოკვლევების კოორდინირება და კოოპერატირება.

3. მოწესრიგდეს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ორგანიზაცია და მმართველობა სამინისტროთა და უწყებათა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ და მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ძალების კოორდინირების საფუძველზე. ეთხოვოს სსრ კავშირის გამსახურმს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, მეცნიერებათა აკადემიას, კულტურის სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ უწყებებს, რათა მომზადდეს საერთო წინადაღება ბიბლიოგრაფიულ სამუშაოთა საკუთრი საუწყებათაშორისო საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც იარსებებს სსრ კავშირის გამსახურმათან.

გაზეთ „წიგნის სამყაროში“ (1982 წლის 27 ოქტომბერი) დაიბეჭდა ბიბლიოგრაფების თ. ნაკაშიძის, ი. გორგაძისა და ა. რობაჯიძის წერილი „ბიბლიოგრაფიული მუშაობის სრულყოფისათვის“. წერილის ავტორები გამოთქვამენ იმედს, რომ საქართველოში ბიბლიოგრაფიული საქმე შეიძლება სრულყოფილი გახდეს, თუ დროულად აღმოიფხვრება ბიბლიოგრაფიული მუშაობის დარგში არსებული ძირითადი ხარევზები და მიზანშეწონილად თვლიან „რესპუბლიკაში შეიქმნას ბიბლიოგრაფიული საზოგადოება, ან რომელიმე შესაბამის უწყებასთან დაარსდეს სამეცნიერო-საკონფერენციო საბჭო, რომელიც ბიბლიოგრაფიული მუშაობის სხვა პრობლემებთან ერთად, იზრუნებს წერილში მითითებული საკითხების მოწესრიგებისათვის“.

სამუშაროდ, ამ ფრიად საყურადღებო წინადაღებას, რომელიც ეყყარება ბიბლიოგრაფიული მუშაობის სრულყოფისათვის 1980 წელს გამართული საკავშირო თაობირის რეკომენდაციებს, მხო-

ლოდ დოც. ი. ევგენიძე და დოც. ლ. მინაშვილი გამოეხმაურნენ
წერილით: „ქიდევ ერთხელ ინფორმაციის მნიშვნელობაზე⁵. ეროვნული
გამოქვეყნდა აგრეთვე პროფ. ვანო შადურის საყურადღებო

წერილიც — „წარმოვაჩინოთ ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვაწლი“, რომლითაც იგი გამოეხმაურა შ. ძიძიგურის, ალ. ბარამიძისა და გ. შარაძის წერილს „ნუ გადავდებო ეროვნულ საქმეს“.⁶ წერილის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ: „არ მოგვეპოვება ქართველი კლასიკოსების შესახებ (გარდა ილია ჭავჭავაძისა) ფუნდამენტური სამეცნიერო-დამხმარე პერსონალური ბიბლიოგრაფიები... რომ ჩვენს გამომცემლობებში ბიბლიოგრაფიული შრომების ბეჭდვას ხშირად დიდი დაბრკოლებანი ეღლობება წინ“. აქვე აყენებს იგი რესპუბლიკის ბიბლიოგრაფთა მუშაობის კოორდინირების საკითხს.

თათბირის შემდეგ უკვე ორმა წელმა განვლო; ქართულ პრესაში გამოქვეყნდა წინადადებები ქართული ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მოწესრიგების შესახებ, პრაქტიკული ნაბიჯი კი ამ მხრივ ჯერაც არ არის გადაღმული.

ქართული ბიბლიოგრაფიული საქმიანობის სრულყოფისათვის აუცილებელია დაისახოს გეგმები საქართველოში ბიბლიოგრაფიული მუშაობის კოორდინირებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ბიბლიოგრაფიული მუშაობის სრულყოფას. ბიბლიოგრაფია არ უნდა ჩამორჩეოდეს დღევანდელი ცხოვრების სწრაფ ტემპს.

თ ბ ი ლ ი ს ი

⁵ ქართული ბიბლიოგრაფია და მისი სიძნელენი, გაზ. „თბილისი“, 1982 წ., 18 ნოემბერი.

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ., 9 დეკემბერი.

ჩავთ ჭიშნი

არ ატირდება ჩემს ლექსებზე ქალწული ქალი,
 არ გაუღიმებს თანაგრძნობით მწუხარ სტრიქონებს,
 გადირბენს თვალი დაბნეული, ზარმაცად მალი,
 სასტიკი გული დამწველ სიტყვებს არ მოიგონებს.

ჩემი ლექსები სხვა წიგნებზე, სხვა წიგნთა გვერდით
 მარტო იქნება, როგორც მარტო მე ვიყავ ხალხში.
 ზოგს ვარდი სუნთქავს, მორთულია ზოგი ხევერდით,
 ჩემი წიგნი კი გახვეულა სულ მტვერის თალხში.

მაგრამ ვინ იცის, იქნებ ელის მას მეგობარი,
 რომელმაც იგრძნო სიღარიბე სიტყვის სევდისთვის,
 იქნებ იმასაც აწვალებდა გრძნობა ამგვარი,
 რომ დიდი სევდა გაემხილა თრთოლვით სხვებისთვის.

და, როგორც მკედარი, გავაცოცხლე მე ქალაქები, —
 ჩემს მოკლულ გულსაც გაუჩნდება გამცოცხლებელი,
 ატირდებიან სახელები, ჩემგან ნაქები,
 და მარადობის საუკუნოდ მე ვარ მხლებელი.

1915 წ.

ერევანი



ის, რაც მოთხოვ დაგენდებისა, მთელი სამყაროს
საკუთრიჩად კვეთა სამარადისოდ.

გოტჰოლდ ლესინგი

„გაიმართა ხელითა... მიჩვისათა“

ძველ ქართულ წიგნებს მრავალზე მრავალი მწიგნობრის სახელი შემოუნახავს, თუმცა ბევრი მათგანის ვინაობა და ღვაწლი დაუფარავს უამთა სიავეს. წარმოჩენა ძველ ქართველ უცნობ მწიგნობართა ღვაწლისა და ალდგენა მათი ბიოგრაფიული პორტრეტებისა წარსულის მიმართ მხოლოდ ვიწრო, წმინდა ისტორიულ ინტერესთა ჩარჩოებში როდი თავსდება, არამედ გზაა იმ დიდი, გააძრებული ღვაწლის შეცნობისაკენ, ცალკეულ ისტორიულ ეტაპებზე რომ უწარმოებიათ დიდი მისით შთაგონებულ ქართველ მწიგნობართა ჯგუფებს. მათი ღვაწლი უდიდესი წვლილი იყო ერის სულიერი წრითობის საქმეში, ხოლო სულიერი წრითობა ერისა საფუძველია მისი სიმტკიცისა ფიზიკურ და ზნეობრივ განსაცდელთა წინაშე.

განუზომელია თუნდაც ის ღვაწლი, რაც ძველმა ქართველმა მწიგნობრებმა ჩვენს სათაყვანებელ წიგნს — „ვეფხისტყაოსანს“ დასდეს. ქართველმა ერმა თავისი მძიმე და გმირული ისტორიის თანამოზიარედ გაიხადა რუსთაველის უკვდავი წიგნი, შავბერ ეპოქებში სისხლიან აგრძესიათა ტალღებზე გამოატარა და ახალ დროებამდე, ბეჭდვის საუკუნეებამდე მოიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი. ვინ იცის როგორ წარიმართებოდა ჩვენი წინაპრების სულიერი ენერგია, საუკუნეთა მიღმა ქართველ კაცს მოწამებრივი თავდადებით რომ არ გადაუნუსხა, ან შემთხვევით დაეკარგა თავის დროზე ალბათ ერთადერთი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

თაობათა რუდუნება და გმირული თავგანწირვა აუსახავს ძველ ხელნაწერებს, რომელთა გადამწერნი ზოგჯერ მოკრძალებულად გვამცნობენ ხოლმე ანდერძებში თავიანთ სახელს. სწორედ მათი ფასდაუდებელი შრომით გახდა შესაძლებელი ქართველი ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი უდიდესი სულიერი საგანძური თუნდაც ნაწილობრივად ჩვენს დრომდე მოტანა. უმეტესწილად დიდად დალხინებულნი არ ყოფილან ჩვენი ისტორიის, კულ-6. მწიგნობარი, II.

ვეუბის ტყუაოსანი::

ამ ახალი ძლიერდელი ქართველის ერასა ზედა ფაშა ამი
ღლებულისა საქართველოს მშენობელისა
უფლისა უფლისა ვახტანგისა::
პირობითა და წარსაცმელითა მისევე მშენობელისათა::

გამართა წელითა წელშეიცის კარის დეკანოზის შე
ღლის მიქელისათა:: ქალაქსა ტფილისისას
ქრისტეს აქეთ

ათას შეიღას და თორმეტისა ქსაბამითგან ვიდრე
აქამიდე შეაღიათას ორას ოცსა::



ვახტანგისეული ვეუბისტყაოსნის სატიტულო ღურული
ტურის, მწერლობის ის თავგამოდებული და უღიდესი ნებისყო-
ფით აღჭურვილი მუშაკი — ძველი წიგნების გამმართველნი და
გადამწერნი. მოვიგონოთ 1710 წელს გადაწერილი ერთ-ერთი წიგ-

ნის ანდერძი: „მე გლახაქმან და ყოველთა ხუცესსა უნარჩევესმან, ყოვლად უღირსმან ეგნატის ძემან მღვდელმან იქსემ აღვსწერება წიგნი ესე ბრძანებითა ბატონის კათალიკოზის დომენტისით უწყის ღმერთმან, რაც ოდენ შემეძლო, სიმართლეს ვეცადე. და დი ჭირისა და მწუხარების დღე მქონდა. ძნელი ზამთარი იყო. ერთს ბნელს სახლში ვიფექი, სიკვდილისაგან შეღონებული, დღი და ღამე მტირალი. უწყის ღმერთმან, სულ ღამით, უსკამოთ, კალთაზედ და მუხლზე ფიცარი მედვა და სანთლით დავსწერე“.

უკვევლია, დიდი მიზანდასახულობა, წარმმართველი ყოველი თავდადებისა, შთააგონებდა ძეელ მწიგნობართ გმირულ შრომა-საც. ბევრი ძეელი ამაგდარი მწიგნობრის ღვაწლის წარმოჩენა ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება.

მიქელი რუსთველოლოგის ისტორიაში ამაგდარი პირია. მისი დიდი ღვაწლი ჩაქსოვილა „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ ბუბლიკაციაში — 1712 წელს ქართველი მეფისა და მწიგნობარის ვახტანგ მეექვის თაოსნობით განხორციელებულ გამოცემა-ში. თავისთავად ეს ღვაწლიც საკმარისი იქნებოდა მიქელის დამსახურების აღიარებისათვის, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ მისი ღვაწლი უკავშირდება ძეელი ქართული მწერლობის ორ ისეთ პრობლემატურ საკითხს, როგორიცაა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში წარ-მოდგენილი კრიტიკული რედაქციის ავტორის საკითხები. როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, ვიდრე ქართული სტამბა დღის სინათლეს იხილავდა საქართველოში, მიქელი გადამწერის მძიმე შრომით ემსახურებოდა ქართული წიგნის გავრცელების საქმეს. შემდეგ კი მას ვახტანგ მეექვისის ირგვლივ შემოკრებილ ქართული სტამბის მესაძირებულეთა წრეში ვხედავთ.

თავისი დროის დიდი კულტურტრეგერის, ვახტანგ მეექვისის თაოსნობით გამოცემულ რუსთაველის წიგნს ქართველმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა უწოდა და თუმცა შემდეგაც გრძელდებოდა რუსთაველის პოემის ხელით გადაწერა, მაინც სწორედ ამ გამოცემით დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი სიცოცხლე, გადამწერთა ხელით მონახაზი ასოებიდან — ტექნიკის დონეს მინდობილი, ბეჭდურ ნიშნებში განსხეულებული სიცოცხლე.

1712 წლის გამოცემას საკეთებით სამართლიანად ეწოდება ვახ-

ტანგისეული არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ვახტანგ შევეძლებული ნრუნვითა და რუდუნებით შექმნილ სტამბაში განხორციელდა კტანგისავე „შრომითა და წარსაგებელითა“, არც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გამოცემას ერთვის თვით ვახტანგის მიერ დაწერილი რუს-თველოლოგიური კომენტარები — „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსანისა“. და არც მარტო იმიტომ, რომ თვით გამოცემაში წარმოდგენილ „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად დადგენილ ტექსტს, რედაქციას რუსთაველის პოემისა, აუსახავს ვახტანგისეული აზრიც (თუმცა ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი როდია, რა შეფარდებით ასახავს ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რეაქცია თვით ვახტანგისა და ტექსტის გამმართველის — მიქელის აზრებს).

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემას სამართლიანად ეწოდება ვახტანგისეული იმიტომაც, რომ თვით მიქელიც, როგორც რუს-თველოლოგი, მთლიანად შთაგონებულია ვახტანგის მიერ. გადაჭარბებული როდია რუსთველოლოგად მიქელის მოხსენიება. რუს-თველოლოგობა რუსთაველის პოემის მეცნიერული თვალთახედვით კვლევას გულისხმობს, ხოლო თუ მიქელი არის ავტორი ან თანა-ივტორი ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რეაქციისა, ცხადია, ვახტანგის შემდეგ სწორედ ის იმსახურებს რუსთველოლოგის ტიტულს.

რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში გარკვეულია „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის უმთავრესი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და მათ შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მაგრამ დღემდე რჩება აზრთა სხვაობისა და, მაშასადამე, კვლევის საგნადაც, ერთი უალრესად მნიშვნელოვანი საკითხი — ვინაა ავტორი ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რეაქციისა, თვით ვახტანგ მეექვსე თუ სხვა ვინმე, კერძოდ, ამავე გამოცემაზე ამაგლებული პირი — მიქელ?

კ. კეკელიძე რუსთველოლოგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად თვლიდა ამ საკითხის გარკვევას და დაბეჭითებით ამ-ტკიცდება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის რეადაქტორი, ე. ი. ავტორი კრიტიკული რეადაქციისა, არის არა თვით ვახტანგი, არამედ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი. ამავე დროს, აღნიშნავდა რა მიქელთან დაკავშირებულ ცნობათა

უქონლობას, რუსთველოლოგიის ერთ-ერთ მორიგ ამოცანად ხავდა ამ პირის შესახებ ცნობათა მოძიებასაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტის გამმართველად, ე. ი. რედაქტორ-კორექტორად, მიქელს მიიჩნევთ სხვა ავტორებიც (ქრ. შარაშიძე, ს. კაიშვილი); ა. ბარამიძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემი ტექსტის შემდგენელი, მისი რედაქტორი და კომენტატორი ვახტანგია, მიქელ დეკანოზის შვილი კი მისი თანაშემწე, მის მიერ დადგენილი ტექსტის გამომცემელ-დამბეჭდავი.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი კრიტიკული რედაქციის ავტორის საკითხშე რუსთველოლოგიაში ორგვარი თვალსაზრისია გამოთქმული. საესებით აშეკარაა ისიც, რომ აქ საქმე მხოლოდ პიროვნების დადგენას როდი შეეხება. რედაქტორის ვინაობის გარკვევა ამჯერად სარედაქციო სამუშაოთა ხარისხოვნების განსაზღვრასაც უკავშირდება. ვახტანგ მეექსე, როგორც მეცნიერული რუსთველოლოგიის ფუძემდებელი, ყველასთვის ცნობილია, ხოლო მიქელის პიროვნების, მისი მწიგნობრული ღვაწლის, საერთოდ მისი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

ამგერად ჩვენი კვლევის საგანი თვით მიქელის პიროვნებაა. მიქელის პიროვნების წარმოჩენას, ბიოგრაფიული პორტრეტის გამოკვეთას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მწიგნობრული, საკუთრივ რედაქტორული ღვაწლის გათვალისწინებისათვისაც. ამ მხრივ რუსთველოლოგიმ დააგვიანა.

ვინ გამხდარა ვახტანგ მეფის თანამოსაგრე ჰეშმარიტად ისეთ საბრძოლო საქმეში, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერულ-კრიტიკული რედაქციის გამოცემა იყო? ვინაა ის პირი, რომელმაც ჯერ ვახტანგისავე გვერდით, მისი მითითებებითა და ხელმძღვანელობით თავდადებით იმუშავა, ხოლო ვახტანგის სპარსეთში გაწვევის შემდეგ მარტომ, საკუთარი მხრებით აზიდა უმძიმესი ჰაპანი რუსთაველის პოემის კრიტიკული რედაქციის გამოცემისა?

არცთუ განსაკუთრებით დიდი დრო გვაშორებს ვახტანგისა და მიქელის ხანას, ორნახევარი საუკუნე ცნობათა შენახვისათვის არ არის უსაშველო დრო, მაგრამ უამთა სიავისა და ისტორიული ქარ-

ტეხილების ვითარებებში, ჩვენს ქვეყანას რომ მრავალგზის და
სტყდომია თავს, დროთა გაცილებით მცირე მონაკვეთშიც შეიძლება
ბოდა ძვირფას ცნობათა უკვალოდ დანოქმა. ვინ იცის, პარლამენტის
სანატრელი ცნობა დაგვეკარგა ღვაწლმოსილ წინაპართა შესახებ,
ხოლო ბევრი, ჯერ კიდევ ხელუხლებელი თუ გაუშიფრავი, თვლემს
ძველი სიგელ-გუჯრების პწყარებში.

როგორც ცნობილია, მიქელის სახელი შემოუნახავს „ვეფხის-
ტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის თავფურცელს, და ტექსტის და-
სასრულს დართულ, თვით მიქელის მიერ შეთხულ ორ სტროფს,
აგრეთვე ვახტანგის სტამბაში გამოცემულ „დავითნა“ (1712 წ.)
და „კურთხევანს“ (1713 წ.).

მიქელის მიერ შეთხული ორი სტროფი ერთგვარი უწყებაა
მკითხველთათვის, ქართველი საზოგადოებისათვის, რომ მოხდა
ქვეყნის ცხოვრებაში დიდად ღირსშესანიშნავი ფაქტი — აშ სტამ-
ბური წესით დაიბეჭდა აქამდე „ნაწერი ხელისა“ „ვეფხისტყაოსა-
ნი“. შემდეგ ლაკონურად შეფასებულია თვით წიგნის მნიშვნელო-
ბა („უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა“),
შემდეგ აღნიშნულია ვახტანგის წარმართველი ღვაწლი ამ გამო-
ცემაზე („მეფის ვახტანგის ბძანებით“...), ხოლო შემდეგ მიქელი
თავმოღრეკილად მოიხსენიებს თავის სახელსაც („ნაღვაწი მისის
მლოცვლისა, მესტამბე მიქაელისა“).

მიქელის მიერ შეთხული მეორე სტროფი დიდად საყურადღე-
ბო საკითხს ეძღვნება. მასში გამოცემის თარიღის აღნიშვნის შემ-
დეგ წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემის
მნიშვნელობის შეფასება. მიქელი გვამცნობს, რომ „ვეფხისტყაოს-
ნის“ გამოცემა საყოველთაო საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნი-
ლებას შეესაბამებოდა („ყველაკასა უხარიდა...“), შემდეგ აღნიშ-
ნულია „ვეფხისტყაოსნის“ საღეთო და საერო მნიშვნელობა („ს-
ლოვთა და საეროცა, ვისაცა აქუს სხენა გულსა“), რითაც რუსთა-
ველის წიგნი უდიდესი სიბრძნის შემცველ უმაღლეს ზნეობრივ ნა-
წარმოებად არის გამოცხადებული. რუსთაველის პოემა უშრეტი
წყარო კოდნისა, რომელიც უსწავლელს გაანთლებს, ხოლო გონი-
ერსა და განსწავლულს თავის მაღალ გულისტვმათა პასუხს მიაგებს.

სავსებით აშკარაა, რომ მიქელის ორი სტროფი შეთხულია
გამიზნული გეგმით და ლაკონურად გამოხატავს რედაქციის მთა-
ვარ სათქმელს. სტროფების შინაარსი თავისთავად რუსთველოლო-
გიური მსჯელობაა; რედაქტორის უბრალო, ტექნიკური თანაშემწე,

რომელსაც მეცნიერულად არ ექნებოდა გაზრებული „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა, ვერ შესძლებდა ასე გეგმაზომიერად წარმოეჩინა მისი ბეჭდური გამოცემის მიზანდასახულობა. ტექნიკური მუშაკს, ცხადია, შეეძლო თავისი ღვაწლი ლექსით აღნიშნა პოემის დასასრულს, მაგრამ თუ მისი ცოდნა და მოვალეობა არ სცილდებოდა ტექნიკურ მხარეს, ცხადია, ვერ გაბედავდა და ვერ შესძლებდა გამოცემის მიზანდასახულობისა და მნიშვნელობის ავტორიტეტული ტონით შეფასებას. მიქელის მიერ შეთხულ სტროფთა პოტენცია აშკარად სცილდება ტექნიკური მუშაკის უფლებამოსილების ჩარჩოებს. იგრძნობა, რომ მას უფლება აქვს და ძალუმს კიდეც რედაქტორის კალმითაც მიეახლოს ტექსტს. მართლაც, ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბეჭდვის დამთავრებისას თვით ვახტანგი უკვე ქართლში აღარ იმყოფებოდა. სრულიად აშკარაა, თუ მთელი ტექსტი არა, მისი გარკვეული ნაწილი მანც დაიბეჭდა მხოლოდ მიქელის პასუხისმგებლობით, ჩვენი აზრით, ეს პასუხისმგებლობა რედაქტორის ფუნქციებს უთანაშრდებოდა. მიქელი, ცხადია, ზედმიწევნით იცნობდა და ახორციელებდა ვახტანგის თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიმართ, ამავე ღროს ცალკეულ ტექსტოლოგიურ საკითხთა გადაწყვეტისას იგი უთუოდ სარგებლობდა რედაქტორის უფლებამოსილებითაც. ამას მის მიერ შეთხულ სტროფთა შინაარსი და ტონა-ციაც ადასტურებს.

საკითხის გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია მიქელის ბიოგრაფიის გათვალისწინებაც. ირკვევა, რომ მიქელის მთელი ოჯახი, ფაქტიურად, ისტორიული დოკუმენტების შემდგენელთა, ძველი წიგნების გადამწერთა და გამმართველთა, ე. ი. რედაქტორთა ოჯახია, ამდენად, მიქელის პროფესია მისივე ოჯახური წრის ტრადიციაა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის მიერ მოწოდებული ცნობებით ჩვენთვის ნათელია მიქელის ორი ტიტული: სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი — ხელმწიფის კარის დეკანზის შვილი და თანამდებობრივი — მესტამბე. ვინაიდან მიქელის გვარისა და წარმომავლობის შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი, ისტორიულ დოკუმენტაციაში მის შესახებ ცნობების მოძიებაც, მისი გამორჩევა მცირება მისივე თანამედროვე ყველა სხვა მიქელისაგან, სწორედ ამ ტიტულებით უნდა მოხდეს.

საკითხთა კომპლექსური კვლევის ღროს გამოიყვეთა უაღრესად

რთული შემხვედრი საკითხი. საჭირო გახდა ხელმწიფის კარის და/კანოზთა ისტორიის შესწავლა, კარის დეკანოზთა ვინაობრივი განვითარების 2020 ცალკეულ ეტაპებზე, მათი სახელმწიფო ორგანიზაციების მოღვაწეობის სურათის გამოკვეთა, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ქრონილოგიის, მათივე გენეალოგიური შტოს შემადგენლობის გარკვეულ თარიღობრივ რეალში წარმოჩენა.

სამეცნიერო ლიტერატურა მიქელის შესახებ დღემდე მხოლოდ იმ ცნობებს ემყარება, რომლებიც მიქელის მიერვე შეთხულ ორ სტროფსა და მისივე მონაწილეობით ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი სამი გამოცემის სატიტულო ფურცლებზეა წარმოდგენილი. მხოლოდ ქრ. შარაშიძემ მოუთითა 1712 წლის ერთ დოკუმენტზე, კერძოდ, ნაბახტევის მიწის ნასყიდობის წიგნზე, რომელიც „მესტანბეთ უმფროს მიქელს“ დაუწერია! მკვლევარი იქვე შენიშვნას, რომ ნაბეჭდი წიგნების თავფურცლებისა და ანდერძების გარეშე, ესაა მიქელის შესახებ ერთადერთი ცნობა. სინამდვილეში კი XVII—XVIII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტაცია მიქელის შესახებ მრავალ, ჯერ კიდევ მიუკვლეველ და გაუშიფრავ ცნობას ინახავს.

ირკვევა, რომ ხელმწიფის კარის დეკანოზთა წრე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა უერთგულესი და ქართული საზოგადოების განათლებული ფენაა.

თვით მიქელი ვახტანგის უერთგულესი პირია. მის მიერ შეთხული თრი სტროფიდან ერთში იგი ამეღავნებს თავის პოლიტიკურ პოზიციას: „მისის მლოცვლისა“, — ნათქვამია აღნიშნულ სტროფში ვახტანგის მისამართით. მოვიგონოთ, როდის იწერება ეს სტროფები, — როცა ვახტანგი სპარსეთშია გაწვეული, მისი ბედი ბურუსითაა მოცული და ქართლში საშინელი ანარქიის აზვავება იგრძნობა. მაშასადამე, მიქელი ლოცულობს ვახტანგის საქმის წარმატებისა და მისი მეფედ დაბრუნებისათვის ქართლში. ცნობილია, როგორ აღსდგნენ შემდეგ რეაქციული წრეები ვახტანგის წინააღმდეგ. თვით უმაღლესი სასულიერო ფენებიც ნებით თუ უნებლიერ ჩაბმული აღმოჩნდნენ ვახტანგის საწინააღმდეგო ქმედებაში. მაგრამ ვახტანგს ჰყავდა ერთგული ძალებიც როგორც საერო, ისე სასულიერო წრეებში, და ეს ძალები შეადგენდნენ იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილს. ხელმწიფის კარის

¹ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 198-199.

დეკანოზთა ოჯახიც მიქელის ოჯახურ-ნათესაური წრე, სასულე-
რო საზოგადოების ის ფენა ყოფილა, რომელიც თავეგამოდებული
ერთგულობდა ვახტანგს.

ისტორიულ დოკუმენტთა ცნობების საფუძველზე შესაძლებე-
ლი ხდება ხელმწიფის კარის დეკანოზთა წრის გამოკვეთა საქმიად
ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე — XVII საუკუნის მეორე ნახევ-
რიდან XVIII ს-ის პირველ ნახევრამდე. კარის დეკანოზთა და მათ
შემცვიდრეთა დიდად განათლებული ოჯახური წრის წევრია არა-
ერთი ცნობილი მწიგნობარი. ირკვევა, რომ სწორედ კარის დეკანო-
ზის შვილთა ოჯახის ერთი გვიანდელი წარმომადგენელია ივტორი
ცნობილი მემუარული თხზულებისა, რომელიც ამავე დროს
მეტად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს,
იესე ოსეშვილიც. ამ უკანასკნელის ნამდვილი გვარი დღემდე უც-
ნობია საქართველოს ისტორიისა თუ ქართული მწერლობის მკვლე-
ვართათვის და მხოლოდ კარის დეკანოზის შვილთა ისტორიული
დოკუმენტაციის მასალათა შესწავლით ხდება შესაძლებელი მისი
დადგენაც.

საკითხის კვლევას უაღრესად ართულებდა ერთი გარემობაც.
მართალია, მიქელის ტიტული — ხელმწიფის კარის დეკანოზის შვა-
ლი, თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ არც „ვეფხისტყაოსნის“ ვახ-
ტანგისეული გამოცემის თავფურცლის, არც სხვა რაიმე წყაროს
ცნობით ნათელი არ ყოფილა, თუ სახელდობრ რომელი ტაძრის ან
ხატის დეკანოზნი ასრულებდნენ ხელმწიფის კარის დეკანოზთა დი-
დად პასუხსავებ თანამდებობას. გამოითქვა აზრი, რომ მიქელი უნ-
და ყოფილიყო კარის ოქონის ხატის დეკანოზის იესე გარსევანი-
შვილის გაუი, მაგრამ ისტორიული დოკუმენტები სულ სხვას გვა-
უწყებს. არცერთ ცნობაში არ არის მითითებული იმის შესახებ,
რომ მიქელი ხელმწიფის კარის ოქონის ხატის დეკანოზის შვილია,
ამავე დროს დოკუმენტური ცნობებით უეჭვოდ ირკვევა მიქელის
მამა-ბიძათა, ძმათა და ბიძაშვილთა ვინაობა. ირკვევა ისიც, თუ
სახელდობრ, რომელი ხატის დეკანოზებს ჰქონიათ სამემკვიდრეო
თანამდებობად ხელმწიფის კარის დეკანოზობა XVII საუკუნის
მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე.

აღნიშნული პერიოდის ისტორიულ დოკუმენტებში კარის დეკა-
ნოზები სამგვარად მოიხსენიებიან: დედოფლის კარის დეკანოზები,
ხელმწიფის კარის დეკანოზები და კარის ღვთისმშობლის ხატის
დეკანოზები. ესაა სამგვარი ფორმულით წარმოჩენილი ერთი თანა-



მდებობა. ისიც ირკვევა, რომ ხელმწიფის კარის დეკანონზე მომდევნობის ქარის ოჯახი) სწორედ კარის ღვთისმშობლის ხატის (სიონის) დეკანონზები ყოფილან. მოგვიანებით ზოგიერთი მათგანი საბუთებში უშუალოდ სიონის დეკანოზადაც იწოდება, ზოგჯერ კი „დედოფლის საყდრის კარის ღვთისმშობლის დეკანოზებადაც“ მოიხსენიებიან. მაგალითად, ამგვარად იწოდება ერთ საბუთში იოკიმე, მიქელის პაპა, რომელიც სწორედ კარის დეკანზი ყოფილა. „მე დედოფლის საყდრის კარის მღთისმშობლის დეკანზის იოკიმეს შვილის თეოდოტეს შვილს მღვდელს მიხაილს დამიწერია...“

მიქელისა და მის წინაპართა გენეალოგიური შტოს დასადგენად, რადგან ძეგის დასაწყისში არავითარი ცნობა არა გვქონდა, ვინ იყო დამამკვიდრებელი და პირველი წარმომადგენელი ამ შტოსი, ძეგის ზემოდან ქვემოთ, ცნობილი პირიდან უცნობი წინაპრებისაკენ წარვმართეთ და მიქელი ჯერ თვის თანამედროვეთა შორის წარმოვაჩინეთ, სანიშნო ტიტულების მიხედვით გამოვკვეთეთ მისი ოჯახის წევრები და შემდეგ ქვემოთ ჩავყევით წინაპართა ხაზს. მიქელის შესახებ ცნობების მოძიებას ვიწყებთ იმ დოკუმენტებში, რომლებიც თარიღობრივად ახლოს დგანან „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემასთან. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამჟრად შესაძლებლობა არა გვაქვს დეტალურად წარმოვაჩინოთ ყველა ცნობა, რომელიც მიქელისა და მისი ოჯახის წევრთა სახელებს მოიხსენიებს, შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

სწორედ 1712 წელს მიქელს დაუწერია ერთი ნასყიდობის წიგნი. წიგნის დასასრულს მიქელი თავისთავს მოიხსენიებს იმ ტიტულით, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის თავფურცელზეა წარმოდგენილი: „მე კელმწიფის კარის დეკანზის შვილს მიქელს დამიწერია, ქ'კს უ“².

1713 წელს მიქელს შეუდგენია დომენტი კათალიკოსის წყალობის წიგნიც მღვდელ გურიულ მახარებლისადმი. ჩვენამდე მოღწეულია თვით მიქელის შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით შესრულებული დედანი, რომლის დასასრულს ვკითხულობთ: „დაიწერა კელითა კელმწიფის კარის დეკანზის შვილის მიქელისათა ქ'კს უ“³.

ის ფაქტი, რომ მიქელი გვევლინება ვახტანგ მეექვსის ძმის, დო-

² სცა, ფ. 1450, დავთ. 18, საბ. № 54.

³ საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტატუტი, Ad. 1733. (შემდგომში მხოლოდ ფონდის ნომრებს მიეუთიებთ).



მეტი კათალიკოსის საბუთის დამწერად 1713 წელს, როცა თვით გახტინგი უკვე აღარ იმყოფება საქართველოში, სავსებით ნათელი და სამეცნიერო მიქელი უმაღლეს სასულიერო წრეებთან და სამეცნიერო ოჯახის წევრებთანაც ახლო მდგომი პირია, როგორც ჩანს, „ვეფას სისტუაციის“ გამოცემის საქმე არ იყო ერთადერთი და მთთ უფრო, შემთხვევით დამაკავშირებელი ფაქტორი მიქელისა უმაღლეს წრეებთან.

1706 წელს მიქელს დაუწერია ჯავახიშვილების ნაცუილობის წიგნი (...კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შეილის მიქელისათა), 1701 წელს მასევ შეუდგენია მაღალაძის შეწირულების წიგნიც.

ჩვენამდე მოღწეულია 1697 წელს ერეკლე პირველის მიერ ურბნელ ებისკოპოს იოსებ ჯავახიშვილისათვის ბოძებული წყალობის სიგელის დედანი. სიგელის დასასრულს ვკითხულობთ: „დაიწერა ბრძანება და ფარგლენი ესე ქადაგი ტკე კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შეილის მიქელის ისით ა“.

1681 წელს კათალიკოს ამილახორის შეილის დაკვეთით მიქელს ნუსხურად გადაუწერია „დაუჭდომელი“⁴. ამავე კათალიკოსის დაკვეთით 1681 წელსვე მიქელს თავის ერთ-ერთ მმასთან ერთად გარაუწერია გულანიც⁵. სწორედ ამ ხელნაწერში მოიხსენიება პირველი მიქელის სახელი. ამრიგად, მწიგნობრულ ასპარეზზე მიქელი პირველი და 1681 წელს გამოჩენდება როგორც გადამწერი. აი, მიქელის 1681 წლის მოხსენიებაც, რომელიც მისისავე ანდერძს წარმოადგენს: „აღიწერა წერი ეს თვენი სეკდენბერი და ოკლონბერი ვიდრე ნოენბრის ივ-მდე ბრძანებითა პატრიონის ამილახორის შეილის კათოლიკოზის ნიკოლოზისათა ქადაგი ტკე, მარტისა იდ, კელითა კელმწიფის დეკანოზის შეილის მიქელისათა“.

ამავე ხელნაწერს შემოუნახავს მიქელის ძმის, აბელის ანდერძიც, რომელსაც ტექსტის გარკვეული ნაწილი გადაუწერია.

საკუთრივ მიქელის ოჯახიდან ისტორიული დოკუმენტაცია ექვს ძმას წარმოაჩენს, ასაკობრივად მიქელი ძმათა შორის მესამე ყოფილია. აი, მათი სახელდებითი სიაც: ნიკოლოზ, აბელ, მიქელ, გაბრიელ, დიმიტრი, იოსებ. გაუყრელ ძმათა საგვარეულო საბუთებში

⁴ ჩ—98.

⁵ А—30.

ადრე გარდაცვლილი რთმელიმე ძმის ნაცვლად, ჩვეულებრივ, შის უფროს ვაჟიშვილს მოიხსენიებდნენ, რომელიც მამის ნაცვლების ხდებოდა მოწილე საერთო მფლობელობისა. მიქელის ერთ-ერთი ძმა, — აბელი ადრე გარდაცვლილა, ამიტომაც მის ნაცვლად საგვარეულო საბუთებში მისი უფროსი ვაჟიშვილი მელქისედეკი მოიხსენიება. ეს უკანასკნელი მიქელის ოჯახს აბელის ნაცვლად წევრად მიუღია და შვილივით შეუთვისებია. ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილებად ისტორიულ დოკუმენტებში მხოლოდ და მხოლოდ მიქელი და მისი ძმები იწოდებიან, მაგრამ ეს ტიტული როგორც მამაბიძებს, ასევე აბელის შვილს მელქისედეკაც მიუღია.

თვით მიქელის გარდა, მწიგნობრულ ასპარეზზე დამსახურებული არიან მისი ძმები აბელი, გაბრიელი, დიმიტრი, აგრეთვე ძმისწული მელქისედეკი. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, მიქელი ხელმწიფის კარის დეკანოზის — პეტრეს შვილი ყოფილა. 1698 წლის სააღაპო წიგნის დასასრულს ვკითხულობთ:... „მე დედოფლის კარის დეკანოზის პეტრეს შვილს მიქელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი“. უფრო ადრე, 1682 წელს მაზიტაშვილები მიწის ნასყიდობის წიგნს აძლევენ კარის დეკანოზს პეტრესა და მის შვილებს ნიკოლოზს, აბელს, მიქელს, გაბრიელს და დემეტრეს⁶.

ჩვენამდე მოღწეულა მიქელის ძმის, აბელის ხელით შესრულებული არაერთი ისტორიული დოკუმენტი, მათ შორის სამეფო სიგელებიც. კერძოდ, მას შეუდგენია ციციშვილების ნასყიდობის წიგნი (1690 წ.), სულეიმან ბატონიშვილის წყალობის წიგნი სახლთუბურეს რევაზ და სხვა მაღალაძეთადმი (1686 წ.), გიორგი XI-ის წყალობის წიგნი მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი (1678 წ.), გიორგი XI-ის შეწირულების წიგნი ჯვარის მონასტრისათვის (1678 წ.) და სხვა, ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი, რომელიც აბელის სახელს მოიხსენიებს, 1668 წლით თარიღდება⁷.

მიქელის მამა-ბიძათა, აგრეთვე თვით მიქელისა და მისი ძმების ოჯახთა დიდად მწყალობელნი ყოფილან ვახტანგ V, გიორგი XI, ვახტანგ VI, აგრეთვე სამეფო ოჯახის სხვა წარმომადგენელნიც.

1673 წელს ვახტანგ V-ს წყალობის სიგელი მიუცია კარის დეკანზ პეტრესა და მისი შვილების — ნიკოლოზისა და აბელისათვის. პეტრე დეკანოზის უმცროსი ვაჟები, მათ შორის აბელის მომდევნო

⁶ Ad — 9602 (იხ. აგრეთვე: სცა, ფ. 1449, საბ. № 425).

⁷ სცა, ფ. 1450, დავთ. 21, საბ. № 41.



მიქელიც, საბუთში არ მოიხსენიებიან. ცხადია, ისინი ან ჯერ კიდევთ
არ არიან დაბადებულნი, ან ძალიან მცირეწლოვანი არიან. ვახტანგ
V-ის წყალობის სიგელში აღნიშნულია, რომ პეტრე დეკანოზის ოჯა-
ხი ხელმწიფის წინაშე ერთგულად ნამსახურია. სიგელს ამტკიცებს
მარიამ დედოფალიც.⁸

მიქელის მამას, პეტრე დეკანოზს, რამდენიმე ძმა ჰყოლია. საბუ-
თებში იძებნება ექვსი ძმა — მიქელის მამა-ბიძანი: მოსე, საბა, და-
ვით, პეტრე, ზაქარია და მხატვარი. ხელმწიფის კარის დეკანოზად
პეტრეზე ადრე მისი უფროსი ძმა დავითი მოჩანს. მიქელის მამის,
პეტრეს კარის დეკანოზობა მემკვიდრეობით მიუღია უფროსი ძმის,
დავითის გარდაცვალების შემდეგ. ხოლო პეტრეს გარდაცვალებას
შემდეგ დეკანოზობა კვლავ უფროსი ძმის, დავითის მემკვიდრეზე
გადასულა. ამრიგად, ხელმწიფის კარის დეკანოზთა დიდი ოჯახის
ორი ქვეშტოს სახით წარმოჩნდება ისტორიულ დოკუმენტებში: და-
ვითის შტო და პეტრეს შტო (პეტრეშვილები).

ორივე ქვეშტოს წარმომადგენლებს ქართული მწიგნობრობის
ასპარეზზე და ქართული სტამბის პირველმოღვაწეთა შორისაც
ვხედავთ.

მიქელის მამა-ბიძათა შესახებ ყველაზე აღრინდელი, ჩვენამდე
მოღწეული საბუთი 1651 წლით თარიღდება, მაგრამ ზოგიერთი
ცნობით ნათელი ხდება, რომ უფრო ადრე კარის დეკანოზი ყოფი-
ლა მიქელის პაპა იოკიმეც.

მარიამ დედოფლის სიგელიდან ირკვევა, რომ მიქელის ერთ-
ერთი ბიძა, პეტრე დეკანოზის ძმა, მხატვარი ყოფილა. მისი სახე-
ლი, სამწუხაროდ, დოკუმენტში აღნიშნული არაა, იგი თავისი პრო-
ფესიული წოდებით იხსენიება. მარიამ დედოფალი მიქელის მამა-
ბიძათა ოჯახს მთელი ზემო ქართლის მებალახეობას სწყა-
ლობს.⁹

მიქელის ძმა გაბრიელიც ხელნაწერთა გადამწერად და გამმარ-
თველად გვევლინება. კერძოდ, მას იობისთან ერთად მდივანბეგ
ორბელიშვილის (საბას მამის) დაკვეთით გადაუწერია ბიბლია. იმ
დროს გაბრიელი სრულიად ახალგაზრდა ყოფილა. ხელნაწერის
ანდერძი გვამცნობს: „ლმერთო, შეიწყალე ამისი დამწერი ცოდვი-
ლი მონა ქრისტესი, დედოფლის დეკანოზის შვილი ახალმოსწავლე

⁸ Hd—831.

⁹ Hd — 14688.

მწერალი გაბრიელ¹⁰... ანდერძშივე აღნიშნულია: „ლმერთო, განა-
ძლიერე ბატონი მდივანბეგი, მამა სულხანისაა“.

მდივანბეგ ორბელიშვილის, ორგორც დაკვეთის, მოხსენიება
სავსებით ბუნებრივია, მაგრამ იქვე გადამწერს საჭიროდ დაუნახავს
იმის აღნიშვნაც, რომ „ბატონი მდივანბეგი“ სულხანის მამაა. რატომ
დასჭირდა გადამწერს „ბატონი მდივანბეგის“ ერთი ვაჟის მოხსე-
ნიება, ისიც აუცილებლად სულხანისა? (მდივანბეგ ორბელიშვილს,
სულხანის გარდა ხომ კიდევ შვიდი ვაჟიშვილი ჰყავდა?). ვფიქ-
რობთ, ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ხელნაწერის გადა-
მწერს, მიქელის ძმის გაბრიელს, ახლო მევიბრული ურთიერთობა
უნდა ჰქონოდა სულხანთან და მისი დიდი პატივისმცემელიც ყო-
ფილიყო.

მიქელის ძმა გაბრიელი ერთხანს კარის დეკანოზიც ყოფილა. ეს
ჩანს კონსტიტუციის მაპმად ყული-ხანის წყალობის სიგელიდან, რო-
მლითაც ამ უკანასკნელს მამულის მფლობელობა განუახლებია გა-
ბრიელ დეკანოზისათვის¹¹. საბუთში გაბრიელს ოფიციალურად
ეწოდება კარის დეკანოზი.

იმ უდიდეს საქვეყნო უბედურებას, აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს რომ დაატყდა თავს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის
დასასრულს, და რომელსაც ეროვნული ცენტრალური ხელისუფ-
ლების კატასტროფა მოჰყვა შედეგად, როგორც ჩანს, ტრაგიული
გავლენა მოუხდენია ძმების — მიქელისა და გაბრიელის პირად
ცხოვრებაზეც. საფიქროებელია, რომ მიქელი მსხვერპლადაც შეს-
წირვია საქვეყნო უბედურებას. მისი სახელი უკანასკნელად ერთ
უთარილო დოკუმენტში გვხვდება, რომელსაც 6. ბერძენიშვილი
სავსებით მართებულად ათარიღებს 1722-1723 წლებით. წიგნი
თვით მიქელს დაუწერია („მე ქელმწიფის კარის დეკანოზის შვილს
მიქელს დამიწერია“). იმის შემდეგ წყდება მიქელის სახელის ხე-
ნება ქართულ წყაროებში. ველარ ვპოლობთ მის სახელს ვერც
ხელნაწერთა ბოლოს გადამწერთა ცნობებში, ვერც ისტორიულ
დოკუმენტებში და ველარც ვახტანგ VI-ის თანმხლებ პირთა შო-
რის რუსეთის ემიგრაციაში. გაქრა მიქელის ხენება თვით საოჯახო
საბუთებშიც, რაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეიძლებოდა მომ-
ხდარიყო. სავსებით დასაშვებია მიქელის სახელის გაქრობა იმ პე-

¹⁰ H—885.

¹¹ სცსა, ფ. 1449, საბ. № 2382.

რიოდში თბილისის თავზე დატრიალებულ უდიდეს ეროვნულ უბედურებას დაუკავშიროთ. ცნობილია, რომ 1723 წელს კონგრესი ტანტინე მაპმად ყული-ხანის სისხლიანი ავანტიურების შედეგად თბილის-ქალაქი ლექთა სათარეშოდ იქცა. ამავე წლის ივნისში ოსმალებიც თბილისს მოადგნენ, კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო ქალაქი და ახლა თბილისი ოსმალთაგან აშიოკების მსხვერპლიც შეიქნა. სწორედ 1723 წლის სისხლიან ტრაგედიებს ემსხვერპლა ვახტანგის სტამბაც. ვინ იცის, იქნებ ქართული სტამბის იავარყოფასაც შეეწირა ღვაწლმოსილი მესტამბე და პირველ გამოცემათა ამაგდარი მუშაკი მიქელ? იქნებ ქართულ სტამბას, მწიგნობრობის ამ ახალ დიდ კერას, ხმალშემართული იცავდნენ მისი მუშაკნიც და სწორედ ქართული სტამბის ჩაქცეულ კედლებთან და ცეცხლმოდებულ კარიბჭესთან დაიღვარა პირველ მესტამბეთა, მათ შორის მიქელის სისხლიც?

მძიმე ხევდრი ჰქონდომია წილად მიქელის ძმას გაბრიელ დეკანოზესაც. იგი სიონის აქლების უამს სწორედ სიონის ტაძარში შეუყრიათ ლექებს, ტყვედ წაუყვანიათ დაღესტანში, საღაც დიდი ტანჯვა-წამება უნახავს და მხოლოდ გვიან დაუხსნია თავი.

მიქელის ძმა დიმიტრიც დიდად განსწავლული და ძმათა მსგავსად მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა უერთგულესი ყოფილა, მას თავიდანვე არჩილ მეფის სამსახურში ვხედავთ. არჩილს თან ჰქლებია იგი რუსეთშიაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ სწორედ დიმიტრი ხელმწიფის კარის დეკანოზის შეილის სახელთან დაკავშირებული მასალებით ხდება შესაძლებელი ქართული მწიგნობრობის ისტორიაში დიდად ნაღვაწი წრის, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა გვარის გარკვევა.

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს დიმიტრის 1702 წელს გადაუწერია არჩილ მეფის მიერ რუსულიდან ნათარგმნი „მართლმადიდებელი აღსარება“. როგორც ცნობილია, არჩილი 1699 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული არჩილ მეფე დიდ მწიგნობრულ მუშაობას აჩალებს რუსეთში, ცნობილია, რომ არჩილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ სტამბას მოსკოვში და 1705 წელს დაბეჭდა დავითნი. ცხადია, არჩილს უნდა ჰყოლოდა ერთგული და დიდად განათლებული მწიგნობარი თანაშემწენი, სტამბის განსწავლული მუშაკნი, სარედაქციო საქმეში მისი შემწენი. საფიქრებელია, რომ სწორედ ერთი იმათგანი იყო ხელმწიფის კარის დეკა-



ნოზის შვილი დიმიტრიც, მიქელის ძმა. დიმიტრის მიერ გადაუწერილ ხილ ხელნაშერს („მართლმადიდებელი ორსარება“) შემდგენ ანგარიში დაუცავს: „ადიდე ღმერთო ორსავე ცხოვრებასა ძე მეფის ვახტანგის, მეფე მორშმუნე პატრონი არჩილ, რომელმან ინება წიგნისა ამის რუსულისაგან ქართულად გარდმოლება, თვთ იყო კეთილად წიგნისა ორსავე ქართულისა და რუსულისა სწავლულ და მთარგმნელ. დაიწერა ქორონიკონსა დასაბამითგან აქამდე გარდასრულსა წელსა შვდიათას ორას ათასაც, კელითა ფრიად ცოდვილის კარის დეკანოზის შვლის დიმიტრისითა, ქალაქსა დიდსა მოსკოვს, მცყრბელობასა პეტრე ალექსის შვლისასა“.

დიმიტრის გადაუწერია აგრეთვე „დავითნიც“¹². ვინაიდან 1705 წელს სწორედ „დავითნი“ დაბეჭდა არჩილმა მოსკოვში, საფიქრებელია, რომ ამ საქმისაგან შორს არ იქნებოდა მოსკოვში არჩილთან მყოფი „დავითნის“ გადამწერი და, მაშასადამე, სარედაქტო სამუშაოებისათვის ყველაზე უფრო შესაფერი პირი — ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი დიმიტრი. ხელნაშერის ანდერძი გვამცნობს „სრულ იქნა წმინდად ესე დავითნი კელითა ფრიად ცოდვილისა ქართველის ბატონის შანაოზ [ის] დეკანოზის შვილის ხელით დიმიტრისითა“. ამრიგად, თუ თბილისში ვახტანგ მეევესის სტამბაში სწავლულ თანამშრომლად, რედაქტორ-კორექტორად ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი გვევლინება, გვაქვს საფურველი უფრო ძღვრე მოსკოვის ქართულ სტამბაში არჩილის თანაშემწეთა შორის მიქელის ძმა, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი დიმიტრი ვივარაუდოთ.

1703 წელს დიმიტრის გადაუწერია „სამოციქულო“. სწორედ ამ ხელნაშერს შემოუნახავს ანდერძი, რომელიც გვამცნობს ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა გვარს. ნათელი ხდება გვარი მიქელ რუსთველოლოგისაც და ქართული მწიგნობრობის ისტორიაში დიდად ამაგდარი წრის, ქართული სტამბის მესაძირკვლეთა ერთი წრისაც.

„სამოციქულოს“ შემდეგი ანდერძი შემოუნახავს: დიდება ღმერთსა ყოვლისა არსისა დამაარსებელს, რომლის ძლით სრულ ეყავ წმიდაი ესე წიგნი აპოსტოლე (!) აღწერა, საქართველოს კელმწიფის კარის დეკანოზის პეტრეს შვილმან, ფრიად ცოდვილმან და ყოველთა მწერალთა უმრჩემესმან კავკასიძემ დიმიტრიმ ქალაქსა დიდსა სამეფოსა მოსკოვს, მცყრობელობასა პეტრე ალექსის

შვილისასა, ქართული ტერმინის გასულს ით“. ანდერძში წარმოდგენ-
ნილია მიქელის ოჯახის სრული ტიტულიცია („საქართველოს კოლეგია
მწიფის კარის დეკანოზის პეტრეს შვილმან“) და, ცხადია, საძრებე-
ლი გვარიც ყოვლად უკვეთოა.

მაშასადამე, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი გვარად კავ-
კისიძები ყოფილან. ამის შესახებ ცნობა მოწოდებულია თვით
ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის დიმიტრის ანდერძში, მაგ-
რამ ვიღრე წინასწარ არ გამოვკვეთდით ამ დიმიტრის ვინაობას,
საერთოდ მიქელის ოჯახის წევრთა — მამისა და ძმათა სახელებსა
და ტიტულაცის, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა მათი გვარის
დადგენაც. შესაძლებელი გახდა მოძიება ცნობისა, სადაც ონიშ-
ნულია ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის დიმიტრის გვარი,
მაგრამ ამ ცნობას მხოლოდ მაშინ ენიჭება გადამშუცეტი მნიშვნე-
ლობა მიქელის გვარის გასარკვევად, როცა წინასწარ დოკუმენტუ-
რად დადგენილია, რომ საქმე სწორედ მიქელის ძმას დიმიტრის შე-
ეხება და არა იმავე პერიოდში მოღვაწე იმავე სახელის მქონე სხვა
რომელსამე პირს.

ამავდა, როცა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა გვარი ნა-
პოვნია, შესაძლებლობა გვეძლევა თვით კავკასიძეთა დოკუმენტუ-
რი მასალებითაც შევამოწმოთ დასკვნათა სისწორე. მართლაც,
იძებნება შემთხვევები, როცა დოკუმენტებში კავკასიძის
გვარით მოიხსნიებიან მიქელის ბიძები — მოსე და ხელმწიფის
კარის დეკანოზი დავითი („ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი და-
გიწერეთ და მოგართვით ჩვენ კავკასიძემ მოსემ, ან „და-
იწერა მტკიცე და შეუცვალებელი ესე სიგელი ქართული ქართული გვარი ბატონის კარის ხუცის კავკასიძის დავით მღდლისითა“)¹³.

კავკასიძე მესხური გვარია. მოვიანებით ისინი მესხეთიდან
ქართლს გადმოსულან. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, კავკა-
სიძე ძველ მთავართა გვარი ყოფილა. მიქელის ოჯახის წევრები სა-
ბუთებში ძირითადად აზნაურებად იწოდებიან.

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა გვარისა და ვინაობის
გარკვევის შემდეგ ნათელი ეფინება ლიტერატურის ისტორიისა-
თვის დიდად საინტერესო ერთ საკითხსაც. ირკვევა ზუსტი ვინა-
ობა და მთელი სისრულითაც წარმოჩნდება ბიოგრაფიული პორტ-
რეტი XVIII საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებში მრავალგზის

¹³ სცხა, ფ. 1450, ვავთ.

7. მწიგნობარი, II.

სახელდებული პირის, ცნობილი მწიგნობრის, გადამშერისა და
რედაქტორის, მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა კარზე დიდად მიმდინარებული
ხურის, ვახტანგ VI-ისა და ბაქარის მდივნის, მათივე ამალის წევ-
რის რუსეთს და იქ მწიგნობრული საქმიანობის ერთ-ერთი თვალ-
საჩინო წარმომადგენლის — მელქისედეკ კავკასიონისა.

ამგვარად, ასცდა XVIII საუკუნის ორი მწიგნობრის — მიქელ
და მელქისედეკ კავკასიონების ნათესაური ხაზი. მელქისედეკი მი-
ქელის ძმისწული და მისი ოჯახის განუყრელი წევრია. მაგრამ მთა-
ვარი ისაა, რომ მიქელი და მელქისედეკი არა მხოლოდ ერთი ოჯა-
ხის წევრნი, არამედ ერთი მწიგნობრული სკოლის წარმომადგენელ-
ნიც უნდა იყვნენ. რაკი ობლად დარჩენილი ბავშვი შვილივით აღუ-
ზრდია მიქელის ოჯახს, ე. ი. ბიძებს, საფიქრებელია, პირველი
მწიგნობრული წვრთნაც სწორედ მიქელის ოჯახში, შესაძლოა,
თვით მიქელისაგანაც მიიღო. ყლველ შემთხვევაში, რედაქტორულ
საქმიანობაში მელქისედეკის პირველ მწვრთნელად უთუოდ ბიძა
მიქელი უნდა ვივარაუდოთ. ამდენად, ცხადია, საფუძველს მოკლე-
ბული არაა მათი რედაქტორული მეოთხის ერთგვარობაზე ყურად-
ლების გამახვილებაც.

მელქისედეკ კავკასიონებს, ხელმწიფის კარის დეკანზის შვილ-
თა ოჯახის წევრს, წილად ხდება ბოლო გზაზედაც ერთგული სამ-
სახური გაეწია ვახტანგ მეექვსია და ბაქარისათვის.

ჩვენამდე მოღწეულა მელქისედეკის ბრწყინვალე კალიგრაფი-
ული ხელით დაწერილი მრავალი ისტორიული საბუთი, მათ შორის
სამეფო სიგელებიც. მელქისედეკის ხელი წაგავს მიქელის ხელს,
მხოლოდ უფრო სტილიზებულია.

მელქისედეკი ვახტანგისა და ბაქარის კარზე დიდად პატივდე-
ბული პირია. 1724 წელს მას მდივნობა მიუღია. მელქისედეკის პი-
როვნების გასათვალისწინებლად ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანია
ბაქარის 1728 წლის წყალობის სიგელი.¹⁴ იმ სიგელს შემოუნახავს
ზოგიერთი მეტად საინტერესო ცნობა მელქისედეკის ბიოგრაფიის
შესახებ. ირკვევა, რომ მელქისედეკი სიყრმიდანვე ბაქარის უახ-
ლოესი პირი, მისიერ თანაშეზრდილი ყოფილია. მძიმე ვითარებასა
და შეჭირვებაში მელქისედეკი ყოფილა ბაქარის განუშორებელი
მხლებელი. საბუთში აღნიშნულია თვით არჩილ მეფის წყალობაც
მელქისედეკის ოჯახის მიმართ.

14 Qd—9605.

ტრაგიკულ ყოფაში განვლო ვახტანგის ამალის წევრთა, მათ შორის მელქისედეკ კავკასიის ცხოვრებამაც ემიგრაციაში.  შობლის სეცდა მძიმე ლოდად აწვათ ამალის წევრებს. ცრემლურ იდალა მათ პირად ცხოვრებასა და მწიგნობრულ ღვაწლშიც. თვალსა და ხელს შუა გაუქრათ ჯანის სიმრთელე, სულიერი მხნეობა, იმედი და რწმენა. მელქისედეკი მის მიერ გადაწერილი საბას ლექ-სიკონის ანდერში გვაუწყებს, რომ მწიგნობრული საქმიანობა ერთ-გვარ საშუალებად დაუსახავს „სევდისა გასაქარეებლად“, მაგრამ ალარაფერს შეეძლო მისი უმძიმესი სულიერი განწყობილების გან-ქარება. მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ ოვითმოხსენიებისას თავის მყარ, ლამის განუშორებელ ეპითეტად მელქისედეკს აურ-ჩევია „უნდო“ („უნდო“ — არად საქმარი“, — საბა). ამ სიტყვაში ჩანს გაწამებული ადამიანი, რომელსაც ბედმა სამშობლოსაგან მო-წყვეტაც არგუნა ხვედრად. მელქისედეკ კავკასიებს, ისე როგორც მრავალ სხვათაც მის ბედში მყოფთ, „არად სახმარად“ ესახება თა-ვისი ყოფა სამშობლოსაგან მოწყვეტით.

მელქისედეკს გადაუწერია არაერთი ხელნაწერი, კერძოდ: Q 548 — ვახტანგ VI-ის კრებული (XVIII ს.); „ბრძანებითა მეფეთ-მეფისა პატრონისა ვახტანგისათა“; S 4500 — ვახტანგ VI-ის ლექ-სები და პოემები (1723 წ.); A 74 — პრკლე დიადოხოსი, პლატონურისა ფილოსოფოსისა კაშირნი ღმრთის მეტყულებით-ნი (1731 წ.); H 621 — მოკლე სიტყვიერება სოგრატისა, ბაქარ მე-ფის დაკვეთით (1745 წ.); H 1736 — საბას ლექსიკონი (1756 წ.).

უკანასკნელად, 1763 წელს, უკვე მხოვან მელქისედეკ კავკა-სიძეს გადაუწერია თავისი გაზრდილის, ლევან ბაქარის ძის მიერ თარგმნილი „მსოფლიო ისტორია“. ესაა მელქისედეკის უკანასკნე-ლი ნაღვაწი. თავისი შრომის დასრულების შემდეგ ლევან ბატო-ნიშვილი მოულოდნელად გარდაცვალება უდი-დესი ლახვარი ყოფილა მელქისედეკისათვის და, შესაძლოა, ამ ტრაგედია დააჩქარა კიდეც თვით მელქისედეკის სიკვდილიც. სწორედ 1763 წლიდან ქრება მელქისედეკ კავკასიის სახელის ხე-ნება ქართულ ხელნაწერებსა და ისტორიულ დოკუმენტებში.

მის მიერ გადაუწერილ ხელნაწერთა ანდერძებში მელქისედეკი გვაწვდის ორიოდე ცნობას, რომლებიც მეტად საინტერესოა მისი, როგორც ტექსტთა გადამწერ-გამმართველის მეთოდის გასათვა-ლისწინებლად. ირკვევა, რომ მელქისედეკი ყოფილა არა მხოლოდ

ტექსტების გადამწერი, არამედ გამმართველიც, ესე იგი სარეალურო
ციონ სამუშაოთა შემსრულებელიც („გადასაწერ გასამართავადაც ამავის
ბოძა“),¹⁵ ხოლო „გამართვა“ მელქისედეკის ანდერის ტანახებული,
გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ტექნიკური მხარის მოწეს-
რივება. ამ აზრით სინტერესოა მელქისედეკისავე ცნობა: „მებრ-
ძანა სასასჭლონი სასჯელნი“... აქედან ნათლად ჩანს, რომ მელქი-
სედეკ კავკასიის შრომა სწავლული რედაქტორის შრომაა, რომელ-
საც ხელეწიფება სარედაქციო ტექსტის სწორებაც. მოვიციხოთ
მელქისედეკის ცნობაში მოხმობილ სიტყვათა მნიშვნელობა: „საშ-
ჯელ-ი, სასჯელი-ი, სარჯელ-ი, სარჩელ-ი, „შჯა“, „ტანჯვა“, „სატა-
ნჯველი“; სამართალი, სამსჯავრო, განაჩენი — „მსჯავრი“, „მშჯებუ-
რი“, „დასჯა“¹⁶. ამ მნიშვნელობებს რომ ვითვალისწინებთ,
სრულიად აშკარა ხდება მელქისედეკ კავკასიის ცნობაში
მოხმობილი თქმის („სასასჭლონი სასჯელნი“) აზრიც: მელქისე-
დეკისათვის, როგორც ტექსტის გამმართველისათვის, უბრძანებიათ
სჯა, განსჯა, მსჯავრდება, განაჩენი, მსჯავრი სარედაქციო ტექსტისა.
ეს კი ნიშნავს, რომ მისთვის მიუნიჭებიათ სრული უფლებამოსი-
ლება სარედაქციო ტექსტის სწორებისაც. ცხადია, ენდობოდნენ
მის ცოდნასაც და რედაქტორულ შესაძლებლობებსაც. ხოლო თუ
მელქისედეკს მიქელის ნამოწაფარ-გაზრდილად ვივარაუდებთ,
შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგ VI ალბათ, ისევე ენდობო-
და მიქელის განსჯასა და მსჯავრს, როგორც მისი შეიღილიშვილი,
ლევან ბაქარის ძე მიქელის ძმისწულის — მელქისედეკის აზრს.

ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახის ორი შტოსაგან ჩვენ მხო-
ლოდ პეტრე დეკანოზის შტო (მიქელის ოჯახი) წარმოვაჩინეთ. ქა-
რთულ მწიგნობრობაში დიდად დამსახურებული ჩანს ოჯახის მეო-
რე შტოი — კარის დეკანოზ დაიითის ოჯახიც. სამწუხაროდ, ამ-
ჟრად შესაძლებლობა არა გავაქს ამ შტოს მწუხარულ დამსა-
ხურებაზე ვისაუბროთ რა მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ
შტოს დოკუმენტური მასალებით ირკვევა. რომ ისე ასე შეკილი,
ივტორი XVIII საუკუნის ცნობილი თხზულებისა, გვარად კავკა-
სიძე, ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახური წრის ერთ-ერთი
გვანდელი წარმომადგენელი ყოფილა. ამ საკითხის გარკვევა კი
დიდად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიქელის ოჯახური წრის
გამოკვეთის თვალსაზრისით, არამედ თვით ისე ასე შევილის თხზუ-
ლების ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირები-
თს იღია აბუ ლადე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 317-



თაც. როცა ნათელი ხდება იქსე ოსეშვილის წინაპართა გვარი: ვინაობა, მათი პოლიტიკური პოზიციები ისტორიულად, სხვა ფერადით ედება თვით თხზულებაში წარმოდგენილ არაერთ ცნობასაც.

ძველ ცნობებში ღრმასეულ პიროვნებად ჩანს იქსე ოსეშვილის მამა — ოსე იქსეს ძეც. ჩვენამდე მოღწეულია მისი ხელით დაწერილი არაერთი ისტორიული დოკუმენტი. დიდ განათლებასთან ერთად ოსე იქსეს ძე მაღალი ზნეობრივი თვისებებითაც გამორჩეული ყოფილა. როცა თბილისქალაქი ლევთა და ოსმალთა სათარეშოდ იქცა, თვით სიონიც თხრდა და მას რეალურად დაემუქრა უსაშინელესი საფრთხე მეჩეთიდან გადაკეთებისა, ოსე იქსეს ძე მაღალი ზნეობრივი სიმტკიცითა და თავდადებით ერთგრი მწედ შესდგომია სიონის გადარჩენის საქმეს.

სიონის ტაძრის გადასარჩენად ოსეს თავდადების შესახებ ცნობებს გპოულობთ თეომურაზ მეორის წყალობის სიგელში, რომელიც 1757 წელს არის გაცემული¹⁶.

თვით იქსე ოსეშვილის თხზულებაში აღნიშნულია, რომ მისი მამა-პაპანი ყოფილან „მღვდელი წმინდია ეკლესიისა... წვრთილნი მეცნერებითა და საფრასოფოსოთა და საეკლესიოთა წერილთა და მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებლობითა“. როცა მთლიანობაში ვითვალისწინებთ იქსე ოსეშვილის წინაპართა ცხოვრება-მოღვაწეობასა და მაღალ ზნეობრივ მხარეს, ნათელი ხდება, რომ შვილური მიერჩობა იჩ ჭრბობს იქსე ოსეშვილის მიერ თავის წინაპართა შეფასებაში.

დიდად განათლებული მწიგნობარნი, ქართული სტამბის მესაძირელეთა წრის წარმომადგენელნი (თვით მიქელი მესტამბეთ უფროსია 1712 წელს), კორექტორნი და რედაქტორნი, ხელნაწერთა გადამწერნი და ისტორიულ დოკუმენტთა, მათ შორის სამეფო სიგელთა შემდგენელი, ღმიშჩრდელ-პედაგოგი, მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწენი, გამორჩეული ზნეკეთილობითა და განსწავლულობით, პოლიტიკურ სარბიელზე მუხრან-ბატონ ბაგრატოვანთა ერთგულნი, არჩილის, ვახტანგ მეექვსისა და ბაქარის თანმხელებნი ემიგრაციაში და მათი ხველრის ერთგულად გამზიარებელნი, ქვეყნის ჭირისა და უბედურების საკუთარ ბედზედ გარდამსახველნი — ასეთია ძველი ქართველი მწიგნობრის მიქელ რუსთველოვანის დიდი და ღრმასეული ოჯახის წინაპართა თუ მემკვიდრეთა სახე.

¹⁶ სცა, ფ. 1448, საბ. № 513.

ნაზარმატი

რუსთაველის ხელნაწერი

...ვინც იპოვისო რუსთაველის პოემის დედანს,
მას ჭეშმარიტად უდიდესი ჭილდო ელისო;
არ მინდა ჭილდო, მაპოვნინა ოდესმე ნეტამც, --
პერგამენტიდან სკობს ნესტანის ღიმილს კელირსო...

ემირებისთვის თავდადებულ მეომრებს იქნებ,
ნადავლად მოჰყვათ ეს პოემა საქართველოდან,
მაგრამ ხომ ვიცით, უვიცთავან დიდებულ წიგნებს
შუა აზიის კოცონებზე თუ რა ელოდა...

და მაინც ვეძებთ, მაინც ვეძებთ ვეფხვის პოემას,
აგმბ ვეფხვივით შეიფარეს უდაბნოებმა...

მიხეილ თუშანიშვილის უცნობი ნაწარმოებები

ცნობილ რომანტიკოს პოეტს მიხეილ თუმანიშვილს ღრმა და შრავალმხრივი განათლება ჰქონდა მიღებული. იგი თავისუფლად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს; კარგად იცნობდა ამიერკავკასიის, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ხალხთა ისტორიასა და ლიტერატურას.

მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედება (რუსულ ენაზე) დაწერილებით შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა: ლ. ასათიანმა, ი. ბოგომოლოვმა, დ. გამეზარდაშვილმა, ა. გაწერელიამ, ა. მახარაძემ, შ. რადიანმა, დ. რამიშვილმა და სხვ. მაგრამ დღემდე ცნობილი იყო მისი რუსულ ენაზე დაწერილი ლექსი და ნარკვევი, რომლებიც გამოქვეყნდა უურნალში «Цветок Тифлисской гимназии», აგრეთვე თბილისის პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია. ახლახან ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა რუსულ ენაზე დაბეჭდილი ნაწარმოებები, რომლებიც, ჩემი აზრით, მიხეილ თუმანიშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

მიხეილ თუმანიშვილის წინაპრებს მემკვიდრეობით ეკავათ მდიგან-მწიგნობრის თანამდებობა. მიხეილის მამა — ბირთველი — ვახტანგ VI-ის მდივანი იყო. ბირთველს პირველი ცოლისაგან ჰყავდა ვაჟიშვილი ავთანდილი, რომელიც ყრმობიდანვე პეტერბურგში ცხოვრობდა და დავით ბატონიშვილის მდივნად მუშაობდა. ავთანდილს ეკუთვნის 1816 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნი «Описание грузинского города Гории» და სხვა გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები. ახალი საარქივო მასალების შესწავლით დადასტურდა, რომ ავთანდილ თუმანიშვილი 1819 წელს, როგორც თავისუფლად მოაზროვნე და იმერეთის ოჯანყების ხელმძღვანელებთან დაკავშირებული პიროვნება, პეტერ-პავლეს ციხეში ჩაუსვამთ, სადაც განსაკუთრებით მკაცრ პირობებში იმ-

ყოფებოდა. იგი ციხეში დაბრმავდა და როდესაც ციმბირის კარტოფილის გზას გაუყენეს, გარდაიცვალა¹.

ბირთველის მეორე ცოლი ანა, თბილისის საპატიო მრეწველობას, მარიმანოვის ასული, მტკიცე და მყაცრი ხასიათის, დიდად განათლებული ქალი ყოფილა. მათ ოთხი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. მიხეილი ყველაზე უმცროსი იყო. იგი დაიბადა 1818 წლის 19 მაისს გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო გორში, სადაც მამამისი ქალაქის თავის მსახურობდა. 1831 წელს მიხეილი აბილისში გიმნაზიაში გადმოიყვანეს. მალე მთელი ოჯახიც თბილისში გადმოსახლდა.

თბილისის გიმნაზიას ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ცარ-სკოე სელოს ლიცეუმს რუსეთისათვის. აქ სწავლობდა მრავალი მომავალი პოეტი, მწერალი, უურნალისტი, მხედართმთავარი, საზოგადო მოღვაწე. მიხეილ თუმანიშვილი გიმნაზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა, ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. სასწავლებლის სულისშემხურეველ ატმოსფეროში ზოგიერთი მასწავლებელი მაინც ახერხებდა პროგრესული, თავისუფლებისმოყვარული იდეების გავრცელებას. მოსწავლეთა სულიერ ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართველმა მოაზროვნემ სოლომონ დოდაშვილმა. მოსწავლეები გატაცებით სწავლობდნენ ჟველ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, რუსი და დასავლეთევროპელი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას.

ჯერ 14 წლისაც არ იყვნენ გიმნაზიელები, როდესაც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის მათი მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი და მისი თითქმის ყველა მახლობელი ივლაბრის ყაზარ-მაში ჩასვეს, შემდეგ კი გადასახლეს. ამ მოვლენას გიმნაზიისტებმა უპასუხეს 1832-33 წლებში ხელნაწერი აღმანახის შექმნით, სადაც თავიანთ პირველ პოეტურ ნაწარმოებებთან ერთად მოათვეს პატიმარი პოეტების — სოლომონ დოდაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის და სხვ. ლექსები. ზოგიერთი ამ ნაწარმოებთაგან გამოირჩეოდა ბასრი პოლიტიკური შინაარსით.

მიხეილ თუმანიშვილმა აღმანახში შეიტანა თავისივე თარგმანე-

¹ გ. ვ. ბუხნიკაშვილი, გორი, 1947, დანართი: А. Туманов, «Описание грузинского города Гори», 167—176, 3. რატიანი; ცოცხლად დამართული ტალანტი (ავთანდილ თუმანიშვილი), თბ., „მეცნიერება“, 1982 წ.

ზო: ნაწყვეტები ა. პუშკინის პოემიდან „კავკასიის ტყვე“ და კურტკურის ლოკის რამდენიმე არავი.

1835 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა და მიხეილ თუმანიშვილმა ლიტერატურული წრე გააფიქტოვეს: წრეში შეცვანეს გიმნაზიის სხვადასხვა ეროვნების ნიჭიერ მოსწავლეთა ახალი ძალები და და-



მიხეილ თუმანიშვილი

არსეს უურნალი «Ізвесток Тифлисской гимназии»², რომლის მთავარი ორგანიზატორი იყო მიხეილ თუმანიშვილი. უურნალში მისი ნაწარმოებები გამოქვეყნდა „კორელი გრაფის“ ფსევდონიმით. 1935-36 წლებში სულ გამოვიდა უურნალის ხუთი ნომერი³, იგი ასახავდა თბილისში მცხოვრები ქართველი და არაქართველი პროგ-

² საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. ეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თუმანიშვილის ფონდი, საქე 34.

³ „კორელის“ ამ ხუთი ნომრიდან ჩთლიანი სახით შემორჩენილია მხოლოდ საში. მაგრამ მეხუთე ნომრის დართული აქეს ყველა ნომრის სტატიათა სათაურები, რაც მიგვანიშნებს ახალგაზრდა აეტორთა ფართო დიაპაზონში.

რესული ახალგაზრდობის პოლიტიკურ კურსს. როგორც ზემოთ აღვ-ნიშნეთ, უურნალი რუსულ ენაზე გამოდიოდა, რასაც ხელს უწყობდა გიმნაზიის მოსწავლეთა ინტერნაციონალური შემადგენლობა. მაგრა ილ თუმანიშვილისათვის რუსული ენა, როგორც მისი მთელი თაობისათვის, მეორე მშობლიურ ენად იქცა.

„ცვეტოკში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით განცვიფრებას იწვევს გიმნაზიის მოსწავლეთა მაღალი განათლება და კულტურა; „ცვეტოკში“ მოთავსებული ნაწარმოებები სრულიადაც არ ტოვებენ მოსწავლეთა სავარგიშოების შთაბეჭდილებას. ისინი თავისუფლად საუბრობენ მსოფლიო ისტორიის ნებისმიერ თემაზე, ღრმად არიან განსწავლული საქართველოს, რუსეთის, დასავლეთ ევროპის ცტორიაში. უურნალის საფუძველი, საერთო ტონი იყო ზოგადეკუბრიული, გამოქვეყნებული მასალები გამსჭვალულია ინტერნაციონალური სულისკვეთებით.

ერთი მხრივ, რომანტიზმი და სენტიმენტალური სტილი, აქედან გამომდინარე — სევდა, მელანქოლია, ცხოვრების, სინამდვილის უარყოფა, მეორე მხრივ — ცხოვრებით ტკბობის სურვილი, სამყაროსა და მომავლის შეცნობისადმი დაუკებელი სწრაფვა, თავისუფლებისმოყვარული იდეებისადმი სიმპათიების გამოვლინება, დემოკრატიის ქადაგება, მონარქიული წყობილებისა და თვითმმკრბლელური რეჟიმისადმი ანტიპათიები, ქვეყნის წარსულისადმი ღრმა პატივისცემა დამახასიათებელი იყო უურნალის ყველა ნომრის ძირითადი ნაწარმოებებისა.

უურნალში გამოქვეყნებული მიხეილ თუმანიშვილის ლექსები გამოიჩინა ფორმისა და შინაარსის მრავალფეროვნებით. მისი ლექსების უმეტესობა გამსჭვალულია რომანტიკული სულისკვეთებით. პოეტი ლექსებში ცხოვრებაზე გულგატებილია, ესწრაფვის მარტოცბას, აღამიანთა საზოგადოებისაგან განდგომას. ამ მოტივებით გამსჭვალულია ისეთი შესანიშნავი ლექსები, როგორიცაა „განმარტოება“ («Уединение»), „ელეგია“ («Элегия»). ამ ლექსებში, როგორც მთელ მის ლირიკაში, იგრძნობა პუშკინის გავლენა როგორც თემატიკის, ასევე ფორმის მხრივაც.

ლექსში «Элегия» იგი წერს:

Блажен, кто с лет безумных полюбил,
Тебя, священных дум пустыня!

Кого твой кров священный заманил,
Как благотворная святыня!

მაგრამ პესიმისტური განწყობილება აქ აშკარად მიმბაძველობითია. აქვევა მოთავსებული ლექსები, რომლებშიც პოეტი მოუწირდება დებს ცხოვრებით ტკბობისაკენ, უმღერის ლხინით მიღებულ სიამოვნებას, აღიდებს მეგობრობას:

Младого дружества привет
Тебе, товарищ, посылаю.
Дадим друг другу мы обет
На дружку чистую, святую. («Другу»).

მიმბაძველობითია მიხეილ თუმანიშვილის «Кавказ» („კავკასია“)⁴. მაგრამ პუშკინისაგან განსხვავებით, რომელსაც კავკასიის ტუნება რეალისტურ ტრიბუნი აქვს სახული, მიხეილ თუმანიშვილი იძლევა კავკასიის რომანტიკულ აღწერას:

Люблю высокие картины бурь твоих, —
Когда грохочет гром в твоей тиши священной,
И молнии скользят на раменах крутых,
И шумные потоки мечутся над бездной.
Люблю воображать и миг раскошный тот,
Когда с волнистых туч, как будто из потопа
С кудрями белыми возникли тени гор, —
И уперлись под синий пояс небосклона!..

(«Кавказ»).

უურნალში მიხეილ თუმანიშვილის ლექსების მთელი ციკლია პოეტისა და პოეზიის ოემაზე, რომლებიც პუშკინის პოეზიის გავლენითა დაწერილი. ლექსში «Поэт и вдохновение» („პოეტი და შთაგონება“) იგი წერს პოეტის ვნებაზე ცივ გარემომცველ საბუაროში, მხოლოდ შთაგონებას შეუძლია პოეტის ხსნა. მეორე ლექსში, რომელიც ამავე თემისადმია მიძღვნილი, მიხეილ თუმანიშვილი ამბობს, რომ პოეტი არ უნდა გამოებას ბრძოს თოკით, იგი ამაყი და დამოუკიდებელია და „тогдас ар უნდა უხრიდეს კერპებს“ (აქ, აშკარაა, მეფე იგულისხმება). ეს განდი — მისი პოეტური ნიჭი, მისი ერთადერთი სიმდიდრეა ამქვეყნად. რომანტიკულ ლექსში „Ветка и сиротка“ („რტო და ობოლი გოგონა“) ხალხური

⁴ Вадим Вануро. «Кавказ» Михаила Туманишвили, «Литературная Грузия», 1982, № 12, с. 181—198.

სიმღერის სულისკვეთებით წარმოდგენილია სოციალური თემა: ობოლ გოჭონას ღუპავს მეაცრი სინამდვილე, პოეტი მას ადამიანობრივობის, რომელსაც შეაგი ქარი მიაფრენს.

სენტიმენტალური გავლენა შეიძლება დაეინახოთ მიხეილ თუ-მანიშვილის ნარკვევებში: „Приезд в Картли“, („ქართლში ჩამო-სვლა“), „Вечер на Горийской дороге“ („ხალამო გორის გზაზე“), მაგრამ უკვე ნარკვებში „ქართლში ჩამოსვლა“ გვხვდება ის ირო-ნიული კილო, რომელიც შემდევში დამახსიათებელი ხდება რუ-სული მოთხრობების აცტორისა და „ცისკრის“ ფელეტონისტისა-თვის. ნარკვებში „Праздник Телетоба“ („დღესასწაული თელე-თობა“) მიხეილ თუმანიშვილი გვიჩვენებს რუსული ადამ-წესების, ზნე-ჩვეულებების, რუსული ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნას. აქ მოცემულია მრავალი დაწვრილებითი აღწერილობანი და გვხვდება იმ რეალისტური სტილის ჩანასახები, რომელსაც მიხეილ თუმანი-შვილი განავითარებს რუსულ ენაზე დაწერილ თავის მოთხრო-ბებში.

მიხეილ თუმანიშვილის მხრივ ნამდვილი გმირობა იყო გადა-სახლებული სოლომონ დოდაშვილის სტატიების — „ერეკლე II მეფობა“ („ქართველ მეფეთა ისტორიიდან“) და „ქართული ლიტე-რატურის მოკლე მიმოხილვა“ — უურნალში გამოქვეყნება, რომლე-ბიც ადრე გამოქვეყნებული იყო „Тифлисские ведомости“-ის ქარ-თულ დამატებაში. ეს სტატიები გამსჭვალულია ჭეშმარიტი პატრი-ოტული გრძნობით.

მიხეილ თუმანიშვილის თვალსაზრისის წარმოჩენისათვის გან-საკუთრებულ ინტერესს იწვევს უურნალში გამოქვეყნებული მისი სტატიები ძველი და შუასაუკუნეების ისტორიის შესახებ. სტა-ტიას „თვალსაზრისი ძველი მსოფლიოს მოვლენებზე“ წამდგარე-ბული აქვს ეპიგრაფი: „ხალხების ძლევამოსილები მხოლოდ შთა-მომავალთა მემკვიდრეობაა, გრძნობები და აზრები კი — მთელი კაცობრიობისა“ ეს ჭეშმარიტი აზრია თვით მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედების საფუძველი — ქართველი ხალხის შეილი, ქართვე-ლი რომანტიკოსი პოეტი პარალელურად წერს რუსულ ენაზეც და ცდილობს ქართული კულტურა, ქართული სინამდვილე ფართოდ გააცნოს მსოფლიოს, ქართველ მკითხველს კი მთელი მსოფლიო. ამ სტატიებში ჩანს ავტორის დიალექტიცური აზროვნება, რომე-ლიც (თუმცა იდეალისტური პოზიციებიდან) ცდილობს ახსნას სა-უკუნეთა და ხალხთა ისტორია. ავტორი ამ სტატიებში ავლენს ფარ-

თო განათლებას, ძველი საბერძნეთის, რომის, აღორძინების ხანის ისტორიისა და ლიტერატურის ორმა ცოდნას, აზროვნების კულტურული გინალობას. „ცეკვის“ შინაარსიდან ჩანს, რომ პროგრესულად ბოაზროვნე გიმნაზიისტები ახლოს იცნობდნენ დეკაბრისტების იდეაებს და თანაუგრძნობდნენ მათ. როგორც ჩანს, მათ ხელთ ჰქონდათ რუს „თავისუფალ მოაზროვნეთა“ ის ნაწარმოებები, რომლებიც ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა.

უურნალში არსად გვხვდება რუსული მონარქიის განდიდების არცერთი შემთხვევა. მაგალითად, მიხეილ თუმანიშვილი ძველი რომის შესახებ სტატიებში მგზნებარე სტრიქონებს მხოლოდ რესპუბლიკურ მმართველობას უძლვნის და თავშეკავებით ლაპარაკობს მონარქისტულ მმართველობაზე. იქედან, ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უურნალს, რომელიც იმ პერიოდში გამოდიოდა, როდესაც საქართველოში და მთელ კავკასიაშიც არ არსებობდა პერიოდული პრესა, როდესაც ქვეყნის მოწინავე ძალები დათრგუნვილი იყო და იძულებული იყვნენ პირში წყალი ჩაეგუბებინათ. მიხეილ თუმანიშვილს უდიდესი როლი ენიჭება, როგორც ამ უურნალის დაარსების მთავარ ინიციატორსა და შემდგენელს.

მიხეილ თუმანიშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაპყრო ქართული ლიტერატურის უურადლება ევროპას. უდიდესია მისი ტნიშვნელობა როგორც ა. ს. პუშკინის ქართულად მთარგმნელისა და მისი შემოქმედების პროპაგანდისტისა. პროფ. შ. რადიანი აღნიშნავს, რომ მიხეილ თუმანიშვილი 30-იანი წლების პოეტებიდან ორგანულად ყველაზე უფრო უახლოვდება პუშკინს. ყრმობის წლებში იგი ძირითადად პუშკინის იმ ლექსებს თარგმნიდა, რომლებიც მის რომანტიკულ მისწრაფებებს პასუხობდა. პუშკინისადმი ინტერესი არ განელებია უფრო გვიანაც. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც პოეტი, ამ რუსი გენიოსის გავლენით იზრდებოდა. მიხეილ თუმანიშვილმა თარგმნა აგრეთვე რუსი პოეტი ქალის ე. პ. როსტოპჩინის „ზამთრის შემოღმება“ და პ. პ. კამენკის „აღსასრული ქვეყნისა“ („ცისკარი“, 1858, № 2), რაც მოწმობს, როგორ ესწრაფოდა იგი ქართველი მკითხველისათვის გაეცნა რუსული ლიტერატურა, ამავე მიზანს ემსახურებოდა ი. ა. კრილოვის არაეკის თარგმნაც.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ თუმანიშვილი გადაჭრით შორდება რომანტიზმს და თავის შემოქმედებაში უახლოვდება რეალისტურ მიმართულებას. უეჭველია, მწერალზე ამ მხრივ

ყველაზე დიდი გაელენა მოახდინა გოგოლის შემოქმედებაში. ოფ-
სულ პრესაში გამოქვეყნებულ თითქმის ყველა სტატიაში უწერდებოდა
დაპირ მიუთითებდა, რომ აუცილებლად „მიჰყოლოდნენ გო-
გოლს“⁵. გოგოლის ნაწარმოებებს მწერლისათვის ნიმუშად თვლი-
და. გოგოლის მეფიო სიტყვა ყოველთვის იწვევდა მიხეილ
თუმანიშვილის აღფრთოვანებას. მისი ღოვუმენტების სიაში აღნიშ-
ნულია „წერილი „მკვდარი სულების“ შესახებ“, რომელიც, სამ-
წუხაროდ. არ შემონახულა. რეალიზმთან მიახლოებაში მიხეილ
თუმანიშვილზე გავლენა მოახდინა მისმა მეგობარმა, პოლონელ-
მა პოეტმა და რევოლუციონერმა ტ. ლადა-ზაბლოცკიმ, რომელიც
წერილებში აფრთხილებდა, რომ არ გაეტაცნა რომანტიზმი. მი-
ხეილ თუმანიშვილი რომ ამ დროისათვის დაშორდა რომანტიზმს,
მოწმობს მისი წერილი მეგობრის, ლუკა ისარლიშვილისადმი⁶, რო-
მელშიც იგი გამოდის ისეთი რომანტიკული ლექსების წინააღმ-
დეგ, როგორსაც თვითონვე წერდა ცოტა ხნის წინ.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ თუმანიშვილი, რო-
გორც მისი მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილი, იძულებული იყო
სამსახური დაწყო. სახსრების უქონლობის გამო მათ ცერ შეს-
ლეს უმიღლესი განათლების მიღება. ცხოვრებამ აიძულა გამოთხო-
ვებიდნენ მრავალ ილუზიას. 1837 წლის 23 იანვარს, მიხეილ
თუმანიშვილმა კოლეგიის მდივნის ჩინით მუშაობა დაიწყო საქარ-
თველოს სახაზინო ექსპედიციაში. სიცოცხლის ბოლოს კი ბრწყინ-
ვალე კარიერა გაიცეთა და დაასრულა იგი კავკასიის მეფისნაცვლის
საბჭოს წევრობით. 1838 წელს მიხეილ თუმანიშვილი მუშაობას
იწყებს ამიერკავკასიის მხარის მმართველობის დებულების პროექ-
ტის შემდგენელ კომისიაში. მიხეილ თუმანიშვილის ნამსახურობის
ნუსხიდან ირკვევა, რომ 1838 წლის პპრილში იგი მიწვეული იყო სე-
ნატორ განის კომისიაში⁷. 1838 წელსვე „სტოლონაჩალნიკის“ თანა-
შემწის თანამდებობა მიიღო, ხოლო 1839 წლის 14 ივნისს იგი უკვე
საგამომძიებლო ნაწილის „სტოლონაჩალნიკის“ თანამდებობაზე გა-
დაჟავთ, „გუბერნისკი სეკრეტარის“ ჩინით.

ამ წლებში მიხეილ თუმანიშვილი დაუღალავად მუშაობდა თა-
⁵ «Кавказ», 1852, № 41.

⁶ საქართველოს მეცნ. ფალემის კ. კეცელიძის სან. ხელნაწერთა ინსტატუტი,
2. თუმანიშვილის ფონზე, საქმე 30.

⁷ იქვევ, საქმე 857. ი. ვაკავაშვილი, „ვაკავაშვილი“, 1911, 21 დეკემბერი.

⁸ იქვევ, საქმე 505.

⁹ იქვევ, საქმე 8.

ვისი განათლების გასაღრმავებლად. მეცნიერულ ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ მიხეილ თუმანიშვილმა გიმნაზიის დამთავრებას და სამსახურში შესვლის შემდეგ დროებით მიატოვა ლიტერატურული საბიულო, მას ამ წლებში არაფერი დაუწერია. აღმოჩენილი მასალები მოწმობს, რომ ამ წლებში მიხეილ თუმანიშვილი ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა.

Засыпая щигбъ — «Колдун или Приворотный корень» азтрулъ аздырлыкъ мемлекъ ысын «Соч. М. Т.» айрылаа. Щигръ щигбъ — «Дешевый стряпчий» ысын «Соч. М....а Т....а» көмкүт мэлседе: «Уарь, железная лапа» засыпая бириаа баатыръ: «Народное предание рассказанное Михаилом Тумановым».

ამ სიმ წიგნს აერთონებს არა მარტო ის, რომ დაბეჭდილია ერთსა და იმავე სტამბაში, ერთნაირი ფორმატისაა, ერთი და იგივე შრიფტით და ა. შ., არამედ ის, რომ ისინი დაწერილია ერთნაირი სტამბით, ერთნაირი მანერით, რაც უძველს ხდის, რომ «M. T.», «M....a T....a» და «Михаил Туманов» ერთი და იგივე პირია.

საცენტურო კომიტეტის არქივში დაცულია საქმე ამ წიგნების დაბეჭდვაზე ნებართვის მიცემის შესახებ, შემოტანილი მიხეილ თუ-მანვის მფრ, დათარილებული 1838 წ. 29 ივნისით¹⁰ და 1839 წლის 6 ოქტომბრით¹¹.

ამ ნაწარმოებებისა და „ცენტრუმი“ მოთავსებული ნაწარმოებების შესწავლა და ტექსტოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი აცტორი, ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს მიხეილ თუმანიშვილი. ამას გვათვარებინებს ის, რომ მიხეილი მშობლიურ ენასაკით ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას, კარგად იცნობდა რუსულ ლიტერატურას, თვალს ადგვნებდა მის ყველა სიახლეს და ამ დროისათვის

¹⁰ ЦГИА, М., ф. 31, оп. 1, д. 136, л. 42 об.

11 ѿзq, л. 172 об.

მციუნისტულოენად ჩამოშორდა გიმნაზიისღროინდელ რომანტიკული გატაცებას.

მაგრამ როგორ დაიბეჭდა ეს წიგნები მოსკოვში? არქესტრამიშვილი მონახული მიხეილ თუმანიშვილის „ბიოგრაფიაში“,¹² რომელიც მისმა შვილმა გიორგიმ დაწერა, მითითებულია, რომ „მ. თუმანიშვილი და გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი მივლინებულ იქნენ პეტერბურგში კავკასიაში საგლეხო რეფორმის პროექტის უმაღლეს საკანონმდებლო უწყებაში წარსადგენად“. შესაძლებელია, განის კომისარი მუშაობის დროს (ე. ი. 1838-1840 წწ.) იგი მივლინებულ იქნა რუსეთში. კომისარი მონაწილეობას ადასტურებს მისი ნამსახურობის ნუსხა¹³, ამავე თემაზე ლაპარაკი თუმანიშვილის ხელნაწერში „თანამედროვე ჩანაწერები“¹⁴, რომელიც ახალ ფინანსურ სისტემას ეძღვნება. წერილებში ნათქვამია, რომ ამ კომისიის მუშაობაში თვითონ ღებულობდა მონაწილეობას. ეს ხელნაწერი ერთხელ კადაგ ადასტურებს მიხეილ თუმანიშვილის მონაწილეობას განის კომისარში. უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ თუმანიშვილისაღმა მიძღვნილ არცერთ ნაშრომში დაწერილებით არაა ლაპარაკი 1938-1940 წლებზე.

მიხეილ თუმანიშვილს მთელი ცხოვრების მანძილზე არსად და არასოდეს არაფერი აქვს ნათქვამი ამ წიგნებზე, ისევე, როგორც „Цветок Тифлисской гимназии“-ს შესახებ, რომელიც პირველად მისმა შვილმა გიორგი თუმანიშვილმა აღმოაჩინა 1916 წელს მამის არქივში¹⁵. დიდხანს ამ უურნალისათვის მეცნიერებს ყურადღება არ მოუქცევიათ. მხოლოდ 1936 წელს მოპეიდა ხელი მის შესწევლის აკაკი გაწერელიამ. როგორც „ცვეტოში“ მოთავსებული ნაწარმოებები, ასევე პირველი რუსული მოთხრობები, რომელიც მოსკოვში დაბეჭდა, უკველია, მას კალმის მოსინგვად მიაჩნდა და ამ „ბავშვურ ცდებს“ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

ყველა ლიტერატურულ ლექსიკონსა და ცნობარში, სადაც მაშინდელი მწერლების გვარებია ჩამოთვლილი, დასახელებულია მხოლოდ ერთი მწერალი — მიხეილ თუმანოვი — ჩვენთვის ცნობილი მიხეილ თუმანიშვილი.

¹² საქართველოს მეცნ. აკად. კავკაციის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქმე 1344, ფურცელი I—I მეორე გვერდზე.

¹³ იქვე, საქმე 8.

¹⁴ იქვე, საქმე 46.

¹⁵ «Народный листок», 30 июля 1916 г.

რას ვკითხულობთ ამ წიგნებში?

პატველ წიგნს „ჯადოქარი, ანუ მოსახადოებელი ფესვი“ უკავშირობა გვაცნობს ხუმრობის ტონით შეღვენილი წინასიტყვაობა, რომელიც ივტორის თავმდაბლობას ცხადყოფს. „...მე საკმაოდ ბევრ ასოებს ვწერ, მაგრამ წერა სრულიადაც არ ძალმიძს..“, მიუთითებს რა იმ მიზეზებზე, რამაც აიძულა თხზვისათვის მოეკიდა ხელი, ივტორი ხუმრობით ახსნებს სილარიბეს, გაცვეთილ ჩექმებს. განსაზღვრავს რა ათვისი მთხვევლობის „მიწიერ მიზანს“, იგი თავისთავს უსვამს კითხვას, როგორი სტილით წეროს: „ზნეობრივ-სატირულ სტილში წერა არ შემიძლია, მაგრამ არც უ-უ. რუსოს, არც ბუალოს ან სხვა ვინმეს მისაბაძვად მყოფნის ძალა“, ამიტომ მან გადაწყვიტა წეროს ის, რაც სინამდვილეა, ე. ი. ცდილობს რეალისტურად ოლქეროს, რაც მის ირგვლივ ხდება.

„ჯადოქარი“ თავისი შინაარსით პატარა მაჩტივი მოსხრობა-ანეგდოტია, იგი რაღაცით ჩამოჰვავს გოგოლის მოთხრობების სიუ-ჟეტებს, მისი გმირი — გოგოლის პოპრიშჩინს. მამის ქრისტების ნა-ხევრად გაკოტრებული მემკვიდრე პლატონ პანტელელევიჩი უსაქმური, უმაჯნისერ კაცია. მას შეუყვარდა პოლკოვნიკის ქალიშვილი მა-რია და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა. ამ საქმეში დახმარება ილუსტვეს გაიძვერა და თაღლითმა მსახურმა ანდრეიმ და ტრიფონ ფალალევიჩმა, რომელიც ბნელ საქმეებს ეწეოდა და მოსახადოე-ბელ ფესვს ჰყიდდა. მოახლე პრასკოვიასთან ერთად მათ გადაწყ-ვიტეს გაუცურებინათ პლატონ პანტელელევიჩი. არწმუნებდნენ, რომ პოლკოვნიკის ქალიშვილს აჯადოებდნენ და პარმანჩე გადაცმულ პრასკოვიას ახვედრებდნენ გვიან ღამით, როცა მას გარჩევა არ შე-ეძლო. მოჯადოების საბაბით მათ პირწმინდად გაფუქვნეს პლატონ პანტელელევიჩი. როდესაც ეს შეიტყო, მან ჯავრიან გულზე ჩხები აუტეხა მაკლერ მოხელეს, რომელიც სამსახურიდან გაძევებული იყო ცუდი საქციელისათვის. თაღლითებმა პლატონ პანტელელევი-ჩი შეშლილად გამოაცხადეს და სულით ავადმყოფთა სახლში მო-თავსეს. იქ მას შრომითი მკურნალობა დაუნიშნეს, და, როდესაც სა-ავადმყოფოდან გამოეწერა, სულ სხვა ცხოვრება — ხელჯონებით ვაჭრობა დაიწყო.

თუმცა იგი ჯერ კიდევ სუსტი ლიტერატურული ნაწარმოებია, მაგრამ ექ უკვე არის ჩინოვნიკთა წრის, საკანცელორიო სამსახუ-ობის რეალისტურად ასახვის ჩანასახები. წიგნში უხვადაა იუმორის-ტული კილო, ირონია, რომელიც შემდგომში ასე გაიფურჩენა 8. მწიგნობარი, II

მიხეილ თუმანიშვილის ქართულ ფელეტონებში „მოლაყბას ფურცელები“.

ДЕШЕВЫЙ
СТРАПЧИЙ,
или
ОБНАРУЖЕННОЕ
ПЛУТОВСТВО.

Соч. №.....а №.....а.

СЕКРЕТАРЬ ЗАЦЪПИНЪ (протягивал
руку):

Дѣю ваше мною устроено какъ нельзя
лучше; только надобно доложить.

Изъ Комедіи: Добрый хлопотунъ.
Н. М.



Mocksa.

ВЪ ТИПОГРАФИИ И. СИМРНОВА

при ИМПЕРАТОРСКИХъ Московскихъ Театрахъ.

1839.

ମୋହନିଙ୍କ ପାଠ୍ୟଗୁଣି



ხათლად ჩანს რეალისტური სკოლის ისეთი ნიშნები, როგორიცაა მათ შემდეგი საგანთა სახელების ჩამოთვლა, ზოგჯერ დამახსიათებელი გამოცემის ზღვრებით, რომლებიც სხვადასხვა გრამატიკულ-სემანტიკურ სფეროებს განეკუთვნება. ეს ხერხი უფრო მახვილი ფორმით ტი-არაურია გოგოლისა და გოგოლის სკოლის მწერალთა სტილისა-თვის¹⁶.

ამ მოთხოვბაში, როგორც საერთოდ ისეთი სტილის ხაწარმოებ-ებში, მრავლადაა ოლწერილობანი. მოთხოვბაში ექვსი თავია. პირ-ველ თავში მოცემულია გმირის — კოზმიჩ ტარაკანჩიკოვის პორტრეტი. უწინ იგი სხვადასხვა საკრებულოს მოხელე-მწერა-ლი იყო, ახლა კი გადაყენებულია თანამდებობიდან დაუდევრობისა და სამსახურში გამოუცხადებლობის გამო. გარეგნობაც კი საზიზ-ლარი ჰქონდა — მახინჯი, ჭუჭყიანი, ფეთხუმი, ძალზე ზარმაცი და უმეცარი. თავი გაქვნდა ვერილობით, რომლისაც არაფერი გაეგე-ბოდა. იგი განსახიერება იყო ყოველგვარი მანკიერებისა — ღორ-მუცელა, ლოთი, თაეხედი. ვეტორი მას წურბელას უწოდებს, აღ-არებს ობობას, რომელიც „მშვიდად ქსოვს თავის ნახჭიან ბადეს, სახლის პატრონიებით დარაჯობს გაუფრთხილებელ მწე-რებს, რომ გამოწუწნოს ისინი. კოზმაც მოხვენელს ჯერ ქსელში გააბამდა, შემდეგ კი გამოსწუწნიდა არა სისხლს, არამედ ფულს“ (გვ. 11-12). მისი ისეთი მსხვერპლი გახდა გლეხი ქალი ანუშკა, რომელმაც თავი დაიხსნა გლეხობიდან და ქალაქში ჩამოვიდა, რომ ჩაწერილიყო და სამუშაო ეშოვა. ტარაკანჩიკოვმა ეშმაკობით, ტყუილებითა და თაღლითობით ანუშკას ფული ააფცვენა, საქმე კი არ გაუკეთა.

ამ მოთხოვბაში იუმორისტულ ალწერილობათა უკან აშკარად იყრძნობა სატირული კილო, რომელიც მეფის სასამართლოს უსამართლობის, ჩინოვნიკების გამყიდველობის წინააღმდეგაა მი-მართული. მოთხოვბაში ვეტორს ქვეს გოგოლის სტილით ალწე-რილი სასაცილო სცენები, ძარღვიანი იუმორით ალწერს მოხუც ქალს, რომელთანაც ანუშკა ცხოვრობდა. მის სკივრს. ქალიშვილი მოხუცს ეხვეწება ისესხოს ფული, რომელსაც ტარაკანჩიკოვი სხვოვს საქმის სწრაფად მოსამთავრებლად. მოხუცი ქალი სიამოვ-ნებით ეხმარება. იგი წაიდა საკუჭნაოში, გახსნა სკივრი. ამოილო

¹⁶ В. Виноградов. Проблема авторства и теория стилей, М., ГИМЛ, 1961 с. 96.

დიდი ტომარა, ტომრიდან პატარა თოფრა, თოფრიდან ჩვარი, ჩვარიდან მაუდის ნაჭერი, მაუდის ნაჭრიდან კოლოფი, რომელიც ინახავდა საოცნები ფულებს. მოილო ფულები, ყველაფერი ძველებურად შეფუთა, დაკეტა სკივრი, შემდეგ საკუპნაო და დაბრუნდა მოსაუბრესთან. (გვ. 61-62).

თუმცა მოთხრობა კეთილად მთავრდება — ანუშკას ეხმარება კეთილი ბატონი, დადი მოხელე, რომელიც ნიღაბს ხდის ტარავანჩიუმასის თაღლითობას. ავტორი დასასრულს იძლევა დასკვნას, რომ ასეთი გამყიდველი მოხელების გამო „ჩივიან მთავრობაზე, რომელიც მხოლოდ ქვეშევრდომთა სიკეთეზე ზრუნავს“, მაგრამ ეს დასასრული აშკარად ირონიულია, რასაც მოწმობს მოთხრობის მთელი ავებულება. ნაწარმოების ასეთი იდეური მიმართულება ძალზე დამახასიათებელია მიხეილ თუმანიშვილის მომდევნო ფელეტონებისათვის.

მესამე წიგნი, როგორც ავტორი მიუთითებს, ხალხური თქმულება, ლეგენდაა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. შინაარსით ეს მოთხრობა სისებით განსხვავდება წინა ორი მოთხრობისაგან და თუმცა უფრო გვიანაა დაწერილი, მაინც ჰგავს „ცვეტოკის“ ავტორისა და გამომცემლის, გიმნაზისტის რომანტიკულ სტილს. მოთხრობას წამდლვარებული აქვს ეპიგრაფი პუშკინის ნაწარმოებიდან: «Дела давно минувших лет, преданья старинны глубокой». მოთხრობა იწყება ოქროსგუმბათიანი მოსკოვის ქება-დიდებით, იგი თავისი სტილით, ენით უახლოვდება „ცვეტოკის“ ნაწარმოებებს, რომლებიც „გორელი გრაფის“ კალამს უკუთვნის. მაგრამ თხრობაზე გადასვლასას ავტორი კვლავ უბრუნდება ილწერილობით-იუმორისტულ სტილს, რომელიც ორი წინა მოთხრობისთვისაა დამახასიათებელი.

მოთხრობის მბავი ხდება XVIII ს-ის შუა ხანებში მოსკოვის განაპირას, სადაც შეძლებული ვაჭრის ზოლოტოდუშინის ბოსტანი იყო. აქვე იდგა ქათმისცეხება ქოხი — „ლარიბის საცოდავი ბინა“, სადაც ცხოვრობდა გადამდგარი ჯარისკაცი ფომა სემიონვიჩ პტიჩინი, რომელიც ვაჭრის ბოსტნის დარაჯად მუშაობდა. ჯარისკაცი 70 წლის ხეიბარი იყო, ფეხები და ყურები პოლტავის ბრძოლაში დაკარგი. ჯარისკაცთან ერთად ცხოვრობდა მისი ნაშევილები უარი. მას დაბადებიდანვე ცალი ხელის მტევანი არ ჰქონდა, ხოლო მეორე ხელი კი მრუდი და ძლიეს ამოძრავებდა. იგი ერთთავად ტაძრის კარიბჭესთან იდგა მოწყალების სათხოვნელად. მოთხრობაში ილწერილია პოლტავის ბრძოლებში მონაწილე მოხუც ვიტერანთა

УАРЪ

ЖЕЛЪЗНАЯ ЛАПА,

и ли
ЖИВОЙ МЕРТВЕЦЪ

РАЗБОЙНИКЪ.

НАРОДНОЕ ПРЕДАНІЕ,

РАЗСКАЗАННОЕ

Михаиломъ Тумановыимъ.

Дѣла давно минувшихъ лѣтъ,
Преданья старины глубокой.

А. Пушкинъ.

ЧАСТЬ I.

М О С К В А .

Въ Типографии И. Смирнова.
при Императорскихъ Москов. Театрахъ

1840.

Чтвѣртъ вѣкъ

Зурѣда. юрійскаури да місіо міжгомбіръю біо һоузаўшліот ігрунбіръю
зябрэу I-е. лѣбідіс дріос юрійскаури үзэда. ліеугендае мішуніміш,
ротмірміау даінаса мішебіас аірдопілі, ротмірміау даірбіс да ә-
гіліс үзр პомірміау. ეს ліеугенда გუлშі ჩаўзаўрда үаіс.

ეրто თვіс შემდეგ პტікіпіно გаірдасіўцаў. უаіс, ротмірміау
мішіръю მოწყალებіс тხомінас, სახლ-დаნ წаўпід. օյ, ротмірміау
წіна მოთხოвдаში, мішебіол თუმаნіშვიлі იძლევა გміріс օღწერას.



მაგრამ ამ მოთხრობაში იგი პირველად ცდილობს პერსონაჟის ფინანსურული ქოლოგიური პორტრეტის დახატვას, კერძოდ, უარისა, რომ მოწყალების თხოვნისას თავის დამცირება უხდება. იგი იტანჯება შელახული თავმოყვარეობის გამო და ნებისმიერი გზით მიღწეულ დიდებაზე ოცნებობს. ავტორი ცდილობს გმირის პორტრეტი ცოცხლად წარმოგვიდგინოს, რაც რეალისტური სკოლისათვის იყო დამახასიათებელი.

როდესაც უარი სახლიდან წავიდა, ტყეში შეეყარა ყაჩაღ რიცხას, რომელმაც მოხიბლა იგი იმით, რომ შეპირდა თითქოს შესაძლო იყო სახელი გაეთქვა მთელ მოსკოვში. უარი გაჰყვა მას. ავტორი დაწვრილებით და მხატვრულად აღწერს ტყეში ყაჩაღის ბინას — მიწისქვეშა ქვაბულს, სავსეს ქონებით. ეს რომანტიკული აღწერა ჯადოსნურ ზღაპარს მოვაკონებს. ასეთივე რომანტიკულია თვით რიცხას ისტორიაც, რომელმაც შურის, სიულიდის, სიხარბის გამო მოკლა ძმა, გაანიგა მდიდარი მამის მთელი ქონება, და ბოლოს ყაჩაღობას, დიდ გზაზე ძარცვას მიჰყო ხელი.

მოთხრობის მეორე თავში, სადაც ლაპარაკია რიცხასა და უარის ბნელსა და ბოროტ საქმეებზე, არის ლირიკული გადახვევა: „ოპ, სინდისო, სინდისო! შენ ყველა სასჭელზე მძიმე ხარ ამქვეყნად“. მოთხრობაში სხვა ლირიკული გადახვევები და, დრამატული დიალოგებიცაა. უარმა მორგონა მოხუცი ჯარისკაცის მონათხრობი მაზეპას შესახებ, მიცვალებულივით მოირთო და რიცკასთან ერთად დაიწყო გამელელთა დაშინება და ძარცვა. მან მიაღწია მიზანს — სახელი შორს გაითქვა. ერთხელ დაინახა მარია — ვაჭარი მოშნოვის ქალიშვილი და შეუყვარდა იგი. მარიას ჰყავდა საქმრო — ანდრეი მირონოვი, გულადი და პატიოსანი ჭაბუკი, რომელმაც შესძლო ყაჩაღების შეპყრობა. ბოროტ საქმეთა გამო მათ კატორლაში უკრეს თავი. მოსკოვში კი მარიასა და ანდრეის ქორწილი გადაიხადეს.

მოთხრობის ენა მკვეთრი და მხატვრულია, მრავლადაა ხალხური ანდაზები და არაკები, თუმცა სიერთოდ ეს „ხალხური თქმულებანი“ ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე ორი წინა მოთხრობისა.

მიხეილ თუმანიშვილის რუსული მოთხრობების ანალიზი ცხადულფს, რომ ეს მოთხრობები პირველი ნაბიჯია „გოგოლისათვის მიუყოლის“ — რეალისტური ნაწარმოებების შექმნის გზაზე. მიხეილ თუმანიშვილის სამივე წიგნი დაწერილია მისი საქართველოს სახა-

ჭინო ექსპედიციაში სამსახურის დროს: შინაარსით მათ არავითარი კავშირი არა აქვთ საქართველოსთან. დაწერილია აშკარა მიმბაძველი ლობითი მანერით, აქვს ირონიული. ზოგჯერ კი სატირული ხასიათის 30 კლიკონით ეს ირონიული მანერები უფრო აშკარად ვლინდება შემდეგ, „მოლაყბის“ ფსევდონიმით „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ფელეტონებში. ამ ნაწარმოებებში უკვე ნათლად ჩანს მიხეილ თუმანიშვილის ჩამოშორება ჭაბუკობის რომანტიკული მიმართულებიდან და რეალიზმე, გარემო-სინამდვილის აღწერაზე გადასვლა. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ თვით მიხეილ თუმანიშვილის სიტყვები, რომელიც დ. ჩამიშვილმა ეპიგრაფად წაუმდლვარა თავის წიგნს „მიხეილ თუმანიშვილი“: „რაც არ უნდა თქვან იდეალისტებმა, მაინც პირველ რიგში აუცილებელია სინამდვილე“.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ თუმანიშვილის „ცეტოეში“ გამოქვეყნებული ნაწარმოებების და მოსკოვში დაბეჭდილი რუსული მოთხოვნების, არქივში დაცული გამოუქვეყნებელი, შვი ნაწერების სტილი უთუოდ ერთმანეთის მსგავსია. ასეთია, მაგალითად, ხელნაწერები: „რუხი ციხე, ანუ ჰიმნი ნაბადს (ნაწყვეტი მგზავრის ჩანაწერებიდან)“¹⁷, „საქართველოს სამხედრო გზის გზამკვლევი“¹⁸, „მგზავრის ჩანაწერები ახალციხის შესახებ“¹⁹, „მეზურნე ალექსი“²⁰ „აღდგომა კავკასიაში“²¹ და სხვა.

მრიგად, მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ წლებშიც გრძელდებოდა. 1841 წელს მ. თუმანიშვილი და დ. ყიფიანი ერთად მუშაობდნენ ლიტერატურული აღმანახის შედეგნაზე, რომელშიც „ცეტოეში“ მონაწილე იყორებდნენ გარდა უნდა შეეყვანათ სხვა პროგრესული ლიტერატორები — მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონის წევრები²².

მიხეილ თუმანიშვილი რუსულ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ სტატიებში გამოდის ისეთი ტენდენციური ნაწარმოებების წინა-ოღმდეგ, რომლებიც შორსა დგას ცხოვრებისაგან, მოკლებულია ცხოვრებისეულ სიმართლეს. იგივე აზრია გატარებული მის სტა-

17 საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. ცეკვლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტატუტი, მიხეილ თუმანიშვილის ფონდი, საქმე 40.

18 იქვე, საქმე 44.

19 იქვე, საქმე 42.

20 იქვე, საქმე 54,

21 იქვე, საქმე 45.

22 „მნათობი“, 1938, № 5. გვ. 166-168.



ტიებში თეატრის შესახებ, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია ქართული თეატრალური კრიტიკის განვითარების სტორინისათვეს.²³

მთელი ცხოვრების მანძილზე მიხეილ თუმანიშვილი გატაცებული იყო რუსული ლიტერატურის შესწავლით, რასაც მოწმობს მისი დღიურები, წიგნაკში ჩანაწერები. აქევში სხვა მასალებთან ერთად დაცულია ა. ი. გერცენის ცნობილი წიგნის „რევოლუციური იდეების განვითარება რუსეთში“ ხელნაწერი, რომელიც, შესაძლოა, მიხეილ თუმანიშვილს ქართულად უნდა ეთარგმნა.²⁴

დიდია მიხეილ თუმანიშვილის დამსახურება, როგორც საქართველოში „საგლეხო რეფორმის“ ერთ-ერთი მთავარი მოღვაწისა და ავტორისა ფუნდამენტური ნაშრომის — „ბატონყმობა საქართველოში“, რომელიც გამოიცა ობილიში 1864-1865 წლებში.²⁵

საოცრად ფართო და მრავალგვარია მიხეილ თუმანიშვილის, ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ინტერესები. იგი დასახელებული ნაწარმოებების გარდა, ავტორია აგრეთვე საინტერესო შრომებისა კავკასიის ეთნოგრაფიის შესახებ — „ეთნოგრაფიული ნარკვევები“²⁶. ასევე ფართოა მიხეილ თუმანიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თავისი მოკრძალებული შემოქმედებითი მემკვიდრეობით მიხეილ თუმანიშვილმა სიკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა როგორც ქართული რომანტიკული პოეზიის, ასევე საქართველოში რუსული მხატვრული სიტყვის განვითარებაში. ფასდაუდებელია მისი წვლილი რუსულ-ქრონიკული ლიტერატურული კავშირის განმტკიცებაში, ორი მოძმე კულტურის დახლოებაში.

თბილისი

²³ Ю. Богомолов. Из истории русско-грузинских литературных взаимосвязей. Тбилиси, 1967, с. 112.

²⁴ О. К. Жорданна. О крепостном праве в Грузии. Тбилиси, «Мечнишеба», 1982, с. 181.

²⁵ Г. А. Чачашвили. Из истории грузинской этнографии. — Вестник гос. музея им. С. Джанашши, т. XVII В, 1953, с. 14—19.

ଶ୍ରୀ
ବିଜୁଲିଙ୍ଗ
ଯୁଦ୍ଧ
ପରିଷଠି

ଶ୍ରୀ

ელუარე ბულვერ-ლიტონა

Ուժողութ արագույան հաջարժանաւ զի պարու պաշտ և օքանու ար ըստ Մագագիշուրու առաջանաւ աշխա, Հարացութեածու աւուր, աւուր առաջանաւ զի Յուլունունու Կունաժութ ար Շուշու.

ପ୍ର. ଡା. ପ୍ରଦୀପ କୁମାର

პეტერბურგში დაჩიპლილი ქველი ჩართული წიგნები

(XIX საუკუნის პირველი ნახევარი)

XIX საუკუნის პირველი ნახევარში ღიღ მეცნიერულ, ლიტერატურულ-შემოქმედებით და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეშვეოდნენ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები. აქ მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მკალევარ-მეცნიერნი, მხატვრები, მთარგმნელ-კალიგრაფები, როგორიც იყვნენ დავით, იოანე, ოქროპირ, ბაგრატ, თეიმურაზ, ფარნაოზ, ჯიბრაელ ბაგრატიონები, იონა ხელაშვილი, პეტრე ქებაძე, ზაქარია ფალავანდიშვილი, ტარასი ალექსი-მესხიშვილი, გიორგი მაისურაძე, სიმონ ტაბიძე, გიორგი ავალიშვილი, იოსებ ნაზარიშვილი, იოანე ბაზლიძე, გიორგი პატაძე, იოსებ ხმალაძე, დავით ჩუბინაშვილი, გოდერძი ფირალიშვილი და სხვები.

პეტერბურგში ქართველთა მეცნიერულ და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას სათავეში ედგა თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი, კაცი ღიღი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ზედმიშვენით განათლებულ-განსწავლული ფილოსოფიასა, ისტორია-ფილოლოგიასა, გეოგრაფიასა და სხვა ზოგად-საზოგადოებრივ დისციპლინებში. მას პირადი ნაცნობობა და ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა აკადემიურებდა რუსეთის იმდროინდელ მოწინავე ინტელიგენციისთან, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ს. უვაროვთან, აკადემიკოსებთან მ. ა. ღონდუქოვ-კორსაკოვთან, ვიშნევესკისთან, ზაგორესკისთან, ბრანდტთან, პერმანთან, ლუნცთან, ბუნიაკოვსკისთან, ფ. შარმუასთან, პეტერბურგისავე უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების პროფესორ ჯაფარ თოფჩიბაშვითან. 1830 წლიდან თეიმურაზი ძალზე ნაყოფიერ მეცნიერულ მეგობრობას ამყარებს პარიზიდან პეტერბურგში ჩამოსულ მარი



ბროსესთან. მეცნიერებაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის 1832 წელს მას ირჩევენ პეტერბურგის ფიზიკური ხოლო 1835 წელს საფრანგეთის საზოო საზოგადოების წევრად.

თეიმურაზი პეტერბურგში საქართველოს უკანასკნელი მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის სხვა მემკვიდრეობთან შედარებით მოგვიანებით — 1811 წლიდან დასახლდა. იგი ნევის ნაპირას, ვასილის კუნძულის მეცხრე კვარტალში, კერძო სახლში ცხოვრობდა. ბაგრატიონების საგვარეულოს ამ შესანიშნავი წარმომადგენლის ოჯახის კარი მუდამ ლია იყო უცხო გარემო-პირობებში მოხვედრილი ქართველებისათვის. თეიმურაზის, მისი მეუღლის — ელენე როთარის ასულ ამილახვრისა და მათი კარის ეკლესიის მღვდლის გიორგი XII-ის შვილების აღმზრდელ-მასწავლებლის იონა ხელაშვილის გულითადი მასპინძლობის გარდა, პეტერბურგელ თანამემამულებს აღნიშნული სახლი იზიდავდა აგრეთვე მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკით. პოლიტიკურს კარხელაშვილი წერს: „თეიმურაზის სახლი 1811 წლიდან ნელ-ნელა გარდაიქმნა მწერალ-მწიგნობრობის ტრაფილთა სადგურათ. თვით თეიმურაზი და იონა ბერი თავის შეძლებით დიდად ხელს უწყობდნენ წოდების განურჩევლად ყველა ახალგაზრდა ქართველს, რომელიც კი პეტერბურგს მიაღწევდა სასწავლათ: პლატონ იოსელიანმა, სოლომონ დოდაშვილმა, დავით ჩუბინაშვილმა, სოლომონ რაზმაძემ, იოანე გაზლიძემ, სიმონ ტაბიძემ იქ, თეიმურაზის სახლში იგემეს შარბათი მეცნიერებისა და სამშობლო ენის სიყვარულისა. იქ, მეფის კაზზედ, იგინი პპოვებდნენ ნუგეშსა და მშობლიურ მზრუნველობას გაჭირებაში. ამ ოჯახში აღიზარდა XIX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგვენელი გიორგი მასურაძე“¹.

პეტერბურგში მცხოვრები ქართველების თეიმურაზის ოჯახთან დაახლოება კიდევ უფრო განამტკიცა ცარიშმის ხელისუფალთა თვითნებობის შედევრად დაკარგული ეროვნული საღვთისმსახურო ტრადიციების ამ ქალაქში აღდგენამ. მაშინ, როდესაც ქართულ ეკლესიას ყრილი ჰქონდა ავტოკეფალიური უფლებები, ქართლ-კახეთიდან რუსეთს გადასახლებულ გავლენიან პირთა რუდუნების წყალობით სინდის ნებართვით პეტერბურგის წმინდა ანდრიას მონასტერში წესდება წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულება.

¹ 3. კარბელაშვილი, თეიმურაზი ბაგრატიონი, გამ. „საქართველო“, 1916, № 146.

1816 წლიდან კი თემურაზი თავისი სახლის ეზოში აშენებს, სა-
კუთარ კარის ეკლესიას, საღაც დროთა განმავლობაში ღვთისმსახური და
რებას ეწეოდნენ იონა ხელაშვილი, ტარასი ალექსი-მესხიშვილი
და ვიქტორ გიორგაძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მი-
ხედვით აშენებულმა ბაზილიკური ტიპის ახალმა სამლოცველომ
თემურაზის ოჯახთან კიდევ უფრო დაახლოვა სამშობლოდან
ლტოლვილი თანამემამულენი.

პეტერბურგელი ქართველების უმეტესობა თავად იყო მომსწ-
რე და საკუთარი თვალით მნახველი XVIII-XIX საუკუნის საქარ-
თველოს მძიმე პოლიტიკური ცხოვრებისა. ამიტომაც შეინიშნება
მათი გარკვეული ნაწილის ძლიერი გატაცება თავიანთი სამშობლო
ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლით. დიდმა მამულიშვი-
ლურმა მოვალეობამ შთააგონა მათ დაეწერათ კონკრეტულ ფაქ-
ტებზე დაყრდნობილი მეცნიერული ნაშრომები საქართველოს
რთულ პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ მხრივ საყურადღებოა დავით
ბაგრატიონის „ახალი ისტორია“, „საქართველოს სამართლისა და
კანონმდებლობის მიმოხილვა“, ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხ-
რობა“, იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“, თემურაზ ბაგრატიონის
„დავით ბაგრატიონი“, ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ და
სხვა. ამ ნაშრომებში გამოთქმული მოსახრებები, კრიტიკული შეინ-
შენები და დასკვნები დღესაც ინარჩუნებენ მეცნიერულ ინტერესს.

განსაკუთრებით ნაცოფიერია პეტერბურგელ ქართველთა მთა-
რებელობითი მოღვაწეობა. იგი დარგობრივად ძირითადად ორი სა-
ხეობის ლიტერატურას მოიცავს — მეცნიერულსა და მხატვრულს.
მეცნიერულში უპირატესობა ფილოსოფიას აქვს დათმობილი,
მხატვრულში კი — პოეზიასა და დრამატურგიას. მთელი ამ თარგმ-
ნილი ლიტერატურის გაცნობა მოწმობს, თუ რაოდენ დიდი იყო
XIX საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში მცხოვრები ქარ-
თველების მისწრაფება გაეცნოთ თავიანთი ხალხისათვის მსოფლიო
მეცნიერების ახალი მიღწევები, მოწინავე საკაცობრიო იდეები,
ეზიარებინათ ისინი ჭეშმარიტი პოეზიისათვის და ყოველივე ამითა
ემაღლებინათ თანამემამულეთა სულიერი ცხოვრების დონე.

ფილოსოფიურ-მეცნიერული თვალსაზრისით საყურადღებო
ნაშრომები უთარგმნიათ, მაგალითად, დავით ბაგრატიონის: შარლ
ლუი მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“, ვოლტე-
რის „შობისათვის“, პრუსიის აკადემიის წევრის, ფრანგი მეცნიე-
რის უან პიერ ფრიდრიხ ანსილიონის „ესთეტიკური განსჯანი“;

იოანე ბაგრატიონს: შოტლანდიელი პროფესორის აღამ ფერწულა-
სონის „ზეობითი ფილოსოფია“; დავით ციციშვილს: აბატ კონ-
დილიაკის „ლოგიკა“. აღსანიშნავია აგრეთვე გიორგი ავალიშვილის
მიერ თარგმნილი ერაშმ როტერდამელის შრომები.

მხატვრული ლიტერატურიდან უთარგმნიათ: ივანე ამილახვარის
დერქავინის, ხოლო სოლომონ რაზმაძეს პუშკინის ლექსები, თეო-
მურაშ ბაგრატიონს კი ვოლტერის ტრაგედია „ალათოკლე“ და
სხვა.

დიდია პეტერბურგელ ქართველთა ლევანი და დამსახურება
ძველი ხელნაწერების შეგროვების, გადანუსხვისა და წესრიგში
მოყვანის საქმეში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შრომა გაუწევია
ცნობილ მწიგნობარსა და მესტამბე-გამომცემელს სიმონ ტაბიძეს.
თეომურაშ ბაგრატიონის დავალებით იგი ეწევა ხელნაწერების გა-
დაწერას და გარდვეულ გასამრჯელოსაც იღებს მისგან. სიმონის მი-
ერ გადაწერილ ერთ ხელნაწერს დართული აქვს შემდეგი ანდერძი:
„უნდა მარადის ჩვენი მეფის შვილი თეიმურაშ ვადიდოთ, რადგა-
ნაც დღე და ღამე საქართველოს შემატებისათვის მრავალ წიგნს
და ისტორიას იღვწის, წარსავებლით გვაწერინებს“. სვიმონ ტაბი-
ძეს გადაუწერია, მაგალითად, ფარსალან გორგიგანიძის „საქართ-
ველოს ისტორია“, გიორგი პაიჭაძეს — ანტონ პირველ კათალიკო-
სის „ღრამატიკა“, პირადად თეომურაშ ბაგრატიონს — სეხნია ჩხე-
იძისა და პაპუნა ორბელიანის „მოკლე ქართლის ცხოვრება“.

მეცნიერული და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობის
ფართოდ გაშლამ თავისი შედეგი გამოიღო. XIX საუკუნის პირ-
ველ ნახევარში პეტერბურგში არსებობდა საკმაოდ მდიდარი ქარ-
თულ ხელნაწერთა კერძო კოლექციები. სწორედ ამ გარემოებამ
მისცა შესაძლებლობა პეტრე ქებაძეს პეტერბურგის საზიონ მუ-
ზეუმისათვის შეეწირა 45 ძველი ქართული ხელნაწერი. მათ შორის
„ქართლის ცხოვრება“, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“, ანტონ
პირველის „ღრამატიკა“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სი-
ცრუსა“, „არჩილიანი“, „ომანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.
გიორგი ავალიანს იმავე მუზეუმისათვის გადაუცია 13 ხელნა-
წერი წიგნი.

ინტენსიურმა მეცნიერულმა და ლიტერატურულ-შემოქმედე-
ბითმა მუშაობამ პეტერბურგელ ქართველებში გააღვივა ეროვნუ-
ლი თვითშეგნების წინ წამოწევის სურვილი. მით უნდა აიხსნას
მათი ცდა 1842 წელს ქართული უურნალის დაარსებისა „ივერიის


ტელეგრაფის „სახელწოდებით², მართალია, მათ ეს ვერ განახორციელებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ყურადღება წიგნების გამძლიერებისათვის ცემაზე გადაიტანეს და ოცუულ უნაყოფოდ.

პეტერბურგში ქართული წიგნების ბეჭდა-გამოცემის ისტორია XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. 1736 წელს ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, კსესვიატსკოვეში ქართული სტამბის ერთერთი დამაარსებლის — იოსებ სამებელის ხარჯით დავით გურამიშვილის ძმა ქრისტეფორე გურამიშვილი პეტერბურგის მეცნიერებათა ეკადემიის სტამბაში ბეჭდავს „ქართულ-რუსულ ანბანს“ მოსალოდნელი იყო, რომ რაყი მოიტრა ქართული შრიფტი და გამოინახა სხვა ტექნიკური საშუალებები, ამის შემდეგ ქართული წიგნის ბეჭდა-გამოცემის საქმე პეტერბურგში სისტემატურ ხასიათს მიიღებდა, მაგრამ მთელი რიგი ხელშემშეღელი მიხეზების გამოეს ასე არ მოხდა. „ქართულ-რუსული ანბანის“ დაბეჭდვის შემდეგ XIX საუკუნის ათიანი წლების მიწურულამდე აქ ქართული წიგნი აღარ გამოცემულა.

1808 წლიდან პეტერბურგში მცხოვრები ქართველები კვლავ ანახლებენ წიგნების ბეჭდვას. ამ საქმის მოთავე ხდება საიმპერატორო კარის საგარეო საქმეთა კოლეგიის თარგიმანი, ნადეორნი სოვეტიკი გოდერძი ფირალიშვილი. იგი მოსკოველ ქართველ ექიმ პეტრე კლაპიტონაშვილზე აღრე თარგმნის პრაქტიკული დანიშნულების პოპულარულ სამედიცინო წიგნს „ლონეი და შეწევნულება, რომლითაც იხსნების ერთ ყვავილის სნეულების სრუისაგან“ და 1808 წელს ბეჭდავს პეტერბურგის სახაზინო სტამბაში.

ასეთივე პრაქტიკული დანიშნულების წიგნი იბეჭდება აქ 1815 წელს შემდეგი სახელწოდებით: „სწავლა აცრისათვის წინა დამცველისა ყვავილისა“. ორივე წიგნში დახასიათებულია ძველი ძალზე საშიში ეპიდემიის, ყვავილის სიმპტომური თავისებურებანი, მისი ზემოქმედება აღამიანის ორგანიზმზე, აქედან გამოწვეული მძიმე შედეგები და მოცემულია რჩევა-დარიგება დაავადების თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიული წყაონების მხიედვით ყველწლიურად უამრავი ხალხი იხოცებოდა საქართველოში ყვავილის ეპიდემიით, ხათელი გახდება აღნიშნული წიგნების გამოცემის მნიშვნელობა.

² ი. ბოგომოლოვი, ჭელი ქართული ლეტერატურის საკითხები რუსული პერიოდიის ფურცლებში, „ლტერატურული ძებანი“, XIV, გვ. 34.

XVIII საუკუნის მიწურულისათვის ერთგვარი გამოცოდულია იგრძნობა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1793 წლის 28 მარტი რანგეთის რევოლუციამ ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პეტერბურგში, მოსკოვში, რიაზანსა და სხვა მსხვილ ქალაქებში. ამით შეშინებულმა მართველმა წრეებმა მკაცრი კონტროლი დაწესეს წიგნების გამოცემაზე, სენატის ბრძანებულებით, მთავრობის საწინააღმდეგო იდეების ქადაგებისათვის ცეცხლში დაწვეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი ი. ბ. კინა-ენინის ტრაგედია „ვადიმ ნოვგოროდეცი“. ამასთან დაკავშირებით დაიხურა მრავალი კერძო სტამბა⁵.

XIX საუკუნის დამდევიდან ალექსანდრე პირველის გამეფების შემდეგ სტამბებისათვის დაწესებული ზოგიერთი შეზღუდვა გაუქმდა. კვლავ გაიზარდა წიგნების გამოსაცემ კერძო საწარმოთა რიცხვი. ამის შედეგად XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდევისათვის იოსებ იოანესიანი პეტერბურგში აარსებს საკუთარ სტამბას, რომელშიც წლების მანძილზე იბეჭდება ქართული წიგნები. 1818 წელს აქ გამოდის წიგნი: „განკსგანი არისტოტელისანი კეთილისა და ბოროტისათვის“. ეს არის მცირე მოცულობის რამდენიმე გვერდიანი მორალურ-დიდაქტიკური ხასიათის ნაშრომი, რომელშიც განხილულია გონების რაობა, მოცემულია სათხოებისა და მანქიერების დახასიათება, გამოტანილია ზოგადი დასკვნები სიკეთისა და ბოროტების, როგორც ეთიკური კატეგორიების შესახებ.

„განკსგანი არისტოტელესანი...“ 1787 წელს უთარგმნიათ ბერძნულიდან რუსულად, საიდანაც 1818 წელს თემურაზ ბაგრატიონის გადმოუქართულებია და იმავე წელს დაუბეჭდია თავისი ხარჯით.

კიდევ ერთ მორალურ-დიდაქტიკური ხასიათის წიგნს ბეჭდავენ 1823 წელს პეტერბურგელი ქართველები. ესაა „ენციკლოპედია ანუ შეკრებულობა ზნეობითა სწავლათა ჰაზრთანი და განსკანი სხუათა და სხუათა ნივთთათვის და ალსმულნი ანბანთა ზედა“. ეს წიგნი ფრანგულიდან რუსულად უთარგმნია კოლექსი ასესორს იოანე პრიკლონცის, ქართულად კი გიორგი ჩუგუნაშვილს გადმოულია.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დაინტერესება მორალურ-დიდაქტიკური ნაშრომებით ჭერ კიდევ XVIII საუკუნის

⁵ А. Н. Петров, И. Д. Царт, Первая академическая, Л., 1977, с. 25.

40-იანი წლებიდან შეინიშნება. ამას მოწმობს ბასილიოს მაკერა-
ნელის „ტესტამენტის“, „კიტაის სიბრძნისა“ და „ქმნულთხრებულის“ ცოდნის წიგნის“, ანუ „აიათის“ გამოცემა ვსესვიატსკოეს, ვახტანგ
მეექვისისა და ერეკლე მეორის სტამბებში. ეს ფაქტი ერის სულიერ
ცხოვრებაზე ევროპის კულტურის გავლენით გამოწვეული კეთილ-
სასურველი ძვრებით უნდა აიხსნას. არისტოტელეს „განშეხანისა“
და „ენციკლოპედიის“ გამოცემაც იმავე ძვრების გამოძახილს წარ-
მოადგენდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში გამოცემულ
ქართულ წიგნებს შორის ყურადღებას იქცევს იურიდიული შინა-
არსის ორი ნაშრომი: „საზოგადო მდივნობაი“ და სამპერატორო
კარის ბრძანება-განკარგულება „უფალს მთავარმართებელს კავკა-
ზიის მხარის აქეთ“. „მდივნობის“ დანიშნულებაა განუმარტოს
დაინტერესებულ პირთ, თუ როგორ უნდა შედგეს „პირობის ხელ-
წერილი“, „თამასუქის გაცემის“, „ნასყიდობის წიგნები“, „სამემ-
კვიდრეო ანდერძები“ და სხვა სახის იურიდიული ხასიათის დო-
კუმენტები აღმინისტრაციულ ორგანოებში წარსადგენად. ამრი-
გად, ეს არის იურიდიული ცოდნის პროპაგანდისთვის გამიზნული
წიგნი და მის გამოცემას იმ დროისათვის გარკვეული პრაქტიკული
მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წიგნის შემდგენელ-გამომცემელია გო-
დერძი ფირალიშვილი, დაბეჭდილია იგი 1821 წელს იოსებ იოანე-
სიანის სტამბაში.

რაც შეეხება მეორეს, რომელიც წარმოადგენს იმპერა-
ტორ ნიკოლოზის მიერ ხელმოწერილ ბრძანება-განკარგულებას,
იგი დაბეჭდილია 1841 წელს და მოიცავს ერთ გვერდს. მასში განსა-
ზღვრულია ამიერკავკასიის დროებათი მმართველობის უფლება-მო-
ვალეობანი, სახელმწიფოებრივი დანიშნულების დებულებათა და-
სასამარტინოებლად იმპერატორთან წარდგენის წესი, მოსახლეობაზე
გადასახადების შეწერის კანონები, ალებ-მიცემობის წარმოების
ნორმები და სხვ. ერთი სიტყვით, ეს არის ისტორიული ხასიათის
დოკუმენტი, რომელსაც თავისი მცირე მოცულობის მიუხედავად
გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ხალხთა XIX საუ-
კუნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერულად
შესწავლის თვალსაზრისით.

1801 წლის მანიუსტს, ისტორიულად ამ დიდმნიშვნელოვან
პროგრესულ მოვლენას, რომელსაც მოქლე ხანში ქართველი ხალ-
ხის ეკონომიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი დაწინაურე-
9. მწიგნობარი, II

ბა მოჰყვა შედეგად, უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ცარიზმი, რომ ლის უზარმაშარ ბიუროკრატიულ სახელმწიფო აპარატში ქართველი ხისმგებლო თანამდებობებზე, ძირითადად მოკალათებული უწყვეტის განვითარებული საქმეებში გაწაფული, ათასგვარი მაქინაციებით დაწინაურებული ყოველგვარი ჯურის სისხლის სამართლის დამნაშავენი, მონარქიული წყობილების განსამტკიცებლად უსასტიკეს რეპრესიებს ანხორციელებდა როგორც შილა რუსეთში, ისე მის განაპირა ქვეყნებში. მთელი ძალით იდევნებოდა სამართლიანი, ჯანსაღი პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი აზრი.

ცარიზმის მიერ განხორციელებული კოლონიური პოლიტიკის შედეგად ყოველგვარ საზღვარს გადაუკარბა ეროვნულმა ჩაგვრამ განაპირა ქვეყნებში და მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც ქართლ-კახეთის სამეფოების გაუქმებისა და „დროებითი მმართველობის“ დამკვიდრებისთანავე ცარიზმი შეეცადა იურიდიული არსებობის საშუალება მოესპონ ქართული ენისათვის. თვითნებურად ჭართვებს მას სახელმწიფოებრივ-სუვერენული უფლებები, განდევნეს ოფიციალური აღმინისტრაციული ორგანოებიდან და სასწავლებლებიდან. მეფის მოხელეთა მიერ უფლებააყრილ-შევიწროებულ „ბურჯ ერისას“ იმ გაჭირვების უამს ხსნა, დაცვა და მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. ამ დიდ ეროვნულ საქმესაც სათავეში პეტერბურგელი ქართველები ჩაუდგნენ.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თემიურაზ და იოანე ბაგრატიონების, ნიკო ჩუბინაშვილის, გიორგი ავალიშვილისა და სხვა მოღვაწეთა ინიციატივით პეტერბურგში საფურცელი ეყრება საკმაოდ ძლიერ ქართველოლოგიურ სკოლას, რომელმაც 1830 წლიდან მარი ბროსეს რუსეთში დასახლების შემდეგ კიდევ უფრო გააფართოვა და გააღრმავა მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუდუნებით აღსავსე ის ნაყოფიერი შრომა, რომელიც პეტერბურგელმა ქართველებმა მშობლიური ენის გრამატიკასა და ლექსიკოლოგიური საკითხების მეცნიერულად შესწავლისათვის გახწიეს. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები XIX საუკუნის ათიანი წლების მიწურულიდან გადაიდგა.

ქართული ენის გრამატიკის შედეგნას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იან წლებში რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში იბეჭდება იტალიელი მისიონერის ფრანცისკო მარია მაჯიოს მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“, ხოლო XVIII საუკუნის

მიწურულს, კერძოდ, 1798 წელს მოხდოქში ცნობილი მესტაშე- გამომცემლის რომანიზ რაზმატე-ზუბაშვილის ხელით მოწყობილი ქართულ სტამბაში გაიოზ რექტორი ბეჭდავს მის მიერ შედგენილ „ქართული ენის გრამატიკას“. ორივე ამ გამოცემამ გარკვეული როლი შეისრულა მრავალმხრივი თვალსაზრისით, რის გამოც მათ გამორჩეული ადგილი უკავიათ ქართული წიგნის ისტორიაში. ამის ნათელსაყოფად მარტო ისიც საქმარისია ითვეს, რომ ფრანცისკო მარია მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკაში“ პირველად გააცნო ევროპას ჩვენი მშობლიური ენა და კულტურა, ხოლო ორივე ზემოდასახელებულმა გამოცემამ საფუძველი ჩაუყარა. ქართული ენის გრამატიკის, როგორც მეცნიერული დისკიპლინის შემდგომ ჩამოყალიბებას. მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იტალიელი მისიონერისა და ქართველი ღვთისმსახურის გაიოზ რექტორის ნაშრომებს ნაკლოვანებები არ გააჩნდათ. პრობლემატურ, საკვანძო საკითხების გვერდის ავლა, მეცნიერული დაუსაბუთებლობა, ზოგადი ხასიათის მსჯელობანი და სხვა — აი, ამ ნაშრომების ძირითადი ნაკლოვანებები.

პეტერბურგელ ქართველებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ყოველივე ეს და შესდგომიან მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ნაშრომების შექმნისათვის ზრუნვას. ამის ერთ-ერთ ადრინდელ ცდას წარმოადგენს გოდერძი ფირალიშვილის „თვით მასწავლებელი, რომელიც იყორობს თვის-შორის ღრამატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონსა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა“, რომელიც 1820 წელს დაიბეჭდა იოსებ იოვანესიანის სტამბაში. სამწუხაროდ, დიდად არც ეს გამოცემა განსხვავდებოდა წინათ დაბეჭდილი ქართული ენის „გრამატიკებისაგან“. ძირეული საკითხებისადმი ზედაპირული მიდგომა, მეცნიერული სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობა, უსისტემობა განსაზღვრავენ გოდერძი ფირალი-შვილის ნაშრომის დონეს. ამგვარი ხასიათის ადრინდელ გამოცემებთან შედარებით ამ წიგნში სიახლე ის არის, რომ ქართული ენის ცალკეული გრამატიკული ნორმები რუსული ენის გრამატიკული ნორმების შეპირისპირებითაა განხილული და გამოტანილია მეტ-ნაკლებად მართებული დასკვნები.

ქართული ენის გრამატიკის მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლის მარი ბროსეს ნაშრომი „ხელოვნება აზნაურითი გინა ქართული ენის თვით მასწავლებელი“, რომლის ძი-

რითად ლიტერატურულ წყაროდაც მკვლევართაგან ანტონ პრივატის ცნობილი სახელმწიფო უნივერსიტეტი „ღრამატიკა“ მიჩნეული.⁴ შემოგვალი შრომი 1834 წელს გამოიცა პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე. მასში ვრცლადა განხილული ქართული დამწერლობის წარმოშობა, მოცემულია ასოებისა და ბეგერების თვისობრივი დახსაითება, ზედსართავის, რიცხვითი და ნაცვალსახელების გენეტიკური ანალიზი, გარკვეულია ქართული ზნის თავისებურება და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარი ბროსეს ეს ნაშრომი დაზღვეული არ არის ცალკეული ხარვეზებისაგან. მასში გამოთქმულია მცდარი მოსაზრება ქართული ენის ინდოევროპული წარმოშობის, ქართული ალფაბეტის შექმნისა და სხვათა შესახებ, მაგრამ ყოველივე ეს იმდენად მეორეხარისხოვანია, რომ ვერ აუფასურებს ნაშრომის ძირითად ღირებულებას. მარი ბროსეს სწორედ ამ გამოკვლევით ეყრდნა საფუძველი ქართული ენის გრამატიკის მეცნიერულ შესწავლას. „ბროსეს ეს გრამატიკული ნაშრომი მთელი თავით მაღლა იდგა ანალოგიური ხსიათის სხვა ნაშრომებთან შედარებით. იგი ძირითადად სწორ წარმოდგენას აძლევდა ევროპელ მკითხველს ქართული ენის უმთავრეს ელემენტებსა და გრამატიკულ წესებზე“.⁵

მარი ბროსემ შემდგომში კიდევ რამდენიმე ნაშრომი უძლვნა ქართული ენის გრამატიკის პრობლემების გარკვევას, რომლებშიც საკვლევი საკითხები მასშტაბურადაა განხილული და აღრე გამოტქმული მცდარი მოსაზრებები გასწორებულია.

პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ქართულთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ რუსული ენის გრამატიკის შესწავლისათვის სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემას, რადგანაც მათ იცოდნენ, რომ რუსული ენის გარეშე მსოფლიო კულტურის გაცნობა ქართველი ხალხისათვის იმ დროს თითქმის შეუძლებელი იყო. ეს გარემოება დაედო საფუძვლად პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის „მოკლე რუსული გრამატიკის“ 1847 წლის გამოცემას.

დიდი შრომა გასწიეს პეტერბურგელმა ქართველებმა აგრეთვე მშობლიურ ენაზე სხვადასხვა სახის ლექსიკონების შედგენა-გამოცემისათვის. ქართული ენის გრამატიკის საკითხების შესწავ-

⁴ შ. ხანთაძე, მარი ბროსე (ისტორიაგრაფიული ნარკვევი), 1966, გვ. 33.

⁵ იქვე, გვ. 35.



ლის მსგავსად ლექსიკონების ბეჭდვას დიდი ხნის ისტორია აქვთ და განვითარებული არა 30-იანი წლების დამდეგს კახეთის მეფის თეობურაზ პირველის ელჩიმა ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილმა და იტალიელმა პატრიმა სტეფანე პაოლინიმ 1629 წელს რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში გამოსცეს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელსაც ობიექტური მიზეზების გამო მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი შემდეგი გარემოება გახლდათ: „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“, — წერს, ა. ჩიქობავა, ხშირია ქართული სიტყვის არაზუსტი დაწერილობა (აგმოსავლეტი, ადვილი, აგმოზენებული, აბრეშომი)...

ცხადია, ლექსიკონის შემდგენელმა სტეფანოლინიმ ენა არ იცოდა, ქართული მეტყველების თავისებურებებში ვერ ერკვეოდა.

მართალია, მას ეხმარებოდა ნიკიფორე ირბახი, ქართველი ბერი, მაგრამ არ ვიცით, რა გავეთდა ლექსიკონში უმისოდ და რაში მიიღო მან მონაწილეობა⁶.

დამოწმებული ციტატა უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ სტეფანე პაოლინის მიერ ენის არცოდნა, ბუნებრივია, გახდებოდა მთავარი მიზეზი იმ ნაკლოვანებებისა, რომლებითაც ხასიათდება 1629 წელს რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ონიშნული გამოცემა თავისი დონით არ იდგა ჯეროვან სიმაღლეზე და აქედან გამომდინარე, ცხადია, ვერც აქმაყოფილებდა ამ სახის წიგნისადმი წაყენებულ მოხმოვნებს.

XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის პეტერბურგში გაიხსნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, რომელიც ვასილის კუნძულზე მესამე კვარტალში № 77 სახლში იყო მოთავსებული. ონიშნული პეტერბურგისათვის სტამბაში 28 დაზგა მუშაობდა, რომლებითაც იბეჭდებოდა წიგნები ხუთ ენაზე: რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ქართულსა და თურქულზე⁷.

1831 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბა შეიქმნა პარიზიდან ჩამოტანილი ახალი შრიფტებითა და

⁶ ა. ჩიქობავა, - გ. ვათევაშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, 1983, გვ. 27, 28.

⁷ А. Н. Петров, И. А. Царт. Первая академическая, Л., 1977, с. 29.

მატრიცებით, აგრეთვე გერმანელი ფაბრიკანტების კენიცხადა /
ბაუერისაგან ნაყიდი ორი სწრაფმშეჭდავი მექანიკური დაზურანტა
ყოველივე ამან ხელი შეუწყო სტამბის საწარმოო საშუალებათა
ზრდას. 1843 წლისთვის მას უკვე შეეძლო წიგნების გამოცემა
ებრაულ, აღლანურ, რუმინულ, ქართულ, სკანდინავიურ, შვედურ,
ინგლისურ, პოლონურ და სხვა ენებზე.

პირველი ქართული წიგნი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადე-
მის სტამბაში 1830 წლს დაიბეჭდა. ეს იყო ილექსანდრე სულხა-
ნიშვილის მიერ შედგენილი „ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსი-
კონი“. ისევე როგორც აღრე გამოცემული ამ სახის სხვა წიგნები,
აღ. სულხანიშვილის ნაშრომიც მთლი რიგი ასებითი ნაკლოვა-
ნებებით ხასიათდებოდა. მრავალი სიტყვა მასში დამახიჯებულად
იყო მოტანილი და შეცდომით ახსნილ-განმარტებული.

ამრიგად, მრავალგზის ცდისა და სერიოზული წანამდლვარების
მიუხედავად, XIX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულმდე, რა-
ღაც მეცნიერულ დონეზე შედგენილი ლექსიკონების გამოცემის
საკითხი თვითდინებაზე იყო მიშვებული და შემთხვევით ხასიათს
ატარებდა, ამ საქმის მოვარება დავით ჩუბინაშვილს ხედა წილად.

1837 წლის 27 ივნისს ჭერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის
პერიოდში დავით ჩუბინაშვილს თხოვნით მიუმართავს პეტერბურ-
გის საწავლო ოლქის მზრუნველისათვის მის მიერ შედგენილი
„ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონის“ გამოცემის თაობაზე.
საკითხის საბოლოოდ გადაშევეტის მიზნით საგანმანათლებლო საქ-
მის გამგებელს ხელნაწერი მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაუ-
ცია განსახილველად, სადაც მისი რეცენზირება მარი ბროსესათვის
დაუვალებიათ.

1837 წლის 15 სექტემბერს ბროსეს მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმისათვის დადებითი რეცენზია წარუდგენია, რომელშიც
გამოთქმული ყოფილა რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება. რეცენ-
ზენტი, კერძოდ, მოითხოვდა ლექსიკონში ლათინურის ფრანგულით
შეცვლას და ნაშრომის მოცულობის გაზრდას ძველი ხელნაწერე-
ბის შესწავლის შედეგად იმხანად გამოვლენილი ახალი ლექსიკური
მასალის ხარჯზე. დავით ჩუბინაშვილმა მარი ბროსეს მოსაზრებანი
გაიზიარა, ნაშრომი გადაამუშავა, შეავსო და 1840 წლს პეტერ-
ბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდა შემდეგი სა-
ხელშოდებით: „ქართულ-რუსულ-ფრანგიული ლექსიკონი ქმნი-

⁸ А. Н. Петров, И. А. Царт. Первая академическая, Л. 1977, с. 29.



ლი დავით ჩუბინოვის მიერა“. მარი ბროსეს შუამდგომლობით ჩატარა მეცნიერებათა აკადემიის აქტიური მხარდაჭერის შედეგად აზრი წმი და დემიდოვის პრემია დაიმსახურა.

დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე დავით ჩუბინაშვილის მეორე ნაშრომს „რუსულ-ქართულ-ლექსიკონს“, რომელიც 1846 წელს დაიბეჭდა. ამ გამოცემისათვის წიგნის ავტორს მეორედ მიენიჭა დემიდოვის პრემია.

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებმა ფართო აღიარება ჰპოვა მაშინდელ პერიოდულ პრესასა და ფართო საზოგადოებრიობაში. არა ერთი და ორი გამოჩენილი მოღვაწე გამოეხმაურა მათ გამოცემას. მაღალი შეფასება მისცა ამ წიგნებს ი. ჭავჭავაძემაც. 1891 წელს დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა: „ჩუბინაშვილის ლექსიკონები დიდი ლვაწლია ქართული მწერლობისათვის, დიდი სიმდიდრეა ქართული ენისათვის. მაგრამ ამ ლექსიკონებს ჯერ კიდევ დიდი შრომა სჭირია, რომ დღევანდელი საჭიროება და მოთხოვნილება ამ მხრივ დაქმაყოფილებული იქნა... ლექსიკონებში მოქმედულ სიტყვებს უფრო გარკვეულად დაწყობა და გარჩევა სჭირია, აგრეთვე ხალხის ცოცხალი ენის სიტყვებით, სხვადასხვა ცნებათა გამომხატველი სიტყვებით მეცნიერებათა ყოველ ნაწილში: ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, ქიმიაში და სხვა ყველა ამას კაცები სჭირია და საშუალება და თუ ჩვენ კერძო თაოსნობას ვუყურეთ, მეორე ჩუბინაშვილს ვუცადეთ, საქმე ერთობ გვიან გაკეთდება... მაშ დავაარსოდ თანხა დავით იღესეს ძე ჩუბინაშვილის სახელობაშე ქართული ლექსიკონის შესავსებად და როცა ეს თანხა ცოტა გაიზრდება, იქიდან მივცეთ სასყიდელი მცოდნე კაცებს და ვამუშავოთ, ვაშრომოთ ამ სასარგებლო საქმისათვის. როცა ფული გვექნება ხელთ, შეგვეძლება გავგზავნოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ენის მცოდნე კაცნი და შევაკრებინოთ წინდაწინვე შემუშავებული პროგრამით სიტყვები, სახალხო ლექსები და მასალა ლექსიკონისათვის“⁹.

თუ როგორ შეფასებას აძლევდა ილია დ. ჩუბინაშვილის არა მარტო ლექსიკოლოგიურ, არამედ საერთოდ მის მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც, თვალნათლივ ჩანს წარწერიდან, რო-

⁹ ი. ჭავჭავაძე, სეტყვა თქმული დ. ჩუბინაშვილის პატივსაცემას, თხზულებათა სრული კრებული, 1957, გვ. 260.

შელიც გაქტებული პქონდა გარდაცელილი მქვლევარისათვის გორგო /
ტის მიერ მირთმეულ გვირგვინს: „ლრმა მოხუცებულ შესწორება
ლებელს და დამრიგებელს დავით იესეს ძე ჩუბინაშვილს მისის
მადლობელის შეგრძლის თავ. ი. ჭავჭავაძისაგან“¹⁰.

იმ დიდი დამსახურებისა და აღიარების მიუხედავად, რომელიც
დავით ჩუბინიშვილს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების წი-
ნაშე მიუძღვდა, თავისი ქვეყნის ეს ჰეშმარიტი თავმდაბალი მამუ-
ლიშვილი საკუთარ მოღვაწეობას ყოველთვის მოკრძალებულ შე-
ფასებას აძლევდა. 1881 წელს თბილისის ინტელიგენციამ ვერის
ბალში სიგანგებო ბანკეტი გამართა ლვაწლმოსილი მეცნიერის
პატივსაცემად. საპატიო სტუმრისათვის სიტყვებით მოუმართავთ
ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელსა და ქართული ინტელიგენციის სხვა
რჩეულ წარმომადგენლებს. სამადლობელო სიტყვაში დავით ჩუ-
ბინაშვილს თავისი ლვაწლი ასე შეუფასებია: „მე რაც შემძლო
ვიშრომე და ვიღუაწე ჩვენი ქართული ენის აღსაღენად და გასა-
მდიდრებლად, ახალი ის იმედი მანუგეშებს, რომ ჩემს შემდეგაც
რჩებიან ყმაწვილი კაცები, რომელნიც განაგრძობენ წეს მცირე
შრომას და ეცდებიან მკვიდრ საძირკველზე დააყენონ ჩვენი მწერ-
ლობისა და მწიგნობრობის საქმე. მე დავდგი ბოძები და თქვენი,
ახალი თაობის მოვალეობა არის რომ ამ ბოძებზე ააგონ მაგარი
შენობა სამშობლო ლიტერატურისა“.

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე ისე დიდი მოთხოვნილება
იყო, რომ შემდეგში ისინი ამდენჯერმე გამოიცა შევსებულ-გა-
დამუშავებული სახით. 1890 წელს, მაგალითად, საქმაოდ მოზრ-
დილი ტირაჟით გამოვიდა 1840 წელს გამოცემული „ქართულ-
რუსული ლექსიკონი“ ფრანგული თარგმანის გარეშე. იგი ამ
დროისათვის უკვე 70000 სიტყვას მოიცავდა.

მნიშვნელოვანი ამაგი დაცეს პეტერბურგელმა ქართველოლო-
გებმა ეროვნული ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენა-გამოცე-
მის საქმეს. ამ მხრივაც დიდია დავით ჩუბინაშვილის ლვაწლი და
დამსახურება.

რუსეთის სახალხო განათლების მინისტრის მითითებით პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1844 წლის 24 ივ-
ლისს განიხილა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ამიერკავ-
კასის ხალხთა ენების სწავლების შემოღების საკითხი, რომლის

10 ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967, გვ. 238.

დადებითად გადაწყვეტიამ დღის წესრიგში დაყუნა სათანადო სა-
ხელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა. უნივერსიტეტის სამეცნიერო კრონმა პ. ა. პლეტნევმა, ქართული ლიტერატურის ქრესტომათის
შედეგენა დაავალა ამ საგნის მასწავლებელს დავით ჩუბინაშვილს.
სამეცნიერო წრეებში უკვე კარგად ცნობილმა ლექსიკოგრაფმა
დაეთლება მოკლე დროში შეასრულა. 1845 წელს წარადგინა
„ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ ორ ნაწილად, პირველში
შეტანილი იყო პოეტური, მეორეში კი — პროზაული ნაწარმოებები.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დავით ჩუ-
ბინაშვილის ნაშრომი სააპრობაციოდ გადაუგზავნა მეცნიერებათა
აკადემიას. მისი რეცენზირება ისევ მარი ბროსეს დაევალა, რომე-
ლიც ნაშრომის დაღებით შეფასებასთან ერთად ცალკეულ შენიშვ-
ნებსაც გამოთქვამდა. კერძოდ, იგი უმჯობესად თვლიდა ზოგიერთი
ადგილების ამონებას „ვისრამიანიდან“, ანდა მისი, როგორც XI
საუკუნის სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლის „ქრესტომათიაში“ სა-
ერთოდ შეუტანლობას, „ბიბლიიდან“ მოტანილი ადგილების (ივდი-
თის, რუთის, იობის წიგნებიდან) ხუცური შრითებით აწყობას,
ერთ-ერთი ნაწყვეტის რუსულად თარგმნასა და მისთვის ფილო-
ლოგიურ-ისტორიული ხასიათის შენიშვნების დართვას. ამასთან,
ბროსე სასურველად მიიჩნევდა „ქრესტომათიაში“ შეტანილი ყო-
ფილიყო მოკლე ცნობები წარმოდგენილ მწერლებზე, ანოტაციე-
ბის მოთავსებას იმ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიდანაც მოტანი-
ლი იყო ნაწყვეტები.

დავით ჩუბინაშვილმა თავისი ნაშრომი მარი ბროსეს რეცენზია-
ში გამოთქმული შენიშვნების მიხედვით გაასწორა, შეავსო, წეს-
რიგში მოყვანა და პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს
ა. პლეტნევს დაუბრუნა გამოსაცემად.

„ქრესტომათის“ პირველი და მეორე წიგნი 1846 წელს და-
იმექდა ერთდროულად პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის
სტამბაში. პირველის სახელწოდება იყო „ქართული ქრესტომათია
ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, ნაწილი
პირველი, პროზა“, ხოლო მეორესი — „ქართული ქრესტომათია
ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, ნაწილი
მეორე, პოეზია“.

„ქრესტომათის“ გამოცემამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია
საზოგადოების ფართო წრეებში. ერთი დადებით შეფასებას აძ-
ლევდნენ დავით ჩუბინაშვილის ნაშრომს, მეორენი—კრიტიკულს.

მაგალითად, 1863 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის
სტამბაში მისი მეორედ გამოცემის გამო უურნალ „ცისკარში“ და
ზეჭდილ ბიბლიოგრაფიულ ცნობებში საყველური იყო გამოქვეყნირება
ლი, რომ „ქრესტომათიაში“ ფაქტიურად ადგილი არ ჰქონდა
დათმობილი XIX საუკუნის ახალ ქართულ მწერლობას¹¹. ასეთივე
კრიტიკული შენიშვნა იყო დაბეჭდილი 1881 წელს გაზეთ „შრო-
მაში“.¹²

„ქრესტომათიისადმი“ ქართველი საზოგადოებრიობის ერთი
ნაწილის ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ უთუოდ
მართებულად მიუთითებს ნ. მახათაძე: „რა ოქმა უნდა, ქართულ
პრესაში გამოთქმული შეხედულებები დ. ჩუბინაშვილის შესახებ,
საკათხის ფაქტიური უცოდინარობით უნდა აიხსნას, — წერს იგი,—
ახალი მწერლების ქრესტომათიაში შეუტანლობა არავითარ
შემთხვევაში არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ იმას (დ. ჩუბინა-
შვილს—ო. კ.) „სასირცევილოდ მიიჩნდა, თუ როგორ უნდა და-
ბეჭდოს თავის ქრესტომათიაში ბავშვების მწერლების ლექსები“...

ჯერ ერთი, დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომათია“ გამოიცა 1846
წელს, როდესაც ილიასა და აკაკის მწერლობაზე ლაპარაკიც არ
იყო, ქრესტომათიის მეორე გამოცემის დროს კი ახალი მწერლო-
ბის მტკიცე საფუძველის არსებობა არ შეიძლებოდა არ შეემჩნია
და დაეფასებინა დ. ჩუბინაშვილს. ამის მაგალითია თუნდაც ის
გულთბილი მეგობრობა, რომელიც აკავშირებდა დ. ჩუბინაშვილს
ილიასთან და აკაკისთან. და თუ ქრესტომათიაში მან ადგილი არ
დაუთმო ახალ მწერლობას, ეს მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რომ
დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია გარკვეულად ძველ ქართულ მწე-
რლობას ტოვებდა თავის ფარგლებში და ამით ძველსა და ახალ
მწერლობას შორის ერთგვარ საზღვარს დებდა. ეს კი არ ნიშნავს
ახლისადმი მტრულ განწყობილებას ან მის დაუფასებლობას¹³.

ცხადია, თქმა ამისა, რომ დავით ჩუბინაშვილის „ქრესტომა-
თიას“ ნაკლოვანებები არ გააჩნია, სწორი არ იქნება. ვფიქრობთ,
მაგალითად, მასში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ქართ-
ველი მწერლების გარკვეული ნაწილი, შეიძლებოდა უფრო ძლიე-
რი ადგილების მოტანა ამა თუ იმ ნაწილმოებებიდან და სხვ. მაგ-
რამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ამგვარი სახის ლიტერატუ-

11 ნ. მახათაძე ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967, გვ. 238.

12 ესტ. 1 „ცისკარი“, 1865, № 8.

13 ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967, გვ. 238.

რის გამოცემის პირველი ცდაა, ხაზგასმით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1712 წელს გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნისათვის“ უკუკირავა რთული ვახტანგ მეექვსის კამენტარების შემდეგ დავით ჩუბინა-შვილის „ქრესტომათიას“ მისივე ლექსიკონებთან ერთად გამორჩეული აღილი უკავია ქართული მეცნიერულ-ფილოლოგიური წიგნის ბეჭდების ისტორიაში.

ცარიზმის მონარქიულ-თვითმპურობელური პოლიტიკით წაქეზებული, რუსეთის ინტელიგენციას მიტმასნებული, რეაქციულად განწყობილი მეცნიერ-მკვლევართა ერთი ჯგუფი დროგამოშვებით შოვინიზმით გამსჭვალული ნიპილისტურ პროვოკაციებს აწყობდა განაპირა ქვეყნების ხალხთა კულტურული წარსულის გასაქირდავად.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ასეთ გამოხდომებს საქართველოს ისტორიის მიმართ ხშირად მიმართავდა პროფესორი ო. სენკოვსკი. 1838 წელს იგი თავს დაესხა შუა საუკუნეების ცნობილ ისტორიულ ძეგლს „ქართლის ცხოვრებას“ და იმისათვის, რომ შეექმნა ილუზია — თითქოს ქართველებს ძეველი ისტორია არ გააჩნიათ, აღნიშნული წიგნი XVIII საუკუნეში შექმნილად გამოაცხადა. ო. სენკოვსკი კიდევ უფრო შორს წავიდა. მისი მოსაზრებით, „ქართველებს“ თავიანთ დღევანდელ ტერიტორიაზე XII საუკუნემდე არ უცხოვრიათ. იმისათვის, რომ „ეჭვმიუტანელი“ გახადოს ეს ვერსია, იგი ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჭდეს, გააბათილოს ქართველებისა და იბერიელების იგივეობა, დაამტკიცოს, რომ ქართველების ისტორია გიორგი პირველის, უფრო სწორად, დავით მესამის დროიდან, ანუ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და სხვა¹⁴.

ო. სენკოვსკი „მეცნიერულ პაექტობაში“ მარტო როდი იყო. მას მხარს უბამდნენ სხვა რეაქციონერი თანამოაზრენიც. ცხადია, ამგვარი მძაფრი შოვინისტურ-ნიპილისტური შემოტევების გამო საჭირო იყო საქართველოს ისტორიული წარსულის, მისი მრავალ-საუკუნოვანი მდიდარი ეროვნული კულტურის დაცვა.

ისევე როგორც მშობლიური ენის უფლებების შენარჩუნებისათვის, საქართველოს ისტორიის ხელშეუხებლობისათვისაც ნაბეჭდი პუბლიკაციებით პირველად ხმა აღიმაღლეს პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა. ო. სენკოვსკისა და მის თანამოაზრეთ ყოველმხრივ დასაბუთებული პასუხი გასცა მარი ბროსემ 1841

¹⁴ შ. ხანთაძე, მირი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკევევი), 1966, 83-45, 46.

წელს პეტერბურგის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაზე წაკითხული საჭარო ლექციების ციკლით, რომელშიც მიმოხილული იყო „ქართველოლოგიური ლიტერატურა, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქართული ენა, ძველი ქართული კანონმდებლობა, ქართველთა ზნე-ჩვეულებები, ქართული ლიტერატურა, ისტორია და სხვა საკითხები“¹⁵.

ქართველი ხალხის ისტორიის ფართოდ გაცნობა-აღიარების მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1849 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში „ქართლის ცხოვრების“ პირველი წიგნის, ანუ „ძველი მოთხრობის“ გამოცემას, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები დასაბამიდან 1469 წლამდე განვლილ პერიოდს მოიცავდა. წიგნს ახლდა მეცნიერული სილრმით დაწერილი მარი ბროსესეული კრიტიკული შენიშვნები, დამატებები, განმარტებები, რომლებშიაც ქვა-ქვაზედაც არ იყო დატოვებული ო. სენ-კოსკისა და სხვა რეაქციონერთა მიერ საქართველოს ისტორიაზე გამოთქმული ნიპილისტური შეხედულებებიდან.

მარი ბროსეს განზრახული ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნის გამოცემაც, მაგრამ მხედველობის დაკლების გამო წამოწყებული საქმის ბოლომდე მოყვანა გაუჭირდა. 1851 წლის ოქტომბერში მან პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ მხედველობის მკვეთრი დაქვეითება საშუალებას არ აძლევს გამოსაცემად მოამზადოს „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნი და ითხოვთ ნება დაერთოთ მის მაგივრად, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, საქმე დავით ჩუბინაშვილს გაეგრძელებინა. ბროსეს ეს თხოვნა დააკმაყოფილეს.

1854 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნი დავით ჩუბინაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. იგი 1849 წელს გამოცემული პირველი წიგნის ქრონოლოგიურ გაგრძელების წარმადგენდა და 1469 წლიდან 1800 წლამდე განვლილ საქართველოს ისტორიას მოიცავდა. ამ ორივე წიგნის გამოცემა „გასულ საუკუნეში შუა საუკუნეებისათვის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიით დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო პირველხარისხოვანი ძეგლი ქართველი ხალხის გმირული წარსუ-

¹⁵ შ. ხანთაძე მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), 1966, გვ. 51.

ლის შესახებ, ძეგლი, რომელიც ძირითადი წყაროა, ფუნდამენტისა საქართველოს ისტორიისა“¹⁵.

„ქართლის ცხოვრების“ ორივე წიგნზე აღრე, 1848 წელს, ჭერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში იბეჭდება კიდევ ერთი ისტორიული ხასიათის წიგნი—თეომურაზ ბაგრატიონის „ისტორია დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გოორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველო“. ამით თავდება პეტერბურგში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ხალხის წარსულის ამსახველი ქართული ისტორიოგრაფიული ხასიათის წიგნების ბეჭდეა.

პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მარტო ფილოლოგიურ-ისტორიული ხასიათის წიგნების ბეჭდეა-გამოცემაში, არამედ ძველი ქართული მხატვრული კლასიკური ლიტერატურის პუბლიკაციაშიც. ამის ნათელი დადასტურებაა „ვეფხისტყაოსანის“ გამოცემა 1841 წელს. როდესაც პოემის დაბეჭდვისათვის მზადება დაიწყეს, 1712 წლის გამოცემის თითქმის არც ერთი ეგზემპლარი აღარ იშოვებოდა. თეიმურაზ ბაგრატიონი 1833 წლის 9 ოქტომბერს პეტერბურგიდან მარი ბროსეს პარიზში სწერდა: „ვეფხისტყაოსანზე თქვენ მიერი შრომა მოგვწერათ დაბეჭდვაზე. მე თითონ ვეძებე ვახტანგ მეფის სტამბისა, თქვენთვის მინდოდა წარმომეგზავნა, მაგრამ აქ ჯერ ვერსაღ ვიპოვე, თუმცა ერთი ეგზემპლარი მე მაქვს ჩემთვის, რომელსაც აქ ჩენს სახლშიაც ხშირად კითხულობენ. დიდი სიხარულით გამოვიმეტებდი, რომ გამომეგზავნა, მაგრამ ასე დაძველებული არის, რომ თითქმის უფრო მეტი ფურცლები დახხეული და ზოგან დაკარგული ფურცლები ხელით არის ჩაწერილი და ვახტანგ მეფისავან განმარტებაც სრულად არ არის, ფურცლები აკლია. კიდევაც ვეძებ, თუ ვიშოვე, გამოგიგზავნი. მაგრამ სწორედ კი არ ვიცი მეშოვება თუ არა“¹⁷.

ამგვარმა ბიბლიოგრაფიულმა იშვიათობამ და თავად 1712 წლის გამოცემაში გაპარულმა სარედაქციო ხასიათის, კორექტორული და სხვა სახის შეცდომებმა დღის წესრიგში დააყენეს „ვეფხისტყაოსნის“ ხელმეორედ დაბეჭდვის საკითხი. 1826 წელს პეტერბურგილ ქართველებს თხოვნით მიუმართავთ საცენტურო კომიტეტი-სათვის პოემის გამოცემაზე ნებართვის მისაღებად.

¹⁶ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აყალ. მ. ბროსესალმი, ს. ფუბანერშვილის შინასიტუაციონითა და შენიშვნებით, 1964, გვ. 26.

¹⁷ იქვე.

საცენტურო კომიტეტს, პეტერბურგის სასწავლო უნივერსიტეტის მზრუნველსა, განათლებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის საკითხის საბოლოოდ გადასწყვეტად დაწყებული საკუთრივი ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტების ტყაოსნი“ განსახილველად გადაუყითა სააზიო დეპარტამენტის კოლეგიისათვის. აქ მისი რეცენზირება ქართული ენის თარგიმანისათვის დაუვალებით, რომელსაც მხარი დაუჭრია პოემის ტექსტის გამოცემისათვის, ვახტანგ მეექვსის „კომენტარების“ დაბეჭდვაზე კი, საცენტურო კომიტეტის იმხანად მომქმედი წესდების თანახმად, რომელიც კრძალავდა გამოსაქვეყნებლად ნაწარმოებისათვის შენიშვნებისა და სხვა სახის აპარატურის დართვის, თავი შეუკავებია.

ამრიგად, პეტერბურგელი ქართველების ცდას 1826 წელს „ვეფხისტების ტყაოსნის“ მეორედ გამოცემის შესახებ დადებითი შედეგი არ მოყოლია. ერთი მხრივ, საცენტურო კომიტეტის წესდების მტკიცედ დაცვამ და მეორე მხრივ, ქართველების პრინციპულურ მოთხოვნამ „ვეფხისტების“ 1712 წლის გამოცემის ვახტანგ მეექვსისეული კომენტარებით დაბეჭდვის შესახებ მისი მეორედ გამოქვეყნების საკითხი თითქმის მთელი 15 წლით უკან გადასწია.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში 1826 წელს „ვეფხისტების ტყაოსნის“ გამოცემის განხრახეს ინიციატორის ვინაობა დღემდე დაუდგენელია. ს. ყუბანევიშვილის აზრით, იგი რომელიმე ბატონიშვილი უნდა ყოფილიყო¹⁸. მაგრამ კონკრეტულად ვინ, ამაზე რამე ვარაუდს არ გამოთქვამს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1826 წლის გამოცემის ინიციატორი თეიმურაშ ბაგრატიონი იყო, რადგანაც საერთოდ ფილოლოგიისა და კერძოდ, „ვეფხისტებისნის“ საკითხებზე არამც თუ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების ოჯახის წევრებიდან, არამედ იმხანად პეტერბურგში მცხოვრები ქართველებიდან თეიმურაზის გარდა არავინ მუშაობდა.

შედარებით უკეთესი მღვამარეობა იმ თარგიმანის ვინაობის გარკვევაში, რომელსაც დაავალა სააზიო დეპარტამენტის კოლეგიამ გამოცემის ნებართვისათვის „ვეფხისტებისნის“ აპრობაცია. ს. ყუბანევიშვილისავე აზრით იგი ცნობილი ლექსიკოლოგი ნიკოლოზ ჩუბინაშვილი უნდა ყოფილიყო¹⁹, რომელიც მაშინ დეპარტა-

¹⁸ ს. ყ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტებისნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 36.

¹⁹ ი ქ ვ ი, გვ. 41.

მენტში მუშაობდა სწორედ თარჯიმნად. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის მარტო სამსახურებრივ-თანამდებობრეგისაც მოტივით კი არა, პირის გამოცემის თაობაზე დაწერილი რეცენზია სულაც არ ატარებს თარჯიმანისათვის დამახასიათებელ კაზიონურ-კანცელარიულ სტილს. შეიძლება ითქვას, რომ იგი მაღალი ღონის ფილოლოგიური მეცნიერული ნაშრომის შთაბეჭდილებას უფრო სტოვებს. რეცენზია დაწერილია გამართული, კვალიფიციური რუსულით, საკითხები განხილულია პროფესიული სილრმით, ერთმანეთის თანმიმდევრობით და რაც მთავარია, მასში ყურადღება გამახვილებულია ვახტანგ მეექვსიერული „კომენტრების“ ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებსა და გრამატიკულ ნორმებზე. ასეთი რეცენზიის დაწერა კი მარტო ნიკოლოზ ჩუბინაშვილს შეეძლო.

პეტერბურგილმა ქართველებმა 1826 წელს წამოწყებული „ვაფფებისტყაოსნის“ გამოცემის საერთო 1841 წელს განახორციელეს. ამ დიდი ეროვნული საქმის სულისხმდგმელი და ორგანიზატორი იყო თეომურაშ ბაგრატიონი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შედგა სარედაქციო-საგამომცემლო კომისია მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილის, დ. ჩუბინაშვილის შემადგენლობით და საგანგებო „პროგრამა“, რომლის მიხედვითაც წარიმართა მუშაობა.

1841 წლის გამოცემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ახალ დამატებულ სტროფს, 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ გამეორებას წარმოადგინდა. პოემის წინასიტყვაობაში მ. ბროსე წერს: „ჩვენ გამომცემლებმა გადაწყვეტით „ახლად აღვებეჭდოთ „ვეფხისტყაოსნი“, რომლის საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, გარნა მცირედ განმართული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ქველთა ხელნაწერთა თანა, რაოდენთაც შევძლებთ პოენასა საქართველოსა ანუ რუსეთსა შინა და მით მივახლოვებთ ნამდვილსა“.

სტროფების გარდა განსხვავება ამ ორ გამოცემას შორის იმაშიც მდგომარეობდა, რომ ახლადდაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის“ დართული არა აქვს ვახტანგ მეექვსის „კომენტარები“, რაც გაპირობებული იყო იმ მითქმა-მოთქმის მისაყუჩებლად, რომელიც ვავრცელებული იყო მაშინ, თითქოს ვახტანგს პირების აღწერილი მიჯნურობა გაიგივებული აქვს ღვთაებრივ მიჯნურობასთან.

1841 წლის გამოცემისათვის შერჩეულ სარედაქციო კალება გიას მნიშვნელოვანი მუშაობა გაუწევია. 1712 წელს დაბეჭდილებულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი საქართველოსა და რუსეთის სისტემული საცავებსა თუ კერძო პირთა შორის მოძიებულ პოემის ხელნაწერებისათვის შეუდარებია, ცალკეული სტროფები შეუცვლია, გადაუადგრლებია, დაუზუსტებია და სხვ. ამ დიდია და შრომატევად საქმიანობაში კონსულტაციების გაწევით, რჩევა-დარიგებებით მიხიდავის თ. ბაგრატიონის ერთობ სასარგებლო დახმარება გაუწევია. ამიტომაც სარედაქციო კომისიას მაღლობის ნიშნად ეს გამოცემა მისთვის მიუძღვნია. ახლად დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის“ მესამე გვერდზე ამის თაობაზე ვითხულობთ: „მათს უგანათლებულესობას ბატონიშვილს თეიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის პატივისცემისა, გულითადის მაღლობისა, სამარადიონ ერთგულებისა ნიშნად შევწირეთ, დაბეჭდელნი ბროსეტ, ზაქ. ფალაგანდიშვილი, დ. ჩუბინოვი“.

ამის შემდეგ ახალი გვერდიდან იწყება მ. ბროსეს წინასიტყვაობა, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პოეტურ ნაწარმოებს, გარჩეულია პოემის სადაურობის საკითხი და დაწერის თარიღი, მოცემულია ცნობები შ. რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ, განმარტებულია ახალი სტროფების დამატების აუცილებლობა და სხვ.

პოემას ბოლოს დართული აქვს დ. ჩუბინაშვილის „მცირე ლექსიკონი“.

1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდილია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. როგორც თავიურცელიდან ჩანს, პოემის ტექსტი სეიმონ ტაბიძეს აუწყვია. ამ „გამოცემაშ რუსთველოლოგიაში პროგრესული როლი ითამაშა. მან შეარყია ვახტანგისეული პოემის გამოცემის მოცულობა და დააყენა საკითხი სტროფული შედგენილობის შესწავლის აუცილებლობის შესახებ“²⁰.

მეცნიერული, ლიტერატურულ-შემოქმედებითი და საგამომცემლო-სარედაქციო საქმეებით გადატვირთვის მიუხედავად, თ. ბაგრატიონმა მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა ქართული შრიფტის განვითარების საქმეში. ეს თვალნათლივ ჩანს მარი ბროსესადმი გაგზავნილი წერილებიდან. 1833 წლის 9 ოქტომბერს იგი თავის

²⁰ ს. ყუბანევიშვილი, ველისტყაოსნის შეკლფის ისტორიიდან, 1966, 83. 59.



ფრანგ მეგობარს პეტერბურგიდან აუწყებდა: „ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: მე ხუცურის წერილის ასოები მინდა. თუ შეწილება, მანდ პარიზში, გამიკეთებინე ჩემის ხარჯით... მაგრამ მსხვილი ასოები კი არ მინდა, დიახ, წვრილი ასოები იყოს. ისე პატარა ასოები, რომ თვალით ძლიგს ჩანდეს... ეს ამისთვის მინდა, რომ საუბე სახარება დაიბეჭდოს და რომელიმე სხვა სახმარად, რომ უბეში ჰქონდეს კაცა და ისე ატარებდეს“²¹.

გავიდა არც თუ ისე დიდი ხანი და თ. ბაგრატიონმა აზრი შეიცვალა, მცირე მოცულობის ხუცური შრიფტის მაგივრად იმავე ზომის მხედრულის დამზადება გაღიაშვიტა. 1834 წლის 16 მაისს იგი მ. ბროსეს ატყობინებდა: „ჩემთვის, რომ მოგეწერათ, თუ მოწერთ სტამბაში ამის (ხუცურის — თ. კ.) ასოებს გამოვართმევო, ნუ სთხოვთ, არ მინდა... საჭირო აღარ არის“²²...

რამ გადააფიქრებინა პირვანდელი გადაწყვეტილება თ. ბაგრატიონს, რატომ აღარ იყო „მისთვის უკვე საჭირო“ ხუცური შრიფტი? ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია მ. ბროსესადმი გაგზავნილ ზემოთ დამოწმებულ წერილში: თუ „ვეფხისტყაოსანს“ ცალკე ერთ წიგნად დაბეჭდავთ, — ნათქვამია მასში, — „მარტო მხედრულის ასოებით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩატანთ ამისათვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრები ძალიან ეწყობიან, მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხისტყაოსანს და იმათში ხუცური ბევრად არ იცის. მარტო მხედრული წიგნი იციან“²³. აქედან ჩანს, რომ უტილიტარულ მოსაზრებას აუღებინებია თეიმურაზისათვის ხელი პირვანდელ გადაწყვეტილებაზე.

მ. ბროსემ თ. ბაგრატიონს თხოვნა შეუსრულა. ქართველი სწავლულის ნახაზების მიხედვითა და მის მიერვე გაღებული ხარჯით პარიზის დელიკონის ქარხანაში დაამზადებინა პუანსონ-მატრიცები, რომელთა მეშვეობით ჩამოსხმული მხედრული შრიფტი აკადემიური პეტიტის სახელით შევიდა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

გ. შარიძე ფიქრობს, რომ „გარდა ქართული მხედრული შრიფ-

²¹ თე ამ ურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყებანეიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. 1966.

²² იქ ვ. ვ. გ. 27.

²³ იქ ვ. ვ. გ. 31.

ტის მატრიცებისა, თეომურაზის ნახაზების საფუძველზე დამზადდა / ასომთავრულის მატრიცებიც, რომელიც შემდეგ გამოყენებული იქნა დამურაზის „საქართველოს ისტორიაში“ (სპბ. 1848), მაგრამ იგი პარიზში კი ორ უნდა იყოს დამზადებული, არამედ პეტერბურგში, შესაძლებელია რევილონის ასოთჩმომსხმელ სახელოსნოში“.²⁴ ამის შესახებ რაიმის გადაჭრით თქმა, სანამ მოპოვებული ორ იქნება სანდო ფაქტობრივი მასალა, ძნელია. ისე კი, მკვლევარის მიერ გამოტქმული ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებულად არ გვეჩვენება.

თ. ბაგრატიონის მიერ მ. ბროსეს შეწევნით პარიზში დამზადებული ქართული პუანსონ-მატრიცებით დაინტერესებულა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, რის გამოც სამეცნიერო დაწესებულების მუდმივ მდივანს, აკადემიკოს პ. ნ. ფუსს უთხოვია თეომურაზისათვის რამდენიმე ხნით შეღეოდა საფრანგეთიდან მიღებულ საშრიფტო ყალიბებს მაღალხარისხოვანი ქართული მხედრული ასოების ჩამოსახსხმელად. თეომურაზს პ. ნ. ფუსის თხოვნა სიამოვნებით დაუკმაყოფილებია, რის შედეგადაც აკადემიის სტამბას ამ პუანსონ-მატრიცების მიხედვით მხედრული პეტიტის გარდა იმავე კაგელის კიდევ სამი ზომის ქართული შრიფტი შეუქმნია.

პარიზში დამზადებული თ. ბაგრატიონისეული პუანსონ-მატრიცებით ჩამოსახსხმული ახალი ქართული მხედრული შრიფტით დაიბეჭდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში 1841 წელს „ვეფხისტყაოსანი“, 1840 წელს დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“, 1848 წელს „ქრესტომათია“ და სხვა მრავალი, რომელთა გამოცემითაც იწყება „ახალი ეტაპი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში“²⁵.

1846 წელს პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლას საძირკველი შეერყა, მისი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი თეომურაზ ბაგრატიონი გარდაიცვალა. იქაურმა რუსეთის ინტელიგენციამ და თანამემამულებებმა მისი ნეშტი ილექსიანდრე ნეველის ეპლესის ეზოში დავით და იოანე ბაგრატიონების გვერდით დაკრძალეს.

პეტერბურგელმა ქართველოლოგებმა „ვეფხისტყაოსანის“ გარდა კიდევ ორი ორიგინალური მხატერული ნაწარმოები გამოსცეს. ერთია იმხანად ცნობილი პოეტის დიმიტრი ბაგრატიონის „წამება წმინდისა ქეთევან დელოფლისა“, რომელიც 1819 წელს დაიბეჭდა

²⁴ გ. შარაძე, თეომურაზ ბაგრატიონი.

²⁵ იქ ვ. ვ.



იოსებ იოვანესიანის სტამბაში და მეორე — „წიგნი სიბრძნე-სი-
ცრუისა ნათქვაში საბა-სულხან ორბელიანისაგან“ გამოქვეყნებული იყო 1859
1859 წელს მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მიერ. ეს არის დიდა
ქართველი მეივავარაკეს ნაწარმოებთა პირველი გამოცემა. წიგნს
დართული აქვს მ. ბროსეს გამოკვლევა. ესეც პირველი მეცნიე-
რული ნაშრომია ს. ორბელიანის შემოქმედებაზე.

XVII-XVIII საუკუნეებში მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალა-
ქებში მოღვაწე წინაპრების შსგავსად, XIX საუკუნის პირველ ნახე-
ვარში პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა ქართული ეკლესიის
წინაშეც ჭროვნად მოიხადეს ვალი. მათი შრომითა და ხარჯით დაი-
ბეჭდა ოეოლოგიური შინაარსის რამდენიმე ღირსშესანიშნავი წიგნი.
მათ შორის: 1819 წელს „ქეშმარიტი ისტორიული დამტკიცებანი
ნამდვილყოფელობისა ქრისტესი ქვეყანასა ზედა“, 1823 წელს —
„კანონი სამართლისა წარმოებისანი გარდა ხდომილებათა თვის
ეკლესიასა ქმნილთა სამღვდელოთა გუამთაგან“, 1824 წელს —
„ლეოგრაფიული ლექსიკონი ახალი აღთქმისა“, 1847 წელს —
„ეპისტოლე“. პირველი სამი წიგნი დაიბეჭდა იოსებ იოვანისიანის
სტამბაში, ხოლო ბოლო — მეოთხე — პეტერბურგის მეცნიერება-
თა აკადემიაში.

მრიგად, XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის პეტერბურგ-
ში მცხოვრებ ქართველოლოგთა საგამომცემლო მოღვაწეობით
ახალი ეტაპი იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. თუ
XVIII საუკუნეში ვსესვიატსკეში, მოსკოვსა და თბილისში გამო-
ცემული წიგნების აბსოლუტური უმრავლესობა სასულიერო შინა-
არსისა იყო, პეტერბურგში უპირატესობა ენიჭებოდა საეროს, კერ-
ძოდ კი ისტორიულ-ფილოლოგიურ და მხატვრულ ლიტერატურას,
რომელიც იდეურ-მეცნიერული და საგამოცემო პროფესიული დო-
ნით ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებთან შედარებით გაცილებით
მაღლა იდგნენ.

ლიტერატურული თელავის ისტორიიდან

მრავალმხრივ საინტერესო ქალაქი თელავი უძველესი ლიტერატურული კერაა. 1664-1675 წლებში აქ მოღვაწეობდა მეფე-პოტი არჩილი. დავით მეორე (იმამყულიხანი), თეიმურაზ მეორე და საიათნოვა თელავში ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს.

თელავი, როგორც ლიტერატურულ-თეატრალური კერა, განსაკუთრებულ ყვავებას განიცდის მეფე ერეკლე მეორის დროს. სასახლეში ერთმანეთს ხდებოდნენ პოეტები და თეატრალური მოღვაწეები. 1751 წელს სიიათნოვამ აქ წარმოიქვა ლექსი: „ზღვას ვით ვაშრობს ვარსკვლავის სხივი“, რისთვისაც ერეკლემ ჭილდოდ ხალათი უბოძა.

1758 წელს თელავში დაარსდა საფილოსოფოსო-საღვთისმეტკველო სკოლა. 1782 წელს კი — სასულიერო სემინარია. სწორედ ამ დროიდან იწყება თელავში მრავალმხრივი ლიტერატურული საქმიანობა.

თელავის სემინარიაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ გაიოზ რექტორი და დავით რექტორი (ალექსი-მესხიშვილი). სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი თელავში ლიტერატურულ პაექტობებს. შემორჩენილია გაიოზ რექტორის სიტყვა, რომელიც მას 1783 წლის 28 მაისს გამართულ საჯარო დისცუტის დროს წარმოუქვამს. შემდეგ კი 12 მუხლისაგან შემდგარი თეზისების ირგვლივ გამართულა საინტერესო საჯარო პაექტობა!

თელავის სემინარიის ორი ათეული წლის მანძილზე მრავალი მამულიშვილური საქმე გაკეთდა. აქ აღიზარდნენ ქართველ მოღვაწეთა თანხები, ბატონიშვილები, რომლებიც პატივის-ცემით და სიყვარულით იხსენიებდნენ ამ სასწავლებლის მოძღვართმოძღვარ დავითს.

¹ ა. ბარაზიძე, საჯარო პაექტობა თელავის სემინარიაში, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, თბ., 1937, გვ. 51-65.

თელავში მეფეთა სასახლესა და სემინარიაში მდიდარი წიგნ-
საცავი იყო. აქ გადაინუსხა მრავალი ხელნაწერი წიგნი, შედგანილობა
იქნა სასკოლო სახელმძღვანელოები. დავით რექტორი თავის შო-
რაფებს ასწავლიდა წიგნის ხელოვნებას, კალიგრაფიას. მის სკო-
ლაგავლილ თელაველ ვახვახიშვილებს, თუმანიშვილებს, თურქეს-
ტანიშვილებს, ხელაშვილებს გადაუწერიათ (თუ შეუდგენიათ) მრა-
ვალი ხელნაწერი კრებული. შემორჩენილია მათი ხელნაწერი და
ნაბეჭდი წიგნები, რომლებიც დაცულია სახელმწიფო წიგნსაცა-
ვებსა და პირად კოლექციებში.

თელაველ მწიგნობართა და კალიგრაფთა ამ თაობას ამშვენებს
თურქესტანიშვილების მოღვაწეობა.

თურქესტანიშვილების გვარის წარმოშობა, გადმოცემით, უკა-
შირდება თამარ მეფის ეპოქას: სახელოვან დედოფალს თურქეთში
დიპლომატიური მისით გაუგზავნია სოფელ ხორხელში (ამჟამად
ახმეტის რაიონში მდებარეობს) მცხოვრები, რომელსაც დიდი საქ-
მე მოუგარებია და როცა სამშობლოში დაბრუნებულა, გვარად
თურქესტანიშვილი დაუმკიდრებიათ.

თურქესტანიშვილები აზნაურები იყვნენ. ისინი კახეთის მეფე-
თა კარზეც დაახლოებული პირები ყოფილან. მეფე არჩილის კარ-
ზე მოღვაწეობდა დავით თურქესტანიშვილი. იგი მეფე არჩილს
რუსეთშიც ახლდა, და, როგორც ცნობილია, არჩილს ყირიმის ხონ-
თქართან გაუგზავნია დახმარების საძებნელად.

თურქესტანიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები სხვა
ქართველი მეფეების საქმიანობაშიც ცყვნენ ჩაბმულნი.

ვახტანგ VI-ის კარზე მოღვაწეობდა ერასტი თურქესტანიშვილი.
იგი რუსეთში ახლდა მეფე-პოეტს. მან რუსულიდან თარგმნა აპო-
ფთეგმური თხზულება „სიტყვისგება სოგრატისი და მრავალთა
ფილოსოფოსთა“, რომელიც შემდეგში გალექსა ვახტანგ მეექვესებ
და „სიბრძნე მალაღობელი“ უწოდა. ხოლო მეფე ერეკლე II-ს მი-
სი შეიტყობული ერასტი თურქესტანიშვილი (დაბ. 1766 წელს)
გაუგზავნია რუსეთში სწავლის მისაღებად².

XVIII ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა ბაადურ (ბორის)
თურქესტანიშვილი, რომელსაც გ. პაიჭაძის ცნობით, მონაწილეობა
მიუღია ვახტანგ მეექვესისა და პეტრე პირველს შორის წარმოებულ

² კ. კაველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958,
33. 487.

მოლაპარაკებაში. 1724 წელს
რუსეთში გატყოლია მეფეს³.

თურქეთს ტანიშვილების საგვარეულო გადმოცემით, ბაადურის შვილიშვილი რუსეთის სამეფო კართან დაახლოებული ქალი ყოფილა და იგი 1883 წელს დაუხატავს ცნობილ რუს მხატვარს ი. ნ. კრამსკოს. ეს ღიძებული ტილო ცნობილია «Незнакомка»-ს სახელწოდებით⁴.

თურქესტანიშვილები ქართული ლიტერატურის ძეგლებშიც
იხსენიებიან. მაგ., ფერანგის პოემაში „შაჰნავაზიანი“ ალაზანთან
მომხდარ ბრძოლაში გამოჩენილ ჯიშიტა თურქესტანიშვილზეა სა-
უბარი, ისტორიულ პოემა „ვახტანგიანში“ კი მოხსენიებულია თე-
რთმეტი კაცი, მეფე ვახტანგს რომ გაჰყვნენ თურქესტაანთ-გაბა-
ანთ-თულაშვილების გვარიდან.

XIX საუკუნეში მცხოვრებ თურქესტანიშვილების საგვარეულოს წარმომადგენელია ბარბარე მიხეილის ასული, რომელიც ხელმძღვანელობდა თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელს და ბევრი კარგი საქმის მოთავე იყო როგორც პედაგოგიურ, ისე კულტურულ-საზოგადოებრივ სარბიელზე.

თურქესტანიშვილები განთქმული მწიგონბრძები და კალიგრაფები ყოფილან. დავით თურქესტანიშვილს გადაუწერია არჩილის თხზულებანი („არჩილიანი“), ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე მას შეუსრულებდა 1705-1706 წლებში.

აღსანიშვნავია ისიც, რომ თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (№ 2480) დაცული „ესრამიანის“ ხელნაწერიც ამ საგვარეულოს კალიგრაფიულ ნიმუშს წარმოადგენს⁵.

⁴ ცრომა მომაწილა თელავში მცხოვრებმა საქართველოს სსრ დამსახურებულ-
მა მასწავლებელმა თამარ თურქესტანშვილმა, რისთვისაც მაღლობას მოვახსე-
ნებ.

5 ამ ხელნაწერს 1947 წლიდებ ქართველი საზოგადოება არ იცნობდა. მართალია, ამ დროისათვის ეს თხისულება ქართულად უკვე ორჯერ (1884 და 1938 წწ.) იყო დასტამპული, მაგრამ მათ პირველი გამომცემები იღია კავკავარე, ალექსანდრე სარაჭიშვილი და პეტრე უმიქაშვილი ემყარებიან თოს ხელნაწერს (S — 27, S — 17, S — 102, S — 96). აქედან ყველაზე მეტად S — 27 ხელნაწერს. მეორე გამოცემაში კი ალექსანდრე ბარამიძემ, პავლე ინგოროვაძ და კორნელი კიავლიძემ გამოიყენეს კიდევ 10 ხელნაწერი. თელავში მცხოვრებ მრავალრიცხვოან ხელნაწერი წიგნების მფლობელ ოჯახებს შორის თურქესტანიშვილებმა ბოლომდე შემოინახეს რამდენიმე ხელნაწერი წიგნი და ერთი მათ შორის იყო „ვისრამიანი“.


„ვისრამიანის“ თურქეთანიშვილისეული ხელნაწერი თელავის
ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 1947 წელს მოხვდა. იგი მია-
კვლია ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა სოლომონ იორდანიშვილმა და
დასკვნისათვის მასვე გადასცა მუზეუმის ხელმძღვანელობამ.

ს. იორდანიშვილი მშობლიურ თელავში და დედულეთში —
სოფელ ფშაველში, ხშირად ჩამოდიოდა. ერთხანს პედაგოგიურ
საქმიანობას ეწეოდა სოფელ ლეჩურში. მზრუნველობით ყვიდე-
ბოდა სამუზეუმო ნივთებს, კრებდა მათ, სწავლობდა და გზას მუ-
ზეუმისაკენ უკვალავდა. შემორჩენილია მისი ერთი წერილი, რო-
მელსაც უგზავნის თავის ბიცოლას — თიკო კახიშვილ-დალაქეშვი-
ლისას: „ძვირფასო ძალო! თქვენი წერილი მივიღე. ჯამბაკურიან-
ორბელიანის ქალი თუ მანდ არის, ნურსად წავა. ამ დღეებში ერე-
კლეს საათზე კაცი მოვა. მე განცხადება მივეცი მუზეუმს და, ალ-
ბათ, გმოგიგზავნიან. მიიყვანეთ იმასთან, ვისთანაც საათი ინახება
და როგორმე მოარიგეთ, რომ ეს უძეირფასესი განძი ჩვენი ნივთა-
ერი კულტურისა ჩვენს მუზეუმს არ დაეკარგოს... თქვენი სოლო-
მონი“⁶.

„ვისრამიანის“ ეს ხელნაწერი (ზომა 18,5×27,5) იწყება ასე:

„უპატიობა წაგვიდოს. ჩემი ნახისათვის ნურად ისწრაფვი, შენ
ერთობ გვიანად მომიხელთებ და საწუთოობანცა მიმუხოლოს“, ...
და მთავრდება: „ყოველგვარ წყაროსა თვალინი გამაღინნა მისცა
აშენებულთა ქალაქთაგან ჰავაზს ქალაქია და მას რამინ ჰავა რუ-
ქამია დაარქვა და აწ უვაზომოთ უხმობენ“... ტექსტი თავბოლო-
ნაკლულია.

ხელნაწერს პაგინაცია აქვს ცალ გვერდზე და სულ 84 ფურც-
ლისაგან შედგება. ფურცლები ალაგ-ალაგ დაზიანებულია (გვ. 21-
22), ხასმულია შემკულ ტყავის ყდაში.

ს. იორდანიშვილმა გამოთქვა ზოგიერთი საგულისხმო მოსაზ-
რება, რომლებიც შემდგომში მეცნიერთაგან საცხებით იქნა გაზია-
რებული.

მკვლევარის აზრით, „ვისრამიანის“ ხელნაწერი XVIII საუკუ-
ნისაა, დაწერილია მდივანმწიგნობრული ხელით. სრულ გვერდებ-
ზე 30-30 სტრიქონია. სტრიქონის სიგრძე — 14 სმ. სათაურები,
ტექსტის დასაწყისი სიტყვის პირველი მარცვალი, სიტყვები: შე-

⁶ წერილი ინახება ჩვენთან. მეცნ ერეკლეს ეს ქირფასი ჩელიქვია ამეა-
მაღ დაცულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გ. ვ.

გონება და არავი — სინგურით არის ნაწერი, დანარჩენი შეკვეთის მელნით.⁷ ალ. გვახარია და მ. თოდუა ფიქრობენ, რომ იგი საჭარებულო წერილია XVII საუკუნეში⁸, ხოლო რ. პატარიძის აზრით, კვირინიშნის მიხედვით იგი თარიღდება მე-18 საუკუნის 20-30-იანი წლებით⁹; 52-ე გვერდზე მოჩანს წრეში თეთრი ფრინველის (ცლბათ მტრედის) გამოსახულება. მინაწერებში მოხსენიებულ პიროვნებათა ვინაობა დაადგინა ს. ოორდანიშვილმა. მაგ., 36-ე გვერდზე მიწერილია: „მეფის ასული ნინო ლეჩხუმისა და ოდიშის დედოფალი“. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი წერს: „ხელნაწერი დაკავშირებულია ცნობილ ისტორიულ პიროვნებასთან. საქართველოს მეფის გორგი XIII-ის ასულ ნინასთან, რომელიც მისთხოვდა სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს 1791 წელს — დაბადებიდან 19 წლისა. სამეგრელოს სამთავროს განავებდა 1804-1811 წლებში, რადგან 1804 წელს მას უდროოდ გარდაეცვალა მეულლე—გრიგოლ დადიანი (1788-1804), ხოლო ძე ლევანი ჯერ მცირე-წლოვანი ჰყავდა“.

დამოწმებული მინაწერი ცხადყოფს, რომ ნინოს დედოფლობის თარიღი შეიძლება გამოდგეს ამ ხელნაწერის დასათარიღებლად, სახელდობრ, მისი არა უგვიანესი თარიღის დასადგენად. რა თქმა უნდა, ს. ოორდანიშვილის მოსაზრება მოითხოვს კომენტარს. სხვა მინაწერებიდანაც ჩანს, რომ ხელნაწერი სხვადასხვა პირის ხელში ყოფილია. მაგ., 29-ე გვერდზე მოხსენიებულია: „ქ. შენი ქ'ლ: ანასტრასია“. „ლეჩხუმის დედოფალი როდაში“. 21-ე გვერდზე: „ჩემს კად სატრფოს მ'შას“ და შინაარსობრივად ორი ერთმანეთისავან საწინააღმდეგო წარწერა: „ვინც ეს წიგნი გადმოწერა, ღმერთმა წაწყმიდა“. „ვინც ეს წიგნი გამომწიროს, ღმერთმა წაწყმიდოს“. ჩანს, ხელნაწერი სხვადასხვა პირის ხელში მოხვედრილია. აქედა მათი ბეჭდების ანაბეჭდიც. მე-4 ფურცლის არშიაზე, მეექვსე სტრიქონის გასწვრივ არის კრიპტოგრაფიული მინაწერიც.

ხელნაწერის მხატვრობაზე ს. ოორდანიშვილი წერს: „უკანასკნელი მეპატრონის ნინო თურქესტანიშვილის სიტყვით, ხელნაწერის

⁷ თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერები, № 26, გვ. 8.

⁸ „უკანასკნელი“, ტექსტი გამოსაცემად ვთამზადეს, გამოცელება და ლექ-სიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962, გვ. 301.

⁹ მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 201.

ჰქონია მთლიანი მინისტრურებისანი ფურცლები, რომლებიც მისი მუნიციპალიტეტის გაუკრავთ და განადგურებულა. ამერაშვილი ხელნაწერში შემორჩენილია შელოდ ტექსტის ფურცლებზე შესრულებული ნახატები კონტურებში: მე-14 ფურცელზე: რამინი და ძირა მჯდომარენი, მე-16 ფურცელზე გამოსახულია ვისი და ძირა, რომელსაც ვისი მოსაციუნებლად „ეშმაც ეშველა მისითა ღაშეჩითა“. უკანა რიგშია სიუცეტური სურათი — მოაბიდის დარბაზში სმა და სიხარული რამინისა და ღიდებულთა თანდასწრებით. დაბლა მუტრიბით ამდერებენ, ხოლო ძირას მაღვით ვისი მოუყვანია და სარკმლით აჭვრეტინებს. დანარჩენ ფურცლებზე მთლიანი ტექსტია და მხატვრობა აღარ გვხვდება¹⁹.

ამ მხრივ საყურადღებო შემორჩენილი მინისტრურები და დაკარგული მთლიანი ნახატიანი ფურცლების შესახებ მეპატრონის ცნობები ჩვენთან არის დაცული. ხელნაწერის ტექსტზე დაკვირვებამ ს. ოორდანიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ იგი საყურადღებო ძველი დელნის პირია გადამდების მიერ სხვა დედანთან შედარებული... ამას აფიქრებინებს მკვლევარს ხელნაწერის 59-ე და 69-ე გვერდებზე მინაწერები: „იადგარი ეწერა სხვაში“. „იედგიგარი ეწერა სხვაში“. ეს ეხება ხელნაწერში სიტყვა „იედგრად“ მოხსენიებულ ლექსიკურ ერთეულს.

საყურადღებოა ხელნაწერის ლექსიკონიც. ტექსტში ზოგ სიტყვას თავზე პატარა წრე აქვს შემოცლებული და მისი განმარტება მოცემულია არშიაზე. ალავერდა — იონგა; ამარტა — მძივია ქვათა, ეშმი; არგალი — ურცხვად ანჩხლი; ბუშმედი — თვალია მწვანე; გუშაგი — ქეშიყი; დამარაზის თერიაყი — სამსალის მაკურნებელი წამილი; ვაჭება — ემუდარება; ეკუშეტებიან — აშაყად ექცევიან; ეჭი — ერთი ეჭი ასი მხარი არის; იადგმაგი — საომი ჯაჭვის გარესამოსი; იედგრად — სახსენებელი; კაბა ლაფანჩების — ხალათი; კაბიწი — სამი კოდი; კუშტობა — მწყრალად; მატყვეობა — მაჭანკალი; მაჯნად — მუქთად; მაჯანსა — უფასური; მუქსარი — ნიფხვის ტოტი; მოვარაყიანის — გაწურული; მოსმურობით — ღვინის მსმელი; ნატამალთაგანი — მოდგმა; ნიშანი — ბუნებითი ძალი; ნიშატიანად — ხასიათი; პაშტა — ქერის მარცვლის წონა; ჰეტრატიკონი — თხელი ეტრატი; რა გაგვას — რა

¹⁹ თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერები. № 26, ს. ოორდანიშვილის ნაშრომი, გვ. 2.



გენალვლება; სარჩელი — ჩივილი; ხაჭო — შერიგება; უფრო და კი ... ქარვასლა; ქუშად — მწყრალის მსგავსი; ქუშობენ — მცირე ხანს მოყვარენი შემოსწყრებიან; ღრიანკალი — მორიელი; შეაფრობა — შეჭირვება; შეფრობილი — შეჭირვებული; შეგუვალი — შეწევნისათვის; შეგული — შერჩევა; ცხოიანი — ცხელება; წალიკა — ბალახი (ყვითელყვავილანი, რომელსაც აქვს ფოთოლი ნიახურის მსგავსი, რომელია ცხვირის სატეხელა) ეს დამატება-განმარტება გაკეთებულია წითელი მელნით. ჭომარდი — ქველი; ჭომარდობა — ქველობა.

ხელნაწერში ჩართულია ასეთი სტროფები: მაგ., მე-8 გვერდზე ვკითხულობთ:

„დღემსა წილყოტს ალვა ზე აყრით არებდა,
ახლად ყეაოდა სისუშტოთ, მართ მზისა ეტლაა დარებდა,
მისა ნაყოფსა წილყოტი უამოდ შიჩქარებდა;
მიიჩქარებდა თვით ამათ, ცნობასა გაუმწარებდა“.

ხელნაწერის მეოთხე გვერდზე ნახატისათვის დატოვებულ აღგილის ქვეშ კი წერია:

„პირველ არც ამას, არც შაროს მართებდა თხოვნა-მიცემა,
რადგან მიცემა დაასკენეს წიგნმან და პირმან მტკიცემან;
აღარ მართებდა გატეხა ზენარის მყის ცემა,
უოველს პირის გამტეხს მოხედების თავსა ცემა“.

57-ე გვერდზე: თავი „მოაბიდისაგან ცეცხლის აგზნება ვისის საფიცრად“, ასე იწყება:

„ალი ცად ალვალს სახმილი, რომელ მუნ დაემზნებოდა,
მიკეირს მთიები უზალო მისვანეოთ იგზავნებოდა,
კით დასომო შარომან ვისი და გული ვისითა კედებოდა,
მას არ ეგონა და თვითე გლაზ გლაზ გაიძებოდა“.

26-ე გვერდის არშიაზე წარწერილია ასეთი ლექსი:

„მოკრბით ყოველნო მტრფიალნო, მაგე დიადო — მინა სათისად,
კაეშნით რაზმი იტყვირთეთ თქეენთა მზის მოკამთისად,
სული შესწირეთ ვინსთაგან დავამბობს შორქმნა მნათისად,
და გულ უძლევნით, გასჭვრიტეთ არ გეგზნათ ცეცხლი მათისად“.

საინტერესოა აგრეთვე რამდენიმე სალექსო ტაეპი, რომელიც ხელნაწერის არშიებზეა მიწერილი:

„ვაი, რა მოვშორდი სოფლის მშერასა, ტალთა ხე...“
 „რამინს უხმობენ ყოველნი ხელსა მიჯნურსა ზრისობით,
 ვისთვის დამწვარ-დაგულს მისთვისვე განამწირებით“.

როგორც ჩანს, „ვისრამიანის“ თელავური ხელნაწერი ერთ-ერთი საყურადღებო ნუსხაა. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ამ თასზე აღნიშვნის რუსულ თარგმანში ს. იორდანიშვილმა აღადგინა და შეიტანა ამ ხელნაწერიდან ზოგი ადგილი. ასევე იგი გათვალისწინებული აქვთ ალ. გვახარიას და მ. თოდუას მეცნიერულ გამოცემაში (1962 წ.), რაც შეეხება ამ ხელნაწერის შესახებ ს. იორდანიშვილის ნარკვევს, სასურველია დაიბეჭდოს რომელიმე სამეცნიერო კრებულში.

ვფიქრობთ, „ვისრამიანის“ თელავური ხელნაწერი წარმოადგენს ერთ-ერთ საბუთს ქართველ მეფეებთან დაახლოებულ მწიგნობარ-კალიგრაფების — თურქეთის ტანიშვილების ღვაწლზე.

ანტიკვარულ-გუკინისტური ფიგნის ვაპროგის წარსულიდან

1925 წელს ოცი წლის ჭაბუკი ვიყავი, როდესაც საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ გამომცემლობა „შრომადან“ გადამიყვანეს საქართველოს სხელმწიფო გამომცემლობაში. მაშინ „სახელგამის“ გამგეობა მოთავსებული იყო „საქწიგნის“ (დღევანდელ პირველი მაღაზიის) ერთ დარბაში მარცხენა მხარეს. სულ მალე გამგეობას გადაეცა ამავე შენობის მეორე სართულიც მთლიანად რამდენიმე წლის შემდეგ კი ორსართულიანი შენობა სულხან-საბა თრბელიანისა და კიროვის ქუჩების კუთხეში. მაგრამ ეს მზარდი ორგანიზაცია ვერც იქ დაეტა, რის გამოც მთავრობაში დაისვა წიგნის სასახლის აგების საკითხი.

ათეული წლების მანძილზე „სახელგამში“ ბევრ თანამდებობაზე ვიმუშავე, რიგოთ მუშაყიდან გავხდი მაღაზიის, ცენტრალური ბაზის დირექტორი, რევიზორ-ინსტრუქტორი, „საქწიგნის“ დირექტორის მოადგილე და ბოლოს ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნის ბაზის დირექტორი.

ამ წერილის მიზანი სწორედ ის არის, რომ მოკლედ მოგითხოვთ ბუკინისტებსა და ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნით ვაჭრობაზე წარსულში.

ბუკინისტებისაგან დიდად დავალებული იყვნენ ჩვენი დიდი მწერლები — იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, სანდრო შანშაშვილი, სიყო ფაშალიშვილი, ვალერიან გუნია; ჩვენი სამაყო ისტორიკოსები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვათი.

მე, როგორც წიგნისმოყვარული და გამავრცელებელი, თბილისის ყველა ბუკინისტის პირადად ვიცნობდი. მათგან შეძენილი ბევნი უნიკალური წიგნი ჩემ პირად ბიბლიოთეკასაც ამშვენებდა.



ბუკინისტების სავაჭრო ადგილების განლაგება რუსთაველების გამზირის მხრიდან ასეთი იყო: ივანე სამადაშვილის, სოსიკო შექედიონია
კვილაძის, არშავ მერაბოვის, კუმუხა ბრინძიანის, ბოლოს კი ყო-
ფილი გამომცემლის და მესტამბის მიხეილ გაჩეჩილაძის სავაჭრო-
ები. მოპირდაპირე მხარეზე კომუნართა ბალში, კეცხველის ძეპ-
ლის ცოტა ქვემოთ ერთ მრგვალ ჯიხურში ვაჭრობდა სუმბათ გორ-
გაძიანცი.

იქვე, ჯორგაძის ქუჩის ბოლოს, კომუნარების ბალთან ჩასახ-
ვევში მიწის ქვეშ იყო რამდენიმე დარაბა, რომელთაგან განაპირა
ეყავა კაჭარტუროვს, რომლის ვიტრინას კომუნარების ბალის რკი-
ნის ღობის ცემენტის საყრდენი დაბალი კედელი წარმოად-
გენდა.

კომუნარების ბალის ბოლოზე ვაჭრობდა წიგნის კარგი მცოდნე
რუსი ბუკინისტი პიჩკოვი.

ბუკინისტებთან მუდამ ხალხმრავლობა იყო, ვის არ შეხვდე-
ბოდით აქ.

გვიდა დრო და 1928 წელს დაისვა ბუკინისტური წიგნით კერ-
ძო ვაჭრობის ლიკვიდაციის საკითხი. მათ პატენტს აღარ აძლევ-
დნენ.

ლრმად მოხუცებულმა, ღვაწლმოსილმა ზაქარია ჭიჭინაძემ იშუ-
ამდგომლა ფილიპე მახარაძესთან, რომელიც ზაქარიას მისი ბრწყი-
ნვალე წარსულისათვის დიდ პატივს სცემდა და კიდევ ორი წლით
მიუკა მას ვაჭრობის პატენტი, ხოლო 1930 წლიდან საბოლოოდ
აირჩალა ბუკინისტური წიგნით კერძოდ ვაჭრობა.

ბუკინისტური წიგნის ბაზრიდან გავიდნენ: სუმბათ გორგაძიან-
ცი, სოსიკო მერვეილაძე, კუმუხა ბრინძიანი, კაჭარტუროვი და პიჩ-
კოვი. დარჩნენ მხოლოდ ივანე სამადაშვილი და მიხეილ გაჩეჩი-
ლაძე, იმიტომ, რომ მათ, გაჩეჩილაძემ მაღაზიანი, ხოლო სამადა-
შვილმა მაღაზიის ეზოში სათანადო პატენტი მიიღეს საამკინდა
სახელოსნოების მოწყობაზე და შენილბულად წიგნებითაც ვაჭრო-
ბდნენ.

ხალხმა ბაზარს მიაშურა. დღევანდელი კიროვის სახელობის სა-
კოლმეურნეო ბაზრის (მაშინ ღია ბაზარი იყო) ბოლოზე განქის
ქუჩაზე, რა წიგნს და მყიდველს არ შეხვდებოდა კაცი. აი, როგორ
გოდებდა წიგნის უზომოდ მოყვარული მგოსანი ისებ გრიშაშვი-
ლი:

„ქვევით ბაზარზე, კეირა დღით განქითან,
 მტკრიან ძუჩებში, დამპალ ჰავაზე,
 წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა,
 შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე“.

არ ჩანდა ორგანიზაცია, რომელიც ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნით ვაჭრობის საქმეს მოაგვარებდა.

1934 წელს ერთად ვიმგზავრეთ ლენინგრადამდე მე, იოსებ გრი-
 შაშვილმა და თბილისელმა მხატვარმა ქალმა თამაშევაშ. ბევრი ვი-
 საუბრეთ ბუკინისტური წიგნის მაღაზიის გახსნის აუცილებ-
 ლობაზე. ლენინგრადში შევისწავლე ბუკინისტური წიგნის ვაჭ-
 რობის საქმე, შევიძინე კატალოგები და მიემართე „სახელგამის“
 გამგობის თავმჯდომარეს ბარონ ბიბინეიშვილს. მან გულდასმით
 მომისმინა, მაგრამ ბუკინისტური წიგნის მაღაზიის გახსნაზე ცივი
 უარით გამომისტუმრა. ახლაც მასსოეს მისი პასუხი: „საწყობები
 საგვეა ახალი გამოცემებით, სულ საწყობების ძებნაში ვართ გამო-
 ცემების მოსათავსებლად და ეხლა რომ ძველი წიგნები შევიძინოთ,
 ვინ რას მეტყვის?“ მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ მიმაჩნდა წაგი-
 ბულად, რამდენიმე დღის შემდეგ მე, „სახელგამის“ კომერციული
 დარექტორი, წიგნის საქმის დიდი მცირე ვიორვი ილარიონის
 ძე ლორთქიფანიძე და „სახელგამის“ მხატვრული ლიტერატურის
 განყოფილების გამგე ნიკოლო მიწიშვილი, რომელნიც დიდად და-
 ინტერესებული იყვნენ ბუკინისტური ვაჭრობის საქმის მოვარე-
 ბით, კვლავ შევეღით თხოვნით ბარონთან, მაგრამ ისევ ცივი
 უარით გამოგვისტუმრა.

მოულოდნელად ბარონი საჭარო ბიბლიოთეკის დირექტორად
 ვადაიყვანეს, მისი ადგილი დაიკირა ნიკო დავითის ძე კიკნაძემ. ახლა
 მასთან მივედი თხოვნით, მაგრამ მანაც ახალ გამოცემათა
 უზომოდ ნელი რეალიზაციის გამო უარით გამომისტუმრა. ბიბი-
 ნეიშვილიც და კიკნაძეც მართალი იყვნენ იმიტომ, რომ წიგნის
 რეალიზაცია ძალზე ძნელი იყო იმ პერიოდში. წლობით ეწყო სა-
 წყობებში ისეთი ძვირფასი წიგნების შტაბელები, როგორიცაა
 სტენდალის „წითელი და შავი“, მოპასანის „ფუნთუშა“ და „ლამა-
 ზი მეგობარი“, ფლობერის „ქალბატონი ბოვარი“, ბოკაჩიოს „დე-
 კამერონის“ ორივე ტომი და მრავალი სხვ. ასევე ჩევნი თანამედ-
 როვე ქართველი და რუსი ლიტერატორების ნაწარმოებები თუ
 კლასიკოსთა ქმნილებანი. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთიდან
 მოიწვიეს წიგნის გამავრცელებელი ვინმე ვიშემირსკი, რომელმაც

დიდალი ლიტერატურის გავრცელება შესძლო. ესეც საქმარისის სახურის მიერთება არ აღმოჩნდა და დაიწყო მუშა-მოსამსახურეებზე წიგნების ნიჭილურობაზე გაცემა. ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ კარგი მწიგნობარი ანდრო შილაკაქე და ვერა მაღალაშვილი. ამანც სასურველი შედეგი მაინც ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, ბიბინებშვილმა და კიკნაძემ ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნის მნიშვნელობა სათანა-ფოდ ვერ შეაფასეს. ყველა ბაზარზე იყიდებოდა უნიკალური წიგ-ნების ფურცლებისაგან შეკოწიწებული პარკები. აღამინს გული მოგიკვდებოდა, როდესაც რუსთაველის, მარი ბროსეს, ნიკო მარის, განუშტო ბატონიშვილის, დავით ჩუბინაშვილის, ოლ. ცაგარელის, ოლ-ხახანაშვილისა და სხვა წიგნების ფურცლებს ნახავდით პარკებად შეკოწიწებულს. იღუპებოდა ძველი პერიოდულ გამოცემათა კომპ-ლექტები. ამიტომაც ზემოსხენებულ პირებთან ერთად უფიქრობდით ბაზარზე შეგვეძნა ამ გულსაკლავად დახეული ძვირფასი წიგნების თუ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებიდან შეკოწიწებული პარკები, დაგვეშალა, დაგვესათაურებინა და მიგვემართა თხოვნით განსახო-მისათვის და პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის რომ დაგვხმა-რებოდა ბუკინისტური წიგნის გადარჩენის საქმეში, მაგრამ მოულო-დნელად საქმე სულ სხვანაირად წარიმართა:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა კარლო ორაგველიძე, მისი ძმა დავით ორაგველიძე ჩექენთან „სა-ხელგამში“ მუშაობდა, იცოდა ამ საქმისათვის ჩემი დიდისხინის ბრძოლის ისტორია და ვინაიდან ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგ-ნის ყველაზე დიდი მომხმარებელი თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი იყო, მიზრჩია რექტორთან შესვლა და მოლაპარაკება. მართლაც ორი დღის შემდეგ შევეღია რექტორთან, მოვახსენე მოსვლის მიზეზი. რექტორმა გულდასმით მომისმინა, მიიღო ჩემი წინადაღება და საქმე იმ დღესვე გადაწყდა. გამოიძიხა უნივერსი-ტეტის გამომცემლობის მაშინდელი დირექტორი ვარლამ მიქაძე და დაავალა ბუკინისტური წიგნის ვაჭრობის დროულად მოგვა-რება.

ვ. მიქაძემ საქმე გულთან მიიტანა, შეუთანხმდა პროჩექტორს სამეურნეო დარგში და გამოვიყვეს საქმაოდ ფართო და ნათელი შენობა ყოფილი ვერის ბაზრის პირდაპირ.

დიდი დავისა და თხოვნის შემდეგ „სახელგამის“ გამგეობის თავმჯდომარემ ნ. კიკნაძემ მომცა განთავისუფლების დასტური, გამაფორმეს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის ანტიკვა-

რულ-ბუკინისტური წიგნის მაღაზიის გამგედ და ოთხი კაცისაგად შემდგარი შტატის შეჩრევაც დამავალეს. უყოფმანოდ ავიყვენდეს მიწას ადგილედ ივანე სამაღაშვილი. მას არავითარი განათლება არ ქონდა, მაგრამ თავისი ზღაპრული მეხსიერების წყალობით შეეძლო ნებისმიერი წიგნი დაქსურათხატებინა მყიდველისათვის. იცოდა სად, როდის იყო გამოცემული ან რა ტირაჟით. გრძნობდა რომელ მკითხველს რა წიგნი სჭირდებოდა, იცოდა წიგნის ყადრი და ფასი.

კონსულტანტად მოვიწევით მათემატიკოსი და ფილოლოგი, ეკროპული ენების მცოდნე, პეტროვრადის უნივერსიტეტში განსწავლული სუმბათ ლოტოვე, რომელიც სურამში იყო დაბადებული და გაზრდილი და მშენებერი ქართულით მეტყველებდა.

მაღაზიის შეკეთება-შეღებვის შემდეგ, რჩებოდა მხოლოდ წიგნის თაროების და ინვენტარის შეძენის საკითხი. ამ დროს მოხდა კირვის ჭუჩაზე მდებარე „რეზინოგასალების“ საფირმო მაღაზიის ლიკვიდაცია და მისი ლამაზად გაფორმებული კარადები ჩვენ გადმოგვეცა. კარადები სწორედ წიგნის თაროს ზომისა იყო და არავითარ შეკეთება-გადაკეთებას არ საჭიროებდა. ამგვარად საქმე, რაც ხელოსნებს ორ-სამ თვეს უნდა ეკეთებინათ, სულ ორ-სამ დღეში მოვარდა.

აბრის გადატებისთანავე, რომელზეც ქართულად და რუსულად ეწერა „ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნი“, — მაღაზია ხალხით გაიცხო. მოპენინდათ ისეთი წიგნები, რაც წიგნის საქმეში ათეული წლების მანძილზე მომუშავე კაცს თვალითაც არ მქონდა ნანაბი; რა უნიკალურ წიგნს არ შეხვდებოდით აქ. საზღვარგარეთ გამოსული წიგნებიც კი მოპენინდათ. მიღება-გაფორმებას ვეღარ ვასწრებდით, პირველ ხანებში მაინც, და ამიტომ ორი-სამი სტუდენტი მუდამ იყო ჩვენთან მომაგრებული; ისინი თავისუფალ დროს და საღამოს საათებში მოდიოდნენ და გვეხმარებოდნენ. მაღაზია ყველა ოპერაციისათვის უკვე მზად იყო 1936 წლის აგვისტოს დამლევს. წიგნების შესაძენი თანხის ლიმიტიც რამდენჯერმე გაიზარდა.

ასე მასობრივად ამდენი უნიკალური წიგნის თუ პერიოდულ გამოცემათა მოსახლეობიდან მოზღვავება განაპირობა შესაძენი ფასის გადიდებამ. კერძო ბუკინისტები წიგნებს მეტად დაბალ ფასებში იძნდნენ, როგორც ამას თავის წიგნში („ოცი წელი გორგი ლეონიძესთან“) აღნიშნავს პროფ. ი. ლოლაშვილი. ჩვენ კი ვიძენდით მთავრობის დადგენილი ნიხრის მიხედვით, რაც მოსახლეობისათვის ხელსაყრელი იყო.

საქართველოს განსახურმში ჩვენს მიერ წარდგენილ წინადადე-



ბაზე ნებართვის მიღების შემდეგ გასაბჭოებამდე ყველა არსებული სკოლების ძევლი, მათთვის უკვე გამოუსადეგარი წიგნის ფარგლების შეცვლილ იქნა თანამედროვე ლიტერატურით. ამავე წესით წიგნების დიდძალი ფონდი მივიღეთ ქართული ჯარის ნაწილებიდან.

ამ წიგნებით, მათი დამუშავების შემდეგ პირველ რიგში მარაგ-დებოდა უნივერსიტეტის ფუნდამენტური და სტუდენტთა საფა-რულტეტო სამკითხველო-ბიბლიოთეკები, შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკა. ა. პუშკინის სახელობის პედიონსტიტუტის ბიბლიოთეკა ძირითადად ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნებით დაკომპლექტდა; ის-ტორიული ბიბლიოთეკაც (რომელიც მაშინ წმინდა ბარბარეს ეკლესიის მახლობლად მდებარეობდა) ამ მაღაზიიდან მარაგდებოდა. დიდ-ძალი წიგნი მიჰქონდა ბიბლიკოლექტორს თაქისი ქსელის ადგილობრივი თუ რაონული ბიბლიოთეკებისათვის.

შემდეგ საჭირო გახდა დეფექტური (ფურცლებნაკლული) წიგნების შეძენაც, ხშირად ორი ან მეტი წევნისაგან ივსებოდა ერთი წიგნი. ასაკინძავ წიგნებს, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, გაბარებდით საჯარო ბიბლიოთეკის საამკინძაო სახელოსნოს, სადაც გამგედ მუშაობდა თბილისში დაბადებული და აღზრდილი უკრაინელი ვლადიმერ სოზოტენკო, კარგი სპეციალისტი. იგი ჩვენს დაკვეთებს მალე და მაღალხარისხის მოვნად ასრულებდა, ათა-სობით აშკარად სიკვდილსგადარჩენილი წიგნები ბარდებოდა სა-თანადო ბიბლიოთეკებს.

ვამოწმებდით პარკებით მოვაჭრეთა მარაგსაც. ის სავალალო მდგომარეობა, რაზედაც ზემოთ გაამბეთ, სულ უფრო მცირდებოდა, ბოლოს სავსებით მოისპო.

1938 წლის ზაფხულში ჩვენი მაღაზიის ეს ერთსართულიანი შენობა აღებულ იქნა ბელისკის და მიმდებარე ქუჩების ნიაღვარ-გამტარი კოლექტორის ავების გამო. ამიტომ მაღაზია გადატანილ იქნა მელიქშვილის ქუჩაზე № 13-ში, სადაც ახლა სამედიცინო წიგნისა და ბუკინისტური წიგნის საკომისიო მაღაზიებია.

მე იქ დიდხანს აღარ მიმუშვნია, ვინაიდან „საბლიტგამის“ გამ-გეობამ მიმიწვევა ბუკინისტური მაღაზიის გამგედ. მოადგილედ და-მინიშნეს ყოფილი მესტამბე, წიგნის საქმის კარგი მცოდნე ასლან კალანდაძე. გამოგვიყვეს ფართო ნათელი დარბაზი, ასეთივე ნა-თელი ვიტრინით რუსთაველის გამზირზე № 37-ში, ელბაქიძის და-ღმართის კუთხეში, წიგნის მაღაზიისათვის გამზადებული ყველა საჭირო მოწყობილობით.

შევუდექით მუშაობას, საქმე კარგად აეწყო, ფართო ვიტონის
 უნიკალური წიგნებით ივსებოდა.

იმ წლებში ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტი ელბაქიძის
 დამართით მიმღებილი იყო. ერთ სალამოს დავინახე „სახელგამის“
 გამგეობის თავმჯდომარე ნიკო კიკნაძე განათებული ვიტონის
 წინ იდგა და წიგნებს გულდასმით თვალიერებდა. რამდენიმე დღის
 შემდეგ ისევ ჩვენი მაღაზიის წინ დავინახე. ერთ დღეს მაღაზიის
 დაცურვის შემდეგ, როდესაც თანამშრომლები წასული იყვნენ და
 მე ხვალინდელი მუშაობის თაღარიგს ვეწეოდი, შემოვიდა ნიკო
 კიკნაძე. არ გამკვირვებია. ვითქირე: რომელიმე წიგნი მოეწონა და
 მისთვის შემოვიდა-მეთქი, მაგრამ არა. მოსალმების, ხელის ჩამო-
 რთმევის შემდეგ ვაჟკაცურად მითხრა: „მე შენთან დამნაშავე ვარ,
 შენი მართებული თხოვნა მაშინ სწორად ვერ შევაფასე, შევცდი,
 შენ ისევ „საქწიგნს“ უნდა დაუბრუნდე და ამ საქმეს უხელმძღ-
 ვანელოო“. არაფერი საწინააღმდევო არ მექნება, ბატონო ნიკო-
 მეთქი, ვუპასუხე და მის დინჯ სახეზე კმაყოფილება შევამჩნიო.

ასე გადაეცედა „საბლიუტგამის“ მაღაზია „საქწიგნის“ მაღა-
 ზიად, მალე ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნის ბაზად და მას და-
 ექვემდებარა ბუკინისტური წიგნის I (პუშკინის № 11), II (რუს-
 თაველის გამზირი № 40), III (მარგანიშვილის ქ. 14) მაღაზიები.

პუშკინის ქუჩაზე მდებარე მაღაზია, გაფართოების მიზნით გად-
 მოიტანეს რუსთაველის გამზირზე № 44-ში, სადაც ახლა „საქწიგ-
 ნის“ ხელისმოწერითი წიგნის № 31 მაღაზია.

ყველა ამ მაღაზიას განაგებდნენ წიგნისმოყვარული და წიგნის
 საქმის კარგი მცოდნენი: მიხეილ გოფმანი, პლატონ კიკნაველიძე,
 დიმიტრი ესებუა და სხვანი.

იმავე დროს გაიხსნა ბუკინისტური წიგნის მაღაზია გამომცემ-
 ლობა „ფედერაციასთან“, რომელსაც ჩვენი გამოჩენილი ბელე-
 ტრისტის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ძმა — ვალიკო ლორთქი-
 ფანიძე, წიგნის კარგი მცოდნე, ხელმძღვანელობდა. მეცნიერებათა
 ძეადგმის გამომცემლობასთან არსებული ბუკინისტური წიგნის
 მაღაზიას (რუსთაველის გამზირზე № 19-ში) ხელმძღვანელობდა
 ძველი მწივნობარი მიხეილ კაკაბაძე.

ბუკინისტური წიგნის მაღაზიებში დიდიალი პროფესორ-მას-
 წავლებლობა, სტუდენტობა და უფროსი კლასების მოწვევები,
 ადგილობრივი და რაიონებიდან ჩამოსული ხალხი იყრიდა თავს
 და ყველა დაინტერესებული იყო საჭირო წიგნის შეძენით.

ჩვენი ყოველდღიური სტუმარი იყო ტკბილმოუბარი თელო  ხოკია. იგი ყოველდღე შემოდიოდა, მიუკდებოდა ჩემ საწერ მაგისტრული დღის შიგნავაში ჩაიწერდა უკეთ ნაპოვნ სიტყვას, შემდეგ შეგვართავდა თავისებური ტკბილი ლიმილით: „აბა, რა მიშოვეთ დღე-ისთვის?“. ჩენც, თუ რამ გვქონდა „ნაშოვნი“, ჩავაწერინებდით. ის მაშინ მუშაობდა „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ ლექსიკონზე, რომელიც შემდეგ გამოსცა.

თბილისზე უზომოდ შეკვარებული ისებ გრიშაშვილი ყველა
ბუკინისტური წიგნის მაღაზიის მუდმივი სტუმარი იყო, ჩვენ გლო-
თბილი მეგობრობა გვაკვშირებდა ჯერ კიდევ იმ წლებიდან, რო-
დესაც მე გამომცემლობა „შრომაში“ ვმუშაობდი. იგი გამომცემ-
ლობის დირექტორმა პოეტმა შალვა აფხაძემ გამაცნო და ეს ნაც-
ნობობა გულწრფელ მეგობრობაში გადაიზარდა. ახლა, როცა მისი
საკვარელი წიგნების ბეჭ-ილბალი ჩემს ხელთ იყო, ყოველდღიუ-
რად მიღებულ წიგნებს დამუშავების შემდეგ მას ვასინჯებდი. ახ-
ლაც თვალწინ მიღვას მისი გაცისკროვნებული სახე, როდესაც იმ
წიგნს, იმ უურნალს თუ გაზეთის იმ ნომერს იპოვიდა, რომელიც
მას უბის წიგნაკმი ჰქონდა შესაძენად ჩანიშნული. შეძენილი წიგ-
ნების ღირებულებას შევაჯამებდით და ჩავინიშნავდით, ანგარიშ-
სწორება ხდებოდა მისი ძეირფასი ბიბლიოთეკის იმ ზედმეტი წიგ-
ნებით, რომელთა განტვირთვა ბიბლიოთეკისათვის აუცილებელი
იყო. აიღებდა სოსო საწერი ქაღალდის ფურცელს და თავისი ლა-
მაზი ქალიგრაფიით დაწერდა:

“ମାତ୍ରାମାତ୍ରାକୁଣ୍ଡଳ”

მმართებს თავადისა აკადი წერეთლისა (ამდენი) მანეთი თეთრით“. თავის მშენებელ ხელშერას გაუკეთებდა და დაათარიღებდა. დროდადრო „თამასუქების“ მიხედვით გზაცნიდა მისი ბიბლიოთეკიდან ზედმეტ წიგნებს ჩევნი თანამშრომელის ხელით.

ასევე ჩვენი ხშირი სტუმარი იყო გოგლა ლეონიძე, რომელსაც ყოველთვის თან ახლდა ყრმობის მეგობარი, „სახელგამის“ საქმე-თა მმართველი სოსო ჯერანაშვილი. გოგლა უფრო იშვიათ წიგნებს იძენდა როგორც თავისთვის, ისე ლიტერატურული მუზეუ-მისათვის, რომლის დირექტორი იყო მაშინ იყო.

პროფესიონალური გიორგი გეტემანი ხშირად თავისი ხელით შეარჩევდა ბევრ უნიკალურ წიგნს. ერთ ნაწილს დააწერდა: „თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკას“. მეორეს —

„თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის“. ეს საქმე ბატონ გიორგის სულაც არ ევალებოდა, მაგრამ მას ამოძრავებდა წიგნის საქმის გარე სიყვარული. ის ხომ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ველი დირექტორი იყო და რამდენიმე წელს უძღვებოდა ამ დიდ და მეტად კეთილშობილურ საქმეს. ჩვენ კი მუდამ მაღლობას გვეტყოდა ამდენი უნიკალური წიგნის გადარჩენისა და მათვეის კუთვნილი ადგილის მიჩენისათვის.

ჩვენი ხშირი, თითქმის ყოველდღიური სტუმარი იყო დიდი ხელოვანი იაკობ ნიკოლაძე. ის სამხატვრო აკადემიდან ნელ-ნელა დაეშვებოდა, ჩვენთან შემოვიღოდა. სკამს მივარამევდით, ახალ-მიღებულ სანცრერესო წიგნებს დაათვალიერებდა, ბევრ ჩვენთვის საჭირო კითხვებზე გვიპასუხებდა, გამოვემშვიდობებოდა და პეროვსკაის ქუჩით ნელ-ნელა შეუყვებოდა შინისაკენ. მე მასთან საუბარში მუდამ უხერხულობას ვკრძნობდი, რადგან ქანდაკების და მხატვრობის საკითხებში ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ პასუხს თუ მსჯელობას მუდამ მომიწონებდა, ალბათ იმიტომ რომ გავემხნევებინე. მაგონდება ერთი შემთხვევა:

მუშაობა დამთავრებული იყო, შინ წასასვლელად ვემზადებოდით, ვხედავ მობრძანდა ბატონი იაკობი. სკამი და ახალმიღებული წიგნებით პატარა მაგიდა მივართეთ. გადაათვალიერა, ორი წიგნის შენახვა მთხოვა — „ხეალ ჩვენი ბიბლიოთეკარი ქალი წაიღებსო“. ბაზა დავკეტე. ვფიქრობ — გამოვეთხოვო და წავიდე შინ. მკლავი მქლავში გამიყარა, დინჯად მითხრა: „ასე წავიდეთ, შენ ხომ ვაკეში ცხოვრობო“. რაღას ვეტყოდი, მაგრამ უზომოდ უხერხულად ვკრძნობდი თავს. მივედით როდენის ქუჩაზე, შემიყვანა სახელოსნოში, დამაყენა ერთი დამთავრებული ქანდაკების წინ და მითხრა: „აბა რას მეტყვით ამ ქანდაკების შესახებ?“ მე მგონი უხერხულობისაგან ფერიც კი დავკარგე, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და წყნარად ვთხხარი: „ქართველი ვაჟკაცის ტიპიური სახეა-მეთქი“. ბეჭებზე ხელი ფრთხილად დამაღლ და დინჯად მითხრა: „დიდებული შეფასებაა, მე ხომ მუდამ ვამბობ, რომ თქვენთან ბაასი ყურადსაღებია“. გამოვეთხოვე და გაოგნებული გავუდექი გზას შინისაკენ.

ბაზის ასევე ხშირი სტუმარი იყო ლადო გულიაშვილი. რამდენიმეჯერ მეუღლესთან ერთადაც გვესტუმრა. საჭირო წიგნს შეიტენდა და მუდამ მაღლობას გვეტყოდა, რომ ჩვენ დიდხალი უნიკალური წიგნები გადავარჩინეთ აშეარა დაღუპვას.



მერე, როცა ბატონ ლადოს ლექსი გუძღვენი, მისი მადლიანი
ხელით დახატული საკმაოდ მოზრდილი სურათი — „ლამაზმანშეორისა
მივიღე გულთბილი წარწერით.

მხატვარ ქალთაგან ხშირად შემოდიოდა ელენე ახვლედიანი,
რომლისთვისაც წიგნები ძველი თბილისის შესახებ მუდამ მზად
გვქონდა ხოლმე, ახალგაზრდა მხატვართაგან ჩვენი სტუმარი იყო
მაშინ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ახლა ცნობილი მხატვარი
კორნელი სანაძე.

დიდი სამამულო ომის წლებში ამ საქმეს გამოვეთხოვე...

მოხდა „საქწიგნის“ ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნის ბაზის
ლიკვიდაცია. ასევე დაიხურა მისი მაღაზიებიც, მერე მათი ბეჭი
ეწია აკადემიის და ფედერაციის ბუკინისტური წიგნის მაღაზიებს
და ცალკეულ წიგნის მაღაზიებს მისცეს ბუკინისტური წიგნის შე-
ძენის ნება. გავიდა ხანი და მოწყობილ იქნა ბუკინისტური წიგნის
მაღაზია (ლენინის ქუჩა № 12) და ერთი ბუკინისტური წიგნის სა-
კომისიო მაღაზია (მელიქიშვილის ქ. № 13).

ՑՈՒՆԱԱՐՏԸ

ՑՈՒՑԸ ԾԱ ԱՑՄԱՅԻՆԸ

ա. ՑՎԱՅԱՐԸ, սպա ՇՈՂՅԵԼՆԵՐԸ	7
ա. ՖԵՆ Ձ Շ Յ Ո Ժ Յ, ԲԱՏԵՄԱՐԴՅՈՍ ՖԱՌԵՎԵԼՈ ԹԻՐՈՂՆԱԼՄՌՈ ՍԱՖԵԼՄԵԼՎԱՆՅ- ԼՐԵՅՑ ՔԱՐՏԱԼ ԵՆԱՆՅ	22

ՑՈՒՑԸ ԾԱ ՑՈՒՑԱԱՐՏԸ

գ. ԹԱՄՈՆ-ՏՈՒՆԻ ԱԿՐ, ԹՈՂՋԵԲԱ ՇՈՂՅՆՅ (ԹԱՐԳԹԵՆ ՖԵԼՈ ԸԵԼՈՍՎԱՅ)	37
դ. ԼՈՒՐՃՅՈՒՆՈՒՆԻ Յ, ԱՆՏԵՅ ԳՐԻՄԵՇՎՈԼՈ ԾԱ ՇՈՂՅՆ	52
լ. ՑՄՐՃՐ Ե ՆՈՒՆ, ԺՎԵԼՈ ԹՅՈԼՈՍՈՆ ԹՈԿՎԱՐՄԱԼՈ	63
թ. ԿԱԼԱՆ Շ Ա Ժ Յ, ՔԱՐՏԱԼՈ ՑՈՒՑԱԱՐՏԸ ՍԱԾԼԵՅՈՆ ՍԱԿՈՒՅԵՑՈ	68

ՑՈՒՑԸ ԾԱ

հ. ՌՈՒՐ Ա Խ Ա Շ Վ Ո Լ Ո, ԱՐԱՄԱՐՏԱ ԽԵԼՈՒԹԱ... ՄԻՋԵԼՈՍԱԹԱ	81
հ. Ա Խ Վ Ե Ր Դ Ո Ա Ն Ո, ՑՈՒՑԱԱՐՏԸ ՍՄԱՆՆԵԼՈՆ ՇԱՄՆՈՒՆ ՆԱՄԱՀՄԵՅՑԵՑՈ	103

ՑԱՐՄԱՆԱ ՑԱՐԱԱՐՏԸ

ո. ԿԱՏԻՐԱԺ Յ, ՑԵՐԵՐԸՆՄԱՆ ԸՆԴԿԱԼՈ ԾԵԼՈ ՔԱՐՏԱԼՈ ՇՈՂՆԵՑՈ	123
ց. ՑՎԱՅԱՐԸ ՄՎՈԼՈ, ԼԱՐԵՐԱՏՄԱՆ ՄԵԼՈՎՈ ՏԵԼԱՎՈՆ ԽԵԼՈՒԹԱՆ	148
ս. ՇԵՐԵ Ե Մ Ե Լ Ո, ԹԻՐՈՂՎԱՐՄԱՆ-ՑՈՒՐՄԱՆ ՇՈՂՆՈՆ ՎԱՇՐՈՒՆՈ ՇԱՐՄԱՆ- ԸՆ	156

ՑՈՒՑԸ ԾԱ

ց. ԳՈՎՈՆ Տ Ա Ն Ո, *** (ՍԱԴ ՆԱՏԱՎՈ ՇՈՂՆԵՑ ՄԱՐԵՐԱ ՊՐԵՐԱՔՆ)	34
ո. ՑԻՐԱ Շ Ա Շ Վ Ո Լ Ո, ՄԵՇՅ ՎԱԿԻՐԱՆԳՈ	62
թ. Ը Ա Վ Ո Ա Ն Ր Ա Զ Ո Ւ Ր Ո, ԻԵՄՈ ՇՈՂՆՈ	78
ն. Ն Ա Ն Ա Հ Ա Ր Ո, ՀԱՄՏԱՎԵԼՈՆ ԽԵԼՆԱՇԵՐՈ	102

СОДЕРЖАНИЕ



А. Гвахария. «Сეы книге неиссякаемой». [В статье говорится об истории создания поэмы «Шах-Наме» Фирдоуси и ее дальнейшей судьбе, об изданиях поэмы на разных языках, в том числе и на грузинском]	7
А. Бендукидзе. Первые грузинские оригинальные учебники по математике. [Представлены сведения о деятельности грузинской математической школы и работе над созданием учебников]	22
Д. Мамин-Сибиряк. О книге (перевод П. Гелеква)	37
И. Лордкипанидзе. Иосеб Гришавели и книга. [О работе над книгой известного грузинского поэта-академика И. Гришавели]	52
Л. Гургенидзе. Влюбленный в старый Тбилиси. [О коллекционере и библиофоне Гр. Тимакове, который собрал уникальную коллекцию памятников о старом Тбилиси]	63
З. Каландадзе. Вопросы современной грузинской библиографии. [О состоянии грузинской библиографической деятельности и ее перспективах]	68
Р. Пирцхалайшили. «При участии Микела». [В статье говорится об участии Микела в текстологической работе над поэмой Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре» и установлена его родословная]	81
Р. Ахвердян. Неизвестные произведения Михаила Туманишвили. [Первая половина XIX века]	103
О. Касрадзе. Петербургские издания древнегрузинских книг. [Первая половина XIX века]	123
Г. Джавахишвили. Из истории литературного Телави. [О литературной жизни древнего грузинского города Телави второй половины XVIII века]	148
А. Церетели. Из прошлого антикварно-букинистической книжной торговли [30—40-ые годы XX в.]	156
ПОЭТИЧЕСКАЯ РУБРИКА	
Э. Дикинсон, *** (Не найдете вы фрегата лучше книги)	34
И. Гришавели, Царь Вахтанг	62
Т. Табидзе, Моя книга	78
Назармат, Рукопись Руставели	102

Добровольное общество любителей книги
Грузинской ССР

М Ц И Г Н О Б А Р И - 84

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5

1986

რედაქტორი გ. ტრიპოლესი
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭილიძე
კორექტორი ლ. არჩევაძე
გამომშვები შ. მჭედლიძე

გადაეცა წირმოებას 26.06.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.05.86.
უ. 01605, საბეჭდო ქალალი № 1. 60×84!/16. ვარნიტური ვენა, ბეჭდების
ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 9.97. პირ. საღ.-გარ. 10,35.
საარ.-საგამომც. თაბაზი 7,75. ტირაჟი 15.000. შეკვ. № 372.

ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.



Б

Б

Б

Б

